

585
1993



1993

Nº 12-13

153

12 - 13

საქართველოს პარლამენტის

а ё Ѹ Ѥ Ѧ ѩ Ѫ Ѭ Ѱ

880/3060

საქართველოს პარლამენტის

უ რ ყ ე გ ე ბ ი



№ 12-13 (629-630)

ნოემბერ-დეკემბერი

1998 წ.

შ ი ნ ა ბ რ ს ი

გაცოდილება პირველი

209. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელების შესახებ.
210. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საგანგებო წესების მოქმედების პერიოდში საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომების შესახებ.
211. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
212. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
213. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
214. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საერთაშორისო სამოქალაქო ფინანსის შესახებ ჩიკაგოს კონვენციისთვის შეერთების თაობაზე.
215. კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ფინანსის შესახებ.

216. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საპატიო ხომალდში ჩატარდა დანაშაულობათა და სხვა ზოგიერთ მოქმედებათა შესახებ კონკრეტულ სო კონვენციისთვის შეერთების თაობაზე.

217. კონვენცია საპატიო ხომალდში ჩატარდა დანაშაულობათა და ზოგიერთ სხვა მოქმედებათა შესახებ.

218. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საპატიო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციისთვის შეერთების თაობაზე.

219. კონვენცია საპატიო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

220. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სამოქალაქო აღიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენციისთვის შეერთების თაობაზე:

221. კონვენცია სამოქალაქო აღიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ.

222. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკიდან შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის გამარტივებული წესით მიღების თაობაზე.

223. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკიდან შემოსვლის წესების შესახებ.

224. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკიდან შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

225. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საგადასახადო სისტემის საკითხებზე კანონმრთებრთა პაკეტის თაობაზე.

226. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აქტითვისა და ოლქეთის ღონისძიებათა შესახებ“ პარიზის კონვენციისთვის საქართველოს რესპუბლიკის შეერთების თაობაზე.

227. კონვენცია კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აქტითვისა და ოლქეთის ღონისძიებათა შესახებ.

228. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკური სახელმწიფო სიმბოლიკის თაობაზე წინადადებების მოსამზიალებელი შემთხვევაში შესახებ.
229. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კუმუნიკაციური ღონისძიებისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის შემაღენლობაში ცვლილების შესახებ.
230. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
231. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ.
232. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საწარმოთა მოვალის (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
233. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საწარმოთა მოვალის (შემოსავლის) გადასახადის შესახებ.
234. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ.
235. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
236. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის შემაღენლობაში ცვლილების შესახებ.
237. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოვების — ორთენებისა და მედლების დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე.
238. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის მუშაობის თაობაზე.
239. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის საგადაფულო სესიის შესახებ.
240. საქართველოს რესპუბლიკის კანონი დამატებული ღირებულების გადასახდის შესახებ.
241. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „დამატებული ღირებულების გადასახდის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.



242. საქართველოს რესპუბლიკის კანონი აქციზების შესახებ. გადასახადის შესახებ
243. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „აქციზების შესახებ“ საქართველოს თველის რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
244. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ.
245. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
246. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ.
247. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
248. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ.
249. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.
250. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის შორის კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაციის შესახებ ხელშეკრულების რატიფიაციის თაობაზე.
251. ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის შორის კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაციის შესახებ.
252. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის შორის საერთაშორისო საპარაზო მიმოსკელის შესახებ შეთანხმების რატიფიაციის თაობაზე.
253. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის შორის საერთაშორისო საპარაზო მიმოსკელის შესახებ.
254. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და ყაზახეთის რესპუბლიკის შორის ურთიერთობის ძირითადი საფუძვლების შესახებ ხელშეკრულების რატიფიაციის თაობაზე.
255. ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკისა და ყაზახეთის რესპუბლიკის შორის ურთიერთობათა ძირითადი საფუძვლების შესახებ.

256. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (წილებისად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის შესახებ.
257. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მთებისად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

გაცოცილება მიორი

საქართველოს პარლამენტის მინისტრთვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

209 საგანგებო ზემო წევა მოვალეობის განვითარების უსახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

მეცნიერებების საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების გაგრძელების თანხმობა.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედება გაგრძელდეს ორი თვით, 1994 წლის 20 იანვრის 00 საათამდე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაშვილი.

თბილისი, 1993 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

210 საგანგებო ზემო წევა მოვალეობის პაროლში ქართველოს პარლამენტის პლენარული სესიების უსახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საგანგებო წესების მოქმედების პერიოდში არ შეჩერდეს საქართველოს პარლამენტის პლენარული სესიები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაშვილი.

თბილისი, 1993 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

211 საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებაშოცე- ლების ზეზოვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება თორნიკე
ურუას პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის სპეციალური მოადგილე ვაჭარანდ რჩულიშვილი.

თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

212 საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსი- ლების ზეზოვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება მალხაზ
ეგონვარაშვილს 1993 წლის 15 ივნისს შემოტანილი პირადი
განცხადების საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის სპეციალური მოადგილე ვაჭარანდ რჩულიშვილი.

თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

213 საქართველოს პარლამენტის ზემოქმედი უფლებამოსი - ლეგის უფლებამოსი ზესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება თემურ
ელიაშვილების პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რიშალიშვილი.

თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

214 სამოქალაქო სამოქალაქო ავიაციის უსახელ ჩინაგოს პოვენციასთან უთართვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუტერთდეს საერთაშორისო
სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩინაგოს 1944 წლის კონვენციის.

დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ
იცნობოს ეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

2. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამი-
ნისტროს და სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტს, რომ შეიმუ-
შონ საქანონმდებლო წინადადებები შიდასახელმწიფოებრივ კა-
ნონმდებლობაში კონვენციის ნორმათა ტრანსფორმირებისათვის.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რიშალიშვილი.

თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.



კონცენტრა საერთაშორისო სამოქალაქო კვირის
215 ფესახებ

პრეზიდული

მხედველობაში იღებენ რა, რომ საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომავალი განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მსოფლიოს ერებსა და ხალხებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაერების დამყარებასა და განგრძობას, მისმა ბოროტად გამოყენებამ კი შეიძლება საფრთხე შეუქმნას საყოველთაო უშიშროებას;

მხედველობაში იღებენ რა, რომ სასურველია თავიზან აიცილონ უთანხმოებანი და ხელი შეუწყონ ერებსა და ხალხებს შორის აქთ თანამშრომლობას, რომელზეც დამოკიდებულია მთელი მსოფლიოს მშეიდობა,

ქვემოთ ხელმომწერმა მთავრობებმა, რომლებიც შეთანხმდნენ გარკვეულ პრინციპებზე და ლონისძიებებზე იმისათვის, რომ საერთაშორისო სამოქალაქო ავიაცია უსაფრთხოდ და მოწესრიგებულად ვითარდებოდეს და საერთაშორისო საპარო მიმოსვლა შესაძლებლობათა თანასწორობის საფუძველზე მყარდებოდეს და გონივრულად. და მომვირნედ ხორციელდებოდეს;

ამ მიზნით დადეს ეს კონვენცია.

ნაწილი I

აერონავიგაცია

თავი I

კონვენციის ზოგადი პრინციპები და გამოყენება
მუხლი 1. სუვერენიტეტი

ხელშემყვრელი სახელმწიფოები ცნობენ, რომ ყოველ სახელმწიფოს სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტი აქვს თავისი ტერიტორიის საპარო სივრცის მიმართ.

მუხლი 2. ტერიტორია

ამ კონვენციის მიზნებისათვის სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება სამეცნიერო ტერიტორია და მისი მიმდებარე ტერიტორიული შეყვარები, რომელიც ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტს, სიუზერენიტეტს, პროტექტორატს ან მანდატს ექვემდებარება.

მუხლი 3. სამოქალაქო და სახელმწიფო საპარაზო ხომალდები

ა) ეს კონვენცია გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო საპარაზო ხომალდებისადმი და არ გამოიყენება სახელმწიფო საპარაზო ხომალდებისადმი.

ბ) საპარაზო ხომალდები, რომლებსაც სამხედრო, საბაჟო და საპოლიციო სამსახურები იყენებენ, განიხილება როგორც სახელმწიფო საპარაზო ხომალდები.

ც) ხელშემკვრელი სახელმწიფოს არავითარი სახელმწიფო საპარაზო ხომალდი არ დაფრინავს შეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არ ჯდება იქ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამისი ნებართვა აქვს სპეციალური შეთანხმებით ან სხვაგვარად, და მესი პირობების შესაბამისად.

დ) ხელშემკვრელი ტერიტორიები თვითანთი სახელმწიფო საპარაზო ხომალდებისათვის წესების დადგენისას ვალდებულებას კისრულობენ ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ სამოქალაქო საპარაზო ხომალდების ნავიგაციის უსაფრთხოებას.

მუხლი 4. სამოქალაქო ავიაციის არასათანადო გამოიყენება

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო თანახმაა არ გამოიყენოს სამოქალაქო ავიაცია რაიმე ისეთი მიზნით, რომელიც შეუთავსებელი იქნება ამ კონვენციის მიზნებთან.

თავი II

ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ფრენა

მუხლი 5. არარეგულარული ფრენის უფლება

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო თანახმაა, რომ სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოთა ყველა საპარაზო ხომალდს, რომლებიც რეგულარულ საერთაშორისო საპარაზო ხაზებზე არ დაფრინავენ, უფლება აქვთ, ამ კონვენციის დებულებათა შესრულე-



ბის პირობებში, იფრინონ მის ტერიტორიაზე ან სატრანსპორტო დაპირი ფრენა განხორციელონ მის ტერიტორიაზე და დასხვნენ არაკომერციული მიზნებით, რასაც წინასწარი ნებართვა არ სჭირდება, და იმ პირობით, რომ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ფრენა, უფლება აქვს მოითხოვოს ხომალდის ლაგდომა. ამასთანავე ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფო უფლებას ინარჩუნებს ფრენის უსაფრთხოების მოსახრებით საპარაკო ხომალდებს. რომლებიც მიუწვდომელ და სათანადო აგრძოსანავიგაციო საშუალებებს მოკლებულ რაიონებში აპირებენ ფრენს, მოსთხოვონ, რომ გათვალისწინებული მარშრუტით იფრინონ ან სპეციალური ნებართვა მოღონ ასეთი ფრენისათვის.

ასეთი საპარაკო ხომალდები, თუ მათ მგზავრები არ ვადაპყავთ, ტვირთი ან ფოსტა არ გადააქვთ გასამრჩელოთი ან იჯარით, მაგრამ არა ოვალურული საერთაშორისო საპარაკო მიმოსვლით ვათვალისწინებული პირობებით, მე-7 მუხლის დებულებათა შესაბამისად სარგებლობენ აგრეთვე პრივილეგიით თვითმფრინავში ჩასხან ან ვადმოსხან მგზავრები, ჩატვირთონ ტვირთი ან ფოსტა იმ პირობით, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს, სადაც ასეთი ჩატვირთვა-ვანტვირთვა ხდება, უფლება აქვს დაადგინოს ისეთი შესები, პირობები თუ შეზღუდვები, რომლებსაც სასურველად ჩათვლის.

მუხლი 6. ოვალურული საპარაკო მიმოსვლა

ვერავითარი, ოვალურული საერთაშორისო საპარაკო მიმოსვლა ერთ განხორციელდება ხელშემქვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მის თავზე, თუ არა სპეციალური ნებართვით ან ამ სახელმწიფოს სხვა სანქციით და ასეთი ნებართვისათვის სანქციის პირობების შესაბამისად.

მუხლი 7. კაბოტაჟი

ყოველ ხელშემქვრელ სახელმწიფოს უფლება აქვს სხვა ხელშემქვრელ სახელმწიფოთა საპარაკო ხომალდებს არ მისცეს თავის ტერიტორიაზე ხომალდში მგზავრების ჩასხდომის, ფოსტისა და ტვირთის ვადაზიდვის ნებართვა, რომლებიც ანაზღაურებით ან



ქირით გადაშეცვლა და გადააქვთ და სხვა დანიშნულების პუნქტზე მასი ტერიტორიის ფარგლებში. ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს არ დადოს არავითარი შეთანხმება, რომელიც საგანგებოდ მიანიჭებს რომელიმე სხვა სახელმწიფოს თუ სხვა სახელმწიფოთა ავიასაწარმოს ნებისმიერ ასეთ პრივილეგიას განსაკუთრებულ საფუძველზე, და არ მიიღოს ასეთი განსაკუთრებული პრივილეგია რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან.

მუხლი 8. უპილოტო საპარო ხომალდები

ამც ერთი საპარო ხომალდი, რომელსაც შეუძლია უპილოტო ფრენა, არ ახორციელებს უპილოტო ფრენას ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიის თავზე, თუ არა ამ სახელმწიფოს სპეციალური ნებართვით და ასეთი ნებართვის შესაბამისი პირობებით. ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს იმ რაიონებში ასეთი უპილოტო ხომალდის ფრენისას, რომლებიც ღიაა სამოქალაქო საპარო ხომალდებისათვის, უზრუნველყოს ამ ფრენისადმი ისეთი კონტროლი, რომელიც გამორიცხვებს რაიმე საფრთხეს სამოქალაქო საპარო ხომალდებისათვის.

მუხლი 9. აკრძალული ზონები

ა) ყოველ ხელშემკვრელ სახელმწიფოს სამხედრო საჭიროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოსაზრებით შეუძლია ერთგვაროვან საფუძველზე შეზღუდოს ან აკრძალოს სხვა სახელმწიფოთა საპარო ხომალდების ფრენა თავისი ტერიტორიის გარეული ზონების თავზე იმ პირობით, რომ ამ მხრივ არავითარი სხვაობა არ იქნება მოცემული სახელმწიფოს საპარო ხომალდების რეგულარულ საერთაშორისო საპარო ფრენასა და დანარჩენი ხელშემკვრელი სახელმწიფოების საპარო ხომალდების ფრენას შორის. რომლებიც ანალოგიურ ხაზებზე დაფრინავენ. ასეთ აკრძალულ ზონებს გონივრული ფართობი და ადგილმდებარებია აქვთ, რათა აუცილებლობის გარეშე დაბრკოლებანი არ შეექმნას ურონავიგაციის. ხელშემკვრელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ასეთი აკრძალული ზონების აღწერა, აგრეთვე მათი ყოველგარი შემდგომი შეცვლა რაც შეიძლება მოკლე ვადებში ეცნობებათ



ლანარჩენ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს და სამოქალაქო მინისტრებს
საერთაშორისო ორგანიზაციებს.

б) ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ამასთანავე რნარჩუ-
ნებს უფლებას განსაკუთრებულ გარემოებათა ღროს ან საგანგებო
წესების პერიოდში ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერე-
სებისათვის დაუყოვნებლივ ღრობით შეზღუდოს ან აკრძალოს
ფრენა მთელ თავის ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში იმ
პირობით, რომ ასეთი შეზღუდვა ან აკრძალვა გამოიყენება ყველა
სხვა სახელმწიფოს საპატიო ხომალდების მიმართ, მათი ეროვნული
კუთვნილების მიუხედავად.

в) ყოველ ხელშემკვრელ სახელმწიფოს იმ წესების საფუ-
ძველზე, რომლებიც მან შეიძლება დააღინოს, შეუძლია ა) ან ხ) კუნქტებში მითითებულ ზონაში შემავალ ნებისმიერ საპატიო ხო-
მალდს მოსთხოვოს, დაგდეს რაც შეიძლება სწრაფად რომელიმე
მითითებულ აეროპორტში თავისი ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 10. დაგდომა საბაჟო აეროპორტში

იმ შემთხვევის გარდა, როცა ამ კონვენციის ან სპეციალური
ნებართვის პირობების შესაბამისად საპატიო ხომალდებს უფლება
ეძლევათ გადაკვეთონ დაუჯდომლად ხელშემკვრელი სახელმწი-
ფოს ტერიტორია, ნებისმიერი საპატიო ხომალდი, რომელიც ხელ-
შემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შედის, და ამას მოითხოვს
ამ სახელმწიფოს წესები, გდება აეროპორტში. რომელზეც მიუ-
თითებს ეს სახელმწიფო. რათა გაიაროს საბაჟო. ან სხვა კონტრო-
ლი. ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიიდან გასვლისას
ასეთი საპატიო ხომალდი იმავე წესით ტოვებს საბაჟო აეროპორტს.
ცნობებს ყველა აღნიშნული საბაჟო აეროპორტის შესახებ სახელ-
მწიფო აქვეყნებს და უგზავნის სამოქალაქო ავიაციის საერთაშო-
რისო ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნებულია ამ კონვენციის II
ნაწილის შესაბამისად, რათა გადასცეს ყველა სხვა ხელშემკვრელ
სახელმწიფოს.

მუხლი 11. საპატიო მიმოსვლის წესების გამოყენება

ამ კონვენციის დებულებათა შესრულების პირობით, ხელ-
შემკვრელი სახელმწიფოს კანონები და წესები, რომლებიც შემ



ხება იმ საპატიო ხომალდების მის ტერიტორიაზე შესვლას ან შემოწმების ტერიტორიიდან გასვლას, რომლებიც საერთაშორისო აერონავოგაციის შესაბამისად დაფრინავენ, ან ასეთი საპატიო ხომალდების ექსპლუატაციისა და ნავიგაციას მის ტერიტორიაზე მათი ყოფნის დროს, გამოიყენება ყველა ხელშემკვრელი სახელმწიფოს საპატიო ხომალდების მიმართ მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად და სრულდება ასეთი საპატიო ხომალდების მხრივ ამ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში შემოსვლის, გასვლისა და ყოთნის დროს.

მუხლი 12. ფრენის წესები

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს განახორციელოს ორნისძებანი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყოველი საპატიო ხომალდი, რომელიც მისი ტერიტორიის ფარგლებში დაფრინავს ან მანევრირებს, ავრეთვე ყოველი საპატიო ხომალდი, რომელსაც მისი ეროვნული ნიშანი აქვს. სადაც უნდა იყოფებოდეს ასეთი საპატიო ხომალდი, იცავდეს მოცემულ აღგრლას მოქმედ წესებსა და ოკვლამენტებს. რომლებიც საპატიო ხომალდების ფრენას და მანევრირებას ეხება. ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს დაცვას მაქსიმალურად შესაძლებელი ერთგვაროვნება ამ დარგში თავისი საკუთარი წესებით და იმ წესების ერთგვაროვნება, რომლებიც დროზადრო დგინდება ამ კონვენციის საფუძველზე. ლია ზღვის ზავზე მოქმედად ითვლება წესები, რომლებიც ამ კონვენციის შესაბამისად არის დადგინდი. ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს უზრუნველყოს იმ პირთა პასუხისმგებელი მიცემა, რომლებიც არღვევენ მოქმედ რეგლამენტებს.

მუხლი 13. შესვლა-გასვლის წესები

ხელშემკვრელი სახელმწიფოების კანონები და წესები, რომლებიც შეეხება ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მგზავრების, ეკონომიკისა თუ ტვირთის შესვლას, როგორიცაა წესები, რომლებიც



შეეხება შესვლას, გამოსვლას, იმიგრაციას, სპასპორტული და კონტროლს და კარანტინს, სრულდება ასეთი მგზავრების და ექიპაჟის მიერ ან მათი სახელით; ეს წესები სრულდება აგრეთვე ტვირთის მიმართ ჩასვლისას, წასვლისას და ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის დროს.

მუხლი 14. ევადმყოფობათა გავრცელების თავიდან აცილება

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო თანახმაა ეფექტიანი ლონისძიებანი განახორციელოს ეროვნავიგაციის მეშვეობით ქოლერის, ეპიდემიური ტიფის, ყვავილის, ყვათელი ციების, შავი ჭირისა და სხვა ისეთი ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც დროდადრო განისაზღვრება ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ, და ამ მიზნით ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უშუალო კონსულტაციები მქნებათ დაწესებულებებთან, რომლებიც განაგებენ საპატიო ხომალდების გრძართ გამოყენებული სანიტარიული ლონისძიებების დარგში საკრთაშორისო რეგულირების საკითხებს. ასეთი კონსულტაციები ხილციელდება ისე, რომ ზიანი არ მიაღეს ამ საკითხზე მოქმედ ნებისმიერ საერთაშორისო კონვენციას, რომელთა მონაწილენი არიან ხელშემკვრელი სახელმწიფოები.

მუხლი 15. საერთოპორტო და სხვა ამგვარი მოსაქრებლები

ხელშემკვრელი სახელმწიფოს ყოველი აეროპორტი, რომელიც ლია მისი ეროვნული საპატიო ხომალდების საზოგადოებრივი გამოყენებისათვის, ნე-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, ლია აგრეთვე ერთგვაროვანი პირობებით ყველა სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს საპატიო ხომალდებისათვის ასეთსავე ერთგვაროვან პირობებს იყენებენ ხელშემკვრელი სახელმწიფოების საპატიო ხომალდები ყველა აეროსანავივაციო საშუალების, რადიო და მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის ჩათვლით, რომლებიც შეიძლება საზოგადოებრივი სარგებლობისათვის გამოიყოს აერონავტიკის უსაფრთხოებისა და ოპერატიონების უზრუნველყოფის მიზნით.

არავითარი მოსაქრებლები, რომლებიც შეიძლება გადახდევინოს ან ნება დართოს ხელშემკვრელმა სახელმწიფომ იმისათვის,

რომ ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ყველა მუზეუმი ხომალდება ისარგებლონ ასეთი აეროპორტებით და აეროსანავებით საშუალებებით, არ უნდა აღემატებოდეს:


a) იმ საპარო ხომალდებისათვის, რომლებიც რეგულარულ საერთაშორისო საპარო ხაზებზე არ დაფრინავენ, — მოსაკრებლებს, რომლებიც შეიძლება გადაახდევინონ ანალოგიურ ხაზებზე მომუშავე იმავე ძლისის თავის ეროვნულ საპარო ხომალდებს;

b) იმ საპარო ხომალდებისათვის, რომლებიც რეგულარულ საერთაშორისო საპარო ხაზებზე დაფრინავენ, — მოსაკრებლებს, რომლებსაც თავის ეროვნულ საპარო ხომალდებს გადაახდევინებენ ანალოგიურ საერთაშორისო საპარო ხაზებზე.

ყოველგვარ ასეთ მოსაკრებლებზე ინფორმაცია ქვეყნდება და ეცნობება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის. ამასთან დაინტერესებული ხელშემკვრელი სახელმწიფოს განცხადებით მოსაკრებლებს, რომლებსაც აეროპორტებისა და სხვა საშუალებებისათვის ახდევინებენ, განიხილავს საბჭო, რომელიც ამის თაობაზე მოხსენებას წარადგენს და რეკომენდაციას აძლევს დაინტერესებული სახელმწიფოს თუ სახელმწიფოების განსახილვილად. არც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო არ ახდევინებს რაიმე ბაქს, გადასახადს თუ სხვა მოსაკრებლებს მარტოოდენ მის ტერიტორიაზე ტრანზიტის უფლებისათვის ან მის ტერიტორიაზე შესვლისა და მისი ტერიტორიიდან გასვლისათვის ხელშემკვრელი სახელმწიფოს რომელიმე საპარო ხომალდს, ან ამ ხომალდებში მყოფ მგზავრებს თუ ქონებისათვის.

მუხლი 16. საპარო ხომალდების გასინჯვა

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთ უფლება აქვთ უსაფუძვლო შეფერხების გარეშე გასინჯონ სხვა სახელმწიფოს საპარო ხომალდები, როცა ისინი შემოღიან ან გადიან და შეამოწმონ მოწმობები და სხვა დოკუმენტები, რომებიც გათვალისწინებულია ამ ქონვენციით.



საპატიო ხომალდების ეროვნულობა

მუხლი 17. საპატიო ხომალდების ეროვნულობა

საპატიო ხომალდებს იმ სახელმწიფოთა ეროვნულობა აქვთ,
სადაც ისინი გატარებული არიან რეგისტრაციაში.

მუხლი 18. ორმაგი რეგისტრაცია

ნამდვილად ვერ ჩართვლება საპატიო ხომალდის რეგისტრა-
ცია, ერთ სახელმწიფოშე მეტ სახელმწიფოში, მაგრამ მისი რე-
გისტრაცია შეიძლება გადავიდეს ერთი სახელმწიფოდან მეორეში.

მუხლი 19. რეგისტრაციის მარეგულირებული ეროვნული კა-
ნონმდებლობა

საპატიო ხომალდების რეგისტრაცია ან რეგისტრაციის შე-
ცვლა ნებისმიერ ხელშემქვრელ სახელმწიფოში მისი კანონებისა
და წესების შესაბამისად ხდება.

მუხლი 20. ხომალდის ნიშნები

ყოველ საპატიო ხომალდს, ორმელიც საერთაშორისო ნავიგა-
ციაშია ჩართული, შესაბამისი ეროვნული და სარეგისტრაციო ნიშ-
ნები აქვს.

მუხლი 21. შეტყობინება რეგისტრაციის შესახებ

ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კის-
რულობს ნებისმიერი სხვა ხელშემქვრელი სახელმწიფოს თუ სა-
მოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნით
წარუდგინოს ინფორმაცია ამ სახელმწიფოში რეგისტრირებული
ნებისმიერი კონკრეტული საპატიო ხომალდის რეგისტრაციისა და
კუთვნილების თაობაზე.

გარდა ამისა ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფო სამოქალაქო
ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის იმ წესების შესაბამისად,
რომლებიც ამ უკანასკნელს შეუძლია დააღვინოს, უგზვნის შე-
ტყობინებას ისეთი შესაბამისი მონაცემების შესახებ, რომლებიც
შეიძლება წარადგინოს ამ სახელმწიფოში რეგისტრირებული და
ჩვეულებრივ საერთაშორისო აერონავიგაციაში ჩაბმული საპატიო



ხომალდებისადმი კონტროლისა. და მისი კუთვნილების შემთხვევაში მიმდევად გვითხოვთ მიმღებს სამოქალაქო ავიაციის სერთაშორისო ორგანიზაცია, იგი სხვა ხელშემჯერელ სახელმწიფოებს გადასცემს მათი თხოვნით.

თ ა ვ ი IV

აერონავიგაციისათვის ხელშეწყობის ღონისძიებანი

მუხლი 22. ფორმალობათა ვამარტივება

ყოველი ხელშემჯერელი სახელმწიფო თანახმა სპეციალური წესების გამოცემით ან სხვა გზით ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს და დააჩქაროს საპატიო ხომალდების ნავიგაცია ხელშემჯერელ სახელმწიფოთა ტერიტორიებს შორის და თავიდან აიცილოს საპატიო ხომალდების, ეკიპაჟების, მგზავრებისა და ტერიტორიის უსაფუძვლო შეფერხება, განსაკუთრებით იმ კანონების ვამოუყენებისას, რომლებიც შეეხება იმიგრაციის, კარინტიის, საბაჟო კონტროლსა და გაშვების.

მუხლი 23. საბაჟო და სხვა საიმიგრაციო პროცედურები

ყოველი ხელშემჯერელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს, რამდენადც ამას შესაძლებლად ჩათვლის, დაადგინოს საბაჟო და სხვა საიმიგრაციო პროცედურები, რომლებიც საერთაშორისო აერონავიგაციის შეეხება, იმ პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც ღროდადრო შეიძლება დადგინდეს და რეკომენდაცია მიეცეს ამ კონვენციას თანახმად ამ კონვენციაში არ შეიძლება არაფერი განიმარტოს როგორც დაბრკოლება აეროპორტების შექმნისათვის, რომლებიც თავისუფალი იქნება საბაჟო ფორმალობათა შესრულებისაგან.

მუხლი 24. ბაჟი

ა) მეორე ხელშემჯერელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ტერიტორიისადან ან ტერიტორიის გავლით საპატიო ხომალდები დროებით ბაჟის ვაღაუხდელად დაიშვებიან ამ სახელმწიფოს საბაჟო წესების შესაბამისად. სათბობი, საპონი ზეთები, სათაღარიგო ნაწილები, კომპლექტური მოწყობილობა და მარავი, რომელიც ხელ-



შემქვრელი სახელმწიფოს საპატიო ხომალდშია მეორე უფლებულებების უზრუნველყოფის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩასვლისას და ხომალდში ჩატარდება ამ სახელმწიფოს ტერიტორიიდან გასვლისას, თავისუფლდება ბაჟისაგან, გასინჯვის მოსაქრებლებისაგან და სხვა ასეთი სახელმწიფო თუ აღვილობრივი ბაჟისაგან და მოსაქრებლებისაგან, ეს განთავისუფლდება არ გამოიყენება არაეთარი გადმოტვირთული ტვირთის მიმართ მისი რაოდენობისა და დასახელების მიუხედავად, იმ შემთხვევის გარდა, რომლებსაც მოცემული სახელმწიფოს საბაჟო წესები ითვალისწინებენ, რომლებიც მოითხოვენ, რომ ტვირთს საბაჟო მეთვალყურეობა გაეწიოს.

b) სათადარიგო ნაწილები და მოწყობილობა, რომლებიც ხელშემქვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეაქვთ სხვა ხელშემქვრელი სახელმწიფოს საპატიო ხომალდში დასადგმელად ან გამოსაყენებლად, რომელიც საერთაშორისო აერონავიგაციაშია ჩაბმული, თავისუფლდება ბაჟისაგან იმ პირობით, თუ დაცული იქნება მოცემული სახელმწიფოს წესები, რომლებშიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ მოცემულ საგნებს საბაჟო მეთვალყურეობა და კონტროლი დაუწესდეს.

მუხლი 25. უბედურებაში ჩავარდნილი საპატიო ხომალდები ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს განახორციელოს თავის ტერიტორიაზე უბედურებაში ჩავარდნილი საპატიო ხომალდისათვის დახმარების ისეთი ღონისძიებანი, რომლებსაც იგი შესაძლოდ ჩათვლის, და იმ პირობით, რომ ამას კონტროლს გაუწევენ მისი ხელისუფალი, ნება მიეცემათ ამ საპატიო ხომალდების მესაქუთრეებს ან სახელმწიფო ხელისუფალთ, სადაც რეგისტრირებულია ეს საპატიო ხომალდი, განახორციელონ დახმარების ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ნაკარნახევი იქნება მოცემული გარემოებებით. ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფო ჯავარგული საპატიო ხომალდის ძიების საორგანიზაციოდ ითანამშრომლებს იმ შეთანხმებული ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც დროდაღრო შეიძლება რეკომენდებული იყოს ამ კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 26. შემთხვევათა გამოძიება

რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საპატიო ხომალდში მომხდარი შემთხვევის დროს, თუ ეს შემთხვევა მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოხდა და სიკვდილი ან სხეულის სერიოზული დაშავება მოჰყვა, ან ადასტურებს საპატიო ხომალდის თუ აეროსანავიგაციო საშუალებების სერიოზულ ტექნიკურ დეფექტს, სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა შემთხვევა, იძიებს შემთხვევის გარემოებებს იმ პროცედურის შესაბამისად, რომელიც შეიძლება რეკომენდებული იყოს სამოქალაქო აუიაციის. საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რამდენადაც ეს დაშვებულია კინონმდებლობით. სახელმწიფოს, რომელშიც რეგისტრირებულია საპატიო ხომალდი, საშუალება ეძლევა დანიშნოს გამოძიების მეთვალყურენი, ხოლო სახელმწიფო, რომელიც საჭმეს იძიებს, ამ სახელმწიფოს უგზავნის გამოძიების ანგარიშს და დასკვნას.

მუხლი 27. საპატიო სარჩელის გამო ყადაღისგან განთავისუფლება

ა) საერთაშორისო აერონავიგაციის განხორციელების დროს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საპატიო ხომალდის ყოველგვარი ნებადართული ჩაფრენა მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ნებადართული სატრანზიტო ფრენა ასეთი სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით, დაჯდომით თუ დაუყდომლად, არ იწვევს ამ საპატიო ხომალდზე ყადაღის დადებას ან დაკავებას, რამე სარჩელის წარდგენას ხომალდის მესაკუთრისა თუ ექსპლუატანტისათვის ან რამე სხვა ჩარევას ამ სახელმწიფოს ან მის ტერიტორიაზე მყოფი რომელიმე პირის მხრიდან ან მათი სახელით იმ საფუძველზე, რომ საპატიო ხომალდის კონსტრუქცია, მექანიზმები, კვანძები, დამხმარე მოწყობილობა ან მისი ექსპლუატაცია არღვევს პატენტის, სამრეწველო ნიმუშის თუ მოლელის უფლებას, რომლებიც სათანადო წესით გაიცა ან რეგისტრირებულია სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიაზეც ჩავიდა ეს საპატიო ხომალდი; ამ დროს იგულისხმება, რომ სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ჩავიდა ასეთი საპატიო ხომალდი, არაეითარ გარემოებაში არ

მოითხოვს საწინდარს ყადალის დადების თუ საპარტო მოწყვეტილების დაკავებისაგან ზემოხსენებული განთავისუფლების გამო.

б) ამ მუხლის ა) პუნქტის დებულებანი ვრცელდება აგრეთვე საპარტო ხომალდის სათაღარიგო ნაწილებისა და სამარაგო მოწყვობილობის შენახვაზე და მათი გამოყენების უფლებაზე და ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საპარტო ხომალდის რემონტის დროს; იმ პირობით, რომ ნებისმიერი დაპატენტებული დეტალი ან მოწყობილობა, რომლებიც ასეთი წესით ინახება, არ გაიყიდება ან გავრცელდება ქვეყნის შიგნით და ექსპორტირებული არ იქნება ხელშემკვრელი სახელმწიფოდან კომერციული მიზნით, რომლის ტერიტორიაზეც ჩავიდა ეს საპარტო ხომალდი.

ც) პრივილეგიები, რომლებსაც ეს მუხლი ითვალისწინებს, ერცელდება ამ კონვენციის მხოლოდ იმ მონაწილე სახელმწიფოებზე, რომლებიც ან 1) სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო კონვენციის ან მისი ნებისმიერი შესწორების მონაწილენი არიან, ან 2) მიღებული აქვთ საპატენტო კანონმდებლობა, რომელიც ცნობს ამ კონვენციის მონაწილე მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა გამოგონებებს და უზრუნველყოფს ამ გამოგონებათა სათანადო დაცვას.

მუხლი 28

აეროსანავიგაციონ საშუალებანი და სტანდარტული სისტემები

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, რამდენადაც ჩათვლის იგი საჭიროდა:

ა) შესთავაზოს თავის ტერიტორიაზე აეროპორტები, რადიო და მეტეოროლოგიური სამსახურები და სხვა აეროსანავიგაციონ საშუალებანი, რათა ხელი შეუწყოს საერთაშორისო აერონავიგაციას ამ კონვენციით რეკომენდებული ან დროდადრო დადგენილი სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად;

ბ) მიიღოს და აამოქმედოს კავშირგაბმულობის პროცედურების, კოდების, ნიშანდების, სიგნალების, შუქმოწყობილობის სათა-



ნადო სტანდარტული სისტემები და სხვა საექსპლუატაციო ტექნიკური მუშაობისათვის რეკომენდებული იყოს ან დადგინდეს ამ კონვენციის შესაბამისად;

c) ითანამშრომლოს საერთაშორისო ღონისძიებებში აეროსანავიგაციო რუკებისა და სქემების გამოსაცემად იმ სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც შეიძლება დროდადრო რეკომენდებული იყოს ან დადგინდეს ამ კონვენციის შესაბამისად.

თავი ۷

საჭარო ხომალდების დაცვის პირობები

მუხლი ۲۹

საჭარო ხომალდში აჩვებული დოკუმენტაცია

ხელშემკვრელი სახელმწიფოს თითოეულ საპარო ხომალდში, რომელიც საერთაშორისო ნავიგაციაშია ჩართული, ამ კონვენციით დადგენილი პირობების შესაბამისად, არის შემდეგი დოკუმენტები:

- რეგისტრაციის მოწმობა;
- საფრენად ვარგისონბის მოწმობა;
- ეკიპაჟის ყოველ წევრზე სათანდო მოწმობა;
- საბორტო ურნალი;
- თუ იგი აღჭურვილია რადიოპარატურით — საბორტო რადიოსადგურის ნებართვა;

f) თუ გადაჰყავს მგზავრები — მათი გვარების სია გამგზავრებისა და დანიშნულების აღვილის ჩვენებით;

g) თუ გადაჰყებს ტვირთი — მანიუქსტი და ტვირთის დაწერილებითი დეკლარაციები.

მუხლი ۳۰

საჭარო ხომალდების რადიომოწყობილობა

- ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საპარო ხომალდებს, რომლებიც სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ან შის თავზე იმყოფებიან, შეიძლება პქნდეთ რადიოგალამცემი აპა-

რატურა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ სახელმწიფოს ტექნიკურ ხელისუფალთა მიერ, სადაც რეგისტრირებულ ჰქონილი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელის თავზეც ხორციელდება ფრენა, რადიოგადამცემი აპარატურა გამოიყენება ამ ქვეყნის მიერ დადგენილი წესების შესაბაძისად.

b) რადიოგადამცემი აპარატურის გამოიყენება შეუძლიათ მხოლოდ მფრინავთა ეკიპაჟის წევრებს, რომელებსაც აქვთ იმ სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა, სადაც რეგისტრირებულია საპარო ხომალდი.

მუხლი 31

საფრენად ვარგისობის მოწმობა

საერთაშორისო ნავრგაციაში ჩართულ თითოეულ საპარო ხომალდს აქვს საფრენად ვარგისობის მოწმობა, რომელიც გაცემულია ან დადასტურებულია მისი მოქმედების ძალა იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც საპარო ხომალდია რეგისტრირებული.

მუხლი 32

ეკიპაჟის წევრთა მოწმობა

a) ყოველი საპარო ხომალდის პილოტს და საერთაშორისო ნავრგაციაში ჩართული თითოეული საპარო ხომალდის მფრინავთა ეკიპაჟის სხვა წევრებს ეძლევათ საკვალიფიკაციო მოწმობა და მოწმობანი, რომლებიც გაცემულია ან დადასტურებულია მათი მოქმედების ძალა იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც რეგისტრირებულია საპარო ხომალდი.

b) ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო იტოვებს უფლებას უარი თქვას მისი ქვეყნის ტერიტორიის თავზე ფრენის მიზნით საკვალიფიკაციო მოწმობის და სხვა მოწმობების ცნობაზე, რომლებიც გაცემულია ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეზე სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ.

მოწმობათა ცნობა

საფრენად ვარგის სის და საკვალიფიკაციო მოწმობებს, ავტო-
 გე სხვა მოწმობებს, რომლებიც გაცემულია ან რომლებსაც მინი-
 ჭიბული აქვთ მოქმედების ძალა ხელშემყვრელი სახელმწიფოს მიერ,
 სადაც რეგისტრირებულია საპატიო ხომალდი, სხვა ხელშემყვრელი
 სახელმწიფოები ცნობენ იმ პირობით, თუ მოთხოვნები, რომელთა
 საფუძველზე გაცემულია ასეთი მოწმობები ან მინიჭიბული აქვთ
 მოქმედების ძალა, შესაბამება მინიმალურ სტანდარტებს, რომ-
 ლებიც დროდადრო შეიძლება დადგინდეს ამ კონვენციის შესაბა-
 მისად, ან აღემატება მათ.

საბორტო უურნალები

საერთაშორისო ნავიგაციაში ჩართულ თითოეულ საპატიო
 ხომალდში იცხება საბორტო უურნალი, რომელშიც შეავჭით მონა-
 ცემები საპატიო ხომალდის, მისი ექიპაჟის და ყოველი ფრენის შე-
 არებ იმ ფორმით, რომელიც დროდადრო შეიძლება დადგინდეს
 ამ კონვენციის შესაბამისად.

ტვირთის გადატანის შეზღუდვები

a) დაუშვებელია რაიმე სამხედრო საჭურვლის ან სამხედრო
 მასალების გადატანა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მის თავზე
 საერთაშორისო ნავიგაციაში ჩართული საპატიო ხომალდებით ამ
 სახელმწიფოს უნებართვოდ (თითოეული სახელმწიფო თავის წე-
 სებში ამ მუხლის მიმართ განსაზღვრავს, თუ რა ითვლება სამხედ-
 რო საჭურვლად ან სამხედრო მასალებად, ამასთან ერთგვაროვნე-
 ბის მიზნით სათანადოდ ითვალისწინებს ისეთ რეკომენდაციებს,
 რომლებიც დროდადრო შეიძლება შეიმუშაოს სამოქალაქო ავია-
 ცის საერთაშორისო ორგანიზაციამ);



b) თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო საზოგადოებრივი და უშიშროების მიზნით ოროვებს უფლებას
მოაწესრიცოს ან აკრძალოს თავის ტერიტორიაზე ან მისი თავზე
ა) პუნქტში ჩამოთვლილს გარდა სხვა საგნების გადატანა, იმ პი-
რობით, რომ ამ მხრივ არ იქნება განსხვავება საერთაშორისო
ნავიგაციაში ჩართულ ეროვნულ საპარო ხომალდებას და სხვა
სახელმწიფოთა საპარო ხომალდებს შორის, რომლებიც ასევე
არიან ჩართული საერთაშორისო ნავიგაციაში, აგრეთვე იმ პირო-
ბით, რომ არ დაწესდება არავთარი შეზღუდვები, რომლებმაც
შეიძლება დააბრკოლოს საპარო ხომალდებით იმ აპარატურის
გადატანა და გამოყენება, რომელიც საჭიროა საპარო ხომალდების
ეჭვსპლუატაციისა ან ნავიგაციისათვის, ან ეკიპაჟის შევრთა და
მგზავრთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 36

ფორტოგრაფიული აპარატურა

თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი
ტერიტორიის თავზე საპარო ხომალდებში ფორტოგრაფიული აპა-
რატურის გამოყენების აკრძალვა ან რეგლამენტირება.

თავი VI

საერთაშორისო სტანდარტები და რეკომენდაციული პრაქტიკა

მუხლი 37

საერთაშორისო სტანდარტების და პროცედურების მიღება

თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კი-
რულობს, რომ ითანამშრომლოს იმ წესების, სტანდარტების,
პროცედურების და ორგანიზაციის მაქსიმალური ერთგვაროვნების
მისაღწევად, რომლებიც ეხება საპარო ხომალდებს, პერსონალს,
საპარო ტრანსპორტსა და, დამხმარე სამსახურებს, აგრეთვე ყველა იმ
საკითხში, რომლებშიც ასეთი ერთგვაროვნება ხელს შეუწყობს
ეროვნავიგაციას და მის სრულყოფას.



ამ მიზნით სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციული კონფერენცია და საჭიროებისამებრ დროდადრო ცვლის საერთაშორისო სტანდარტებს, რეკომენდებულ პრაქტიკას და პროცედურას, რომელიც ეხება:

- კავშირგაბმულობის სისტემებსა და აეროსანავიგაციით საშუალებებს, მათ შორის სახმელეთო ნიშანდებას;
 - აუზოპორტებისა და დასაჯდომი მოედნების მახასიათებლებს;
 - ფრენის წესებსა და საჰაერო მოძრაობის მართვის პრაქტიკადა;
 - მფრინავთა და ტექნიკური პერსონალისათვის კვალიფიკაციის მინიჭებას;
 - საპარტო ხომალდების საფრენად ვარგისობას;
 - საპარტო ხომალდების რეგისტრაციას და იდენტიფიკაციას;
 - მეტეოროლოგიური ინფორმაციის შეგროვებას და გაცვლას;
 - საბორტო უურნალებს;
 - აეროსანავიგაციონ რუკებსა და სქემებს;
 - საბაჟო და სამიგრაციო პროცედურებს;
 - უბედურებაში ჩავარდნილ საპარტო ხომალდებს, და შემთხვევათა გამოძრებას;
- აგრეთვე აერონავიგაციის უშიშროების, რეგულარობის და ეფექტურიანობის სხვა საკითხებს, რომელიც დროდადრო შეიძლება მიზანშეწონილი იყოს.

მუხლი 88

საერთაშორისო სტანდარტებისა და პროცედურებისაგან გადახრა

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც პრაქტიკულად შეუძლებელი მიიჩნევს რომელიმე საერთაშორისო სტანდარტის ან პროცედურის ყოველმხრივ დაცვას ან თავისი საქუთარი წესების ან პრაქტიკის რომელიმე საერთაშორისო სტანდარტთან ან პროცედურასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას, ამ უკანასკნელის შეცვლის შემდგრა, ან რომელიც საჭიროდ მიჩნევს ისეთი წესის ან პრაქტიკის



მიღებას, რომელიც არსებითად განსხვავდება საერთაშორისო უძრავის უზრუნველყოფის და დაგენერაციის უზრუნველყოფის სამქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საკუთარ პრაქტიკას და საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ პრაქტიკას წორის ამ განსხვავების თაობაზე. საერთაშორისო სტანდარტების შეცვლის შემთხვევაში, ნებისმიერი სახელმწიფო რომელიც არ შეიტანს შესაბამის ცვლილებებს თავის წესებში ან პრაქტიკაში, ამის თაობაზე აცნობებს საბჭოს საერთაშორისო სტანდარტში შესწორების მიღებიდან სამოცი დღის ვადაში, ან აღნიშნავს ლონისძებებს, რომელთა მიღებასაც ის პირებს. ყოველ ასეთ შემთხვევაში საბჭო დაუყოვნებლივ ატყობინებს უკელა სხვა სახელმწიფოს იმ განსხვავების თაობაზე, რომელიც არის საერთაშორისო სტანდარტის ერთ ან ასმდენიმე დებულებასა და ამ სახელმწიფოს შესაბამის ეროვნულ პრაქტიკას შორის.

მუხლი 39

აღნიშვნები მოწმობებში

ყოველი საპარო ხომალდის ან მისი იმ ნაწილის საფრენად ვარგისობის მოწმობაში, რომლებზეც არსებობს საფრენად ვარგისობის საერთაშორისო სტანდარტი ან სხვა საფრენი. მახასიათებლები და რომლებიც სერთიფიციაციის ღროს რაიმე მხრივ არ შეესაბამება ამ სტანდარტს, შეიტანება ან თან ერთვის სრული ნუსხა დეტალებისა, რომელთა გამოც საპარო ხომალდი ან მისი ნაწილი ასეთ სტანდარტს არ შეესაბამება.

ნებისმიერი პირის მოწმობაში, რომელიც სრულად ვერ აქმაყოფილებს მისი მფლობელის მოწმობის ქლასის მიმართ საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ პირობებს, შეიტანება ან თან ერთვის იმ მონაცემთა სრული ნუსხა, რომლებითაც ეს პირი ვერ აქმაყოფილებს ამ პირობებს.

მუხლი 40

აღნიშვნებიან მოწმობათა ნამდვილობა

არც ერთი საპატიო ხომალდი, აგრეთვე პერსონალის არც ერთი წევრი, რომელთა მოწმობებში შეტანილია ასეთი აღნიშვნები, არ მონაშილეობს საერთაშორისო ნავიგაციაში, თუ არა აქვთ იმ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ნებართვა, რომელთა ტერიტორიაზეც ისინი იმყოფებიან. ყოველი ასეთი საპატიო ხომალდის ან ნებისმიერი მისი სერთოფიცირებული ნაწილის რეგისტრაცია ან გამოყენება ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში, გარდა იმისა, სადაც თავდაპირველად იყო სერთოფიცირებული, ხდება იმ სახელმწიფოს შეხედულებისამებრ, სადაც არის იმპორტირებული საპატიო ხომალდი ან მისი ნაწილი.

მუხლი 41

საფრენად ვარგისობის არსებული სტანდარტების ცნობა

ამ თავის დებულებანი არ გამოიყენება ისეთი ტიპის საპატიო ხომალდებისა და საავარიუმო მოწყობილობის მიმართ. რომელთა პროტოტიპი კომპეტენტური ეროვნული ორგანიზების მიერ წარდგნილია სასერთოფიცაციად ასეთი მოწყობილობისათვის საფრენად ვარგისობის საერთაშორისო სტანდარტის მიღების დღიდან სამი წლის გასვლამდე.

მუხლი 42

პერსონალის კვალიფიკაციის არსებული სტანდარტების ცნობა

ამ თავის დებულებები არ გამოიყენება პერსონალის მიმართ, რომელთაც თავდაპირველად მოწმობა მიეცათ ასეთი პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ საერთაშორისო სტანდარტის პირველი მიღებილან ერთი წლის გასვლამდე; მაგრამ ისინი ყველა შემთხვევაში გამოიყენება მთელი პერსონალის მიმართ, რომელთა მოწმობები ძალაში რჩება ასეთი სტანდარტის მიღების დღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

თავი VII

ორგანიზაცია

მუხლი 43

სახელწოდება და სტრუქტურა

ამ კონვენციით ფუძნდება ორგანიზაცია, რომლის სახელწოდებაა „სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია“. მასში შედიან ასამბლეა, საბჭო და სხვა ისეთი ორგანოები, რომელთა შექმნა შეიძლება საჭირო გახდეს.

მუხლი 44

მიზნები

ორგანიზაციის მიზნები და ამოცანებია საერთაშორისო აერონავიგაციის პრინციპებისა და მეთოდების შემუშავება და საერთაშორისო საპარაკო ტრანსპორტის დაგეგმვისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობა, რათა:

a) უზრუნველყოს მთელ მსოფლიოში საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო და მოწესრიგებული განვითარება;

b) წაახალისოს მშვიდობიანი მიზნით საპარაკო ხომალდების კონსტრუირებისა და ექსპლუატაციის ხელოვნება;

c) წაახალისოს საპარაკო ტრანსპექტის, აეროპორტებისა და აეროსანავიგაციონ საშუალებების განვითარება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციისათვის;

d) დააკმაყოფილოს მსოფლიოს ზალხთა მოთხოვნილება უსაფრთხო, რეგულარულ, ეფექტურ და ეკონომიურ საპარაკო ტრანსპორტზე;



e) თავიდან აიცილოს უგუნური კონკურენციით გამოწვევული ცენტრის შემთხვევაში;

f) უზრუნველყოს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა უფლებების სრული პატივისცემა და საერთაშორისო საპატიო მიმოსვლაში დასაქმებულ ავიასაწარმოთა გამოყენების თოთოვეული ხელშემკვრელი სახელმწიფოსაოვის სამართლიანი შესაძლებლობანი;

g) არ დაუშვას დისკრიმინაცია ხელშემკვრელ სახელმწიფოთა მიმართ;

h) ხელი შეუწყოს საერთაშორისო აერონავიგაციაში ფრენის უსაფრთხოებას;

i) ზოგადი დახმარება გაუწიოს საერთაშორისო სამოქალაქო აერონავტიკის განვითარებას ყველა მისი ასპექტით.

მუხლი 45

მუდმივი აღგილსამყოფელი

ორგანიზაციის მუდმივი აღგილსამყოფელია ის აღგილი, რომელსაც განსაზღვრავს სამოქალაქო ავიაციის იმ დროებითი საერთაშორისო ორგანიზაციის დროებითი ასამბლეის საბოლოო სხდომა, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ დროებითი შეთანხმებით, 1944 წლის 7 დეკემბერს რომ მოაწერეს ხელი ჩიჟაგოში. საბჭოს გადაწყვეტილებით აღგილსამყოფელის დროებითი გადატანა შეიძლება ნებისმიერ სხვა აღგილის.

მუხლი 46

ასამბლეის პირველი სესია

ასამბლეის პირველ სესიას იშვევს ზემოაღნიშნული დროებითი ორგანიზაციის დროებითი საბჭო იმ კონვენციის ძალაში შესვლისთანავე ისეთ დროს და ისეთ აღგილის, როგორც ამას დროებითი საბჭო დაადგენს.

უფლებაუნარიანობა

ორგანიზაცია ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სარგებლობს ისეთი უფლებაუნარიანობით, რომელიც აუცილებელია მისი ფუნქციის შესასრულებლად. მას ენიჭება სრული სამართალსუბიექტობა ყველაზე, სიღაც ეს შეეთავსება შესაბამისი სახელმწიფოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის.

თ ა ვ) ი VIII

ასამბლეა

მუხლი 48

ასამბლეის ხესია და კუნძისყრა

a) ასამბლეა იქრიბება ყოველწლიურად და მას იწვევს საბჭო ხელსაყრელ დროს და მოხერხებულ ადგილას. ასამბლეის საგანგიბო სესიები შეიძლება გაიმართოს ნებისმიერ დროს საბჭოს მოთხოვნით ან ნებისმიერი ათი ხელშემქვრელი სახელმწიფოს თხოვნით, რომელიც ეგზავნება კუნძისყრას.

b) ყველა ხელშემქვრელ სახელმწიფოს აქვს ასამბლეის სესიზე წარმომადგენლობის თანაბარი უფლება და თითოეულ ხელშემქვრელ სახელმწიფოს აქვს ერთი ხმის უფლება. დელეგატებს, რომლებიც ხელშემქვრელ სახელმწიფოებს წარმომადგენლობენ, შეიძლება ახლონენ ტექნიკური მრჩევლები, რომლებსაც შეუძლიათ სხდომებში მონაწილეობა, მაგრამ არა აქვთ ხმის უფლება.

c) ასამბლეის სხდომებზე კვორუმის მისაღებად საჭიროა ხელშემქვრელ სახელმწიფოთა უმრავლესობა. თუ ამ კონკრენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ასამბლეის გადაწყვეტილებან მიიღება მიცემული ხმების უმრავლესობით.

ასამბლეის უფლებები და მოვალეობანი

ასამბლეის უფლება-მოვალეობანია:

a) ყოველ სესიაზე იირჩიოს თავისი თავმჯდომარე და სხვა თანამდებობის პირი;

b) IX თავის დებულებათა შესაბამისად იირჩიოს ხელშემწვრელი სახელმწიფოები საბჭოში წარმომადგენლობისათვის;

c) განიხილოს საბჭოს ანგარიშები და მიიღოს შესაბამისი ღონისძიებანი, აგრეთვე მიიღოს გადაწყვეტილებანი საბჭოს მიერ მისავის გადაცემულ საკითხზე;

d) განსაზღვროს პროცედურის თავისი საკუთარი წესები და შექმნას დამხმარე კომისიები, რომლებსაც საჭიროდ ან სასურველად ჩათვლის;

e) კენჭისყრით დამტკიცოს წლიური ბიუჯეტი და განსაზღვროს ორგანიზაციის ფინანსური ღონისძიებანი XII თავის დებულებათა შესაბამისად;

f) შეამოწმოს ორგანიზაციის ხარჯები და დამტკიცოს საფინანსო ანგარიშები;

g) თავის შეხედულებისამებრ საბჭოს, დამხმარე კომისიებს ან რომელიმე სხვა ორგანოს გადასცეს ნებისმიერი საკითხი, რომელიც მასი საქმიანობის სფეროში შედის;

h) მიანიჭოს საბჭოს უფლებები და უფლებამოსილებანი, რომებიც საჭირო ან სასურველია ორგანიზაციის მოვალეობათა შესასრულებლად, და, ნებისმიერ დროს გაუუქმოს ან შეცვალოს ასეთი დელეგირებული უფლებამოსილებანი;

i) შეასრულოს XIII თავის შესაბამისი დებულებები;

j) განიხილოს წინადადებანი ამ კონვენციის დებულებათა ცვლილებების და შესწორებათა თაობაზე და. მათი მიღების შემთხვევაში, შესთავაზოს ხელშემწვრელ სახელმწიფოებს XXI თავის დებულებათა შესასრულებლად;

k) განიხილოს ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში შემავალი ნებისმიერი საკითხი, რომლებიც კონკრეტულად არ შედის საბჭოს მოვალეობაში.

საბჭო

მუხლი 50

საბჭოს შემადგენლობა და არჩევნები

a) საბჭო მუდმივი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია ასამბლეის წინაშე. მასში შედის ასამბლეის მიერ არჩეული ოცდა-
ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო. არჩევნები ეწყობა ასამბლეის პირველ სესიაზე და შემდგომში — ყოველ სამ წელიწადში ერთ-
ხელ; ამრიგად არჩეული საბჭოს წევრები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ მომდევნო არჩევნებამდე.

b) საბჭოს წევრების არჩევისას ასამბლეა უზრუნველყოფს სა-
თანადო წარმომადგენლობას: 1) სახელმწიფოებისათვის, რომლე-
ბიც წამყვან როლს ასრულებენ საპარო ტრანსპორტის სფეროში;
2) სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ შევიღნენ სხვა საფუ-
ძველზე და, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო სა-
მოქალაქო აერონავიგაციისათვის მომსახურების საშუალებათა გა-
დაცემაში; 3) სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ შევიღნენ სხვა საფუძველზე, და რომელთა დანიშნულებაა უზრუნველყონ
საბჭოში მსოფლიოს ყველა ძირითადი გეოგრაფიული რაიონის წარმომადგენლობა. ნებისმიერი ვაკანსია საბჭოში ასამბლეის მიერ
ივსება რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში; საბჭოში არჩეული ყო-
ველი ხელშემკვრელი სახელმწიფო თავის მოვალეობებს ასრულებს
თავისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

საბჭოში ხელშემკვრელი სახელმწიფოს არც ერთი წარმომად-
გენელი არ იქნება აქტიურად დაკავშირებული საერთაშორისო სა-
პარო მიმოსვლის ექსპლუატაციასთან ან ასეთ მიმოსვლაში ფინან-
სურად დაინტერესებული.

მუხლი 51

საბჭოს პრეზიდენტი

საბჭო ინჩევს თავის პრეზიდენტს სამი წლის ვადით. შეიძლება მასი ვადარჩევა. მას არა აქვს ხმის უფლება. საბჭო თავისი წევ-რებიდან ირჩევს ერთ ან რამდენიმე ვიცე-პრეზიდენტს, რომლებიც ინარჩუნებენ ხმის უფლებას პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დროს. სავალდებულო არ არის პრეზიდენტის არჩევა საბჭოს წევრთა წარმომადგენლებიდან, მაგრამ თუ ასეთი წარმომადგენელი არჩეულია პრეზიდენტის პოსტზე, მასი აღვილი ვაკანტურად ითვლება და მას იკავებს სახელმწიფო, რომელსაც იგი წარმომადგენლობდა.

პრეზიდენტის მოვალეობა:

- მოიწვიოს საბჭოს, ივასატრანსპორტო კომიტეტის და აეროსანავიგაციო კომისიის ხელომები;
- მოქმედებს როგორც საბჭოს წარმომადგენელი;
- საბჭოს სახელით შეასრულოს საბჭოს მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციები.

მუხლი 52

კენჭისყრა საბჭოში

საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წევრთა უმრავლესობის თანხმობა. საბჭოს შეუძლია თავისი წევრებისაგან შექმნილ კომიტეტს გადასცეს თავისი უფლებამოსილება ნებისმიერ დალექულ საკითხში. საბჭოს ნებისმიერი კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საბჭოში ნებისმიერი დაინტერესებული ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 53

მონაწილეობა ხმის უფლების გარეშე

ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია ხმის უფლების გარეშე მიიღოს მონაწილეობა საბჭოსა და მისი კომიტეტი-35



ბისა და კომისიების მიერ იმ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტილებაში, რომელიც განსაკუთრებით ეხება მის საკუთარ ინტერესებს. საბჭოს არც ერთი წევრი არ მონაწილეობს კუნძულის საბჭოზე იმ დავის განხილვის დროს, რომლის მონაწილეობა თავად.

მუხლი 54

საბჭოს სავალდებულო ფუნქციები

საბჭო:

- a) ასამბლეაში წარადგენს წლიურ მოხსენებებს;
- b) ასრულებს ასამბლეის მითითებებს და ამ კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებებსა და მოვალეობებს;
- c) განსაზღვრავს თავის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საკუთარი პროცედურის წესებს;
- d) ნიშნავს ავიასატრანსპორტო კომიტეტს, რომელიც იქმნება საბჭოს წევრთა წარმომადგენლებისაგან და მოვალეა მათ წინაშე, და განსაზღვრავს მის მოვალეობებს;
- e) ქმნის აეროსანაციგაციონ კომისიას X თავის დებულებათა შესაბამისად;
- f) განაგებს ორგანიზაციის ფინანსებს XII და XV თავების დებულებათა შესაბამისად;
- g) განსაზღვრავს საბჭოს პრეზიდენტის სარგოს;
- h) ნიშნავს მთავარ ომასრულებელ თანამდებობრივ პირს, რომელიც გენერალურ მდივნად იწოდება, აგრეთვე XI თავის დებულებათა შესაბამისად ღებულობს ზომებს სხვა ისეთი პერსონალის დასანიშნად, რომლის დანიშვნაც შეიძლება საჭირო იღმინდეს;
- i) მოიძებს, ავტოვებს, შეისწავლის და აქვეყნებს ცნობებს, რომლებიც ეხება აერონავიგაციის განვითარებას და საერთაშორისო საპარო მიმოსვლის ექსპლუატაციის საკითხებს, საექსპლუატაციო ზარჯების შესახებ ცნობებისა და სახელმწიფო ფონდებიდან აღიასაწარმოებისათვის მიცემული სუბსიდიების შესახებ მონაცემების ჩათვლით;

j) აცნობებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ამ კონვენციის ნებისმიერი დარღვევის თაობაზე, აგრეთვე საბჭოს გადაწყვეტილებათა ან რეკომენდაციათა ნებისმიერი შეუსრულებლობის შესახებ;

k) მოახსენებს ასამბლეას ამ კონვენციის ნებისმიერი დარღვევის შესახებ, როდესაც ხელშემკვრელმა სახელმწიფომ სათანადო ზომები არ მიღიო დარღვევის შეტყობინებიდან გასული გონივრული ვადის განმავლობაში;

l) ამ კონვენციის VI თავის დებულებათა შესაბამისად ღებულობს საერთაშორისო სტანდარტებს და რეკომენდებულ პრაქტიკას; გაიოლების მიზნით აწოდებს მათ ამ კონვენციის დამატებებს და ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს ატყობინებს მიღებული ზომების შესახებ;

m) განიხილავს აეროსანავიგაციო კომისიის რეკომენდაციებს დამატებების შეცვლის თაობაზე და ღებულობს ზომებს XX თავის დებულებების შესაბამისად;

n) განიხილავს ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მისთვის გადაცემულ ნებისმიერ საკითხს, რომელიც კონვენციას შეეხება.

მუხლი 55

საბჭოს ფაულტატიური ფუნქციები

საბჭოს შეუძლია:

a) როდესაც ეს მიზანშეწონილია და, როგორც გამოცდილებას შეუძლია გვიჩვენოს, სასურველია, რეგიონალურ ან სხვა საფუძველზე შექმნას მისდამი დაქვემდებარებული ავიასატრანსპორტო კომისიები და განსაზღვროს იმ სახელმწიფოთა ან ავიასატარმოთა ჯუფები, რომელთა დაბმარებით ანდა რომელთა მეშვეობითაც საბჭოს შეეძლება ამ კონვენციის მიზნების განხორციელება;

b) აეროსანავიგაციო კომისიებს გადასცეს მოვალეობანი იმის დამატებით, რაც კონვენციაშია გადმოცემული, და ნებისმიერ დროს გაუუქმოს და შეცვალოს ასეთი დელეგირებული უფლებამოსილებანი;



საქართველო

ც) ჩაატაროს საერთაშორისო მიზნების მქონე სამსახურო
ტრანსპორტისა და აერონავიგაციის ყველა ასპექტის გამოყვლევა,
თავისი გამოყვლევის შედეგები აცნობოს ხელშემკვრელ სახელმწიფო
ფონებს და ხელი შეუწყოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის
ინფორმაციის გაცვლას საპარო ტრანსპორტისა და აერონავიგა-
ციის საკითხებზე;

დ) შეისწავლოს ყველა ის საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს
საერთაშორისო საპარო ტრანსპორტის ორგანიზაციასა და ექს-
პლუატაციაზე, მათ შორის საერთაშორისო საკუთრებისა და საერ-
თაშორისო საპარო მიმოსვლის ძირითად მარშრუტებზე ექსპლუა-
ტაციის საკითხების ჩათვლით და ასამბლეას წარუდგინოს წინა-
დადებები ამ საკითხებზე;

ე) ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს თხოვნით გამოი-
კვლიოს ნებისმიერი სიტუაცია, რომელშიც შეიძლება წარმოიქმნას
საერთაშორისო აერონავიგაციის განვითარების თავიდან აცილებადი
დაბრკოლებანი და ამ გამოძიების შემდეგ გამოსცეს ისეთი ანგა-
რიშები, როგორსაც სასურველად ჩათვლის.

თავი X

აეროსანავიგაციონ კომისია

მუხლი 56

კომისიის წევრთა დასახელება და დანიშვნა

აეროსანავიგაციონ კომისიაში შედის თორმეტი წევრი, რომ-
ლებსაც საბჭო ნიშნავს ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ და-
სახელებულ პირთა რიცხვიდან. ამ პირებს შესაბამისი კვალიფიკაცია
და გამოცდილება აქვთ აერონავტიკის სამეცნიერო და პრაქტიკულ
სფეროებში. საბჭო თხოვნით მიმართავს ყოველ ხელშემკვრელ სა-
ხელმწიფოს კანდიდატურების დასახელების თაობაზე. აეროსანავი-
ციიონ კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს საბჭო.

კომისიის ვალდებულებანი

აეროსანავიგაციონ კომისია:

- a) განიხილავს წინადადებას ამ კონვენციის დამატებათა შეცელის თაობაზე და ურჩევს საბჭოს მათ მიღებას;
- b) ქმნის ტექნიკურ ქვეკომისიებს, რომლებშიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი ხელშემქვრელი სახელმწიფო, თუ იგი ამას ისურვებს;
- c) კონსულტაციებს აძლევს საბჭოს ხელშემქვრელი სახელმწიფოებისაგან ყოველგვარი ცნობების შეგროვებისა და გაზაცემის შესახებ, რომელსაც ის ჩათვლის საჭიროდ და სასარგებლოდ აერონავიგაციის განვითარებისათვის.

თ ა ვ ი XI

პერსონალი

მუხლი 58

პერსონალის ჭანიშვნა

ასამბლეის მიერ დადგენილი წესებისა და ამ კონვენციის დებულებათა გათვალისწინებით საბჭო განსაზღვრავს გენერალური მდივნისა და ორგანიზაციის სხვა პერსონალის თანამდებობაზე დანეშვნისა და განთავისუფლების, მომზადების, ხელფასის, დამარებისა და სამსახურის პირობების წესებს და შეუძლია სამუშაოდ დაიქირაოს ნებისმიერი ხელშემქვრელი სახელმწიფოს მოქალაქე ან ისარგებლოს მათი მომსახურებით.

მუხლი 59

პერსონალის საერთაშორისო ხასიათი

საბჭოს პრეზიდენტმა, გენერალურმა მდივანმა და სხვა პერსონალმა არ უნდა გამოითხოვონ ან მიიღონ ინსტრუქციები ორგანი-

ზაციისათვის უცხო რომელიმე ხელისუფლებისაგან თაქმისამისადა-
ლეობის შესრულებასთან დაკავშირებით. თითოეული ხელშემკვრე-
ლი სახელმწიფო მოვალეა პატივი სცეს პერსონალის მოვალეობა-
სა საერთაშორისო ხასიათს და არ შეეცადოს გავლენა მოახდინოს
რომელიმე თავის მოქალაქეზე, როცა ისინი თავიანთ მოვალეობებს
ასრულებენ.

მუხლი 60

პერსონალის იმუნიტეტები და პრივილეგიები

თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო, რამდენადაც ამის
უფლებას მისი კონსტიტუციური წყობა იძლევა, მოვალეობას
კისრულობს საბჭოს პრეზიდენტს, გენერალურ მდივანსა და ორგა-
ნიზაციის სხვა პერსონალს მიანიჭოს ის იმუნიტეტები და პრივი-
ლეგიები, რომლებიც სარგებლობს სხვა საერთაშორისო სახელ-
მწიფოთაშორისი ორგანიზაციების შესაბამისი პერსონალი. თუ
დაიდო ერთიანი საერთაშორისო შეთანხმება საერთაშორისო სამო-
ქალაქო მომსახურეთა იმუნიტეტებისა და პრივილეგიების შესა-
ხებ, მაშინ პრეზიდენტის, გენერალური მდავნისა და ორგანიზაციის
სხვა პერსონალისადმი მინიჭებული იმუნიტეტები და პრივილე-
გიები უნდა შეესაბამებოდეს იმ იმუნიტეტებსა და პრივილეგიებს,
რომლებიც მინიჭებული აქვთ ასეთი ერთიანი საერთაშორისო
შეთანხმებით.

თავი XII

ფინანსები

მუხლი 61

ბიუჯეტი და ხარჯების განაწილება

საბჭო ასამბლეას შარულგენს წლიურ ბიუჯეტს, წლიურ ან-
გარიშებას ანგარიშების მდგრამარეობის შესახებ და ვარაუდებს
ყველა შემოსავლისა და ხარჯის თაობაზე. ასამბლეა კენჭისყრის
საშუალებით ღებულობს ბიუჯეტს ყველა იმ შესწორებით, რომ-

ლებსაც საქიროდ ჩათვლის და, იმ შესატანების ვამოკლებში, რომლებიც XV თავის შესაბამისად სახელმწიფოებისთვისაა განსაზღვრული, ზა მათი თანხმობით ანაწილებს ორგანიზაციის ხარჯებს ხელშემყვრელ სახელმწიფოებს შორის ისეთ საფუძველზე, რომელსაც იგი დროდადრო განსაზღვრავს.

მუხლი 62

ხმის უფლების შეჩერება

ასამბლეას შეუძლია ასამბლეასა და საბჭოში იმ ნებისმიერი ხელშემყვრელი სახელმწიფოს ხმის უფლების შეჩერება. რომელიც გონივრული ვადების ფარგლებში არ ასრულებს თავის საფინანსო გალდებულებებს ორგანიზაციის შინაშე.

მუხლი 63

დელეგაციებისა და სხვა წარმომადგენლების ხარჯები

თითოეული ხელშემყვრელი სახელმწიფო კისრულობს ასამბლეაზე გაგზავნილი საკუთარი დელეგაციის ხარჯებს, აგრეთვე ნებისმიერი იმ პირის შენახვის, სამგზავრო და სხვა ხარჯებს, რომელსაც იგი ნიშნავს საბჭოში სამუშაოდ, ანდა მის მიერ დანიშნული წევრების ან წარმომადგენლების ხარჯებს ორგანიზაციების ნებისმიერ დამხმარე კომიტეტებში ან კომისიებში.

თავი XIII

სხვა საერთაშორისო შეთანხმებები

მუხლი 64

შეთანხმებები უსაფრთხოების შესახებ

იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ავიაციას, შედის ორგანიზაციის კომპეტენციაში და უშუალოდ ახდენენ ზეპივლენას საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, ორგანიზაციას შეუძლია მიმდინარე დამატებით განვითაროს.



ლია ასამბლეის კენტისურით გამოხატული თანხმობით შემცირდება
შეთანხმებით დაუკავშირდეს ნებისმიერ საყოველთაო ორგანიზა-
ციის, რომლებსაც მსოფლიოს ხალხები ქმნიან მშვიდობის შესანარ-
ჩუნებლად.

მუხლი 65

შეთანხმებები სხვა საერთაშორისო დაწესებულებებთან

საბჭომ, ორგანიზაციის სახელით, შეიძლება დადოს შეთანხ-
მება სხვა საერთაშორისო დაწესებულებებთან საერთო სამსახურის
შენახვისა და პერსონალის მიმართ საერთო წესების მიღების თაო-
ბაზე და ასამბლეის დასტურით შეუძლია შევიდეს ისეთ სხვა შე-
თანხმებებში, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზაციის მუშაობას.

მუხლი 66

ფუნქციები, რომლებიც სხვა შეთანხმებებს შეეხება

a) ორგანიზაცია აგრეთვე ასრულებს ფუნქციებს, რომლებიც
მას ეკისრება შეთანხმებით საერთაშორისო საპარო მიმოსვლაში
ტრანსპორტის შესახებ და შეთანხმებით საერთაშორისო საპარო
ტრანსპორტის შესახებ, რომლებიც შემუშავებულია ჩიკაგოში 1944
წლის 7 დეკემბერს, მათში დადგენილი პირობებისა და დებულე-
ბების შესაბამისად.

b) ასამბლეისა და საბჭოს წევრებს, რომლებმაც არ მიიღეს
შეთანხმება საერთაშორისო საპარო მიმოსვლაში ტრანსპორტის
შესახებ, ანდა ჩიკაგოში 1944 წლის 7 დეკემბერს შემუშავებული
შეთანხმება საერთაშორისო საპარო ტრანსპორტის შესახებ, უფ-
ლება არა აქვთ მონაწილეობა მიღლონ კენჭისყრაში არც ერთ სა-
კოთხე, რომელიც გადაეცემა ასამბლეას ანდა საბჭოს შესაბამისი
შეთანხმების დებულებათა საფუძველზე.

ნაწილი III

საერთაშორისო საპატიო ტრანსპორტი

თავი XIV

ინფორმაცია და ანგარიში

მუხლი 67

ანგარიშების წარდგენა საბჭოში

თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო კიბრულობს მოვალეობას. რომ საერთაშორისო საპატიო მიმოსვლაში ჩაბმული მისი აღიარებული საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საბჭოში წარადგენს ანგარიშებს გადაზიდვების შესახებ, ხარჯების სტატისტიკას და საფინანსო მონაცემებს, ყველაფერ სხვასთან ერთად შემოსავლის შესახებ და მიუთითებს მის წყაროებს.

თავი XV

აეროპორტები და სხვა აეროსანავიგაციონ საშუალებები

მუხლი 68

მარშრუტებისა და აეროპორტების დადგენა

ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად, თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს მარშრუტი, რომლითაც მისი ტერიტორიის ფარგლებში ხორციელდება ნებისმიერი საერთაშორისო მიმოსვლა, აგრეთვე ის აეროპორტები, რომლებიც გამოიყენება ნებისმიერი ასეთი მიმოსვლის დროს.

მუხლი 69

აეროსანავიგაციონ საშუალებათა გაუმჯობესება

თუ საბჭოს აზრით, რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს აეროპორტები და სხვა აეროსანავიგაციონ საშუალებანი, რადიო და



შეტეოროლოვიური მომსახურების ჩათვლით, ჯეროვნაჟუაჟერთექცა-
ყოფილებს როვორც არსებული, ასევე განზრახული საერთაშორი-
სო საპატიო მიმოსვლის უსაფრთხოების, რეგულარული, ეფექტური
და მომჭირნე ექსპლუატაციის მოთხოვნებს, მაშინ საბჭო ეთათბი-
რება ამ უშუალოდ დაინტერესებულ სახელმწიფოს და სხვა სა-
ხელმწიფოებს, რომელთა ინტერესებსაც ეს ეხება, შესხედ. რომ
კამიინანოს საშუალებანი, რომელთა მეშვეობითაც ასეთი მდგომა-
რეობა შეიძლება გამოსწორდეს და ამ მიზნით შეუძლია გასცეს
რეკომენდაციები. არც ერთი ხელშემკვრევი სახელმწიფო არ ჩაი-
თვლება ამ კონვენციის დამრღვევად, თუ იგი არ ასრულებს ამ
რეკომენდაციებს.

მუხლი 70

აეროსანავიგაციონ საშუალებათა დაფინანსება

ხელშემკვრელ სახელმწიფოს, 62-ე მუხლის დებულებებით
გათვალისწინებული გარემოებების წარმოქმნის შემთხვევაში, შე-
უძლია შეუთანხმდეს საბჭოს ასეთი რეკომენდაციების განხორციე-
ლების მიზნით. სახელმწიფოს შეუძლია გადაშევეტილება მიიღოს
და ნებსმიერ ასეთ შეთანხმებასთან დაკავშირებული ხარჯები იკის-
როს. თუ სახელმწიფო ასეთ გადაშევეტილებას არ ღებულობს,
საბჭოს ამ სახელმწიფოს თხოვნით შეუძლია ამ ხარჯების მთლიანი
ან ნაწილობრივი დაფარვის ნებართვა გასცეს.

მუხლი 71

საბჭოს მიერ სახსრების გაცემა და შენახვა

თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო ითხოვს, საბჭოს შეუძლია
თანხმობა განაცხადოს, ნაწილობრივ ან მთლიანად დაეხმაროს
აეროპორტებისა და სხვა აეროსანავიგაციონ საშუალებათა პერსო-
ნალით დაკომპლექტებაში, მათი შენახვისა და საქმიანობის აღმი-
ნისტრაციულ ხელმძღვანელობაში, რაღიც და მეტეოროლოგიური
მომსახურების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია მის ტერიტო-
რიაზე სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების საერთაშორისო სა-



პაერო შიმოსვლის უსაფრთხო, რეპულარული, ეფექტური და გამოყენებული ცირნე ექსპლუატაციისათვის, და შეუძლია სამართლიანი და გონიერი ასაკრებლები შემოიღოს წარმოდგენილი საშუალებების გამოყენებისათვის.

მუხლი 72

მიწის ნაკვეთების შეძენა ან გამოყენება

თუ საჭიროა მიწის ნაკვეთები საშუალებებისათვის, რომელსაც მთლიანად ან ნაწილობრივ აფინანსებს საბჭო რომელიმე ხელშემქვერელი სახელმწიფოს თხოვნით, მაშინ ეს სახელმწიფო ან თავადუთმობს მიწის ნაკვეთს და საკუთარი სურვილის მიხედვით ინარჩუნებს მესაკუთრის უფლებას, ანდა ეხმარება საბჭოს სამართლიანი და გონიერი პირობებით და მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად უმოიყენოს მიწის ეს ნაკვეთები.

მუხლი 73

ფონდების განაწილება და ხარჯვა

ფონდების ფარგლებში, რომლებსაც მას ასამბლეა გადასცემს XII თავის თანახმად, საბჭოს მიმდინარე ხარჯები შეუძლია გასცეს ამ მუხლის შესაბამისად ორგანიზაციის საერთო ფონდიდან. საბჭო ამ თავისი ძირითადი ხარჯების დაფარვის საშუალებებს, მიზნებისათვის საჭირო წინაშეარ შეთანხმებული პროპორციით და დროის გონივრულ მონაცემში უნაშინებს ხელშემქვერელ სახელმწიფოებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს, და იმ ავიასაწარმოებს, რომლებიც სარგებლობენ შემოთ აღნიშნული აეროსანავიგაციონ საშუალებებით. საბჭოს შეუძლია ავრეთვე სახელმწიფოებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს, გაუნაშილოს ნებისმიერი საბრუნავი ფონდების დაფარვის ხარჯები.

ტექნიკური დანართება და შემოსავლის გამოყენება

როდესაც საბჭო ხელშემქვრელი სახელმწიფოს თხოვნით წინამდებრების გასცემს ფონდებს ან მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცემს აეროპორტებს ანდა სხვა საშუალებებს, შეთანხმებაში მავე სახელმწიფოს თანხმობით შეიძლება გაითვალისწინონ ტექნიკური დანართება საქმიანობის წარმართვაში და ამ აეროპორტებისა და სხვა საშუალებების ექსპლუატაციაში და ამ აეროპორტებისა და სხვა საშუალებების ექსპლუატაციისათვის მიმღინარე ხარჯების ანაზღაურების საქმეში, ავტოთვე პროცენტული და სამორტიზაციო ანარიცხები აეროპორტებისა და სხვა საშუალებებისაგან მოღებული შემოსავლების ხარჯზე.

სახსრების გადაცემა საბჭოს გამგებლობაში

ხელშემქვრელ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას 70-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ ვალდებულებებზე და საქუთარ გამგებლობაში მიიღოს ის აეროპორტები და სხვა საშუალებები, რომლებიც საბჭოს დაომობილი აქვს მის ტერიტორიაზე 71-ე და 72-ე მუხლების დებულებათა შესაბამისად, და საბჭოს გადაუხადოს თანხა, რომელიც, საბჭოს აზრით, კონივრულად მიიჩნევა მოცემულ გარემოებაში. თუ სახელმწიფო მიიჩნევს, რომ საბჭოს მიერ დაწესებული თანხა სცილდება კონივრულობის საზღვრებს, მას შეუძლია საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩინოს ასამბლეის წინაშე, ხოლო ასამბლეას შეუძლია დაამტკიცოს ან შეცვალოს საბჭოს გადაწყვეტილება.

ფონდების დაბრუნება

ფონდები, რომლებსაც 75-ე მუხლის შესაბამისად ანაზღაურების სახით, აგრეთვე 74-ე მუხლის შესაბამისად პროცენტების და საამორტიზაციის ანარიცხების ხარჯზე იღებს საბჭო, თუ 73-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფოებს შეტანილი აქვთ თავდაპირველი შესატანი, იმ სახელმწიფოებს. რომლებსაც თავდაპირველად განესაზღვრათ შესატანები. უბრუნდებათ საბჭოს მიერ დაწესებული შენატანების ოდენობის პროპორციულად.

თ ა ვ: 0 XVI

ერთობლივი ექსპლუატაციის ორგანიზაცია და პულური
მიმოსვლა

მუხლი 77

ერთობლივი ექსპლუატაციის ორგანიზაციის ნებართვა

ამ კონვენციის მიხედვით ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს წინ არაფერი ელობება დააწესოს ერთობლივი ექსპლუატაციის ავიასატრანსპორტო ორგანიზაციები ანდა საერთაშორისო სექსპლუატაციონ სააგენტოები და ვაერთიანოს პულებში მათი საპარტო მიმოსვლა ხებისმიერ მარშრუტებზე და ნებისმიერ რაიონებში, მაგრამ ასეთ ორგანიზაციებსა და სააგენტოებზე, აგრეთვე პულურ მიმოსვლაზე ერცულზება ამ კონვენციის ყველა დებულება, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც განეკუთვნებიან საბჭოში შეთანხმების ჩეგისტრაციას. საბჭო განსაზღვრავს მოცემული კონვენციის უძულებათა გამოყენების იმ წესებს, რომლებიც შეეხება საპარტო ხომალდების ერთვნულობას, საერთაშორისო საექსპლუატაციონ სააგენტოების მიერ გამოყენებულ საპარტო ხომილდებს.

საბჭოს როლი

საბჭომ დაინტერესებულ ხელშემქვრელ სახელმწიფოებს შეიძლება შესთავაზოს ერთობლივი ორგანიზაციების შექმნა ნებისმიერ მარშრუტებზე ან ნებისმიერ რაიონებში საპარო მიმოსვლის ექსპლუატაციისათვის.

საექსპლუატაციო ორგანიზაციებში მონაწილეობა

სახელმწიფო შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ერთობლივი ექსპლუატაციის ორგანიზაციებში ან პულურ შეთანხმებებში ან თავისი მთავრობის მეშვეობით, ანდა თავისი სახელმწიფოს მეტ დასახულებული ერთი ანდა რამდენიმე ავიასატრანსპორტო კომპუნის მეშვეობით. ეს კომპანიები, დაინტერესებული სახელმწიფოს შეხელულების მიხედვით, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იმყოფებოდნენ სახელმწიფოს საკუთრებაში, ანდა კერძო საკუთრებაში.

ნაწილი IV

დასკვნითი დებულებანი

თავი XVII

სხვა შეთანხმებები აერონავტიკის საკითხებზე

პარიზისა და პავანის კონვენციები

ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს ამ კონვენციის ძალაში შესვლისთანავე დაუყოვნებლივ გაიეთოს განცხადება 1919 წლის 13 ოქტომბერს პარიზში ხელმოწერილი საპარო ნავიგაციის რეგულირების თაობაზე კონვენციის

დანონისირების შესახებ, ანდა 1928 წლის 20 თებერვალს ჰავაზნაშვილისა
ხელმოწერილი კონვენციის შესახებ კომიტეტიული ივიაციის თაო-
ბაზე, თუ იგი რომელიმე მათგანის მონაწილეა. ხელშემკვრელი
სახელმწიფოების მიმართ ეს კონვენცია ცვლის ზემოხსენებულ პა-
რაზისა და ჰავანის კონვენციებს.

მუხლი 81

არსებული შეთანხმებების რეგისტრაცია

მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის თარიღისათვის არ-
სებული და ხელშემკვრელ სახელმწიფოსა და ნებისმიერ სხვა სა-
ხელმწიფოს შორის, ანდა ხელშემკვრელ სახელმწიფოსა და ნების-
მიერ სხვა სახელმწიფოს ავიასაწარმოს შორის აერონავტიკის სა-
კითხებზე დადებული ყველა შეთანხმება ექვემდებარება დაუყოვ-
ნებლივ რეგისტრაციას საბჭოში.

მუხლი 82

შეუთავსებელი შეთანხმების გაუქმება

ხელშემკვრელი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ეს კონვენ-
ცია აბათილებს მათ შორის დადებულ ყველა ვალდებულებასა და
შეთანხმებას, რომელიც შეუთავსებელია მის დებულებებთან, და
ვალდებულებას კისრულობენ არ იყიდებონ ნებისმიერი ასეთი ვალ-
დებულება და არ შეუერთდნენ ასეთ შეთანხმებას. ხელშემკვ-
რელი სახელმწიფო, რომელმაც ორგანიზაციაში შესვლამდე იყიდრა
ამ კონვენციის დებულებებთან შეუთავსებელი რაიმე ვალდებუ-
ლება არახელშემკვრელი სახელმწიფოს ან ხელშემკვრელი სახელ-
მწიფოს მოქალაქის მიმართ, დაუყოვნებლივ ზომებს მიმართავს
იშისათვის, რომ განთავისუფლდეს ამ ვალდებულებისაგან. თუ
რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ავიასაწარმომ იყიდრა
ასეთი შეუთავსებელი შეთანხმებანი, მისი ეროვნული სახელმწიფო
ყოველ ლონეს ხმარობს მათი დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის
და ყოველგვარ შემთხვევაში აღწევს მათ შეწყვეტას, როგორც კი
ასეთი ქმედება შეიძლება განხორციელდეს კანონიერ საფუძველზე
მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ.

ახალი შეთანხმებების რეგისტრაცია

წინა მუხლის დებულებათა შესრულების პირობით ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია დადოს შეთანხმება, რომლიც შეუთავსებელი არ იქნება მოცემულ კონვენციისთვის. ნებისმიერი ასეთი შეთანხმება დაუყოვნებლივ რეგისტრაციას ექვემდებარება საბჭოში, რომელიც ამას ძევეყნებს რაც შეიძლება მოქლე ვაღაში.

თავი XVIII

დავა და ვალდებულებათა შეუსრულებლობა

მუხლი 84

დავის გადაწყვეტა

თუ რაიმე უთანხმოება ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის ამ კონვენციისა და მისი დანართების გაეგბის ან გამოყენების გამო ვერ მოგვარდა მოლაპარაკების გზით, მას ამ უთანხმოების მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოს თხოვნით წყვეტს საბჭო. საბჭოს მიერ ამ დავის განხილვისას, საბჭოს არც ერთი წევრი, რომელიც წარმოადგენს მხარეს რაიმე დავიში, არ მონაწილეობს კენჭისყრაში.

უკველ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია 85-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად ad hoc ვასაჩივროს საბჭოს. გადაწყვეტილება სამედიატორო სასამართლოში, რომელიც იქნება სხვა მოდავე მხარეებთან შეთანხმებით ან საერთაშორისო შართლმსაჭულების მუდმივ პალატაში. ნებისმიერი ასეთი გასაჩივრება უნდა ეცნობოს საბჭოს სამოცი დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება შეტყობინება საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ.

სამედიატორო სასამართლოს პროცედურა

თუ რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფო—მოდავე მხარე ის დავაში, რომლის გამოც საჩივრდება საბჭოს გადაწყვეტილება, არ ცნობს საერთაშორისო მართლმსაფლების მუდმივი პალატის სტატუსს და თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოები—მოდავე მხარეები ვერ თანხმდებიან სამედიატორო სასამართლოს არჩევის საკითხში, მაშინ ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო — მოდავე მხარე ასახელებს თითო არბიტრს, ხოლო არბიტრები ირჩევენ სუპერარბიტრს.

თუ რომელიმე ხელშემკვრელი სახელმწიფო—მოდავე მხარე არ დასახელებს არბიტრს სამი თვის განმავლობაში გადაწყვეტილების გასაჩივრების დღიდან, არბიტრს ამ სახელმწიფოს სახელით ნიშნავს საბჭოს პრეზიდენტი კვალიფიციურ პირთა იმ სიიდან, რომელსაც საბჭო იღვენს და რომელიც მის განკარგულებაშია. თუ არბიტრები ოცდათი დღის განმავლობაში ვერ შეთანხმდებიან სუპერარბიტრის თაობაზე, საბჭოს პრეზიდენტი მას ნიშნავს ზემოაღნიშნული სიიდან. ამის შემდეგ არბიტრები და სუპერარბიტრი ცრთად ქმნიან სამედიატორო სასამართლოს. ნებისმიერი სამედიატორო სასამართლო, რომელიც შეიქმნა ამ მუხლის ან წინა მუხლის თანახმად. აწესებს თავის საკუთარ პროცედურას და გადაწყვეტილებები გამოიქვება ხმათა უმრავლესობით იმ პირობით, რომ საბჭოს შეუძლია გადაწყვეტოს პროცედურული საკითხები რამე დაყოვნების შემთხვევაში, რომელიც საბჭოს აზრით მეტისმეტია.

გასაჩივრება

თუ საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს, საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება იმის შესახებ, ექსპლუატაციას უწევს თუ არა ავიასაწარმო საერთაშორისო სავიაციო ხაზებს ამ კონვენციის დებულებათა შესაბამისად, ძალაში რჩება იმ პირობით, რომ იგი აღ-

ნიშნულია გასაჩივრების წესში. საბჭოს გადაწყვეტილებულის მიზანთან მიერ სხვა საკითხზე მათი გასაჩივრების შემთხვევაში შექმნა და გასაჩივრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატისა და საცედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებები საბოლოო და სავალდებულოა.

მუხლი 87

სანქცია ავიასაწარმოს მიმართ, რომელიც არ ასრულებს
გადაწყვეტილებას

ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ნება არ დართოს რომელიმე ხელშემქვრელი სახელმწიფოს ავიასაწარმოს იმოქმედოს საპატიო სივრცეში თავის ტერიტორიაზე, თუ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს საწარმო არ ასრულებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია წინა მუხლის თანახმად.

მუხლი 88

სანქცია სახელმწიფოს მიმართ, რომელიც არ ასრულებს
ვალდებულებას

ასამბლეა აჩერებს ნებისმიერი ხელშემქვრელი სახელმწიფოს ხმის უფლებას ასამბლეასა და საბჭოში, თუ დადასტურდება, რომ იგი არ ასრულებს ამ თავში გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს.

თავი XIX

ომი

მუხლი 89

ომი და საგანგებო მდგომარეობა

ომის შემთხვევაში ამ კონვენციის დებულებები არ ეხება არც ერთი ხელშემქვრელი სახელმწიფოს მოქმედების თავისუფლებას, რომელსაც შეეხო ომი, როგორც ომში ჩაბმულის, ასევე

ნეიტრალური სახელმწიფოს. იგივე პრინციპი გამოიყენება მაში-
ნაც, როდესაც ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო აცხადებს
თავისთან საგანგებო შესებს და ამას ატყობინებს საბჭოს.

თ ა ვ ი XX

დანართები

მუხლი 90

დანართებისა და მისი შესწორებების მიღება

a) 54-ე მუხლის „I“ ქვეპუნქტში ნახსენები დანართების მისა-
ლებად საჭიროა ამ მიზნისათვის მოწვევული საბჭოს ხმების ორი
მესამედი, რის შემდეგაც საბჭო ამ დანართებს უგზავნის ყოველ
ხელშემკვრელ სახელმწიფოს. ნებისმიერი ასეთი დანართი ან ნე-
ბისმიერი შესწორება ძალაში შედის სამი თვის განმავლობაში მათი
გაგზავნის შემდეგ ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის, ანდა უფრო
ხანგრძლივი დროის შემდეგ, რომლის დადგენაც შეუძლია საბჭოს იმ
პირობით, რომ ამ ხნის განმავლობაში ხელშემკვრელ სახელმწიფოთა
უმრავლესობა არ შეატყობინებს საბჭოს, რომ არ არის თანახმა.

b) საბჭო დაუყოვნებლივ აცნობს ყველა ხელშემკვრელ სა-
ხელმწიფოს ნებისმიერი დანართის ან მისი შესწორების ძალაში
შესვლას.

თ ა ვ ი XXI

რატიფიკიაცია, შეერთება, შესწორებები და დენონსაცია

მუხლი 91

კონვენციის რატიფიკია

a) ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას მისი ხელმომ-
წირი სახელმწიფოების მიერ. სარატიფიკაციო სიგელები შესანა-
ხად ბარდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის არქი-



ვაბს მთავრობა აცნობებს შესანახად ასეთი ჩაბარებული ამ კონვენციის ყოველ ხელმომწერსა და მასთან შეერთებულ სა- ხელმწიფოს.

b) როგორც კი ამ კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს ან მას შეუერთდება ოცდაექვსი სახელმწიფო, იგი ძალაში შედის მათ- თვის ოცდამეათე დღეს ოცდამეაქვსე დოკუმენტის შესანახად ჩა- ბარების შემდეგ. შემდგომში იგი ძალაში შედის მისი სარატიფი- კაციო სიგელის შესანახად.

c) მოვალეობა, რომ შეატყობინოს ამ კონვენციის ყოველ ხელ- მომწერ ან მასთან შეერთებულ სახელმწიფოს ამ კონვენციის ძა- ლაში შესვლის თარიღი, ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატე- ბის მთავრობას.

მუხლი 92

კონვენციასთან შეერთება

a) ეს კონვენცია ღიაა მისაერთებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთათვის და მასთან შეერთებული სახელმწიფო- ებისათვის, რომლებიც ნებტრალურნი რჩებოდნენ ახლანდელი მსოფლიო კონფლიქტის განმავლობაში.

b) შეერთება ხორციელდება შეტყობინების გზით, რომელსაც უგზავნიან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და ძალა- ში შედის ოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც შეტყობინებას მიი- ღებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც ამას ამცნობს ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს.

მუხლი 93

სხვა სახელმწიფოთა დაშვება

91-ე და 92 a) მუხლებში მოხსენიებულ სახელმწიფოთა გარდა, ამ კონვენციასთან შესაერთებლად შეიძლება დაიშვან სხვა სახელ- მწიფოები ასამბლეის ხმათა ოთხი მეხუთედით, თუ ამას იშონებს



მსოფლიოს ხალხთა მიერ მშვიდობის შენარჩუნების მიზნით შემოგვივრა
სებული რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია და ისეთი პი-
რობებით, რომლებიც შეიძლება დაადგინოს ასამბლეამ: ამასთან
ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა ყოველი სახელმწიფოს
თანხმობა. რომელსაც ამ ომის დროს შეეჭრნენ, თავს დაესხნენ და-
შვების მოსურნე სახელმწიფოები.

მუხლი 94

შესწორებები კონვენციაში

a) ამ კონვენციის ნებისმიერი შემოთავაზებული შესწორება
უნდა მოიწონოს ასამბლეის ხმათა ორმა მესამედმა და შემდეგ
შედეს ძალაში იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებმაც მოახდინეს
ან შესწორების რატიფიცირება მას შემდეგ, რაც რატიფიცირე-
ბას მოახდენს ასამბლეის მიერ დადგენილ ხელშემკვრელ სახელ-
მწიფოა რიცხვი. ასეთი წესით დადგენილი რიცხვი შეაღენს ხელ-
შემკვრელ სახელმწიფოთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორ
მესამედს.

b) თუ ასამბლეის აზრით შესწორების ხასიათი ამართლებს ამ
ზომას, მაშინ ასამბლეას თავის რეზოლუციაში, რომელიც რეკო-
მინდაციას უწევს მიღებულ შესწორებას, შეუძლია გაითვალისწი-
ნოს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ მოახდენს შეს-
წორების რატიფიცირებას მისი ძალაში შესვლის შემდეგ დადგენი-
ლი პერიოდის განმავლობაში, ამის შედეგად აღარ იქნება სამოქა-
ლაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი და ამ კონ-
ვენციის მონაწილე.

მუხლი 95

კონვენციის დენონსაცია

a) ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია აცნობოს
ამ კონვენციის დენონსაცია მისი ძალაში შესვლის დღიდან სამი
წლის შემდეგ, შეტყობინების სახით ამერიკის შეერთებული შტა-

ტების მთავრობისაღმი, რომელიც ამას დაუყოვნებლივ გადასტუმპა
ყოველ ხელშემქვერელ სახელმწიფოს.

b) დენონსაცია ძალაში შედის შეტყობინების მიღების დღიდან
ერთი წლის შემდეგ და მოქმედებს მხოლოდ იმ სახელმწიფოთა
მიმართ, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის დენონსირება.

თ ა ვ ი „XXII

განსაზღვრებანი

მუხლი 96

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

a) „საპარო მიმოსვლა“ ნიშნავს ნებისმიერ რეგულარულ სა-
პარო მიმოსვლას, რომელსაც ახორციელებენ საპარო ხომალდები
მოქალაქეთა გადაყვანის, ფოსტის ან ტვირთის საზოგადოებრივი გა-
დაზიდვის მიზნით.

b) „საერთაშორისო საპარო მიმოსვლა“ ნიშნავს საპარო მი-
მოსვლას, რომელიც ხორციელდება საპარო სივრცეში ერთ სა-
ხელმწიფოზე მეტ ტერიტორიაზე.

c) „ავიასაწარმო“ ნიშნავს ნებისმიერ ავიასატრანსპორტო ორ-
განიზაციას, რომელიც სთავაზობს ან ექსპლუატაციას უწევს სა-
ერთაშორისო საპარო მიმოსვლას.

d) „არაკომერციული მიზნით შეჩერება“ ნიშნავს ნებისმიერი
განიზით დაჭდომას განსხვავებით მგზავრების, ტვირთის ან ფოსტის
მიღების ან გადმოტვირთვის მიზნისაგან.

კონვენციის ხელმოწერა

რის დასადასტურებლადაც ქვემოთ ხელისმომწერმა სრულ-
უფლებიანმა წარმომადგენლებმა, სათანადო რწმუნებულებმა,
ხელი მოაწერეს ამ კონვენციას შესაბამისად თავიანთი მთავრობე-
ბის სახელით იმ თარიღებში, რომლებიც აღნიშნულია მათი ხელმო-
წერების გასწვრივ.



შესრულებულია ქალაქ ჩიკაგოში 1944 წლის 7 დეკემბერის შესრულებული ინგლისურ, ესპანურ და ფრანგულ ენაზე. ტექსტი, შედგენილი ინგლისურ, ესპანურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან თითოეული თანაბრად ავთენტურია, ისევნება ხელისაჭირო ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქი. ორივე ტექსტი შესანახად ბარდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აღჭივებს, ხოლო დამოწმებულ ასლებს ეს მთავრობა უგზავნის ყველა სახელმწიფოს მთავრობას, რომლებსაც შეუძლიათ ხელი მოაწერონ ამ კონვენციას ან შეუერთდნენ მას.

ჩიკაგოს კონვენციის შესწორებათა ტექსტები

45-ე მუხლის შესწორება

(მონრეალში 1954 წლის 14 ივნისს ხელმოწერილი ოქმი).

კონვენციის 45-ე მუხლის პოლოს წერტილი იცვლება მძიმეთი და ემატება შემდეგი:

„ხოლო სხვაგვარად, ვიდრე დროებით — ასამბლეის გადაწყვეტილებით, თანაც ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ასამბლეის მიერ დადგენილ ხმათა რაოდენობით. ამრიგად დადგენილმა ხმათა რაოდენობამ უნდა შეადგინოს ხელშემკვრელი სახელმწიფოების საერთო რიცხვის სულ ცოტა სამი მეტუთედი“.

48-ე a), 49-ე c) და 61-ე მუხლების შესწორება

(მონრეალში 1954 წლის 14 ივნისს ხელმოწერილი ოქმი).

48-ე a) მუხლში სრტყვა „ყოველწლიურად“ იცვლება გამოთქმით „სულ ცოტა სამ წელიწადში ერთხელ“.

49-ე c) მუხლში გამოთქმა „წლიური ბიუჯეტი“ იცვლება გამოთქმით „წლიური ბიუჯეტები“.

61-ე მუხლში გამოთქმა „წლიური ბიუჯეტი“ და „კენჭისყრით იღებს წლიურ ბიუჯეტს“ იცვლება გამოთქმებით: „წლიური ბიუჯეტები“ და „კენჭისყრით იღებს წლიურ ბიუჯეტებს“.

48-ე a) მუხლის შესწორება

(რომში 1962 წლის 15 სექტემბერს ხელმოწერილი ოქმი).

კონვენციის 48-ე a) მუხლში მეორე წინადადება უქმდება და იცვლება შემდეგით:

„ასამბლეის საგანგებო სესიები შეიძლება გაიმართოს ნებისმიერ დროს საბჭოს მოთხოვნით ან ხელშემკვრელ სახელმწიფოთა

სულ ცოტა შეხუთედის თხოვნით, რომელიც ეგზავნება უფრა-
ლურ მჯიგანს“.

50-ე ა) მუხლის შესწორება

(მონრეალში 1961 წლის 21 ივნისს ხელმოწერილი ოქმი).

კონვენციის 50-ე ა) მუხლში გამოთქმა „ოცდაერთის“ უქმ-
დება და „იცვლება გამოთქმით /„ოცდაშეიდის“.

50-ე მუხლის შესწორება

(ნიუ-იორქში 1971 წლის 12 მარტს ხელმოწერილი ოქმი).

კონვენციის 50-ე მუხლის ა) პუნქტში მეორე წინადადება უქმ-
დება და იცვლება შემდეგით:

„იგი შედგება ასამბლეის მიერ არჩეული ოცდაათი ხელშემქ-
რელი სახელმწიფოსაგან“.

50-ე მუხლის შესწორება

(მონრეალში 1974 წლის 16 ოქტომბერს ხელმოწერილი ოქმი).

კონვენციის 50-ე მუხლში შეიცვალოს მეორე . წინადადება,
სრტყეა „ოცდაათი“ შეიცვალოს „ოცდაცამეტით“.

56-ე მუხლის შესწორება

(ვენაში 1971 წლის 7 ივნისს ხელმოწერილი ოქმი).

კონვენციის 56-ე მუხლში გამოთქმა „თორმეტი წევრის“
შეიცვალოს გამოთქმით „თხუთმეტი წევრის“.

93-ე მუხლის შესწორება-დამატება (bis)

(მონრეალში 1947 წლის 27 მაისს ხელმოწერილი ოქმი). მუხ-
ლი 93. (bis).

ა) მიუხედავად ზემოაღნიშნული 91-ე, 92-ე და 93-ე მუხლების
ზემოთ გადმოცემული დებულებებისა:

1) სახელმწიფოს, რომლის მთავრობასაც გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეკომენდაციით უნდა
ჩამოერთვას იმ საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრობის უფლე-
ბები, რომლებიც შექმნილია გაერთიანებული ერების ოგანიზაციის
მიერ ან ურთიერთობა აქვთ მასთან, ავტომატურად უწყდება სამო-
ქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა;

2) გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან გარიცხულ სა-
ხელმწიფოს ავტომატურად უწყდება სამოქალაქო ავიაციის საერ-
თაშორისო ორგანიზაციის წევრობა, თუ გაერთიანებული ერების



ორგანიზაცია გარიცხვის აქტს არ დაუმატებს საწინააღმდეგო კომენდაციას.

б) სახელმწიფო, რომელიც აღარ არის სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ზემოთ აღნიშნული

ა) პუნქტის დებულების თანხმად, შეიძლება გაერთიანებული ქრების ასამბლეის თანხმობის შემდეგ კვლავ მიღებულ იქნეს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში თავისი თხოვნით და საბჭოს უმრავლესობის თანხმობით.

ე) თუ შეჩერებულია ამ ორგანიზაციის წევრთა უფლებებისა და პრივატული განხორციელება, რომლებიც მათ ეკუთვნით, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს, მაშინ გაერთიანებული ერების ოგანიზაციის მოთხოვნით მათ უწყდებათ იმ უფლებებისა და პრივატული განხორციელება, რომლებიც გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის წევრობიდან.

საჭართველოს პარლამენტის დადგინდება

216 საპარლო ხომალდები ჩადენილ დანაშაულობათა და ზოგიერთ სავა მოქმედებათა შესახებ სამრთაშორისო კონვენციასთან უთხოვდების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს საერთაშორისო კონვენციას საპარლო ხომალდის ბორტზე დანაშაულისა და სხვა მოქმედებათა შესახებ.

დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ აცნობოს ეს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებები შიდასახელმწიფო ბრინჯაოს კანონმდებლობაში კონვენციის ნორმათა ტრანსფორმირებისათვის.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რეზულიშვილი.

217

კონვენცია საბაზრო ხომალდები ჩადენილ აფულაშვილ
ლოგათა და %ოგიერთ სხვა მოქმედებათა შესახებ

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ
შემდეგზე:

თ ა ვ ი I

კონვენციის გამოყენების სფერო

მუხლი 1

1. ეს კონვენცია გამოიყენება:

- a) სისხლის სამართლის დანაშაულობათა მიმართ;
- b) იმ მოქმედებათა მიმართ, მიუხედავად იმისა, დანაშაულია ეს მოქმედებანი თუ არა, რომლებიც შეიძლება დაემუქროს ან ემუქრება საპარტო ხომალდის უსაფრთხოებას ან ხომალდში მყოფი პირების ან ქონების უსაფრთხოებას, ან იმ მოქმედებათა მიმართ, რომლებიც ემუქრება ხომალდში სათანადო წესრიგისა და დისციპლინის შენარჩუნებას.

2. III თავში გათვალისწინებულის გარდა ეს კონვენცია გამოიყენება იმ დანაშაულობათა ან მოქმედებათა მიმართ, რომლებიც ჩაიდინა პირმა რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში რეგისტრირებულ ნებისმიერ საპარტო ხომალდში ამ საპარტო ხომალდის ფრენის დროს ღია ზღვის. თავზე ან ნებისმიერ სხვა რაიონში ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

3. ამ კონვენციის მიზნებისათვის საპარტო ხომალდი ითვლება ფრენის პროცესში ძრავის ჩართვის მომენტზეან გაფრენის მიზნით გარდენის დამთავრებამდე თვითმფრინავის დაჯდომისას.

4. ეს კონვენცია ვრცელდება საპარტო ხომალდებზე. რომლებ-საც იყენებენ სამხედრო, საბაჟო და საპოლიციო სამსახურები.

მუხლი 2

მე-4 მუხლის დებულებათა შეულახავად და იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ამას მოითხოვს საპარტო ხომალდის, მასში მყოფი

პირებისა და ქონების უსაფრთხოება, ამ კონვენციის არაფიზატი
ჯებულება არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც უფლების მი-
ცემა ან ნებისმიერი ღონისძიების გამოყენების ნებართვა პოლი-
ტიკური ხასიათის სისტემის სამართლის დანაშაულობათა მიმართ
ასეთივე ან რელიგიური ღისკრიმინაციის საფუძველზე.

თ ა ვ ი II

იურისდიქცია

მუხლი 3

1. საპატიო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფო უფლე-
ბამოსილია განახორციელოს იურისდიქცია იმ დანაშაულობათა და
მოქმედებათა მიმართ, რომლებიც მოხდა ხომალდში.

2. ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო იღებს აგრეთვე ზო-
მებს, რომლებიც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს რეგისტრა-
ციის სახელმწიფოსათვის თავისი იურისდიქციის დასამყარებლად
იმ დანაშაულობათა მიმართ, რომლებიც ამ სახელმწიფოში რეგის-
ტრირებულ საპატიო ხომალდში მოხდა.

3. ეს კონვენცია არ გამორიცხავს ნებისმიერი სისხლისსამარ-
თლებრივი იურისდიქციის განხორციელებას ეროვნული კანო-
ნიდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4

ხელშემკვრელი, სახელმწიფო, რომელიც რეგისტრაციის სა-
ხელმწიფო არ არის, ან უნდა უქმნიდეს დაბრკოლებებს საპატიო
ხომალდს ფრენისას, თავისი სისხლის სამართლის იურისდიქციის
განსახორციელებლად ხომალდში მომხდარი დანაშაულის მიმართ
შემდეგი შემთხვევების გარდა:

a) დანაშაული იწვევს შედეგებს ასეთი სახელმწიფოს ტერიტო-
რიაზე;

b) დანაშაული ჩადენილია ასეთი სახელმწიფოს მოქალაქის
შეირ ან მოქალაქის მიმართ, ან იმ პირის მიერ, რომელიც მუდმი-
ვად ცხოვრობს ასეთ სახელმწიფოში, ან ასეთი პირის მიმართ;

საქართველოს მთავრობის ბიუჯეტური დანაშაული ჩადენილია ასეთი სახელმწიფოს პუნქტობრუ-
ბის წინააღმდეგ:

დ) დანაშაული გამოიხატება ამ სახელმწიფოში მოქმედი ნე-
ბისმიერის წესების ან რეგლამენტების დარღვევით, რომლებიც ეხ-
ბა საპარო ხომალდების ფრენას ან მანევრორებას;

ე) ცურისდიქციის განხორციელება ცუცულებელია ასეთი სა-
ხელმწიფოს ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუ-
კელსაყოფად მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების შე-
საბამისად.

თავი III

საპარო ხომალდის მეთაურის უფლებამოსილებები

მუხლი 5

1. ამ თავის დებულებები არ გამოიყენება იმ დანაშაულობა-
თა და მოქმედებათა მიმართ, რომლებიც მოხდა ან მომზადდა სა-
პარო ხომალდში რეგისტრაციის სახელმწიფოს საპარო სივრცეში
ფრენისას ან ღია ზღვის თავზე, ან ნებისმიერ სხვა რაიონში ნე-
ბისმიერი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, თუ გაფრენის საბო-
ლოო პუნქტი ან შემდეგი დასაჯდომი პუნქტი მდებარეობს სხვა
სახელმწიფოში და არა რეგისტრაციის სახელმწიფოში, ან თუ სა-
პარო ხომალდი განაგრძობს ფრენას არა რეგისტრაციის, არამედ
სხვა სახელმწიფოს საპარო სივრცეში და ასეთი პირი ჭრ კიდევ
ხომალდშია.

2. მუხლის მე-3 პუნქტის დებულებებისა, ამ
თავის მინებისათვის საპარო ხომალდი ითვლება ფრენაში მყო-
ფად ნებისმიერ ღრის იმ მომენტიდან, როდესაც ჩასხდომის შემდეგ
იყერება მისი ყველა გარეთა კარი ღაფლომის მერე მათი გაღების
მომენტიმდე, იძულებითი ღაფლომის შემთხვევაში. ამ თავის დებუ-
ლებები გამოიყენება იმ დანაშაულობათა და მოქმედებათა მიმართ,
რომლებიც ხომალდში მოხდა იმ ღრომდე, სანამ სახელმწიფოს
კომპეტენტური ორგანოები იქისრებენ პასუხისმგებლობას საპარო
ხომალდისათვის, აგრეთვე მასში მყოფი პირებისა და ქონებისათვის.

მუხლი 6

1. საპატიო ხომალდის მეთაურს, თუ მას აქვს გონივრული და-
 საბუთება იმ გარაუზისა, რომ პირმა ჩაიღინა ან პირებს ჩაიღინოს
 საპატიო ხომალდში დანაშაული ან მოქმედება, რომელიც 1 მუხ-
 ლის 1 პუნქტით არის გათვალისწინებული, შეუძლია ასეთი პირის
 მიმართ გამოიყენოს გონივრული ზომები, იძულებითი ზომების
 ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია:

a) საპატიო ხომალდის უსაფრთხოების შენარჩუნების უზრუნ-
 ველსაყოფად; ან

b) ბორტშე სათანადო წესრიგისა და დისკიპლინის შესანარჩუ-
 ნებლად; ან

c) იმისათვის, რომ საშუალება მიეცეს, ეს პირი გადასცეს
 კომპეტენტურ ორგანოებს ან გადმოსვას ამ თავის შესაბამისი დე-
 ბულებების თანახმად.

2. საპატიო ხომალდის მეთაურს შეუძლია დახმარება მოსთხო-
 ვოს ან ნება დართოს ეკიპაჟის სხვა წევრებს და შეუძლია სთხოვოს
 ან ნება დატოს, მაგრამ არ მოსთხოვოს მგზავრებს დახმარება
 იმ პირების იძულებისთვის. რომელთა მიმართაც მას მარს უფლება
 აქვს. ეკიპაჟის ნებისმიერ წევრს ან მგზავრს შეუძლია მიმართოს
 რევენტულ ზომებს უნებართვოდაც, თუ შეუძლია გონივრულად.
 დასაბუთოს იმის გარაუზი, რომ ასეთი მოქმედება საჭიროა დაუ-
 ყოვნებლივ განხორციელდეს საპატიო ხომალდის, მასში - მყოფ
 პირთა და ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 7

1. იძულების ზომები, გამოიყენებული პირის მიმართ მე-6 მუხ-
 ლის შესაბამისიად, არ გამოიყენება ნებისმიერი პუნქტის ფარგლებს
 გარეთ, რომელშიც საპატიო ხომალდი ჯდება, იმ შემთხვევების
 გარდა, როდესაც:

a) ასეთი პუნქტი მდებარეობს სახელმწიფოს ტერიტორიაზე,
 რომელც არ წარმოადგენს ამ კონვენციის მონაწილეს და მისი
 ხელისუფალი უარს აცხადებენ ასეთი პირის ჩაჯდომაზე, ან ასეთი
 ზომები განხორციელებულ იქნა მე-6 მუხლის 1c) პუნქტის შესა-



ბამისად კომპეტენტური ხელისუფლებისათვის მისი უზრუნველყოფის უზრუნველყოფის მიზნით;

b) საპარო ხომალდი იძულებით ჯდები და საპარო ხომალდის მეთაურს არ შეუძლია ასეთი პირი კომპეტენტურ ხელისუფლებას გადასცეს; ან

ეს პირი თანახმაა განავრძოს იძულებითი ფრენა.

2. საპარო ხომალდის მეთაური, რომლის ბორტზეც იმყოფება პირი, ვის მიმართაც მე-6 პუნქტით გათვალისწინებული იძულება გამოიყენება შესაძლებელ უმოკლეს ვადაში და შეძლებისდავარაც რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაჯდომამდე, აცნობებს ამ სახელმწიფოს ხელისუფალთ მის ბორტზე ასეთი იძულებით მდგომარეობაში მყოფი პირის შესახებ და ასეთი იძულების მიხეზების შესახებ.

მუხლი 8

1. საპარო ხომალდის მეთაურს შეუძლია, რამდენადაც ეს აუცილებელია მე-6 მუხლის 1 პუნქტის a) და b) ქვეპუნქტების მიზნებისათვის, გადმოსვას ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც საპარო ხომალდი დაკდი, ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც მას აქვს გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ მან ჩაიდინა ან ემზადება ჩაიდინოს საპარო ხომალდში 1 მუხლის b) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოქმედება.

2. საპარო ხომალდის მეთაური აცნობებს იმ სახელმწიფოს ხელისუფლებას, სადაც იგი ამ მუხლის შესაბამისად გადმოსვამის ნებისმიერ პირს, ასეთი გადმოსმის ფაქტსა და მიზეზებს.

მუხლი 9

1. საპარო ხომალდის მეთაურს შეუძლია გადასცეს ნებისმიერი სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთ, რომლის ტერიტორიაზეც ჯდება საპარო ხომალდი, ნებისმიერი პირი. რომლის მიმართაც მას აქვს გონივრული საფუძველი ივარაუდოს, რომ მან ჩაიდინა საპარო ხომალდში მოქმედება. რომელიც, მისი აზრით, სერიოზული დანაშაულია, გათვალისწინებული საპარო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

2. საპატიო ხომალდის მეთაური შეძლებისდაგვარად უმატებეს ვადაში და შეძლებისდაგვარად ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაჯდომამდე იმ პირთან ერთად, საპატიო ხომალდის მეთაური წინა პუნქტის თანახმად რომ აპირებს გადასცეს კომპეტენტურ ხელისუფალთ, აცნობებს ამ სახელმწიფოს ხელისუფალთ ასეთი პირის ვადაცემის განხრახვას და გადაცემის მიზეზს.

3. საპატიო ხომალდის მეთაური ხელისუფალთ, რომლებსაც ამ მუხლის დებულებათა თანახმად გადასცემს სავარაუდო დამნაშავეს, საპატიო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, წარუდგენს მტკიცებებსა და ცნობებს, რომლებიც კანონიერიად იქნავთ მოპოვებული.

მუხლი 10

არც საპატიო ხომალდის მეთაური, არც ეკიპაჟის სხვა წევრი, არც მგზავრი, არც საპატიო ხომალდის პატრონი ან ექსპლუატანტი, არც პირი, რომლის სახელითაც სრულდება ფრენა, არ არიან პასუხისმგებელნი არავთარი სასამართლო განხილვის დროს მოპყრობის გამო იმ პირის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც ასეთი მოქმედება განხორციელდა.

თავი IV

საპატიო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდება

მუხლი 11

1. თუ თვითმფრინავში მყოფი პირი ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენებით უკანონოდ სჩადის ჩარევის, დაპყრობის აქტის ან აბორციელებს სხვა უკანონო კონტროლს საპატიო ხომალდის ფრენაზე ან თუ ასეთი აქტი მზადდება შესასრულებლად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ყველა სათანადო ზომის საპატიო ხომალდზე კანონიერი მეთაურის კონტროლის აღსაღენებად ან მისი კონტროლის შესანარჩუნებლად ხომალდზე.

2. წინა პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში - შესაძლებელი სახელმწიფო, საჯაც ჯდება საპარაზო ხომალდი, უმოკლეს შესაძლებელ ვადაში იძლევს მის მგზავრებსა და ეკიპაჟს ფრენის კუგრძელების ნებართვის და საპარაზო ხომალდსა და მის ტეირთს უბრუნებს კანონიერ მფლობელს.

თ ა ვ ი ۷

სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 12

ნებისმიერი ხელშემქვრელი სახელმწიფო სხვა ხელშემქვრელ სახელმწიფოში რეგისტრირებული საპარაზო ხომალდის მეთაურს იძლევს ნებართვას გადმოსვას ნებისმიერი პირი მე-8 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 13

1. ნებისმიერი ხელშემქვრელი სახელმწიფო მიიღებს ნებისმიერ პირს, რომელსაც გადასცემს მას საპარაზო ხომალდის მეთაური მე-9 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.

2. ნებისმიერი ხელშემქვრელი სახელმწიფო, მას შემდეგ; რაც ჯარწმუნდება, რომ გარემოება ამას მოითხოვს, აპატიმრებს ან ღებულობს სხვა ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფს მე-11 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედების ჩადენაში ეჭვ-მიტანილი ნებისმიერი პირის ან იმ პირისა, რომელიც მიჩნეულია ასეთად, დასწრებას. დაპატიმრება ან სხვა ზომები ხორციელდება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმ დროით, რამდენიც გონივრულობის ფარგლებში საჭიროა სისხლისსამართლებრივ-პროცესუალური მოქმედების გასატარებლად ან გადაცემისათვის.

3. ნებისმიერ პირს, რომელიც დაპატიმრებულია წინა პუნქტის შესაბამისად, უნდა დაეხმარონ იმაში, რომ დაუყოვნებლივ დააზ-

ყაროს კონტაქტი იმ სახელმწიფოს უახლოეს შესაბამის წარმოადგენლობასთან, რომლის მოქალაქეც იგი არის.

4. ნებისმიერი ხელშეძევრები სახელმწიფო, რომელსაც მე-9 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად გადაეცა პირი ან რომლის ტერიტორიაზეც, მე-11 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედების ჩადენის შემდეგ, ჯდება ოვითმფრინავი, დაუყოვნებლივ იწყებს ფაქტების წინასწარ გამოძიებას.

5. როცა სახელმწიფო, ამ მუხლის შესაბამისად, პირს აპატიმრებს, იგი ამას დაუყოვნებლივ აცნობებს საპატიო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფოს და იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეცაა დაკავებული პირი, და თუ ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, აცნობებს ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოს ასეთი პირის პატიმრობაში ყოფნის ფაქტს და იმ გარემონბებს, რომელთა საფუძველზეც იგი დააბატიმრებს. სახელმწიფო, რომელც წინასწარ იძიებს ფაქტებს, ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ ატყობინებს მიღებულ მონაცემებს ზემოსენებულ სახელმწიფოებს და მიუთითებს, აპირებს თუ არა იურის-ლიქციის განხორციელებას.

მუხლი 14

1. თუ მე-8 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით გადმოსული ნებისმიერი პირი, ან პირი, რომელიც გადაცემულია მე-9 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ან გადმოსმულია მე-11 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ მოქმედებათა ჩადენის შემდეგ, და თუ ასეთ პირს არ შეუძლია ან არ სურს გააგრძელოს ფრენა, ან თუ სახელმწიფო, სადაც დაჭდა საპატიო ხომალდი, უარს ამბობს მიიღოს იგი, ასეთ სახელმწიფოს შეუძლია, თუ პირი, რომელზეც არის ლაპარაკი, არ არს ამ სახელმწიფოს მოქალაქე ან მუდმივი მცხოვრები, დააბრუნოს იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეც არის ან სადაც მუდმივად ცხოვრობს, ან იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, საიდანაც გამოფრინდა.

2. არც გადმოსმა, არც გადაცემა, არც ლაპატიმრება და არც მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სხვა ზომები,

არც აღნიშნული პირის დაბრუნება არ განიხილება, როგორც ზე-
ბართვა შესაბამის ტერიტორიაზე დაშვებისა მისი კანონმდებლო-
ბის ინტერესებში, რომლებიც ეხება ამ პირთა შესვლას ან დაშვე-
ბას და არაფერი ამ კონვენციაში არ მოქმედებს ხელშემკვრელი-
სახელმწიფოების კანონმდებლობაზე, რომელიც ეხება მისი ტერი-
ტორიიდან პირების გასახლებას.

მუხლი 15

1. მე-14 მუხლის დაურღვევლად ნებისმიერ პირს, რომელიც
გადმოსვეს მე-8 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ან გადაცემუ-
ლია მე-9 მუხლის 1 პუნქტით, ან გადმოსვეს მე-11 მუხლის 1 პუნქ-
ტით გათვალისწინებულ მოქმედებათა ჩადენის შემდეგ და უნდა
გაიგრძელოს ფრენა, უფლება აქვს უმოკლეს შესაძლებელ ვადაში
გაიგრძელოს გზა თავის მიერვე არჩეული ნებისმიერი პუნქტის
მიმართულებით, თუ მის დასწრებას არ მოითხოვს იმ სახელმწიფოს
კანონმდებლობა, სადაც დაწყდა საპატიო ხომალდი, სისხლის სა-
მართლის პროცესუალური მოქმედების მიზნით ან მისი ვადაცე-
მისათვის.

2. თუ ეს არ არღვევს მის კანონმდებლობას, მის ტერიტორია-
ზე შესვლისა და დაშვების, გადაცემის ან მისი ტერიტორიიდან გა-
სახლების საკითხში, ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლის ტერი-
ტორიაზეც გადმოსვეს პირი მე-8 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად,
ას გადასცეს მე-9 მუხლის 1 პუნქტით, ან გადმოსულია და ეჭვმი-
ტინილია მე-11 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ ქმედობათა
ჩადენაში, შეუძლია მოექცეს ასეთ პირს მისი დაცვისა და უსაფრ-
თხოების უზრუნველყოფის მიზნით არანაკლებ კეთილგანწყობი-
ლად, ვიდრე ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს მოქალა-
ქეს მსგავს გარემოებებში.

სხვა დებულებები

მუხლი 16

1. ზანაშული, ჩადენილი საპატიო ხომალდზე, რომელიც რეგულირებულია ხელშემყვრელი სახელმწიფოს მიერ. ვანიხრლება ასე, თითქოს დანაშაული ჩადენილია არა მხოლოდ მისი ჩადენის ადგილზე, არამედ საპატიო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

2. ამ კონვენციიში არაფერი ქმნის იმის ვალდებულებას, რომ განხორციელდეს გადაცემა, წინა პუნქტის დებულებათა შეუღა-ხვად.

მუხლი 17

საპატიო ხომალდში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული გამოძიებისა და დაკავების ნებისმიერი ზომის განხორციელების, ან იურისდიქციის სხვა სახით განხორციელების დროს ხელშემყვრელი სახელმწიფოები სათანადო ყურადღებას უთმობენ უსაფრთხოებას და აერონავიგაციის სხვა ინტერესებს და მოქმედებენ ისე, რომ თავიდან აიცილონ საპატიო ხომალდის მგზავრების, ექიპაჟის, ან ტვირთის გაუმართლებელი დაკავება.

მუხლი 18

თუ ხელშემყვრელი სახელმწიფოები ქმნიან ერთობლივ საექსპლუატაციო ან საპატიო-სატრანსპორტო ორგანიზაციებს ან საერთაშორისო საექსპლუატაციო სააგენტოს, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ საპატიო ხომალდს, რომელიც არ არის რეგისტრირებული არც ერთ სახელმწიფოში, მაშინ ეს სახელმწიფოები საქმის გარემოების შესაბამისად ნიშნავენ ერთ-ერთ სახელმწიფოს თავიანთი შემადგენლობიდან, რომელიც ამ კონვენციის მიზნებისათვის ვანიხილება როგორც რეგისტრაციის სახელმწიფო, და ამას ატყობინებენ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას, ეს უკანასკნელი კი უგზავნის ამ შეტყობინებას ამ ხელშეკრულების მონაცილე ყველა სახელმწიფოს.

დასკვნითი დებულებები

მუხლი 19

ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღამდე, 21-ე მუხლის შესაბამისად, იგი ხელმოსაწერად ღიად რჩება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ თარიღისათვის, იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ან ერთ-ერთი სპეციალიზებული დაწესებულების წევრი.

მუხლი 20

1. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიცირებას ხელმომწერის სახელმწიფოების მიერ მათი საკონსტიტუციო პროცედურების შესაბამისად.

2. სარატიფიკაციო სიგელი შესანახად ბარდება სამოქალაქო აღიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის.

მუხლი 21

1. მას შემდეგ, რაც 12 სახელმწიფო, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ კონვენციას, შესანახად ჩააბარებენ თავიანთ სარატიფიკაციო სიგელებს, კონვენცია მათვის ძალაში შედის მე-12 სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარებიდან 90-ე დღეს. თითოეული სახელმწიფოსათვის, რომლებმაც გვიან მოახდინეს რატიფირება, იგი ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარებიდან 90-ე დღეს.

მუხლი 22

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ იგი ძალაში რჩება შესაერთებლად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის გერმანიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ან ერთ-ერთი სპეციალიზებული დაწესებულების წევრი.



2. ღოკუმენტი სახელმწიფოს შეერთების შესახებ უაღმისავალი გარდება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და იგი ძალაში შედის მისი შესანახად ჩაბარებიდან 90-ე დღეს.

მუხლი 23

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის შეტყობინების გზით.

2. დენონსირება ძალაში შედის 6 თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მიღებს შეტყობინებას დენონსაციის შესახებ.

მუხლი 24

1. ნებისმიერი დავა ორ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შორის, რომელიც ეხება ამ კონვენციის განმარტებას ან გამოყენებას და მოლაპარკებით ვერ მოგვარდება, ერთ-ერთი მათგანის თხოვნით გადაეცემა არბიტრაჟისათვის გადაცემიდან 6 თვის განმავლობაში მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრაჟის ორგანიზაციის საკითხში, ნებისმიერი ამ მხარის თხოვნით დავა შეიძლება გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს, სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

2. თითოეულ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის, ან რატიფიკაციის, ან მასთან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ ის არ თვლის თავს ვალდებულად შეასრულოს წინამდებარე პუნქტის დებულებები. სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არ არიან შეასრულონ წინამდებარე პუნქტის დებულებანი ნებისმიერ იმ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რომელმაც აძვარი შესწორება შეიტანა.

3. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც შეიტანა შესწორება წინამდებარე პუნქტთან დაკავშირებით, შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას ეს შენიშვნა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის შეტყობინების გზით.

24-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა, ამ კონვენციის მიმართ არ შეიძლება გაკეთდეს არაეითარი შესწორება.

მუხლი 26

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ყველა ქვეყანას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ან ერთ-ერთი სპეციალიზებული დაწესებულების წევრია, ატყობინებს:

ა) ამ კონვენციაზე ყოველ ხელმოწერას და ხელმოწერის თარიღს;

ბ) თითოეული სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების ან შეერთების დოკუმენტისა და ასეთის შესანახად ჩაბარების თარიღს;

ც) ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს, 21-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად;

დ) დენონსაციის შესახებ თითოეული შეტყობინების მიღების თარიღს და დენონსაციის თარიღს; და

ე) თითოეული განცხადების ან შეტყობინების მიღების შესახებ, რაც გაკეთდება 24-ე მუხლის შესაბამისად და მიღების თარიღს.

რის დასტურადაც ქვემოთ ხელისმომწერმა სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ტოკიოში ათას ცხრას სამოცდასამი წლის თოთხმეტ სექტემბერს სამ დედნად ინგლისურ, ესპანურ და ფრანგულ ენებზე.

ეს კონვენცია შესანახად ბარდება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას, სადაც იკი მე-19 მუხლის შესაბამისად ჩემი ხელმოწერისათვის ღიად და ხსენებული ორგანიზაცია დამოწმებულ ეგზემპლარს უგზავნის ყველა სახელმწიფოს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ან ერთ-ერთი სპეციალიზებული დაწესებულებს წევრია.

საჯართველოს პარლამენტის დაფინანსება

218 საჯარო ხომალდის გატაცების ფინანსდება ბრძოლის შესახებ სამრთაშორისო კონვენციასთან შეერთავის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგნენ:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს საპარლო ხომალდის ვატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საერთაშორისო კონვენციას.

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ აცნობოს ეს რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შეიმუშაოს შესაბამისი წინადადებები შიღასახელმწიფო ებრივ კანონმდებლობაში კონვენციის ნორმათა ტრანსფორმირებისთვის.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რიგულიშვილი.

აბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.

219 კონვენცია საჯარო ხომალდის გატაცების ფინანსდება ბრძოლის შესახებ

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომებსაც მიაჩინათ:

რომ ცრენის დროს საპარლო ხომალდის ვატაცების ან მისდამი კონტროლის განხორციელების უკანონო აქტები საფრთხეს უქმნის ადამიანებსა და ქონებს, სერიოზულად არღვევს საპარლო მიმოსვლას და არყენს მსოფლიოს ხალხთა ნდობას სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოებისადმი,

რომ ასეთი აქტები სერიოზულ წუხილს იწვევს და გითვალისწინება
რომ ასეთი აქტების თავიდან აცილების მიზნით სრულიად აუცი-
ლებელია შესაბამისი ღონისძიებები დამნაშავეთა დასასჯელად,
შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ფრენის დროს საპატიო ხომალდში მყოფი ნებისმიერი პირი, რომელიც:

a) უკანონოდ, ძალით ან ძალის გამოყენების მუქარით, ან და-
შენების ნებისმიერი სხვა ფორმის მეშვეობით ხელი იგდებს საპატ-
იო ხომალდს ან თავის კონტროლს დაუქვემდებარებს, ან სცდის
ნებისმიერ ასეთ მოქმედებას, ან

b) თანამონაშილედ გაუხდება პირს, რომელიც სჩადის ან ცდი-
ლობს ჩაიდინოს ნებისმიერი ასეთი მოქმედება,

დანაშაულს სჩადის (შემდგომში იწოდება „დანაშაულად“).

მუხლი 2

ყოველი ხელშემქვერელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრუ-
ლობს გამოიყენოს ასეთი დანაშაულის წინააღმდეგ სასჯელის მკაფ-
რი ღონისძიებანი.

მუხლი 3

1. ამ კონვენციის მიზნებისათვის საპატიო ხომალდის ფრენის
დროდ ჩაითვლება დრო შევსების შემდეგ ყველა გარე კარის და-
ხურვის მომენტიდან დასაცლელად ნებისმიერი ასეთი კარის გახსნის
მომენტამდე. იძულებითი დაჯდომის შემთხვევაში ჩაითვლება,. რომ
ფრენა გრძელდება მანამდე, სანამ კომპეტენტური ხელისუფალი არ
იყიდებოდენ პასუხისმგებლობას საპატიო ხომალდისათვის და მაში
მყოფი პირებისა და ქონებისათვის.

2. ეს კონვენცია არ გამოიყენება საპატიო ხომალდებისადმი, რომლებიც სამხედრო, საბაჟო და საპოლიციო სამსახურშია.

3. ეს კონვენცია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ
აფრენის ადგილი ან ფაქტობრივი დაჯდომის ადგილი საპატიო ხო-

გალდისა, რომელშიც ჩადენილია დანაშაული, ამ საპარობო მინისტრის
გალდის რეგისტრაციის ტერიტორიის ვარეთაა; თანაც მნიშვნელობა
არა აქვა, საერთაშორისო ხაზზე მიღებინავდა საპარო ხომალდი თუ
საშინაო ავიახაზებზე.

4. ეს კონვენცია არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, რომლებიც
მოხსენებულია მე-5 მუხლში, თუ აფრენის ადგილი და ფაქტობრი-
ვი დაჯდომის ადგილი საპარო ხომალდისა, რომელშიც ჩადენილია
დანაშაული, ერთი და იგრვე სახელმწიფოს ტერიტორიაზეა, როცა
ეს სახელმწიფო ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, რომლებიც
მობარენიებულია აღნიშნულ მუხლში.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიუხედავად, მე-6, მე-7,
მე-8 და მე-10 მუხლები გამოიყენება საპარო ხომალდის აფრენის
ადგილისა და ფაქტობრივი დაჯდომის ადგილისაგან დამოუკიდებ-
ლად, თუ დამნაშავე ან სავარაუდო დამნაშავე სხვა სახელმწიფოს
ტერიტორიაზეა და არა საპარო ხომალდის რეგისტრაციის სახელ-
მწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი 4

1. ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფო მიმართავს ისეთ ღო-
ნისძიებებს, როგორიც საჭირო გახდება იმისათვის, რომ თავისი
იურისდიქტია დაუწესოს ასეთ დანაშაულს და მგზავრებისა და
კვიპაკის მიმართ ძალადობის ნებისმიერ სხვა აქტებს, რომლებსაც
სავარაუდო დამნაშავე ჩაიდენს ასეთ დანაშაულთან დაკავშირებით,
შემდეგ შემთხვევებში:

a) როცა დანაშაული ჩადენილია საპარო ხომალდში, რომე-
ლიც რეგისტრირებულია მოცემულ სახელმწიფოში;

b) როცა საპარო ხომალდი, რომელშიც ჩადენილია დანაშაუ-
ლი, მის ტერიტორიაზე ჯდება და სავარაუდო დამნაშავე ჯერ კიდევ
ამ ხომალდშია;

c) როცა დანაშაული ჩადენილია საპარო ხომალდში, რომელიც
უეკიპაჟულ იჯარით მიეცა მოიხარეს, რომლის საქმიანობის ძირი-
თადი ადგილი ან, თუ არ აქვს საქმიანობის ადგილი, მუდმივი ადგილ-
სამყოფელი ამ სახელმწიფოშია;



2. ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო მიმართ უნდა გვიჩვრის დონის დინასტიის, როგორიც საჭირო გახდება იშისთვის, რომ თავის იურისდიქციას დაუქვემდებაროს დანაშაული იმ შემთხვევაში, როცა სავარაუდო დამნაშავე მის ტერიტორიაზეა და იკი არ გადასცემ მას მე-8 მუხლის შესაბამისად ერთ-ერთ იმ სახელმწიფოთაგანს რომლებიც მოხსენიებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში.

3. ეს კონვენცია არ გამორიცხავს ნებისმიერი სისხლისსამართ უებრივი იურისდიქციის გამოყენებას ეროვნული კანონმდებლობრივ შესაბამისად.

მუხლი ۳

ხელშემკვრელი სახელმწიფოები, რომლებიც ერთობლივად საერო-სატრანსპორტო და საექსპლუატაციო ორგანიზაციებს ან საერთაშორისო საექსპლუატაციო სააგენტოებს ქმნიან და ექსპლუატაციას უწევენ საპარტნერო ხომალდებს, რომლებიც ურთობლივ ან საერთაშორისო რეგისტრაციას ექვემდებარება, სათანადოდ მიუთიაებენ თითოეული საპარტნერო ხომალდის მიმართ თავიანთი რიცხვიდან სახელმწიფოს, რომელიც იურისდიქციას ახორციელებს და რეგისტრაციის სახელმწიფოდ წარმოდგება ამ კონვენციის მიზნებისათვის, და მცნობს ამას სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ამ შეტყობინებას დაუგზავნის კონვენციის მონაშირე ყველა სახელმწიფოს.

მუხლი ۴

1. როგორც კი დარწმუნდება, რომ გარემოებანი ამას მოითხოვს, ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება დამნაშავე ან სავარაუდო დამნაშავე, აპატიმრებს მას ამ მიმართავს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ადგილზე ყოფნას. დაპატიმრება და სხვა ღონისძიებანი ხორციელდება სეთი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო ისისთვის, რომ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი საპროცესო მოქმედება ან გადაცემის მოქმედება.

2. ასეთი სახელმწიფო დაუყოვნებლივ იწყებს ფაქტების წინასწარ გამოძიებას.

3. ნებისმიერ პირს, რომელიც დაპატიმრებული იქნება ამის მიუღიარების შინაგანი პუნქტის შესაბამისად, ხელი უნდა შეეწყოს იმაში, რომ დაუყოვნებლივ დაამყაროს კონტაქტი იმ სახელმწიფოს უახლეს შესაბამის წარმომადგენელთან, რომლის მოქალაქეც იგი არის.

4. როცა სახელმწიფო ამ მუხლის შესაბამისად აპატიმრებს პირს, იგი დაუყოვნებლივ ამცნობს ამას საპატიო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფოს, მე-4 მუხლის 1 (c) პუნქტში მოხსენიებულ სახელმწიფოს, დაკავებული პირის მოქალაქეობის სახელმწიფოს და, თუ მიზანშეწონილად მიიჩნევს, ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს, რომ ეს პირი დაკავებულია, და ატყობინებს გარემოებებს, რომელთა საფუძველზე დააპატიმრება იგი.

სახელმწიფო, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტით ვათვალისწინებულ წინასწარ გამოიძიება, აწარმოებს. დაუყოვნებლივ აცნობს მიღებულ მონაცემებს ზემოსენებულ სახელმწიფოებს და მიუთოებს, განხრახული იქვს თუ არა იურისდიქციის განხორციელება.

მუხლი 7

ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც აღმოჩნდება სავარაუდო დამნაშავე, თუ არ ვისცემს მას, მოვალეა ყოველგვარი გამონაცვლისის გარეშე და იმის მიუხედავად, მის ტერიტორიაზეა თუ არა ჩადენილი დანაშაული, საქმე გადასცეს თავის კომპეტენტურ ორგანოებს სისტემისამართლებრივი გამოძიების მიზნით. ეს ორგანოები ასევე იღებენ ვადაწყვეტილებას, როგორც სერიოზული ხასიათის ნებისმიერი ჩვეულებრივი დანაშაულის შემთხვევაში, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8

1. დანაშაული გაცემას დაქვემდებარებულ დანაშაულად შეიტანება გაცემის შესახებ ყოველგვარ ხელშეკრულებაში, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის დაიდება. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ გაცემას დაქვემდებარებულ დანაშაულად შეიტანონ ასეთი დანაშაული გაცემის შესახებ ყოველგვარ ხელშეკრულებაში, რომელიც მათ შორის დაიდება.



2. თუ ხელშემქვრელი სახელმწიფო, რომელიც გაცემის თხოვნას პირობებს ხელშეკრულების არსებობით, იღებს გაცემის თხოვნას მეორე ხელშემქვრელი სახელმწიფოსაგან, რომელთანაც მას არა აქვს გაცემის შესახებ ხელშეკრულება, მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ ვანიხილოს ეს კონვენცია ასეთი დანაშაულის მიმართ, როგორც გაცემის იურიდიული საფუძველი. გაცემა ხდება სხვა პირობების შესაბამისად, რომლებსაც იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს. რომელსაც ასეთი თხოვნით მიმართეს.

3. ხელშემქვრელი სახელმწიფოები, რომლებიც გაცემის ხელშეკრულებით არ ვანაპირობებენ, თავიანთ ურთიერთობაში ასეთ დანაშაულს ვანიხილოვენ გაცემის დაქვემდებარებულად იმ პირობების შესაბამისად, რომლებსაც ითვალისწინებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელსაც გაცემის შესახებ თხოვნით მიმართავს.

4 ხელშემქვრელი სახელმწიფოები გასაცემ დანაშაულად მიიჩნევენ ისეთ დანაშაულს, რომელიც ჩადენილია არა მარტო ჩადენის ადგილის, არამედ იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, რომლებიც მოვალენი არიან თავიანთი იურისდიქცია დაუწესონ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 9

1. როცა 1 (a) მუხლში მოხსენიებული ნებისმიერი მოქმედება ჩადენილია ან ახლო ჩადენასთან, ხელშემქვრელი სახელმწიფოები ყოველ საჭირო ღონეს ხმარობენ საპარო ხომალდისადმი კანონიერი მეთაურის კონტროლის აღსაღვენად ან საპარო ხომალდისადმი მისი კონტროლის შესანარჩუნებლად.

2. წინა პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნებისმიერი ხელშემქვრელი სახელმწიფო, სადაც იმყოფებიან საპარო ხომალდი, მისი მგზავრები და ეკიპაჟი, ხელს უწყობს მის მგზავრებსა და ეკიპაჟს ვანაგრძონ მგზავრობა იმდენად სწრაფად, რამდენადც ეს შესაძლებელია, და დაუყოვნებლად უბრუნებს საპარო ხომალდსა და მის ტვირთს კანონიერ მფლობელებს.

მუხლი 10

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ერთმანეთს რაც შეიძლება სრულ სამართლებრივ დახმარებას უწევენ სისხლის სამართლებრივ-საპროცესო მოქმედებაში, რომელიც ასეთი დანაშაულისა და იმ სხვა ქერების მიმართ ხორციელდება. რომლებიც მოხსენიებულია გვ.-4 მუხლში. ყველა შემთხვევაში გამოიყენება იმ სახელმწიფოების კანონმდებლობა, რომლისადმიც მიმართულია თხოვნა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებანი გავლენის არ ახდენს ნებისმიერი სხვა ორმატრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე. რომლითაც მოლიანად ან ნაშილობრივ რეგულირდება ან მომავალში დარეგულირდება სისხლის სამართლებრივ საქმეებში ერთმანეთის სამართლებრივი დახმარება.

მუხლი 11

ყველი ხელშემკვრელი სახელმწიფო თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს რაც შეიძლება სწრაფად აცნობებს მის ხელთ არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ეხება:

- დანაშაულის გარემოებებს;
- მე-9 მუხლის შესაბამისად განხორციელებულ მოქმედებას;
- ლონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება დამნაშავის ან სავარაუდო დამნაშავის მიმართ და, კერძოდ, შედეგებს, რომლებიც ღობურება გადაცემის ან სხვა სამართლებრივ მოქმედებას.

მუხლი 12

1. ორი ან მეტი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნებისმიერი დავა, რომელიც ამ კონვენციის განმარტებას ან გამოიყენებას შეეხება, ჯე მისი მოვარება მოლაპარაკების გზით ვერ ხერხდება, ერთ-ერთი მათვანის თხოვნით გადაეცემა არბიტრაჟს. თუ არბიტრაჟის მოწყობის შესახებ თხოვნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში არბიტრაჟი ვერ მოეწყო, ამ მხარეთაგან ნებისმიერს შეუძლია დავა საერთაშორისო სასამართლოს გადასცეს სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.



2. ყოველ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის შემდეგ გააკეთოს განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი თავისთვის სავალდებულოდ არ თვლის წინა პუნქტის დებულებებს. დანარჩენი ხელშემკვრელი სახელმწიფოები წინა პუნქტის დებულებებს სავალდებულოდ არ ჩათვლიან ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთო.

3. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც ვანცხადება გააკეთა წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ ღრმოს უკან წაიღოს ეს ვანცხადება დეპოზიტარ მთავრობათა ნოტიფიკაციის გზით.

მუხლი 13

1. ამ კონვენციის ხელმოსაწერად ღიად აცხადებენ პაავაში 1970 წლის 16 დეკემბრიდან სახელმწიფოები, რომელებიც მონაწილეობდნენ საპირო სამართლის საქითხებზე ხერთშორისო კონფერენციაში, რომელიც 1970 წლის 1-16 დეკემბერს ვაიმართა პაავაში (შემდგომში იგი იწოდება პაავის კონფერენციად). 1970 წლის 31 დეკემბრის შემდეგ კონვენცია ყველა სახელმწიფოსთვის ხელმოსაწერად ღია იქნება მოსკოვში, ლონდონსა და ვაშინგტონში. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ამ კონვენციის ხელს არ მოაწერს ძალაში შესვლამდე, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ნებისმიერ ღროს შეუძლია შეუერთდეს მას.

2. ხელმომწერ სახელმწიფოთა მიერ ამ კონვენციის რატიფიცირებაა საჭირო. სარატიფირებული სიგელები და შეერთების შესახებ დოკუმენტები შესანახეთ ბარდებათ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს და მერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს, როთიც ისინი დეპოზიტარ მთავრობებად ინიშნებიან.

3. ეს კონვენცია ძალაში შედის 30 დღის გასვლის შემდეგ იმ თარიღიდან, როცა სარატიფიკაციო სიგელებს ჩამოატარებს 10 სახელმწიფო, რომელიცმაც ხელი მოაწერეს ამ კონვენციას და მონაწილეობდნენ პააგის კონფერენციაში.

4. დანარჩენი სახელმწიფობისათვის ეს კონვენცია ძალაში შედის ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ან სარატიფიკაციო სიგელების ან შეერთების დოკუმენტების ჩაბარებიდან, 30 დღის გასვლის შემდეგ იმის მიხედვით, თუ რა უფრო გვიან მოხდა.

5. დეპოზიტარი მთავრობები დაუყოვნებლივ ამცნობენ ყველა ხელმომწერ და შეერთებულ სახელმწიფოს ყოველი ხელმომწერის თარიღს, ყოველი სარატიფიკაციო სიგელის თუ შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღს, ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს, აგრეთვე სხვა შეტყობინებებს.

6. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ იგი დეპოზიტარმა მთავრობებმა რევისტრაციაში უნდა გაატარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად და საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ კონვენციის (ჩიკაგო, 1944 წ.) 83-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 14

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას ამ კონვენციაში მონაწილეობაზე, რაც წერილობით უნდა ამცნოს დეპოზიტარ მთავრობებს.

2. კონვენციაში მონაწილეობაზე უარი ძალაში შედის 10 თვეს შემდეგ იმ დღიდან, როცა ასეთი შეტყობინება მიიღეს დეპოზიტარმა სახელმწიფოებმა.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერმა წარმომადგენლებმა, რომლებიც აღჭურვილი არიან თავიანთი მთავრობების ჯეროვანი უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

დადებულია პააგაში ათას ცხრას სამოცდაათი წლის თექვსმეტ დეკამბერს. დედანი შესრულებულია სამ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ, ინგლისურ, ესპანურ და ფრანგულ ენაზე, თანაცხველა ტექსტი ავთენტურია.



საქართველოს პარლამენტის დადგენილებული კულტურული მემკვიდრეობის

220 სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების ზინააღმდეგ
მიმართულ უკანონო ადგენტან პროლის სამოქალა-
რისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს სამოქალაქო ავია-
ციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან
ბრძოლის საერთაშორისო კონვენციის.

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სა-
შინისტროს, რომ აცნობოს ეს რუსეთის ფედერაციას, ამერიკის
შეერთებული შტატების და ტილი ბრიტანეთის მთავრობებს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინის-
ტროს შეიმუშაოს შესაბამისი წინადაღებები შიდასახელმწიფოებრივ
კანონმდებლობაში კონვენციის ნორმათა ტრანსფორმირებისათვის.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოაღილე ვახტანგ რჩევლიშვილი

თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.

221 კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების ზინააღმდეგ
მინააღმდეგ მიმართულ უკანონო ადგენტან პრო-
ლის შესახებ

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებსაც მიაჩ-
ნიათ,

რომ სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მი-
ნართული უკანონო აქტები საფრთხეს უქმნის ადამიანებს და ქო-
ნებას, სერიოზულად არღვევს საპატიო მიმოსვლას და ძირს უთხრის
შეოფლობის ხალხთა ნდობას სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების
სადმი,

რომ ასეთი აქტები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, პირები და კომიტეტები ასეთი აქტების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია და მნაშვერთა დასასჯელად შესაბამისი ლონისძებების განხორციელება,

შეთანხმლენ შემდეგზე:

Digitized by srujanika@gmail.com

1. ნებისმიერი პირი ზანაშაულს სჩადის, თუ უკანონოდ და
ანგრძაბ:

- ა) ძალადობას მიმდრთავს ფრენის ღრუს საპატიო ხომალდში შეკვეთი პირის მიგართ, თუ ასეთი ქრება საფრთხეს უქმნის ამ საპატიო ხომალდის უშიშროებას; ან

- b) ანგრევს ექსპლუატაციაში მყოფ საპარტო ხომალდს, ან აზია-
ნებს ამ საპარტო ხომალდს, რასაც იყო მწყობრიდან გამოჰყავს და
საფრთხეს უწმინის ფრენის დროს მის უშიშროებას; ან

- ე) რამე ხერხით ექსპლუატაციაში არსებულ საპარტო ხომალდ-ში მოათავსებს მოწყობილობას ან ნივთიერებას ან ხელს შეუწყობს იმას, რამც შეიძლება დაანგრიოს ასეთი საპარტო ხომალდი ან დააზიანოს, რაც მწყობრიდან გამოიყანს მას, ან მიაყენებს ზიანს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ფრენის დროს მის უშიშროებას, ან

- д) ანგრევს ან აზიანებს აეროსანავიგაციო მოწყობილობას ან ერევა მის ექსპლუატაციაში, თუ ნებისმიერი ასეთი აქტი საფრთხეს უქმნის ფრენის უროს საპარტო ხომალდის უშიშროებას; ან

- ე) ატყობინებს აშკარად ცრუ ცნობებს, როთაც საფრთხეს უქმნის ფრენის ღრმა საპატიო ხომალის უშიშროებას.

2. ნებისმიერი პირი ასეთი დანაშაულს სჩადის, თუ:

- ა) ცილინდრის ჩაღინოს რომელიმე დანაშაული, რომლებიც
მოხსენიებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში; ან

- b) თანამოზიარება პირისა, რომელიც სჩადის ან ცდილობს ჩაღანოს ნებისმიერი ასეთი დანაშაული.

မျှော်လွှေ 2

അ ക്ലാസ്സുകളിൽ മീംഗുഡിസാത്വയിൽ:

- ა) საპატიო ხომალდის ფრენის ღრუდ თვეუბა ნებისმიერი დრო შევსების შემდეგ მისი ყველა გარე კარის ჩაეტვის მომენ-



ტიდან დასაცლელად ნებისმიერი ასეთი კარის გახსნის შემთხვევაში; იძულებითი დაჯდომის შემთხვევაში ითვლება, რომ ფრენა გრძელდება მანამდე, სანამ კომპეტენტური ხელისუფალი არ იყისრებენ პისუნისმგებლობას. საპატიო ხომალდისათვის და შიგ მყოფი პირებისა და ქონებისათვის:

b) საპატიო ხომალდი ექსპლუატაციაში მყოფად ითვლება იმ მომენტიდან, როცა აეროპორტის პერსონალი ან ეკიპაჟი საპატიო ხომალდს გასაფრენად ამზადებს კონკრეტული ფრენისათვის ნებისმერი დაჯდომიდან ოცდაოთხი საათის გასვლამდე; ექსპლუატაციის პერიოდი ნებისმიერ შემთხვევაში გრძელდება საპატიო ხომალდის ფრენის მთელი პერიოდის განმავლობაში, როგორც ეს განსაზღვრულია ამ მუხლის „ა“ პუნქტში.

მუხლი 3

ყოველი ხელშემქვრელი სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს პირველ მუხლში მოხსენიებული დანაშაულის მიმართ გამოიყინოს სასჭელის მქაცრი ღონისძიება.

მუხლი 4

1. ეს კონვენცია არ გამოიყენება სამხედრო, საბაჟო და საპოლიციო სამსახურში მყოფ საპატიო ხომალდებისათვის.

2. იმ შემთხვევებში, რომლებსაც ითვალისწინებს პირველი მუხლის პირველი პუნქტის a), b) და c) ქვეპუნქტები, ეს კონვენცია გამოიყენება მიუხედავად იმისა, საპატიო ხომალდი საერთაშორისო აუთაბაზზე დაფრინავს თუ საშინაო ავიაბაზებზე, თუ:

a) საპატიო ხომალდის აფრენის ან დაჯდომის ფაქტობრივი ან განზრახული ადგილი იმ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა, რომელიც ამ საპატიო ხომალდის რევისტრაციის ადგილია; ან

b) დანაშაული ჩადენილია სხვა სახელმწიფოს, და არა საპატიო ხომალდის რევისტრაციის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიუხედავად, იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი მუხლის პირველი პუნქ-

ტის a), b), c) და e) ქვეპუნქტებით, ეს კონვენცია გამოიყენებული შინაც. თუ დამნაშავე ან სავარაუდო დამნაშავე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეა, და არა ამ საპატიო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

4. ამ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც მოხსენიებულია მე-9 მუხლში, და იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი მუხლის პირველი პუნქტის a), b), c) და e) ქვეპუნქტებით, ეს კონვენცია არ გამოიყენება. თუ აღგილები, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მეორე პუნქტის a) ქვეპუნქტში, ერთ-ერთი იმ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებშია, რომლებიც მითითებულია მე-9 მუხლში. გარდა იმ შემთხვევისა, როცა დანაშაული ჩადენილია ან დამნაშავე თუ სავარაუდო დამნაშავე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეა,

5. იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი მუხლის პირველი პუნქტის d) ქვეპუნქტით, ეს კონვენცია გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ აეროსანავიგაციო მოწყობილობას საერთაშორისო აერონავიგაციისათვეს. იყენებენ.

6. ამ მუხლის 2, 3, 4, 5 პუნქტების დებულებანი გამოიყენება აგრეთვე პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 5

1. ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო მიმართავს ისეთ ღონისძიებებს, როგორიც საჭირო გახდება იმისთვის, რომ თავისი იურისდიქცია დაუწესოს დანაშაულს შემდეგ შემთხვევებში:

a) როცა დანაშაული ჩადენილია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

b) როცა დანაშაული ჩადენილია ამ სახელმწიფოში რეგისტრირებულ საპატიო ხომალდში ან მის მიმართ;

c) როცა საპატიო ხომალდი, რომელშიც ჩადენილია დანაშაული, ჯდება მის ტერიტორიაზე, და სავარაუდო დამნაშავე ამ ხომალდშია;



ბ) როცა დანაშაული ჩადენილია საჭარო ხომალდში მომართ და ეს ხომალდი იჯარით და უკეთა უოდ იღებული აქვს მოაჭარეს, რომლის საქმიანობის ძირითადი ადგილი ან თუ მოიგარეს საქმიანობის ასეთი ადგილი არ აქვს, მუდმივი ადგილსამყოფილი ამ სახელმწიფოშია.

2. ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო მიმართავს ისეთ ღონისძიებებსაც, რომლებიც შეიძლება საჭიროდ გახდეს იმისთვის, რომ თავისი იურისდიქტია დაუშესოს პირველი მუხლის პირველი უნქტის a), b) და c) ქვეპუნქტებში, აგრეთვე პირველი მუხლის მე-2 უნქტში მოხსენიებულ დანაშაულობებს იმდენად, რამდენადაც ეს პუნქტი შეეხება ასეთ დანაშაულობებს იმ შემთხვევაში, როცა სავარაუდო დამნაშავე მის ტერიტორიაზეა, და იგი არ გადასცემს მას მე-8 მუხლის შესაბამისად ერთ-ერთ იმ სახელმწიფოს, რომლებიც მოასენიებული არიან ამ მუხლის პირველ პუნქტში.

3. ეს კონვენცია არ გამორიცხავს ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი იურისდიქტის განხორციელებას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6

1. როცა დარწმუნდება, რომ გარემოებანი ამას მოითხოვს, ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება დამნაშავე ან სავარაუდო დამნაშავე, აპატიმრებს მას ან მიმართავს სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მის დასწრებას. პატიმრობა და სხვა ღონისძიებანი ხორციელდება ასეთი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენიც აუცილებელია იმისთვის, რომ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივ-საპროცესო მოქმედება ან გადაცემის მოქმედება.

2. ასეთი სახელმწიფო დაუყოვნებლივ იწყებს ფაქტების წინასწარ გამოძიებას.

3. ნებისმიერ პირს, რომელიც დაკავებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ხელს უწყობენ იმაში, რომ დაუყოვნებლივ დაამყაროს კონტაქტი იმ სახელმწიფოს უახლოეს შესაბამის წარმომადგენელთან, რომლის მოქალაქეებიც იგი არის.



4. როცა სახელმწიფო ამ მუხლის შესაბამისად აპატიური მუნიციპალიტეტისა პირს, დაუყოვნებლივ ატყობინებს ამას მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ სახელმწიფოებს, დაკავებული პირის მოქალა-კეობის სახელმწიფოს და, თუ მიზანშეწონილად ჩათვლის, ნების-მიერ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს, რომ ასეთი პირი პა-ტიმრობაშია, და ამცნობს გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც იგი დააპატიმრეს. სახელმწიფო, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ წინასწარ გამოძიებას აწარმოებს, დაუყოვ-ნებლივ აცნობს მოპოვებულ მონაცემებს ზემოხსენებულ სახელ-მწიფოებს და მიუთითებს, განხრახული იქვს თუ არა განახორციე-ლოს იურისდიქცია.

მუხლი 7

ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე აღმო-ჩნდება სავარაუდო დამნაშავე, თუ არ გასცემს მას, მოვალეა ყო-ველგვარი გამონაკლისის გარეშე და იმის მიუხედავად, მის ტერი-ტორიაზეა თუ არა ჩადენილი დანაშაული, საქმე გადასცეს თავის კომპეტენტურ თრგანოებს სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიზ-ნით. ეს ორგანოები ისევე იღებენ გადაშეცვეტილებას, როგორც სე-რიოზული ხასიათის ნებისმიერი ჩვეულებრივი დანაშაულის შემთ-ხვევაში, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8

1. დანაშაული გადაცემას დაქვემდებარებულ დანაშაულად შეი-ტანება გადაცემის შესახებ ყოველგვარ ხელშეკრულებაში, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოებს შორის დაიდება. ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ გადაცემას დაქვემდე-ბარებულ დანაშაულად შეიტანონ ასეთი დანაშაული გადაცემის შესახებ ყოველგვარ ხელშეკრულებაში, რომელიც მათ შორის დაი-დება.

2. თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც გადაცემას გა-ნაპირობებს ხელშეკრულების არსებობით, იღებს გადაცემის თხოვ-ნას მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოსგან, რომელთანაც მას არა

აქვთ გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, მას შეუძლია თავისი შე-
ხედულებისამებრ განიხილოს ეს კონვენცია ასეთი დანაშაულისთვის
მართ, როგორც გადაცემის იურიდიული საფუძველი. გადაცემა
ხდება სხვა პირობების შესაბამისად, რომლებსაც იმ სახელმწიფოს
კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომელსაც ასეთი თხოვნით
მიმართეს.

3. ხელშემკვრელი სახელმწიფოები, რომლებიც გადაცემას ხელ-
შეკრულებით არ განაპირობებენ, თავიანთ ურთიერთობაში ასეთ
დანაშაულს განიხილავენ გადაცემას დაქვემდებარებულად იმ პი-
რობების შესაბამისად, რომლებსაც ითვალისწინებს იმ სახელმწი-
ფოს კანონმდებლობა, რომელსაც გადაცემის შესახებ თხოვნით
მიმართეს.

4. ხელშემკვრელი სახელმწიფოები გადასაცემ დანაშაულად
მიიჩნევენ ისეთ დანაშაულს, რომელიც ჩადენილია არა მარტო ჩა-
დენის ადგილის, არამედ იმ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, რომლე-
ბიც მოვალენი არიან თავიანთი იურისდიქცია დაუწესონ, მე-5 მუხ-
ლის პირველი პუნქტის b), c) და d) ქვეპუნქტების შესაბამისად.

მუხლი 9

ხელშემკვრელი სახელმწიფოები, რომლებიც ერთობლივ საპარ-
ოო-სატრანსპორტო და საექსპლუატაციო ორგანოებს ან საერთაშო-
რისო საექსპლუატაციო სააგენტოებს ქმნიან და ექსპლუატაციას
უწევენ საპარო ხომალდებს, რომლებიც ერთობლივ ან საერთაშო-
რისო რეგისტრაციას ექვემდებარება, სათანადოდ მიუთითებენ თი-
თოეული საპარო ხომალდის მიმართ თავიანთი რიცხვიდან სახელ-
მწიფოს, რომელიც იურისდიქციას ახორციელებს და რეგისტრა-
ციის სახელმწიფოდ წარმოსდგება ამ კონვენციის მიზნებისთვის,
და ამცნობს ამას სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზა-
ციას, რომელიც ამ შეტყობინებას დაუგზავნის კონვენციის მონაწი-
ლე უცველა სახელმწიფოს.

მუხლი 10

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლი-
სა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ეცდებიან ყოველ-
გვარი პრაქტიკულად განხორციელებადი ტონისძიებანი მიიღონ პირ-
ველ მუხლში მოხსენიებულ დანაშაულობათა აღსაკვეთად.



2. როცა პირველ მუხლში მოხსენიებული ერთ-ერთი დაწყეტილი დანართი დაგენერირდა ჩადენის შედეგად ფრენა გადაიდება ან შეწყდება, ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფებიან საპარაკო ხომალდი, მგზავრები ან ეკიპაჟი, ხელს უწყობენ მის მგზავრებსა და ეკიპაჟს რამდენადაც შესაძლებელია მალე განავრმონ მგზავრობა, და დაუყოვნებლად უბრუნებს საპარაკო ხომალდსა და მის ტერიტოს კანონიერ მფლობელებს.

მუხლი 11

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები რაც შეიძლება სრულ სამართლებრივ დახმარებას უწევენ ერთმანეთს სისხლისსამართლებრივ-საპროცესო მოქმედებაში, რომელიც ასეთ დანაშაულთა მიმართ ხორციელდება. ყველა შემთხვევაში გამოიყენება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელსაც თბოვნით მიმართეს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შებულებანი გავლენას არ ახდენს ნებისმიერ სხვა ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ არეგულირებს ან მომავალში დაარეგულირებს სისხლისსამართლის საქმეებში ერთმანეთის სამართლებრივ დახმარებას.

მუხლი 12

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელსაც საფუძველი აქვს იერატურის, რომ მოხდება პირველ მუხლში მოხსენიებული ერთ-ერთი დანაშაული, თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ყოველგვარ არსებულ სათანადო ინფორმაციას ცენობს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც, მისი აზრით, მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ სახელმწიფოებს განეკუთვნებიან.

მუხლი 13

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო

ორგანიზაციის საბჭოს რაც შეიძლება სწრაფად აცნობეს მართვულ
უქსაპამის ინფორმაციას, რომელიც ეხება:

a) დანაშაულის გარემოებებს;

b) მე-9 მუნიციპალიტეტის შესაბამისად განაორციელებულ
მოქმედებებს;

c) ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება დამნაშავის ან სა-
გარაუდო დამნაშავის მიმართ და, კერძოდ, შედეგებს, რომლებიც
მოჰყვა გადაცემის ან სხვა სამართლებრივ მოქმედებას.

მუხლი 14

1. ორი ან მეტი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნებისმიერი
დავა, რომელიც ამ კონვენციის განმარტებას ან გამოყენებას ეხება,
თუ მისი მოგვარება მოლაპარაკების გზით ვერ ხერხდება, ერთ-ერთი
მათგანის თხოვნით არბიტრაჟს გადაეცემა. თუ არბიტრაჟის მოწყო-
ბის შესახებ თხოვნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში არბიტრა-
ჟი ვერ შორის, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დავა საერთაშორისო
სასამართლოს გადაცეს სასამართლოს სტატუსის შესაბამისად.

2. ყოველ სახელმწიფოს ამ კონვენციის ხელმოწერის ან რა-
ტიფიკაციის დროს ან მასთან შეერთებისას შეუძლია გააკეთოს
განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი თავისითვის სავალდებულოდ არ
თვლის წინა პუნქტის დებულებებს. დანარჩენი ხელშემკვრელი სა-
ხელმწიფოები წინა პუნქტის დებულებებს სავალდებულოდ არ ჩა-
თვლიან ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოსთან ურთიერთო-
ბაში, რომელმაც ასეთი განცხადება გააკეთა.

3. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც განც-
ხადება გააკეთა წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ნებისმიერ
დროს უკან წაიღოს ეს განცხადება დეპოზიტარ მთავრობათა ნო-
ტიფიკაციის გზით.

მუხლი 15

1. ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღია იქნება მონრეალში 1971
წლის 23 სექტემბრიდან სახელმწიფოებისთვის, რომლებიც 1971
წლის 3-23 სექტემბერს მონაწილეობდნენ მონრეალში გამართულ
საპარალო სამართლის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციაში



(ერმლგომში — მონიკეალის კონფერენცია). 1971 წლის 9 ოქტომბერისთვის შემდეგ კონვენცია ხელმოსაჭერად ღია იქნება ყველა სახელმწიფოსთვის მოსკოვში, ლონდონშა და ვაშინგტონში. ნებისმიერ სახლმწიფოს, რომელიც მაღაში შესვლამდე, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, არ მოაწერს ხელს ამ კონვენციას, ნებისმიერ დროს შეუძლია შეუერთდეს მას.

2. ამ კონვენციას რატიფიკაცია უნდა უყონ ხელმომწერმა სახლმწიფოებმა. სარატიფიკაციო სიგელები და შეერთების შესახებ დოკუმენტები შესანახად ბარდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს, რომლებიც ამით დეპოზიტარ მთავრობებად ინიშებიან.

3. ეს კონვენცია მაღაში შედის ოცდაათ დღეში იმ თარიღიდან, როცა სარატიფიკაციო სიგელებს ჩაბარებს ათი სახელმწიფო, რომელიც ხელი მოაწერს ამ კონვენციას და მონაწილეობდნენ მონაბეჭდის კონფერენციაში.

4. ზანარჩენი სახელმწიფოებისთვის ეს კონვენცია ძალაში შედის ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ან ოცდაათ დღეში იმ თარიღიდან, როცა მათი სარატიფიკაციო სიგელები ან შეერთების შესახებ დოკუმენტები ჩაბარდება, იმის მიხედვით, თუ რა უფრო გვიან მოხდება.

5. დეპოზიტარი მთავრობები ზაუყოვნებლივ აცნობებენ ყველა ხელმომწერ და შეერთებულ სახელმწიფოს ყოველი ხელმოწერის თარიღს, ყოველი სარატიფიკაციო სიგელის თუ შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების თარიღს, ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს, აგრეთვე სხვა შეტყობინებებს.

6. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ იგი დეპოზიტარმა მთავრობებმა რეგისტრაციაში უნდა გაატარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად და საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ კონვენციის (ჩიკაგო, 1944 წ.) 83-ე მუხლის შესაბამისად.

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას ამ კონვენციაში მონაწილეობაზე. რაც წერილობით უნდა ამცნოს დეპოზიტარ მთავრობებს.

2. კონვენციაში მონაწილეობაზე უარი ძალაში შედის ეჭვის თვის შემდეგ იმ დღიზან. როცა ასეთი შეტყობინება მიღებს დეპოზიტარმა მთავრობებმა.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერმა წარმომადგენლებმა, რომლებიც აღჭურვილი არიან თავიანთი მთავრობების ჯეროვანი უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

დადებულია მონრეალში ათას ცხრაას სამოცდაოერთმეტი წლის ოცდაშამ სექტემბერს. დედანი შესრულებულია სამ ევჟემბლარად, თაოთვეული რუსულ, ინგლისურ, ესპანურ და ფრანგულ ენაზე, ამას-თან ყველა ტექსტი აკონტურია.

საქართველოს პარლამენტის დადგინდლება

222 „საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რეს-
 პუბლიკიდან დროებითი გასცლის და საქართველოს
 რეპუბლიკაში ზემოსვლის ზესით ზესახებ“ საქართველოს
 რეპუბლიკის კანონის გამარტივებული ზესით მიღების
 თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან
 დროებითი გასცლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის
 წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ
 იქნეს გამარტივებული წესით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რიშულიშვილი.

223 საქართველოს მონაცემების საქართველოს რეპუბ-
ლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რე-
პუბლიკაში ზემოსვლის წესების უმსახუა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლი-
კიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლი-
კაში შემოსვლის შესახებ

საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოს რესპუბლიკიდან
დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის
უფლება.

ეს უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს გარდა საქართველოს
რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
მუხლი 2. კანონის დანიშნულება

საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს რესპუბლიკიდან
დროებითი გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის
წესების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის დანიშნუ-
ლებაა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული
პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოს საქართველოს მოქალა-
ქის უფლება დროებით დატოვოს თავისი ქვეყანა და თავისუფლად
დაბრუნდეს უკან, ჯინსაზღვროს საქართველოს მოქალაქეთა სხვა
სახელმწიფოში დროებითი წასვლისა და საქართველოს რესპუბლი-
კაში შემოსვლის წესი და პირობები, აგრეთვე დაარეგულიროს
ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი.

ეს კანონი არ არეგულირებს საქართველოს მოქალაქის საქართ-
ველოს რესპუბლიკიდან სამუდამოდ წასვლის (ემიგრაციის) წესს,
აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა დიპლომატიური ან სამსახუ-
რებრივი მიზნით მოგზაურობისა და შესაბამისი პასპორტების გა-
ცემის წესს.

მუხლი 3. საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს რესპუბლიკი-
კიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლი-
კაში შემოსვლის მარეგულირებელი საქანონმდებლო აქტები

საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს რესპუბლიკური დარგითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებია ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელშიც საქართველოს რესპუბლიკა მონაწილეობს, დადგენილია მმ კანონისავან განხვავებული შესები, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

მუხლი 4. საქართველოს მოქალაქის მიერ ქონების საზღვარგარეთ გატანის უფლება

საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დროებით გადის საქართველოს რესპუბლიკიდან, უფლება აქვს საზღვარგარეთ ვარტანოს ნებისმიერი მოძრავი ქონება. რომელიც მას აქვს საკუთრების უფლებით ან კანონიერ საფუძველზე გადაცემულია მის მფლობელობაში ან (და) სარგებლობაში, თუ ეს აკრძალული არ არის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

თავი II. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისათვის საჭირო დოკუმენტები

მუხლი 5. საქართველოს მოქალაქის პასპორტი

საქართველოს მოქალაქეები საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით გადიან და საქართველოს რესპუბლიკაში შემოდიან. პასპორტით, რომელსაც ვასცემენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები.

პასპორტი ერთიანი ნიმუშისაა და ძალა აქვს საქართველოს რესპუბლიკიდან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გასვლისა და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლისათვის.

პასპორტი საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებაა.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, პასპორტის ნაცვლად შეიძლება გაიცეს მისი წემცვლელი დოკუმენტი.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაფორმებისა და გაცემის
წესს აღვენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.
მუხლი 6. საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადა
საქართველოს მოქალაქის პასპორტს ძალა აქვს გაცემის დღი-
დან 5 წლის მანძილზე.

საქართველოს მოქალაქის პატორტის მოქმედების ვადის გაგრელებით დაწნეულეს გულმა პირმა უნდა მიმართოს საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, ხოლო საქართველოში ყოფნისას — შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანობს.

გუნდი 7. შუამდგომლობა საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის გაცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასელისათვის პას-პორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღვრის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან და ქმედუნარიიან მოქალაქეებს. პასპორტის მისაღებად პირმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქეს პირადობის მოწმობა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი.

საქართველოს ოქსპუბლიკიდან დროებითი გასცლისათვის პას-
პორტის გაცემის თაობაზე შეამდგომლობა დაინტერესებულ პირს
შეაქვთ საქართველოს ოქსპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში
საქართველოს ოქსპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენი-
ლი წესით.

შუამდგომლობაში მოთითებული უნდა იყოს ყველა ის მონაცემი, რომლებიც შეიტანება პასპორტში.

შეამდგომლობას უნდა დაერთოს სანოტარო ან მასთან გათანაბრებული წესით დამოწმებული შემდეგი საბუთები:

1. თუ შეამდგომლობის ომძერელ პირს თან მიძყვებიან 14-დან 18 წლიმდე არასრულწლოვინი ბავშვები, — მათი წერილობითი თანხმობა კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად გამგზავრებას შე.

2. თუ შეამდგომლობის აღმძრელ კანონიერ წარმომადგენელს თან მიჰყებიან არასრულწლოვანი ბავშვები, ხოლო მეორე კანონიერი წარმომადგენელი ჩემიგა საქართველოში, — ამ უკანასკნელის თანხმობა არასრულწლოვანი ბავშვების საქართველოს რესპუბლიკითან დროებით გასცლაზე.



მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკიდან 16 წლამდე გასვლა
და ქმედუუნარო პირების დროებითი გასვლა

დაუშვებელია საქართველოს რესპუბლიკიდან 16 წლამდე
ბავშვის, აგრეთვე ქმედუუნარო პირის დროებითი გასვლა მისი კა-
ნონიერი წარმომადგენლის უნებართვოდ და სრულწლოვანი ქმედ-
უნარიანი პირის თანხლების გარეშე.

16-დან 18-წლამდე არასრულწლოვანის, თუ იგი არ იმყოფება
რეგისტრირებულ ქორწინებაში, საქართველოს რესპუბლიკიდან
დროებითი გასვლისათვის საჭიროა მისი კანონიერი წარმომადგენ-
ლის თანხმობა.

არასრულწლოვანს, აგრეთვე ქმედუუნარო პირს, რომელსაც
საზღვარგარეთ დროებით გამგზავრებისას თან არ ახლავს კანონიერი
წარმომადგენლები, ამ უკანასკნელთა შუამდგომლობის საფუძველზე
მიეცემა პასპორტი.

არასრულწლოვანი ან ქმედუუნარო პირის საქართველოს რეს-
პუბლიკიდან დროებითი გასვლის საკითხებზე კანონიერ წარმომად-
გენელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასა-
მართლო წესით.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის
პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის განხილ-
ვის გადა

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პას-
პორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობა განიხილება ერთი თვის
ვდებაში ყველა საჭირო საბუთის წარდგენის დღიდან, ხოლო თუ
დროებითი გასვლა დაკავშირებულია ქორწინებასთან, მეურნალო-
ბასთან, ახლო ნათესავის მძიმე ავადმყოფობასთან ან ვარდაცვალე-
ბასთან, მემკვიდრეობასთან, საქართველოს მოქალაქის საზღვარგა-
რეთ სასამართლო პროცესში მონაწილეობასთან, ან სხვა მნიშვნე-
ლოვან გარემოებებთან, — 3 დღის ვადაში.

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის
უფლების შეზღუდვის საფუძვლები

საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართვე-
ლოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის საქართველოს მო-



ქართველის პასპორტის გაცემაზე ან პასპორტის მოქმედების გაგრძელებაზე, აგრეთვე საზღვრის გადაკვეთაზე იმ შემთხვევაში.

ას:

1. მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
2. არ მოუზდია სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული სასჯელი;
3. მის მიმართ აღძრულია სამოქალაქო სამართლის სარჩელი;
4. შეუსრულებელი აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება;
5. წარმოადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს;
6. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. სახელმწიფო ორგანოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და უწყებების მონაცემები საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით გასვლასთან დაკავშირებით

საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით გასვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად სახელმწიფო ორგანოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და უწყებები ვალდებული არიან წარმოადგინონ ამ კანონის მე-10 მუხლში მითითებულ გარემოებათა დამაჯასტურებელი მონაცემები.

მუხლი 12. სახელმწიფო ბაჟი

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის ვაცემის თაობაზე შუამდგომლობის შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შეირ დადგენილი ოდენობითა და წესით.

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისათვის პასპორტის ვაცემაზე, პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებასა და საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის გასაჩივრება

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი ვასვლისათვის პასპორტის ვაცემაზე,



პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, საზღვრულობის მიზნებით გადა-
თახე, უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩინოს აღნიშნული გადა-
წყვეტილება, გარდა ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი, მე-2, მე-3
და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისა-
თვის პასპორტის გაცემის თაობაზე შუამდგომლობის
განხორციელვა

დაინტერესებულ პირს, რომელსაც უარი ეთქვა პასპორტის გა-
ცემაზე, ამავე საკითხზე შუამდგომლობის ხელმეორედ წარდგენის
უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს მიზე-
ზი, რომლის გამოც მას უარი ეთქვა პასპორტის გაცემაზე.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლისას საზღვრის
გადაკვეთისათვის სავალდებულო დოკუმენტები

საქართველოს მოქალაქეები საქართველოს რესპუბლიკიდან
გასვლისას საზღვრის გადაკვეთისას გადიან საპასპორტო კონტროლის
და პასპორტში ან მის შემცვლელ დოკუმენტში აღინიშნება საზღ-
ვრის გადაკვეთის თარიღი.

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლისას საზღ-
რის გადასაკვეთად მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმ სახელმწიფოში
შესასვლელი ვიზა, სადაც უშუალოდ მიემგზავრება.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებე-
ბის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გა-
სკლა შესაძლებელია უშიშოდაც.

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლა

საქართველოს მოქალაქეს ნებისმიერ დროს უფლება აქვს
შემოვიდეს საქართველოს რესპუბლიკაში, რისთვისაც ნებართვა არ
სეირდება.

თავი III. საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის უფლების
რეგულირების განსაკუთრებული შემთხვევები

მუხლი 17. საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლის შეზღუდვა მო-
ქალაქეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით

სხვა სახელმწიფოში საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში საქარ-
თველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს საქარ-

თველოს მოქალაქეს, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებით შეუზღუდოს მდ ქვეყანაში გასვლა გარკვეული ვადით. მინისტრთა კაბინეტის დადგენილება ასეთი შეზღუდვის შემოღებისა და გაუქმების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკიდან სამხედრო მოსამსახურების გასვლა

საქართველოს რესპუბლიკიდან დროებით გასული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც კანონის შესაბამისად ექვემდებარებიან ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახურის გავლას, გაწვევის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე ვალდებული არიან დაუკოვნებლივ ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკაში ვადიანი სამხედრო სამსახურის გასავლელად. ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურები და ოფიცირთა შემადგენლობის პირები პირად საქმეებზე საქართველოს რესპუბლიკიდან მიემგზავრებიან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით ვაფორმებული ნებართვით.

საქართველოს რესპუბლიკაში საომარი მღვომარეობის, ომის გამოცხაუების ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის უფლება აქვს შეზღუდოს წვევამდელთა, რეზერვისტთა და სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს რესპუბლიკიდან გასვლა.

მინისტრთა კაბინეტის დადგენილება ასეთ შეზღუდვათა შემოღებისა და გაუქმების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ეძუარდ შევარდნაშვილი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.

ვახტანგ გოგიაშვილი.



საქართველოს პარლამენტის დადგინდული მუნიციპალიტეტები

224 „საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რეს-კულტურიკიდან დროიგითი გაცელის და საქართველოს რესპუბლიკაში შეგოვდების წარმატება“ საქართველოს რესპუბლიკის პანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს მოქალა-ქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასკლის და სა-ქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის წესების შესახებ“ მოქ-მედეს 1994 წლის 7 თებერვლიდან.

საქართველოს პარლამენტის ხარისხის მოაღვილე ვახთანგ რეულიშვილი.

თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგინდული გადაწყვეტილება

225 საგადასახადო სისტემის საკითხებზე პანიკომოედთა პაკეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საგადასახადო სისტემის საკითხებზე კანონპროექტების პაკეტი: „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“, „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“, „საწარმოთა მოვალეობის (შემოსავლების) გადასახადის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“, „აქციზების შესახებ“, „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“, „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“, „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის ხარისხის მოაღვილე ვახთანგ რეულიშვილი.

თბილისი, 1993 წლის 7 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

226 „კულტურულ ღირებულებათა უკანონო ზემოთანის, პატანისა და საკუთრებულის უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიების გადახდათა შესახებ“ პარიზის კონვენციასთან საქართველოს რესპუბლიკის ზემოთვაბის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა პარიზის კონვენციის კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ“.

ეცნობოს ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდიგარს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაშვილი.

თბილისი, 1993 წლის 16 ავენტერი.

227 კონვენცია კულტურულ ღირებულებათა უკანონო ზემოთანის, გატანისა და საკუთრებულის უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიების გადახდათა შესახებ

1970 წლის 14 ნოემბერი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის გენერალურ კონფერენციას, რომელიც 1970 წლის 12-14 ნოემბერს შეიკრიბა პარიზში თავის მე-16 სესიაზე და შეგვასენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპების დეკლარაციის დებულებებს, რომლებიც გენერალური კონფერენციის მეთოთხმეტე სესიამ მიიღო 1968 წელს, მიაჩნია:



რომ ქვეყნებს შორის კულტურულ ღირებულებათა გაფართოება
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის გავრცელების შეზღუდვა
აღრმავებს კაცობრიობის ცივილიზაციის შესახებ ცოდნას, ამდიდ-
რებს ყველა ხალხის კულტურულ ცხოვრებას და ქვეყნებს შორის
ერთმანეთის პატივისცემას და ურთიერთგაებას იწვევს,

რომ კულტურული ღირებულებანი ხალხთა ცივილიზაციისა და
კულტურის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია და რომ იგი თავის
ჭეშმარიტ ღირებულებას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა ზუსტად
არის ცნობილი მისი შექმნის აღგილი, ისტორია და გარემო,

რომ ყოველი სახელმწიფო მოვალეა დაიცვას თავის ტერიტო-
რიაზე არსებული კულტურული ღირებულებანი ქურდობისაგან,
საიდუმლო გათხრებისა და უკანონო გატანისაგან,

რომ ამ საფრთხის აღსაკვეთად საჭიროა ყოველი სახელმწიფო
კულტურული უფრო მეტად განიმსჭვალოს როგორც საკუთარი კულტუ-
რული მონაპოვრის, ასევე ყველა ხალხის კულტურული მონაპოვრის
მიმართ ზნეობრივი ვალდებულების შეგნებით,

რომ შუზეუმები, ბიბლიოთეკები და არქივები, რომლებიც
კულტურის დაწესებულებებია, უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ
მათი კოლექციები საყოველოთაოდ აღიარებული ზნეობრივი პრინ-
ციპების საფუძველზე იქმნებოდეს,

რომ კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანას, გატა-
ნას და საკუთრების უფლების გადაცემას ზიანი მოაქვს ხალხთა
შორის ურთიერთგაებისათვის, რომელსაც ხელს უწყობს იუნესკო,
კერძოდ, სთავაზობს დაინტერესებულ სახელმწიფოებს შესაბამის
საერთაშორისო კონვენციებს,

რომ ეფექტურობის მიზნით კულტურული მონაპოვრის დაცვა
ორგანიზებული უნდა იყოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშო-
რისო მასშტაბით და სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობას
მოითხოვს,

იმის გათვალისწინებით, რომ იუნესკოს გენერალურმა კონფე-
რენციამ 1964 წელს მიიღო აშ საკითხზე რეკომენდაციები და ახალი
წინადაღებები, რომელთა მიზანია კულტურულ ღირებულებათა უკა-
ნონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის
აკრძალვა (სესიის დღის წესრიგის მე-19 პუნქტი),



იუნისკომ თავის მე-15 სესიზე, გადაწყვიტა, რომ ეს სკოლური
საერთაშორისო კონვენციის საგანი გახდებოდა და 1970 წლის 14
ნოემბერს იღებს ამ კონვენციას.

მუხლი 1

ამ კონვენციის მიზნებისათვის კულტურულ ღირებულებად
ითვლება სასულიერო თუ საერთო ხასიათის ღირებულებანი, რომ-
ლებიც ყოველ სახელმწიფოს მნიშვნელოვნად მიაჩნია არქეოლო-
გიისათვის, ისტორიამდელი პერიოდისთვის, ისტორიისთვის, ლიტე-
რატურისთვის, ხელოვნებისა და მეცნიერებისთვის და რომლებიც
ქუმოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს განეკუთვნება:

a) ფლორისა და ფაუნის, მინერალოგიის, ანატომიისა და იმ
ნივთიერების იშვიათი კოლექციები და ნიმუშები, რომლებიც სა-
ინტერესოა პალეონტოლოგიისთვის;

b) ღირებულებანი, რომლებიც განეკუთვნება ისტორიას, მათ
შორის მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიას, ომებისა და ჸაზო-
გადოებათა ისტორიას, აგრეთვე დაკავშირებულია ეროვნული მო-
ლდაწების, მოაზროვნების, მეცნიერებისა და მსახიობების ცხოვ-
რებასთან და დიდმნიშვნელოვან ეროვნულ მმებთან;

c) არქეოლოგიური მონაპოვრების (მათ შორის ჩემულებრივი
და საიდუმლო) და არქეოლოგიური აღმოჩენები;

d) დანაწევრებული მხატვრული და ისტორიული ძეგლების და
არქეოლოგიური ადგილების შემადგენელი ნაწილები;

e) 100 წელზე მეტი წეის ძეგლებური ნივთები, როგორიცაა
წარწერები, ნაბეჭდი მონეტები და ბეჭდები;

i) ეთნოლოგიური მასალები;

g) მხატვრული ღირებულებანი, როგორიცაა:

I) ნებისმიერი საშუალებითა და ნებისმიერი მასალით
ერთიანად ხელით შესრულებული ტილოები, სურათები
და ნახატები (ნახაზებისა და ხელით შემკული სამრეწ-
ველო ნაწარმის გარდა);

II) ქანდაკების ხელოვნების ორიგინალური ნაწარმოებები
ნებისმიერი მასალისგან;

III) ორიგინალური გრავიურები, ესტამპები და ლითოგრა-
ფია;



IV) ორიგინალური მხატვრული შენარჩევი და მოქადაცებული ბისმიერი მასალისგან;

h) იშვიათი ხელნაშერები და ინკუნაბულები, ძველი წიგნები, გუგრები და გამოცემები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს (ცტორიულ, მხატვრულ, სამეცნიერო, ლიტერატურულ და სხვა ინტერესს) იწვევს ცალ-ცალკე და კოლექციებად;

i) საფოსტო მარკები, საგადასახადო და ანალოგიური მარკები, ცალ-ცალკე ან კოლექციებად;

j) არქივები, მათ შორის ფონო, ფოტო და კინოარქივები;

k) 100 წელზე მეტი წელის ავეჯი და ძველებური მუსიკალური საკრავები.

მუხლი 2

1. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ, რომ კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანა, გატანა და საკუთრების უფლების გადაცემა ამ ღირებულებათა შემქმნელი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გაღარიბების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია და რომ საერთაშორისო თანამშრომლობა ყოველგვარი საფრთხისგან თითოეული ქვეყნის კულტურულ ღირებულებათა დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალებაა.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით წინ აღუღნენ ამგვარ პრაქტიკას, აღმოფხვრან მისი მიზეზები, აღკვეთონ იგი და ხელი შეუშეყონ გამოწვეული ზარალის სათანადო ანაზღაურებას.

მუხლი 3

უკანონიდ ითვლება კულტურულ ღირებულებათა შემოტანა, გატანა და საკუთრების უფლების გადაცემა, თუ ირღვევა • წესები, რომლებიც დამკვიდრებულია მონაწილე სახელმწიფოებში ამ კონვენციის შესაბამისად.

მუხლი 4

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ, რომ, წინამდებარე კონვენციის მიზნების შესაბამისად, თითოეული სახელმწიფოს კულტურული მემკვიდრეობა შეიცვას ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიათა ღირებულებებს:



- a) კულტურული ღირებულებანი, რომლებიც შექმნეს მუსიკური სახელმწიფოს ცალკაულმა მოქალაქეებმა ან მოქალაქეთა კოლექტივებმა, და კულტურული ღირებულებანი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სახელმწიფოსთვის და ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შექმნეს ცეკვილმა მოქალაქეებმა ან მოქალაქეობის არმქონე პირებმა, რომლებიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ;
- b) კულტურული ღირებულებანი, რომლებიც აღმოჩენილია ეროვნულ ტერიტორიაზე;
- c) კულტურული ღირებულებანი, რომლებიც არქეოლოგიურმა, ეთნოლოგიურმა და საბუნებისმეტყველო ექსპედიციებმა შეიძინეს იმ ქვეყნის კომპეტენტურ ხელისუფალთა თანხმობით, სადაც შეიქმნა ეს ღირებულებანი;
- d) კულტურული ღირებულებანი, რომლებიც შეძენილია ნება-ყოფლობითი გაცვლის შედეგად;
- e) კულტურული ღირებულებანი, რომლებიც საჩუქრად მიიღეს ან კანონიერად იყოდეს იმ ქვეყნის კომპეტენტურ ხელისუფალთა თანხმობით, სადაც ეს ღირებულებანი შეიქმნა.

მუხლი 5

უკანონო შემოტანა-გატანისა და საკუთრების უფლების გაცემისაგან თავიანთი კულტურულ ღირებულებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ შექმნან თავიანთ ტერიტორიაზე, თაოთვეული ქვეყნის პირობების შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ერთი ან რამდენიმე ეროვნული სამსახური, თუ ასეთი სამსახურები ჯერ შექმნილი არ არის, უზრუნველყონ ისინი ისეთი რაოდენობის კვალიფიციური პერსონალით, რომელიც აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების ეფუძნებული განხორციელებისათვის:

- a) ხელი შეუწყონ საკანონმდებლო და მარეგლამენტირებელი ტექსტების პროექტების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფან კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და, კერძოდ, მნიშვნე-



ლოვან კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანა-გაცემის
და საკუთრების უფლების გადაცემის აღკვეთას; გიგანტის

б) ეროვნული დამცავი რეესტრის ბაზაზე შეადგინონ და განა-
ახლონ სახელმწიფო და კერძო დიდმნიშვნელოვან კულტურულ
ღირებულებათა ნუსხა, რომელთა გატანა მნიშვნელოვნად გააღარი-
ბებდა ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობას;

с) ხელი შეუწყონ კულტურულ ღირებულებათა დაცვისა და
პოპულარიზაციისათვის საჭირო სამეცნიერო და ტექნიკური დაწე-
სებულებების (მუზეუმების, ბიბლიოთეკების) არქივების, ლაბორა-
ტორიების, სახელოსნოების და სხვათა განვითარებას და შექმნას;

д) კონტროლი დაუწესონ არქეოლოგიურ გათხრებს, უზრუნველ-
ყონ გარევეულ კულტურულ ღირებულებათა დაცვა ch sitn (თავის
ადგილას) და დაიცვან ზოგიერთი რაიონი, სადაც გათვალისწინებუ-
ლია მომავალი არქეოლოგიური გათხრები;

ე) დაინტერესებულ პირებს (შემნახველებს, კოლექციონერებს,
ანტიკვარიატებსა და სხვებს) შეუდგინონ ამ კონვენციაში ჩამოყა-
ლიბებული ეთიკური პრინციპების შესაბამისი წესები და თვალყუ-
რი ადევნონ მათს შესრულებას;

ვ) გასწიონ აღმზრდელობითი საქმიანობა, რათა ხალხს გაუღვი-
ძონ და ჩაუნერგონ ყველა სახელმწიფოს კულტურულ მონაპოვარ-
თა პატივისცემა და პოპულარიზაცია გაუწიონ ამ კონვენციის ღი-
რებულებებს;

გ) თვალყური ადევნონ, რომ კულტურულ ღირებულებათა და-
კრებვების ყოველ შემთხვევას შესაბამისი გამზარება მოჰყვეს.

მუხლი 6

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კის-
რულობენ:

ა) შემოიღონ შესაბამისი მოწმობა, რომლითაც ექსპორტიორი
სახელმწიფო დაადასტურებს, რომ გაცემული აქვს ერთი ან რამ-
დენიმე კულტურული ღირებულების გატანის ნებართვა. ეს მოწ-
მობა უნდა დაერთოს ერთ ან რამდენიმე კულტურულ ღირებულე-
ბას, რომლებიც არსებული წესების შესაბამისად გააქვთ;



b) აკრძალოს თავისი ტერიტორიიდან იმ კულტურულ მნიშვნელობათა გატანა, რომლებსაც დართული არ ექნება შემოწმებული მული მოწმობა;

c) სათანადოდ გააცნოს ეს აკრძალვა საზოგადოებრიობას და, კკრძოდ, იმ პირთ, რომლებმაც ჟეიძლება გაიტანონ ან შემოიტანონ კულტურული ღირებულებანი.

მუხლი 7

ამ კონვენციის მონაშილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ:

a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ყველაფერი იღონონ იმისთვის, რომ აღკვეთონ მათ ტერიტორიაზე არსებული მუზეუმებისა და სხვა ისეთი დაწესებულებების მიერ კონვენციის მონაშილე სხვა სახელმწიფოში შექმნილ იმ კულტურულ ღირებულებათა შეძენა, რომლებიც უკანონოდ შემოიტანეს ქვეყანაში წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როცა ეს შესაძლებელია, შესთავაზონ ამ კონვენციის მონაშილე სახელმწიფოს ისეთი კულტურული ღირებულების დაბრუნება, რომელიც უკანონოდ შემოიტანეს ორივე სახელმწიფოში ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ;

d)i) აკრძალონ იმ კულტურულ ღირებულებათა შემოტანა, რომლებიც დაინტერესებულ სახელმწიფოებში ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ მოიპარეს კონვენციის მონაშილე სხვა სახელმწიფოს მუზეუმიდან თუ სასულიერო ან საერთო ისტორიული ძეგლიდან ან სხვა ამგვარი დაწესებულებიდან, გაითვალისწინონ, რომ ეს ღირებულება უნდა ირიცხებოდეს ამ დაწესებულების კუთვნილი საგნების ნუსხაში;

ii) მონაშილე სახელმწიფოს მოთხოვნით შესაბამისი ღონისძიებანი იხმარონ ყოველი ისეთი კულტურული ღირებულების მისაგნებად და დასაბრუნებლად, რომლებიც შემოტანილია ორივე დაინტერესებულ სახელმწიფოში ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ იმ პირობით, რომ მოთხოვნელი სახელმწიფო სამართლიანად უნაზღაურებს ხარჯებს კეთილსინდისიერ მყიდველსა თუ პირს, რომელსაც ნამდვილი უფლება აქვს ამ ღირებულებაზე. ძებნისა და დაბრუნების თაობაზე თხოვნა დიპლომატიური არხებით



იგზაუნება. მომთხოვნი მხარე თავის ხარჯზე ჭარადგენს კის-რულობენ ტაციას და სხვა საბუთებს, რომლებიც საჭიროა ძებნისა და დაბრუნების თაობაზე მოთხოვნის უფლების დასადგენად. მხარეები ბაჟით თუ სხვა მოსაკრებლებით არ ბეგრავენ კულტურის ღირებულებებს, რომლებიც ამ მუხლის შესაბამისად უბრუნდება პატრიონს. ყველა ხარჯს, რომლებიც დაკავშირებული იქნება ერთი ან რამდენმე აღნიშნული კულტურული ღირებულების დაბრუნებასთან, მომთხოვნი მხარე გაიღებს.

მუხლი 8

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კის-რულობენ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სასჯელი და ადონ ყველას, ვინც პასუხს აგებს 6b და 7b მუხლებით გათვალისწინებული აქტალურების დარღვევისათვის.

მუხლი 9

ამ კონვენციის მონაწილე ყოველ სახელმწიფოს, რომლის კულტურულ მემკვიდრეობას არქეოლოგიური თუ ეთნოლოგიური მასალების მოპარვის საფრთხე ექმნება, შეუძლია მიმართოს სხვა მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებსაც ეს ეხებათ. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ასეთ შემთხვევაში ვალდებულებას კის-რულობენ მონაწილეობა მიიღონ სათანადო კონკრეტული ღონისძიებების, მათ შორის შესაბამისი კონკრეტული კულტურული ღირებულების შემოტანა-გატანისა და საერთაშორისო ვაჭრობისაღმი კონტროლის განსაზღვრა-განხორციელების საქმეში. შეთანხმებულ საერთაშორისო ძალისხმევაში. შეთანხმებამდე ყოველი დაინტერესებული სახელმწიფო შეძლებისდაგვარად წინასწარ ღონისძიებებს მიმართავს იმისათვის, რომ გამოუსწორებელი ზიანი არ მიაღეს მოხოვნელი სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრეობას.

მუხლი 10

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კის-რულობენ:

ა) განათლების, ინფორმაციისა და სიფხიზლის მეშვეობით შეზღუდონ კულტურულ ღირებულებათა გადაზიდვა, რომლებიც უკანონოდ არის გამოტანილი ამ კონვენციის მონაწილე ნებისმიერი სა-



ხელმწიფოებიდან, და თითოეული ქვეყნის პირობების მეშვეობით სისხლის სამართლის სანქციების გამოყენების გზით დაავალონ ანტიკუარებს, რომ აწარმოონ რეესტრი. რომელშიც მიუთითებენ თითოეული კულტურული ღირებულების წარმომავლობას, მიმწოდებლის გვარსა და მისამართს, ყოველი გაყიდული ნივთის აღწერას და ფასს, აგრეთვე კულტურულ ღირებულებათა მყიდველებს შეატყობინონ, რომ შესაძლებელია ამ ღირებულებათა გატანაზე აკრძალვის გავრცელება:

b) საგანმანათლებლო საშუალებების მეშვეობით შექმნან და განავითარონ საზოგადოებრივი აზრი კულტურულ ღირებულებათა მნიშვნელობის შესახებ განამტკიცონ შეგნება იმისა, თუ რა საფრთხეს უქმნის კულტურულ მემკვიდრეობას ქურდობა. ფარული გათხრები და უკანონო გატანა.

მუხლი 11

უკანონოდ ოფელება აგრეთვე კულტურული ღირებულების იულებითი გატანა უა საკუთრების უფლების გადაცემა, როცა ეს უცხო სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ოკუპაციის პირდაპირი თუ ირიბი შედეგია.

მუხლი 12

ამ კონვენციის მონაშილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ კულტურულ მონაპოვრებს იმ ტერიტორიებზე, რომელთა საგარეო ურთიერთობის გაძლიერისათვისაც პასუხისმგებლობა იქსრეს, და შესაბამის ღონისძიებებს მიმართავენ ამ ტერიტორიებზე კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანა-გატანისა და საკუთრების ლფლების გადაცემის ასაკრძალად და აღსაკვეთად.

მუხლი 13

ამ კონვენციის მონაშილე სახელმწიფოები, გარდა ამისა, ვალდებულებას კისრულობენ თითოეული სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად:

a) ყოველნაირად აღკვეთონ კულტურულ ღირებულებათა საკუთრების უფლების გადაცემა, რომელიც ხელს უწყობს ამ ღირებულებათა უკანონო შემოტანა-გატანას;

b) ყველაფერი იღონონ იმისთვის, რომ მათი კომპიუტერული სამსახურები თანამშრომლობდნენ უკანონოდ გატანილი კულტურის ღის ღირებულებების რაც შეიძლება მაღვ დაბრუნების მიზნით;

c) ხელი შეუწყონ დაკარგულ ან მოპარულ კულტურულ ღირებულებათა დასაბრუნებლად სარჩელის აღმდეგის, როცა ან სარჩელს კანონიერი შესაკუთრე ან მისი სახელით სხვა აღმდეგის;

d) გარდა ამისა, ცნონ ამ კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფოს შეუწლუდავი უფლება იმისა, რომ ზოგიერთ კულტურულ ღირებულებებს მისცეს კლასიფიკაცია და გამოცხადოს გაუსხვისებლად, რის გამოც მათი გატანა შეუძლებელი იქნება, და ხელი შეუწყონ იმას, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოებს დაუბრუნდეთ ადრე გატანილი ამგვარი კულტურული ღირებულებანი.

მუხლი 14

უკანონი გატანა რომ აღიკვეთოს და აღსრულდეს ამ კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებანი, კონვინციის მონაწილე თითოეულმა სახელმწიფომ შეძლებასდაგვარად უნდა გამოუყოს ხევმარისი სახსრები კულტურული შემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სამსახურებს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შექმნას ზემოხსენებული მიზნებისთვის გათვალისწინებული ფონდები.

მუხლი 15

ეს კონვენცია არანაირად არ უშლის ხელს მონაწილე სახელმწიფოებს დაღონ ერთმანეთს შორის საგანგებო შეთანხმებანი ან განავრძონ უკვე დადებულ შეთანხმებათა ვამოყენება იმ კულტურულ ღირებულებათა დასაბრუნებლად, რომლებიც მათი შექმნის ადგილიდან ჩაიმე მიზეზით გაიტანეს დაინტერესებულ სახელმწიფოებში ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე.

მუხლი 16

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები პერიოდულ მოხსენებებს წარუდგენენ დადგენილი ფორმითა და განსაზღვრულ ვალებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნი-

ერებისა და კულტურის გენერალურ კონფერენციის, გააცნობოთ
მას საქანონმდებლო და მარეგლამენტებელ დებულებებს და სხვა
რონისძიებებს. რომლებიც განახორციელეს ამ კონვენციის შესრუ-
ლების მიზნით, აგრეთვე გაუზიარებენ ამ სფროში შეძენილ გამოც-
დილების.

ঘৃঙ্খলা ১৭

1. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ ტექ-
ნიკური ხელშეწყობა სთხოვონ გაერთიანებული ერების განათლე-
ბის, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის, კერ-
ძოლ, იმ საკითხებში, რომლებიც ეხება:

- a) ინფორმაციას და განათლებას;
b) კონსულტაციებსა და ექსპერტთა მხრივ მომსახურებას;
c) კოორდინაციას და თავაზიან სამსახურს.

2. გაერთიანებული ერების განათლების, მცუნიქრებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის შეუძლია თავისი ინიციატივით მოაწყოს კვლევა და გამოაქვეყნოს მონოგრაფიები იმ საკითხებზე, რომლებიც კულტურულ ღრებულებათა უკანონო გატანა-შემოტანის შეეხება.

3. ამ მიზნობ გაერთიანებული ერების განათლების, შეცნიერებისა და კულტურის საყითხთა ორგანიზაციის შეუძლია იგრეთვე ითანაბაზრობლოს ნებისმიერ კომპეტენტურ საზოგადოებრივ ორგანიზაციისთან.

4. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საყითხთა ორგანიზაციის თავისი ინიციატივით შეუძლია მონაწილე სახელმწიფოებს შესთავაზოს წინადაღებანი, რომელთა მიზანი იქნება ამ კონვენციის შესრულება.

5. კონვენციის მონაწილე სულ ცოტა ორი სახელმწიფოს თხოვნით, რომელთა შორისაც უთანხმოება წამოიჭრება მისი გამოყენების გამო, იუნესკოს შეუძლია თავისი ქეთილი სამსახური შესთავაზოს შეთანხმების მისაღწევად.

ပုဂ္ဂန်လောက 18

ეს კონვენცია შედგენილია ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, თანაც თთხივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვა.



გუნდი 19

1. ამ კონვენციის რატიფიცირება ან მიღება უნდა მოხდეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მიერ მათი კონსტიტუციურებით გაფასისწინებული წესით.

2. სარატიფიკაციო სიგელები ან მიღების ქტები შესანახად ჩაპარდება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის ვენერალურ დირექტორს.

აუგვისტო 20

1. ამ კონვენციას შეიძლება შეუტოდეს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის წევრი არ არის და რომელიც ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოსაგან მიიღებს სამისო მიწვევას.

2. შეერთება ხდება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის გენერალური დირექტორისთვის შეერთების აქტის შესანახად ჩაბარების მეშვეობით.

အုပ္ပန် ၃၁

ეს კონვენცია ძალაში შედის, მესამე სარატიფიკაციო სიგელის, ან მიღებისა თუ შეერთების აქტის ჩაბარებიდან სამი თვის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებმაც აღნიშნულ დღეს ან უფრო დღრე ჩაბარებს შესანახად თავიაზორ რატიფიკაციის, მიღებისა თუ შეერთების აქტები. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ კონვენცია ძალაში შედის იმ დღითამ სხმი თვის შემდეგ. რაც მან შესანახად ჩაბარა რატიფიკაციის, მიღებისა თუ შეერთების თავისი აქტი.

გუნდი 22

ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ცუნდენ, რომ მისი
მოქმედება ვრცელდება არა მარტო მათი მეტროპოლიის ტერიტო-
რიაზე.



რიაზე, არამედ იმ ტერიტორიებზეც, რომელთა საგარეო ურთიერთობა
თობისთვისაც ისინი პასუხისმგებელნი არიან: ისინი ვალდებულე-
ბას კისრულობენ, რატიფიკაციის, მიღებისა თუ შეერთების მო-
მენტში, ან კიდევ უფრო აღრე, თუ საქირო იქნება, მოეთათბირონ
აღნიშნულ ტერიტორიათა მთავრობებს ან კომპეტენტურ ხელისუ-
ფალთ. რათა უზრუნველყონ კონვენციის განხორციელება ამ ტე-
რიტორიებზე, აგრეთვე აცნობონ გაერთიანებული ერების განათ-
ლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის გა-
ნერალურ დირექტორს იმ ტერიტორიების შესახებ, სადაც ეს კონ-
ვენცია განხორციელდება. ეს ნოტიფიკაცია ძალაში შედის მისი
მიღების დღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 23

1. ამ კონვენციის მონაწილე ყოველ სახელმწიფოს შეუძლია
ვაუქმოს ეს კონვენცია თვეის სახელით ან ნიბისმიერი იმ ტერი-
ტორიის სახელით, რომლის საგარეო ურთიერთობისთვისაც იგი პა-
სუხისმგებელია.

2. დენონსაცია ნოტიფიცირდება შერილობითი აქტით, რომე-
ლიც ვაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულ-
ტურის საკითხთა ორგანიზაციის კენერალურ დირექტორს ბარება.

3. დენონსაცია ძალაში შედის დენონსაციის შესახებ აქტის
მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ.

მუხლი 24

1. ვაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და
კულტურის საკითხთა ორგანიზაციის კენერალური დირექტორი
ირგანიზაციის წევრ სახელმწიფოებსა და იმ სახელმწიფოებს,
რომლებიც ორგანიზაციის წევრები არ არიან და მე-20 მუხლში
მოიხსენებიან, აგრეთვე ვაერთიანებული ერების ორგანიზაციის აც-
ნობებს, რომ შესანახად ჩაბარებული აქვს რატიფიკაციის, მიღები-
სა თუ შეერთების ყველი აქტი, რომლებიც მოიხსენიებულია მე-19
და მე-20 მუხლებში, აგრეთვე ნოტიფიკაციისა და დენონსაციის აქ-
ტები, რომლებიც მითითებულია 22-ე და 23-ე მუხლებში.

მუხლი 25

1. ეს კონვენცია შეიძლება გადასინჯოს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის გენერალურმა კონფერენციამ, მაგრამ მისი გადასინჯული ტექსტი სავალდებულო იქნება მხოლოდ იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც გადასინჯული კონვენციის მხარეები გახდებიან.

2. თუ გენერალური კონფერენცია ამ კონვენციის სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვის შედეგად ახალ კონვენციას მიღებს და თუ ახალ კონვენციაში სხვა მითითებანი არ შევა, ეს კონვენცია დაიხურება რატიფიკაციისთვის, მიღებისა თუ შეერთებისთვის გადასინჯული ტექსტის შემცველი ახალი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 26

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის თანახმად, ეს კონვენცია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის გენერალური დირექტორის თხოვნით რეგისტრაციაში გატარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

საქართველოს პარლამენტის დადგინდება

228 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლი კის თაობაზე წინადაღების მოსამაღებელი სამუშაო ჯგუფის უფანის უსახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის (დროშა, გერბი, ჰიმნი) თაობაზე წინადაღებების მოსამაღებელი სამუშაო ჯგუფი.



2. დაევალოთ საქართველოს პარლამენტის კულტურის კულტურული და მეცნიერების კომისიებს შეიმუშაონ ერთობლივ გადადებები საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის გოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობისა და მისი მუშაობის რეგლამენტის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი

თბილისი, 1993 წლის 16 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის ლაღიანილება

229 საქართველოს პარლამენტის მოწვევლობის, მუნიცი-
ლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმუ-
ლობისა და კომუნალური მუნიციპალიტეტის კომისიის უმაღლეს-
ლობაში ცვლილების უსახელი

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი ზურაბ ქველაძე საქართვე-
ლოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის,
ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეო-
ბის კომისიის წევრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი

თბილისი, 1993 წლის 16 დეკემბერი.



„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ სა-
230 პარტველოს რეკურსების კანონის კანონის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართვე-
ლოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

2. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართ-
ველოს რესპუბლიკის კანონის მიღებასთან დაკავშირებით ვაუქმდეს
„საგადასახადო სისტემის ზოგადი საფუძვლების შესახებ“ საქართ-
ველოს რესპუბლიკის კანონი (საქართველოს რესპუბლიკის უზე-
ნესი საბჭოს უწყებები, 1991 წ. № 7, მუხ. 480).

3. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ პარ-
ლამენტის იურიდიულ, საფინანსო-საბიუჯეტო და მართლწესრიგისა
და კანონიერების დაცვის კომისიებთან ერთად ერთი თვის ვადაში
მოამზადოს და პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს წინა-
დადებები საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების
ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ა) ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს თავისი დადგენილებების
„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ კანონთან შესა-
ბამისობაში პოვანა;

ბ) 1994 წლის 1 აპრილამდე მოამზადოს და საქართველოს რეს-
პუბლიკის პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს კანონპროექტი
„რასაგადასახადო შემოსავლის შესახებ“.

არასაგადასახადო შემოსავლის შესახებ სათანდო კანონის მი-
ლებამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შენარჩუნე-
ბულ იქნეს აღნიშნული შემოსავლის გადახდევინების მოქმედი წესი;

გ) შეიმუშაოს და 1994-95 სასწავლო წლის საშუალო სკოლე-
ბის პროგრამაში შემოიღოს საგადასახადო კანონმდებლობის კურსი;

დ) გამართოს მოლაპარაკება უცხოეთის სახელმწიფო ორგანიზაციებთან შე-
მოსავლის (მოგების) და ქონების ორმაგი დაბეგვრის თვეიდან იცი-
ლების თაობაზე.

5. საბაჟო გადასახადის, სახელმწიფო ბაჟის, გარემოზე ზუსტებულობა
მედების გადასახადის, სატრანსპორტო საშუალებების გადასახადის,
საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციისათვის და სამეწარმეო საქ-
მიანობას რეგისტრაციისათვის გადასახადის შესახებ კანონების
მიღებამდე შენარჩუნებულ იქნეს ამ გადასახადების გადახდევინე-
ბის მოქმედი წესი, ხოლო „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის
გადასახადის შესახებ“ კანონის მიღებამდე — სატყეო შემთხვევლის,
წარით სარგებლობის გადასახადისა და წყლის გადასახდელის გა-
დახდევინების მოქმედი წესი.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებს, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექტიას მომზადონ კომენტარები საგადასახადო კანონთა პაკეტის გამოყენების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში უზრუნველყოს. მათი გამოცემა.

7. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო, მართლწესრიგისა და კენონიერების დაცვის, იურიდიულმა კომისიებმა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ორი თვის ვადაში მოამზადონ წინადაღებები კონტროლის პალატის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის საკონტროლო ფუნქციების დაზუსტებისა და გამიჯვნის შესახებ და წარუდგინონ პარლამენტს განსახილველად.

8. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაშვილი

თბილისი, 1993 წლის 21 დეკემბერი.



231 საგადასახადო ცისტემის საფუძვლების უსახები

„საგადასახადო ცისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი განსაზღვრავს საგადასახადო ცისტემის მოწყობის ზოგად პრინციპებს, საქართველოს რესპუბლიკაში გადასცხადებს, გადასახდელებს, მოსაკრებლებს და სახელმწიფო ბაჟს, აქტეოთვე გადამხდელების უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას. საქართველოს რესპუბლიკაში ხორციელდება ერთიანი საგადასახადო პოლიტიკა ავტონომიური რესპუბლიკებისა და აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ინტერესების გათვალისწინებით.

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საგადასახადო ცისტემა, გადასახადები და ბაჟი საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ცისტემა მოიცავს საგადასახადო სამსახურის ორგანოებს, საგადასახადო ურთიერთობის მარეკულინებელ სამართლებრივ ნორმებსა და გადასახადების, მოსაკრებლებისა და ბაჟის სახით საბიუჯეტო ცისტემაში აუცილებელი გადასახადების ერთობლიობას.

გადასახადებში და მოსაკრებლებში იგულისხმება საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო ცისტემაში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში აუცილებელი ანარიცხები (შენატანები), რასაც გადამხდელები იხლიან კანონით გათვალისწინებული წესითა და ვადებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებების დაქმაყოფილების მიზნით.

ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში აუცილებელი შენატანები, რომელიც იხდიან იურიდიული და ფინანსური პირები სახელმწიფო ორგანოების მხრივ გაწეული განსაზღვრული მომსახურებისა და ქმედებისათვის ამ კანონითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საქანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული წესით.



მუხლი 2. გადასახადების, მოსაკრებლებისა და ბაჟის შემთხვევა ბის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადასახადების შემოღების ან გაუქმების უფლება აქვს საქართველოს პარლამენტს და ამ კანონის შესაბამისად თავიანთი კომიტეტის ფარგლებში აუტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებსა და აღგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებს. ამ უფლების განხორციელება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და სხვა საქანონ-მდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 3. გადასახადის გადამხდელები

გადასახადის გადამხდელები არიან იურიდიული პირები, სხვა ქატეგორიის გადამხდელები და ფიზიკური პირები, რომლებსაც საკუნძულებლო აქტების შესაბამისად ეკისრებათ გადასახადის გადახდა.

ამ მუხლში მითითებულ გადამხდელებს შემდგომში ეწოდება გადასახადის გადამხდელები.

მუხლი 4. გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვა

გადასახადის გადამხდელები ექვემდებარებიან სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში აუცილებელ აღრიცხვას გადამხდელის ადგილმდებარეობის ან მათი საქმიანობის ადგილის მიხედვით, ამასთან ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები საანგარიშორეგი და სხვა ანგარიშებს უსხსნიან საწარმოებს მხოლოდ საგადასახადო ორგანოში მათი აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

საგადასახადო ორგანოში აღრიცხვის უქონლობა ბიუჯეტის წინაშე საგადასახადო ვალდებულების დადგომის მომენტისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, განიხილება, როგორც დასაბეგრი ობიექტის დამალვა.

მუხლი 5. გადასახადით დაბეგვრის ობიექტები

გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოგება (შემოსავალი), საქონლის ღირებულება, გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ცალკეული სახეობა, ფასიანი ქაღალდების ოპერაციები, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა



ქონება, იურიდიული შემთხვევების მოქმედების შესრულებულობის შესაბამისად საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული სხვა ობიექტები.

მუხლი 6. საგადასახადო განაკვეთის დაწესება

1. საგადასახადო განაკვეთებისა და გადასახადის ოდენობას აწესებს საქართველოს პარლამენტი და ამ კანონის შესაბამისად თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები და აღვილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები.

2. გადასახადის დაბეგვრის რეუიმის შეცვლა ხორციელდება ქონკრეტული გადასახადის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით.

3. საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საგადასახადო საკითხებთან, არ შეიძლება განსაზღვრავდნენ დაბეგვრის განსაკუთრებულ წესს, გადასახადისაგან განთავისუფლებას ან შეღავათების მინიჭებას.

4. კანონებს, რომლებიც გამოიწვევს გადასახადების ოდენობის შეცვლას, უკუკეცვითი ძალა არა აქვთ.

მუხლი 7. გადასახადებისაგან მიღებული სახსრების განაწილება

სხვადასხადებისაგან მიღებული სახსრების განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის გადასახადებისაგან მიღებული სახსრების განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ხორციელდება ამ კანონით, „საბიუჯეტო სისტემისა და უფლების შესახებ“ კანონითა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 8. საგადასახადო შეღავათები

გადასახადებზე საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესითა და პირობებით შეიძლება დადგინდეს შეღავათები:

- გადასახადით დასაბეგრი ობიექტის დაუბეგრავი მინიმუმი;
- გადასახადით დასაბეგრი ობიექტიდან გარკვეული ელემენტების ამოღება;
- გ) გადასახადის განაკვეთის შემცირება;
- დ) გადასახადით დასაბეგრი ობიექტის შემცირება;
- ე) გადასახადის თანხის შემცირება;



3) მიზნობრივი საგადასახადო შეღავათები, საგადასახადო კრედიტების ჩათვლით (გადასახადების გადავადება);

4) საქმიანობის სფეროებზე, ტერიტორიულ ერთეულებსა და დარგებზე;

5) უცხოური კაპიტალის სტიმულირება;

6) განათლების, კულტურისა და მეცნიერების სტიმულირება;

7) ჰუმანური მიზნებისა და ქველმოქმედების სტიმულირება.

ყველა სახის საგადასახადო შეღავათი გამოიყენება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აკრძალულია ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შეღავათების მინიჭება.

მუხლი 9. გადასახადის გადამხდელთა შოვალეობაზი და საგადასახადო ვალდებულებები

1. გადასახადის გადამხდელი ვალდებულია:

ა) სწორად გამოიანგარიშოს გადასახადები და დროულად და სრული ოდენობით, გადაიხადოს იგი ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში;

ბ) აწარმოოს საბუღალტრო ორიცხვა დადგენილი წესით. შეადგინოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანგარიშები. უზრუნველყოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საბუღალტრო დოკუმენტაციების შენახვა სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში;

გ) აღმოუჩინოს დახმარება საგადასახადო სამსახურებს შემოწმების ჩატარებისას;

დ) წარუდგინოს საგადასახადო სამსახურებს გადასახადების გამოსაანგარიშებლად და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები და შონაცემები;

ე) შეიტანოს შესწორებები საბუღალტრო ონგარიშგებაში შემოწმებებით გამოვლენილი დამალული ან შემცირებული მოვების (წემოსავლის) თანხის ოდენობით;

ვ) საგადასახადო სამსახურების მიერ ჩატარებული შემოწმების აქტებში მოცემულ ფაქტებთან უთანხმოების შემთხვევაში წარადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება ამ აქტის ხელის მოწერაზე უარის მოტივებით;



ზ) შეასრულოს საგადასახადო სამსახურების მოთხოვნების მოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად;

თ) დაუშვას სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაკება საჭარმოო, სასაწყობო, სავაჭრო, სამსახურებრივი შენობების, სატრანსპორტო საშუალებების, ქონების შენახვისა და გამოყენების ადგილების გამოსაკვლევად, რომლებიც გამოყენებულია სამეწარმეო საქმიანობისათვის და შემოსავლის მისაღებად;

ი) წარუდგინოს საგადასახადო სამსახურებს საგადასახადო შეღავათების დამადასტურებელი დოკუმენტები;

კ) მესაკუთრის (უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს) ანდა სკასამართლოს გადაწყვეტილებით იურიდიული პირის ლიკვიდაციის (რეორგანიზაციის) თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ ათი დღის ვადაში აცნობოს საგადასახადო სამსახურებს;

ლ) სწორად დააკავოს საშემოსავლო გადასახადი მათ მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული შემოსავლიდან და დროულად გადარიცხოს დაკავებული თანხები ბიუჯეტში;

მ) გადასახადის ვადის დაზგომამდე ჩააბაროს საგადასახადო დავალება ბანკის შესაბამის დაწესებულებებს გადასახადების ბიუჯეტში გადასარიცხად.

ასეთი ოპერაციების მომსახურებისათვის იურიდიული და ფიზიკური პირები საფასურს არ იხდიან.

2. საგადასახადო ვალდებულებები წარმოიშობა გადასახადის გადამხდელის მიერ მოგების (შემოსავლის) მიღებასთან დაკავშირებით, ან როცა მას კანონიერ საფუძველზე აქვს სხვა დასაბეგრი მიზეული გადასახადთან გათანაბრებული ბიუჯეტში სავალდებულო გადასახდელი).

3. საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით საკანონმდებლო აქტებით დგინდება:

გადასახადის გადამხდელი (გადასახადის სუბიექტი);

დაბეგვრის ობიექტი;

დაბეგვრის ერთეული;

გადასახადის განაკვეთი;

გადახდის ვადები;

გადასახადით დაუბევრავი შემოსავლის მინიმუმი;

გადასახადის გადამხდელისა და სახელმწიფო საგადასახადო ინტერესის უფლება, მოვალეობა და პასუხისმგებლობა;

საგადასახადო შეღავათები და პრივილეგიები;

ბიუჯეტი, რომლის შემოსავალშიც ჩაიტიცხება გადასახადი.

4. ფიზიკური პირის საგადასახადო ვალდებულება წყდება მისი შესრულებით, გადასახადის გაუქმებით ან გადასახადის გადამხდელის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაშილეობის გარეშე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დაწესებული.

5. იურიდიული პირისა და ამ სტატუსის არმქონე საწარმოს ვალდებულება გადასახადის გადახდაზე წყდება მათ მიერ გადასახადის გადახდის შემდეგ ან გადასახადის გაუქმებისას. გადასახადის გადახდის უუნარობა არის საფუძველი სამეწარმეო საქმიანობის განმხორციელებელი პირის კანონით დადგენილი წესით გაკოტრებულად ცნობისა. სასამართლო წესით ან მესაკუთრის გადაწყვეტილებით იურიდიული პირის ან იურიდიული პირის სტატუსის არმქონე საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში, გადასახადის ნაჩენებზე გადახდის ვალდებულება თავისი მოქმედების პერიოდში ეკისრება სალიკვიდაციო კომისიას.

6. გადამხდელის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აღმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით, საფინანსო სანქციებით ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, აგრეთვე ფულადი და სასაქონლო-მარტივიალურ ფასეულობათა დაგირავებით, თავდებობით ან გადამხდელის კრედიტორთა გარანტიებით.

იურიდიული პირისა და იურიდიული პირის სტატუსის არმქონე საწარმოს ლიკვიდაციისას საგადასახადო ვალდებულება ვრცელდება მის ქონებაზე, მემკვიდრეზე ან მესაკუთრეზე.

მუხლი 10. გადასახადის გადამხდელთა უფლებები
გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს:



1. ისარგებლოს შეღავათებით გადასახადების გადახულების კანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით.

2. გაეცნოს საგადასახადო სამსახურების მიერ ჩატარებული შემოწმების აქტებს.

3. წარუდგინოს საგადასახადო სამსახურებს ახსნა-განმარტება გადასახადების გამოანგარიშების, გადატდისა და ჩატარებული შემოწმების აქტებზე.

4. კანონით დადგენილი წესით გაასჩივროს საგადასახადო სამსახურების გადაწყვეტილებანი და მათი თანამდებობის პირთა მოქმედება.

5. მოითხოვოს ბიუჭეტში ზედმეტად ჩარიცხული თანხების უკან დაბრუნება.

6. კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებები.

მუხლი 11. გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. გადასახადის გადამხდელები პასუხს ავებენ:

ა) მოგების (შემოსავლის) ან დასაბეჭრი სხვა ობიექტების დამალვისათვის და (ან) შემცირებისათვის;

ბ) საბულალტრო აღრიცხვის არწარმოებისათვის;

გ) საბულალტრო აღრიცხვის არსწორი წარმოებისათვის;

დ) საბულალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, გაანგარიშებების, დეკლარაციების, გადასახადებისა და გადასახდელების გამოსაანგარიშებლად საჭირო ღოკუმენტებისა და მონაცემების საგადასახადო სამსახურებში წარუდგენლობისათვის, დაგვიანებით წარდგენის ან მისი გაყალბებისათვის;

ე) საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში გადასახადებისა და გადასახდელების გადასახდელად აუცილებელი ღოკუმენტების წარუდგენლობის ან დაგვიანებით წარდგენისათვის;

ვ) საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას საგადასახადო სამსახურებისათვის ხელის შემლისათვის და შემოწმებით გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად საგადასახადო სამსახურების მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის;

ზ) გადასახადების არასწორი გამოანგარიშებისათვის, ვადაზე და სრული ოდენობით გადაუხდელობისათვის;



თ) სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე სამეწარმეო მდგრადი უნიტეტისათვის, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს;

ი) კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის დარღვევებისათვის.

2. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევებისათვის გადამხდელთა მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის ფინანსური სანქციები:

ა) დამალული ან შემცირებული მოგების (შემოსავლის) მთელი თანხა, ხოლო სხვა დამალული ან აღურიცხავი დასაბეგრი ობიექტებიდან კანონით განსაზღვრული კადასახადის თანხის და იმავე ოჯენბის ჯარიმის გადახდევინება, ხოლო სანქციის გამოყენების შემდეგ მიმდრინარე ან მომდევნო საანგარიშო წლის განმავლობაში ანალიზიური დარღვევების შემთხვევაში — გამოვლენილი მთელი თანხა და ჯარიმა ამ თანხების ორმაგი ოდენობით.

ამ პუნქტით გათვალისწინებული სანქციები გამოიყენება აგრეთვე საგადასახადო განკვეთებისა და საგადასახადო შეღავაუების არასწორად გამოიყენების შემთხვევაში.

უცხოური კალუტით მიღებული მოგების (შემოსავლის) დამალუს ან შემცირების შემთხვევაში, მოგების (შემოსავლის) თანხა გადაიანგარიშება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დაღვენილი კურსის მიხედვით.

დამალული ან შემცირებული ითვლება გადასახადით დასაბეგრი ის ობიექტი, რომელიც ასახული არ არის სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში წარდგენილ საბუღალტრო ანგარიშებში, ბალანსებში, გაანგარიშებებში და დეკლარაციებში, აგრეთვე სავალასახადო ორგანოებში აღრიცხვის უქონლობა და მიღებული ამონების (შემოსავლების), ხარჯებისა და დასაბეგრი ობიექტების ღირებულების მოცულობის საბუღალტრო დოკუმენტებში არა-სწორად აღრიცხვა, რის შედეგად ბიურეტში სრული ოდენობით არ იჩიცხება გადასახადები და გადასახდელები;

ბ) საგადასახადო ორგანოებში საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, გაანგარიშებების, დეკლარაციების და გადასახადების გამოსაანგარიშებლიდ საჭირო სხვა დოკუმენტების არადროუ-

ლი წარდგენისათვის, ფინანსური სანქციის სახით გადასახლდებული არ 10 პროცენტის გადახდევინება, ხოლო ამ დოკუმენტების საგადახდაში არგანოებში 30 დღეზე მეტი ხნით წარუდგენლობისათვის გადამხდელს ერიცხება საურავი დოკუმენტების წარუდგენლობის 30 დღეზე მეტი ხნის ყოველი დღისათვის გადასახადის თანხის 3 პროცენტის ოდენობით;

გ) გადასახადის გადასახდელად საბაზო და საკრედიტო დაწესებულებებში აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობისათვის ან დავვიანებით წარდგენისათვის ჯარიმის გადახდევინება შესაბამისი ვადისათვის გადასახდელი გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით;

დ) საურავის გადახდევინება დროულად გადაუხდელი თანხის 0,3 პროცენტის ოდენობით, თუ გადასახადის და ბაჟის შესახებ შესაბამისი კანონით გათვალისწინებული არ არის საურავის სხვა ოდენობა, ამასთან დამატებული (შემცირებული) დაბევრის ობიექტის მიხედვით გაანგარიშებული გადასახადის თანხებზე საურავის დარიცხვა ხდება იმ დროიდან, როცა უნდა გადახდილყო ეს გადასახადი. საურავის გადახდით გადასახადის გადამხდელი არ თავისუფლდება სხვა სახეობის პასუხისმგებლობისაგან;

ე) ორიცხვის უქონლობის ყველა ცალკეულ შემთხვევაში რეალიზაციის ეტაპზე სათანადო წესით გაუფორმებული საქონლის, აგრეთვე შემოწმების დროს გამოვლენილი და დადგენილ ვადებში საბუღალტრო დოკუმენტებში ოლურიცხავი მატერიალური ფასეულობებისა და შეძენის დამაღასტურებელი დოკუმენტების გარეშე აჩვებული მატერიალური ფასეულობების მთლიანი ლირებულების (საბაზრო ფასებით) გადახდევინება;

ვ) საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სხვა სანქციები.

3. მოგების (შემოსავლის) ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვის ან შემცირებისათვის გადასახადისა და ჯარიმის თანხები, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვის გათვალისწინებული ფინანსური სანქციები ბიუგეტში შეიტანება გადამხდელის განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან (შემოსავლიდან).



4. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში გადამხდელთა მიმართ ახორციელებენ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები. გადასახადის თანხა დამალული ან შემცირებული და-საბეჭრი მიხედვით და ჯარიმები საგადასახადო კანონ-მდებლობის დარღვევისათვის გადამხდელებმა ბიუჯეტში უნდა შეიტანონ 10 ლირის ვადაში სახელმწიფო საკადასახადო ორგანოების მიერ აქტის შედგენის დღიდან.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმებისა და სხვა ფინანსური სანქციების გადახდისაგან განთავისუფლება დაუშვებელია.

5. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ აღმინისტრაციული ჯარიმები ეკისრებათ:

ა) საწარმოთა ხელმძღვანელებსა და ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებმაც დაარღვიეს სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში გადასახადების გადამხდელებად აღრიცხვაზე აყვანის დადგენილი წესი — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმავი ოდენობით;

ბ) საწარმოთა ხელმძღვანელებსა და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, ან ეწევიან კანონით აკრძალულ საქმიანობას, აგრეთვე უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელებისათვის, რომლებიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ოცმავი ოდენობით, ასეთი საქმიანობიდან მიღებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული მთელი ამონაგების დადგენილი წესით ბიუჯეტში გადახდევინებით;

გ) ინდივიდუალურ მეწარმეებს და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით შემოსავლებისა და გადასახადით დასაბეგრი სხვა მიზანების აღრიცხვის უქონლობაში, ან დადგენილი წესის დარღვევით მის წარმოებაში, აგრეთვე შემოსავლების შე-



სახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოებში წარუდგენლობისა ან დავითანებით წარდგენაში და მასში შეტანილი მონაცემების მახსოვრებაში — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ხუთმაგი ოდენობით, ხოლო აღმინისტრაციული ჯარიმის უდებიდან 12 თვის განმავლობაში ანალოგიური დარღვევებისას ვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით;

ღ) საქართველოს თანამდებობის პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მოვებისა (შემოსავლის) და დაბეგვრის სხვა ობიექტების დამალვაში ან შემცირებაში, გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორ გაანგარიშებაში, მოქალაქეთა შემოსავლებიდან გადასახადების არასწორად დაკავებაში ან დაკავებული თანხების ბიუჯეტში არასრულად და დავითანებით გადარიცხვაში, საბუღალტრო ორგანიზაციის უქონლობაში ან დადგენილი წესის დარღვევით მის წარმოებაში, საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, საგადასახადო გაანგარიშებების, დეკლარაციებისა და გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გაანგარიშებებთან დაკავებული სხვა ღოკუმენტების წარუდგენლობაში, დავითანებით ან დაუდგენელი ფორმით წარდგენაში, გადასახადის გადასახდელად საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობაში ან დაგვიანებით წარდგენაში — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით, ხოლო აღმინისტრაციული ჯარიმის დადგებიდან 12 თვის განმავლობაში ანალოგიური დარღვევებისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ოცმაგი ოდენობით.

6. საქართველოს თანამდებობის პირთა ხელფასიდან აღმინისტრაციული ჯარიმის გადახდევინების შესახებ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების დადგენილების დაწესებულ გადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის თანხას საგადასახადო ორგანოებისაში პირობობის ახდევინებენ უდავო წესით შემდგომში დამნაშავე პირთა გადახდევინებით.

ფიზიკური პირების მიერ აღმინისტრაციული ჯარიმების გადაუხდელობისას ჯარიმის თანხების გადახდევინება ხდება სასამართლო წესით.



7. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის, რის შემთხვევაში გადასახადებისა და სხვა გადასახდელების დიდი ოდენობით დამალვისა და გადაუხდელობის ფაქტები, აგრეთვე საგადასახადო ორგანოების მოთხოვნების შეუსრულებლობის გადასახდის გადახდისაგან თავის პრიდების მიზნით, მოსდევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა:

ა) მოგებისა (შემოსავლის) და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დიდი ოდენობით დამალვა (შემცირება) ისჯება ჭარიმთ კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობით;

ბ) მოგებისა (შემოსავლის) და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვა (შემცირება) ან ამ პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის განმეორება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ან ჭარიმთ კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის სამასმაგი ოდენობით.

მოგების (შემოსავლის) ან გადასახდით დასაბეგრი სხვა ობიექტების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვად ჩაითვლება მოგების (შემოსავლის) ან გადასახდით დასაბეგრი სხვა ობიექტის დამალვა, რომელთა მიხედვით გადასახდი აღემატება კანონმდებლობით დადგენილი ათასი მინიმალური ხელფასის ოდენობას, ხოლო თუ გადასახდი აღემატება ხუთასი მინიმალური ხელფასის ოდენობას, მაშინ მოგების (შემოსავლის) ან გადასახდით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვა როვლება დიდი ოდენობით დამალვად.

მუხლი 12. საგადასახადო კანონმდებლობის დაცვისათვის ბანკების, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვა საწარმოების თანამდებობის პირთა მოვალეობები და პასუხისმგებლობა

1. ბანკები, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები და სხვა საწარმოები ვალიტებული არიან:



ა) გადასახადის გადამხდელებს საანგარიშსწორებო და სხვა
ანგარიშები გაუსხინან მხოლოდ სახელმწიფო საგადასახადო-ინსტიტუ-
ნოებში აღრიცხვაზე აყვანის დამატისტურებელი დოკუმენტის
წარდგენის შემდეგ და აღნიშნული ანგარიშების გახსნის შესახებ
5 დღის ვადაში აცნობონ შესაბამის სახელმწიფო საგადასახადო
ინსპექციებს;

ბ) პირველ რიგში შესრულონ გადასახადის გადამხდელთა მიერ
მათი საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებიდან (მათ შორის სა-
ვალუტო ანგარიშიდან) გადასახადებისა და სხვა სავალდებულო
გადასახდელების, აგრეთვე ამ კანონითა და სხვა საქანონმდებლო
აქტებით ვათვალისწინებული ფინანსური სანქციებისა და იდმინის-
ტრაციული ჯარიმების ბიუგეტში გადარიცხვის საინკასო და სხვა
ღავალებები. საგადასახადო დავალებები ბანკებისა და საკრედიტო
დაწესებულებების მიერ მიიღება გადამხდელთა საანგარიშსწორე-
ბო და სავალუტო ანგარიშების მდგომარეობის მიუხედავად.

ამავე წესით სრულდება სახელმწიფო საგადასახადო ორგანოე-
ბის განკარგულება (დავალება) დადგენილ ვადებში შეუტანელი
გადასახადებისა და სხვა გადასახდელების უდავო წესით გადახდე-
ვინების შესახებ;

გ) ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს ექრძალე-
ბათ გადამხდელთა მიერ გადასახადებისა და სხვა გადასახდელების
პიუგეტში და ბიუგეტგარეშე ფონდებში გადარიცხვის დავალებე-
ბის შესრულების დაყოვნება და გადაურიცხავი თანხების საკრე-
დიტო რესურსების სახით გამოყენება. ასეთი ფაქტების დადგენისას
ამ დაწესებულებების შემოსავალი საგადასახადო ორგანოების მიერ
უდავო წესით ამოიღება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლი-
კურ ბიუგეტში;

დ) კანონმდებლობით ვათვალისწინებულ შემთხვევებში და-
უშვან სახელმწიფო საგადასახადო ორგანოთა მუშაქები გადამხ-
დელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სა-
ვალუტო ანგარიშე), შესრულებული (შესასრულებელი) ოპერა-
ციებისა და მათს ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების
შესამოწმებლად;



ე) სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მითითებების შემთხვევაში
საბამისად შეწყვიტონ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სამოწერების
ანგარიშებიდან (მათ შორის სავალუტო ანგარიშიდან) ფულადი
სახსრების გაცემის, გადარიცხვისა და ჩამოწერის ცველა ოპერა-
ცია, გათ მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოვლენილი
დარღვევების აღმოფხვრის შესახებ საგადასახადო ორგანოების
მოთხოვნების შეუსრულებლობის, აგრეთვე შესამოწმებლად ინს-
პექციის მუშაქების დაუშვებლობის და მათთვის ანგარიშებისა და
ბალანსების, გაანგარიშებების, ღვევლარაციების და გადასახადებისა
და სხვა გადასახლელების გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავ-
შირებული სხვა ღოკუმენტების წარუდგენლობის (ან წარდგენაზე
უარის თქმის) შემთხვევაში;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში სახელმწი-
ფო საგადასახადო ინსპექციებს მოთხოვნისთანავე წარუდგინონ გა-
დამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის
სავალუტო ანგარიშზე) გასულ საანგარიშო პერიოდში შესრულებული ოპერაციებისა და ამ ანგარიშებზე არსებული ფულადი ჟახს-
რების მონაცემები.

2. ბანკების, სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებისა
და მათი თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ
ამ მუხლის პირველ პუნქტში გთვალისწინებულ მოთხოვნებს, გა-
მოიყენება შემდეგი სახეობის სანქციები:

ა) ფინანსური სანქციის სახით გადახდევინება;

მათ მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გა-
თვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში
გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შო-
რის სავალუტო ანგარიშზე) შესრულებული გასაკლის ოპერაციე-
ბის საერთო თანხეს 10 პროცენტის ოდენობით;

გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებიდან
(მათ შორის სავალუტო ანგარიშიდან) გადასახადებისა და სხვა გა-
დასახდელების, ფინანსური სანქციის (აღმინისტრაციული ჯარი-
მის) თანხების ჩამოწერის რიგითობის დაუცველობისათვის, აგრე-
თვე გადამხდელთა ანგარიშებიდან ჩამოწერილი თანხების ბიუჯე-

ტის შემოსვალში (ბიუჭეტგარეშე ფონდში) ჩარიცხვის (აღმო-
რიცხვის) დაყოვნებისათვის და გადამხდელთა საგადასახადო და გადამხდელთა საურავი ჩარიცხვაში (დაგვიანებით შესრულებისათვის)
დების შეუსრულებლობისათვის (დაგვიანებით შესრულებისათვის)
საურავი ჩარიცხვაში (დაგვიანებით ჩარიცხული) თანხის 0,3 პრო-
ცენტის ოდენობით გადახდის ვაღის თითოეულ გადაცილებულ
დღეზე. საურავის გადახდა ბანქს ან საკრედიტო დაწესებულებას
არ ათავისუფლებს სხვა სახეობის პასუხისმგებლობისაგან.

ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიზეზით ბიუ-
ჭეტში დაგვიანებით ჩარიცხულ თანხებზე გადასახადის გადამხდე-
ლებს საურავი არ ერიცხებათ;

ბ) ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებე-
ბის ხელმძღვანელებზე და თანამდებობის პირებზე აღმინისტრა-
ციული ჯარიმის დადება;

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქ-
ტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის —
კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ხუთმა-
გრ ოდენობით;

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწი-
ნებული მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის — კანონმდებლობით
დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით, ხოლო
შელის განმავლობაში ანალოგიური დარღვევის განმეორებისას —
კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ოცმაგი
ოდენობით;

ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწი-
ნებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის — კანონმდებლობით
დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობით.

**მუხლი 13. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების უფლე-
ბები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა**

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების უფლებები, მოვა-
ლეობები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება „საქართველოს
რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“
საქართველოს რესპუბლიკის კანონით.

გადასახადების სახეობა და სახელმწიფო ხელისუფლების
ორგანოების კომპეტენცია

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი გადასახა-
დები

1. საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს:

ა) რესპუბლიკური გადასახადები, რომელთა მიხედვით გადა-
სახადით დასაბეგრი აბიექტები, გადასახადის გადამხდელები და
დაბეგვრის მეთოდი და გადასახადის განაკვეთები, აგრეთვე სხვა-
დასხვა დონის ბიუჯეტებში გადასახადის თანხების ჩარიცხვის წესი
ვანისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქ-
ტებით;

ბ) ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, რომელთა
შემოღება ხდება ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოე-
ბის მიერ.

2. ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებსა და ად-
გილობრივი წარმომადგენლობით ორგანოებს საქართველოს პარ-
ლამენტის შესაბამისი დადგენილების შემდეგ, შეუძლიათ თავიანთ
ტერიტორიაზე შემოიღონ დამატებითი სახეობის ადგილობრივი
გადასახადები და მოსაკრებლები.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების გარეშე ამ კანო-
ნით გაუთვალისწინებელი დამატებითი სახეობის ადგილობრივი
გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების შემთხვევაში ასე-
თი სახეობების გადასახადებით და მოსაკრებლებით მიღებული
შემოსავალი სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ ამოი-
ღება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

3. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები შეიძლება
გააუქმოს საქართველოს პარლამენტმა, თუ ისინი ეწინააღმდეგი-
ბიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

მუხლი 15. რესპუბლიკური გადასახადები

1. რესპუბლიკური გადასახადების გადახდა საქართველოს რეს-
პუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ხდება ერთიანი განაკვეთის მი-
ხედვით.

რესპუბლიკურ გადასახადებს მიეკუთვნება შემდეგის მაჩვირეობის გადასახადები:

- დამატებული ღირებულების გადასახადი;
- აქციზი;
- მოგების გადასახადი;
- შემოსავლის გადასახადი;
- ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების გადასახადი;
- საბაჟო გადასახადი;
- სატრანზიტო გადასახადი;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი;
- გარემოზე ზემოქმედების გადასახადი;
- მიწის გადასახადი;
- საწარმოთა ქონების გადასახადი;
- ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი;
- ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;
- სატრანსპორტო საშუალებების გადასახადი;
- სახელმწიფო ბაჟი;
- საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციისა და სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციისათვის გადასახადი.

მუხლი 16. ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები

1. ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს მიეკუთვნება:

- საკურორტო გადასახადი;
- საკურორტო ზონაში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გადასახადი;
- ზონობრივი მოსაკრებლები მოქალაქეებიდან და საწარმოებიდან ტერიტორიის კეთილმოსაწყობად, მუნიციპალური პოლიციის (მილიციის) შესანახად და სხვა მიზნებისათვის;

დ) რეკლამის გადასახადი. გადასახადს იხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც რეკლამას უწევენ თავიანთ პროდუქციას;

ე). ავტომობილების გადაყიდვის გადასახადი. ამ გადასახადს იხდიან აღნიშნული საქონლის გადამყიდველი იურიდიული და ფიზიკური პირები;

ვ) ადგილობრივი აუქციონებისა და ლატარიების მოწყვეტილება
ნებართვისათვის სალიცენზიონ მოსაკრებელი. მოსაკრებელს იხდიან
აუქციონების და ლატარიების მომწყობნი;

ზ) ვაჭრობის ნებართვისათვის მოსაკრებელი. მოსაკრებლის
გადახდა ხდება ერთ წლამდე ვადით ერთჯერადი ტალონის ან
დროებითი პატენტის შექნით;

თ) ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის მოსაკრებელი. მოსა-
კრებელს იხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები ამ მიზნისა-
თვის სპეციალურად მოწყობილ ადგილებში;

ი) სათამაშო ბიზნესის განხილვის მოსაკრებელი (ნივთობ-
რივი და ფულადი მოგებებით სათამაშო ავტომატებისა და სხვა
მოწყობილობების დაყენება, ბანქოს სათამაშო მაგიდების, რულე-
ტებისა და სხვა სათამაშო საშუალებების მოწყობა) მიუხედავად მათი
დადგმის ადგილისა. მოსაკრებლის გადამხდელები არიან იურიდიუ-
ლი და ფიზიკური პირები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ი“ ქვეპუნქტებით
გათვალისწინებული გადასახადები და მოსაკრებლები მთლიანად
ჩაირიცხება შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში.

თავი III

დასკვნითი დებულებები

მუხლი 17. გადასახადების გადახდის თანამიმდევრობა

იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობის შესაბამისად საწარ-
მოთა მოგება (შემოსავალი) რამდენიმე გადასახადის გადახდის წყა-
როა, მაშინ გადასახადების გადახდა ხდება შემდეგი თანამიმდევ-
რობით:

1. საკანონმდებლო აქტების შესაბამისად ხდება ქონებრივი გა-
დასახადების გადახდა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადასა-
ხადების გადახდილი თანხებით მცირდება გადამხდელთა დასაბეგ-
რი მოგება (შემოსავალი), რის შემდეგ ხდება ადგილობრივი გადა-
სახადების გაანგარიშება და გადახდა, თუ კინონმდებლობით გათვა-
ლისწინებულია ასეთი გადასახადების გადახდა.

3. ადგილობრივი გადასახადების გადახდილი თანხებზე შეუტავა
დება გადამხდელთა დასაბეგრი მოგება (შემოსავალი), რას შემდეგ
გაიანგარიშება და გადაიხდევინება ყველა ის სხვა გადასახადი,
რომელიც ბიუჯეტში შეაქვთ მოგების (შემოსავლის) ხარჯზე.

4. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ მუხლით გათვა-
ლისწინებული გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მო-
გების ხარჯზე.

მუხლი 18. გადასახადების გადახდევინების და გადახდილი
გადასახადების ბიუჯეტიდან დაბრუნების წესი

1. დადგენილ ვადებში ბიუჯეტში შეუტანელი გადასახადის
თანხებს, აგრეთვე ჯარიმებს მოგებისა (შემოსავლის) და დაბეგვ-
რის სხვა ობიექტების დამალვისათვის და საურავს გადასახდელე-
ბის დავიანებით შეტანისათვის საწარმოებს ახდევინებენ უდივო
წესით სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების განკარგულების
(დავალების) საფუძველზე, ხოლო ფიზიკურ პირებს — სასამართ-
ლო წესით.

დადგენილ ვადებში გადაუხდელი (ნარჩენი) გადასახადების
საწარმოებისაგან უდავო წესით გადახდევინება შეიძლება გამოყე-
ნებული იქნეს ექვსი წლის განმავლობაში ნარჩენების წარმოშო-
ბის მომენტიდან.

2. გადასახადის თანხებს, რომელთა გაანგარიშება და გადახდა
დადგენილი წესის შესაბამისად ხდება შემოსავლის წყაროს გაცე-
მის აღვილზე და რომელიც დროულად არ არის დაკავებული,
მთლიანად არ არის დაკავებული ან არ არის გადარიცხული ბიუ-
ჯეტში, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების უდავო წესით ახ-
დევინებენ იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ამ თან-
ხებს უხდიან საწარმოებსა და მოქალაქეებს.

3. გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების
მიხედვით ნარჩენების, აგრეთვე ამ კანონითა და სხვა საკანონმდებ-
ლო აქტებით გათვალისწინებული ფინანსური და სხვა სანქციებით
დადგენილი თანხების გადახდა გადამხდელების მიერ თანხების
უქონლობის შემთხვევაში, ხდება მათი ქონების ხარჯზე.

4. გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელი კონკრეტული კონკრეტული მიზანისაზე ფიზიკური პირებისაზე წყვენებული პრეტენზიების გამო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 წელია.

5. გადასახადებისა და სხვა გადასახდელების არასწორი გაანგარიშების ან გადახდევინების დაზეგნილი წესის დარღვევის შედეგად ბიუჯეტში ზედმეტაუ ჩარიცხული თანხები გადამხდელთა განცხადების საფუძველზე სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ ხუთი დღის ვადაში ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან მომავალ გადასახდელებში ჩათვლას.

6. ბიუჯეტში ზედმეტად ან არასწორად ჩარიცხული გადასახდებისა და სხვა გადასახდელების თანხების დაბრუნებაზე (ჩათვლაზე) სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა საქართველოსათვის ერთი წელია, ხოლო ფიზიკური პირებისათვის (მოქალაქეებისათვის) — სამი წელი ამ თანხების ბიუჯეტში ჩარიცხვის დღიდან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ზედმეტად ჩარიცხული თანხების დაბრუნების შესახებ განცხადების წარდგენა წყვეტის სისარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობას.

მუხლი 19. ორმავი დაბევვრის თავიდან აცილება

1. გადამხდელის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს ვარეთ მიღებული მოგების (შემოსავლის) თანხა შეიტანება საქართველოს რესპუბლიკაში დასაბეგრი მოგების (შემოსავლის) საერთო თანხაში და გაითვალისწინება გადასახადის ოდენობის განსაზღვრის დროს.

საქართველოს რესპუბლიკაში გადასახდელი გადასახდები მცირდება საზღვარგარეთის ქვეყნებში მათი კანონმდებლობის შესაბამისად გადახდილი გადასახდების თანხის ოდენობით. ამასთან შესამცირებელი (ჩასათვლელი) თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახდის თანხას, რაც ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკაში გადახდას საზღვარგარეთ მიღებული მოგების (შემოსავლის) მიხედვით.



ორმავი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ აეტელურობისა და ხელშეკრულების დაღების უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

მუხლი 20. გადასახადის გადახდის კონტროლი

გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების სწორად გამოანგარიშების და ბიურეტში დროულად გადახდის კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოები, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის „შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

აუდიტორული ორგანიზაციების (აუდიტორების) მიერ გადასხადების გაანგარიშებისა და გადახდის სისწორის შემოწმება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 21. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესები.

აღნიშნული წესები მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციის შემდეგ.

მუხლი 22. საგადასახადო სამსახურის თანამდებობის პირთა მოქმედების გასაჩივრება

1. საგადასახადო სამსახურის მიერ არასწორად გადახდევინებული გადასახადების თანხები და სხვა სავალდებულო გადასახადები ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო საგადასახადო სამსახურის და მათი თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი ქმედებით გადასახადის გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი (მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი) ანაზღაურდება დადგენილი წესით.

2. იურიდიული და ფიზიური პირების მიერ საჩივარი საგადასახადო სამსახურების თანამდებობის პირთა ქმედების გამო წა-

რედგინება იმ საგადასახადო სამსახურებს, რომლებსაც ისინი ზემდებარება და მიმდებარებიან. საჩივრები განიხილება და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება მათი შემოსვლის დღიდან არაუგვიანეს ერთი თვეს ვადაში. საჩივრების გამო გადაწყვეტილება ერთი თვეს ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საგადასახადო სამსახურში.

3. იმ შემთხვევაში, თუ საწარმო არ ეთანხმება ზემდგომი საგადასახადო სამსახურის გადაწყვეტილებას, ამ საწარმომ საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის შეიძლება მიმართოს საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს.

თუ მოქალაქე არ ეთანხმება ზემდგომი საგადასახადო სამსახურის გადაწყვეტილებას, საგადასახადო სამსახურის თანამდებობის პირთა ქმედებანი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

4. საჩივრის შეტანა არ აჩერებს საგადასახადო სამსახურების თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებებს; ზემდგომ საგადასახადო სამსახურს, რომელიც საჩივრებს განიხილავს, უფლება აქვს საკითხის გადაწყვეტამდე შეაჩეროს თანხების გადაწდევინება.

საგადასახადო სამსახურების თანამდებობის პირთა ქმედების გასაჩივრება, რომელიც დაკავშირებულია აღმინისტრაციულ სასკოლთან, ხდება აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაშვილი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი.

თბილისი, 1993 წლის 21 დეკემბერი.

232 „საწარმოთა მოგზის (შემოსავლის) გადასახადის გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საწარმოთა მოგზის (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

ამ კანონით გათვალისწინებული დებულებები გამოიყენება 1994 წლის პირველი კვარტალისა და მომდევნო საანგარიშო პერიოდის შედეგების მიხედვით ბიუჯეტთან ანგარიშს შორიებისას.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი ივის ვადაში:

ა) უზრუნველყოს თავისი დადგენილებების „საწარმოთა მოგზის (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) მიიღოს პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითონარებულებაში შესატანი დანახარჯების შედგენილობისა და ფინანსური შედეგების ფორმირების დებულება;

გ) დაადგინოს რეალიზებულ საქონელზე საბაზრო (საბირეო) ფინანსების შესახებ მონაცემების გამოქვეყნების წესი საქონელგაცვლითი ოპერაციების მიხედვით რეალიზაციისა და ამონავების განსაზღვრისათვის;

დ) განსაზღვროს და პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს ინდუსტრიული ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ნუსხა.

3. მიწის გადასახადის შემოღებამდე საწარმოების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგება დაიბეგროს „საწარმოთა მოგზის (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ შეიმუშაოს და საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაუგ-



ზავნოს სათანადო ნორმატიული ღოგუმენტები, რომლებიც შესაბამის რუნელუროვს მოგების გადასახადის გადახდევინებას „საწარმოთა ცოცების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

5. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

საქართველოს პარლამენტის სპეციალური პასტანგ გოგუაშვილი.

თბილისი, 1993 წლის 21 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის ზე- 233 სახელი

მუხლი 1. გადასახადის გადამხდელები

1. მოგების გადასახადის გადამხდელები არიან:

ა) საწარმოები და ორგანიზაციები (მათ შორის საბიუჯეტო) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიუხედავად, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები და საერთაშორისო გაერთიანებები და ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და წარმოადგენენ იურიდიულ პირებს;

ბ) საწარმოებისა და ორგანიზაციების ფილიალები და სხვა ანალოგიური სახის სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც არა აქვთ იურიდიული პირის სტატუსი, აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიშესწორების ანგარიში:



გ) სამეცნიერო გაერთიანებები და არაკომერციული საქმიანობის მიმღებელი ნობის ორგანიზაციები, რომლებიც შემოსავალს ღებულობის მიზარდება საქმიანობიდან.

ამ მუხლში აღნიშნული მოვების გადასახადის გადამხდელები წემდგომში იწოდებიან „საწარმოებად“.

2. სახელმწიფო სარკინიგზო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ენერგოსისტების საწარმოთა ძირითადი საქმიანობის მიხედვთ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ხდება ცენტრალიზებული წესით.

3. მოვების გადასახადის გადამხდელები არიან აგრეთვე კომპანიები, ფირმები, სხვა ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი წარმომადგენლობის მეშვეობით (შემდგომში — უცხოელი იურიდიული პირები).

უცხოელი იურიდიული პირის მუდმივ წარმომადგენლობად ითვლება საქმიანობის ნებისმიერი მუდმივი ადგილი, რომლის მეშვეობითაც უცხოელი იურიდიული პირი საქართველოს რესპუბლიკაში მთლიანად ნნ ნაწილობრივ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

დაბეგვრის მიზნით უცხოელი იურიდიული პირის მუდმივ წარმომადგენლობად იგულისხმება ბიურო, კანტორა, სააგენტო, საქმიანობის ნებისმიერი სხვა ადგილი, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების დამუშავებასთან, მშენებლობაში კონტაქტით გათვალისწინებული სამუშაოს წარმოებასთან, მოწყობილობის დაღვალასთან, მოწყობასთან, აწყობასთან, გამართვასა ან მომსახურებასთან, სხვა სამუშაოთა ჩატარებასთან, ავტოთვე, ორგანიზაციები და მოქალაქენი, რომელთაც აქვთ უცხოელი იურიდიული პრეტენზის მიერ მინაჭებული უფლებამოსილება შეასრულონ წარმომადგენლობითი ფუნქციები საქართველოს რესპუბლიკაში.

მუდმივი წარმომადგენლობის მეშვეობრით უცხოელი იურიდიული პირის საქმიანობად არ ჩაითვლება ისეთი საქმიანობა, როგორიც არის უცხოელი იურიდიული პირის მიერ თავისითვის საქონლის შესყიდვა; ნაგებობების გამოყენება მისი კუთვნილი საქონლის შენახვის, დემონსტრაციის ან მიწოდების მიზნით; კუთვ-



ნოლი საქონლის შენახვა მხოლოდ მისი შენახვის, დემონსტრაციაზე
უ მიწოდების მიზნით; კუთვნილი საქონლის შენახვა სხვა პირების
მიერ მათი მხოლოდ გადამუშავების მიზნით; ნაგებობების გამოყე-
ნება რეკლამის, ინფორმაციის გაცემის, სამეცნიერო კვლევის ან
ნებისმიერი სხვა საქმიანობის მიზნით, რომლებსაც მისი ძირითადი
საქმიანობის მიმართ მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათი აქვს

4. ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სა-
ჭარმოების მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის
რეალიზაციიდან მიღებული მოგება, გარდა ინდუსტრიული ტიპის
სასოფლო-სამეურნეო საჭარმოებისა, მოგების გადასახადით არ და-
ბეგრება.

ინდუსტრიული ტიპის სასოფლო-სამეურნეო საჭარმოთა ნუსხას
აჟგენს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 2. გადასახადით დაბევრების ობიექტი

1. გადასახადით დაბევრების ობიექტია საჭარმოს საბალანსო
მოგება.

2. საბალანსო მოგება არის პროდუქციის (სამუშაოს, მომსა-
ხურების), ძირითადი ფონდების, საჭარმოს სხვა ქონების რეალიზა-
ციიდან მიღებული მოგებისა (ზარალის) და რეალიზაციის გარეშე
ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის ჯმი ამ თვერაციებზე
გაწეული ხარჯების გამოყენებით.

3. პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან
მიღებული მოგება (ზარალი) განისაზღვრება, როგორც სხვაობა
დამატებული ლარებულების გადასახადისა და აქციზის გარეშე
პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებულ
ამონაგებსა და მის წარმოებისა და რეალიზაციაზე გაწეულ იმ ხარ-
ჯებს შორის, რაც მიეკუთვნება პროდუქციის (სამუშაოს, მომსახუ-
რების) თვითღირებულებას.

4. დაბევრების მიზნით საჭარმოს ძირითადი ფონდებისა და სხვა
ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგების განსაზღვრისას გაი-
თვალისწინება სხვაობა გასაყიდ ფასსა და დადგენილი წესით ინ-
ფლაციის ინდექსით (აფასების კოეფიციენტით) გადიდებული ამ
ფონდებისა და ქონების პირვანდელ ან ნარჩენ ღირებულებას შო-
რის.

ამასთან ქონების პირვენდელი ღირებულება არ გამოიყენება
ძრავითადი ფონდების, არამატერიალური იქტივებისა და პრეცესორული
სწრაფულებადი საგნების მიმართ.

5. იმ საწარმოთათვის, რომლებიც პროდუქციის (სამუშაოს,
მომსახურების) რეალიზაციის ახდენენ (ან ცვლიან) თვითღირებუ-
ლებაზე დაბალი ფასებით, დაბეგვრის მიზნით რეალიზაციიდან მი-
ლებულ ამონაგებში იგულისხმება გარიგების ღირებულება, რომე-
ლიც განისაზღვრება მათი იმ საბაზრო ფასებით (მათ შორის ბირ-
ჟებზე), რომლებიც გამოყენებული იყო ანალოგიურ პროდუქცია-
ზე (სამუშაოზე, მომსახურებაზე) გარიგების შესრულების დღი-
სათვის.

6. რეალიზაციის გარეშე ოპერაციებიდან შემოსავლის (ხარ-
ჯების) შემადგენლობაში შედის: შემოსავალი, რომელიც მიიღება
ერთობლივ საწარმოებში და სამეურნეო ამხანავობებში წილობრი-
ვი მონაწილეობით, ქონების იჯარით ვაცემით, საწარმოს კუთვნი-
ლი აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების დი-
ვიდენდები (პროცენტები), პაზე შემოსავალი, აგრეთვე სხვა შე-
მოსავალი (ხარჯები) იმ ოპერაციებიდან, რომლებიც უშუალოდ
დაკავშირებული არ არის პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების)
წარმოებასა და რეალიზაციისთან. ეკონომიკური სანქციების და
ზარალის ანაზღაურების სახით მიღებული და გადახდილი თანხე-
ბის ჩათვლით.

რეალიზაციის გარეშე ოპერაციებიდან შემოსავალში შედის
აკრეთვე ერთობლივი საქმიანობის არარსებობისას სხვა საწარმოე-
ბიდან უსასყიდლოდ მიღებული თანხები (იმ სახსრების გამორიც-
ხვით, რაც დამფუძნებლების მიერ საწარმოების საწესდებო ფონ-
დებში ჩაირიცხება კანონმდებლობით დადგენილი წესით).

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად
ეკონომიკური სანქციების სახით ბიუგეტებში შეტანილი თანხები
არ ჩაითვლება არასარეალიზაციო ოპერაციების ხარჯებში და იგი
მიეკუთვნება საწარმოს განკარგულებაში დარჩენილ მოგებას.

7. უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი დაიბეგრება
საქართველოს რესპუბლიკაში მიმოქცევაში არსებული ვალუტით



შიღებულ სხვა ამონაგებთან ერთად; ამასთან, უცხოური ვალუტის შემოსავალი გადაიანგარიშება საქართველოს რესპუბლიკაში მიმოქცევაში არსებულ ვალუტაზე საწარმოს მიერ რეალიზაციის დღისათვის და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსის მიხედვით.

8. ბირჟებისათვის დაბეგვრის ობიექტია მოგება, რომელიც მიღებულია საბროერო ადგილების იჯარით გაცემითა და გაყიდვით, ბირჟაზე საქონლის, ფასიანი ქაღალდების, ვალუტისა და სხვა ქონების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების გზით, ავრეთვე სხვა სახეობის სამეწარმეო საქმიანობიდან.

მუხლი 8. დასაბეგრი მოგების გამოანგარიშების წესი

1. დასაბეგრი მოგების გამოანგარიშების მიზნით საბალანსო მოგება მცარდება:

ბიუგეტში სავალდებულო გადასახდელებით, რომელთა გადახდა ხდიბა მოგებიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

კაზინოდან, სამორინოებიდან და სხვა სახის სათამაშო ბიზნესიდან მიღებული შემოსავლით (იჯარიდან და ქონების გამოყენების სხვა სახეობიდან შემოსავლის ჩათვლით), ვიდეოსალონებიდან (ვიდეო ჩვენებიდან), ვიდეო და აუდიოკასეტების, გაქირავებიდან და მათზე ჩანაწერებიდან მიღებულ ამონაგებსა და მათზე გაწეულ ხარჯებს (შრომის ანაზღაურების ხარჯების ჩათვლით) შორის სხვაობით:

საწარმოთ კუთვნილი აქციებიდან, ობლიგაციებიდან და სხვა ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული დივიდენდებით და პროცენტებით;

შემოსავლით, რომელიც მიიღება სხვა საწარმოებში წილობრივი მონაწილეობით, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლის გარდა;

სადაზღვევო ორგანიზაციებიდან მიღებული ქონების სადაზღვევო საზღაურის თანხებით;

ლია შოებნებზე, სტადიონებზე, სპორტის სასახლეებში და სხვა შენობებში (რომელთა ადგილების რაოდენობა აღმატება ორი ათასს) გამართული მასობრივი საკონცერტო სანახობრივი ღონისძიებებისას მიღებული მოგებით.



2. დასაბეგრი მოგების გაანგარიშების დროს საბალაშვილიშვილია გება მცირდება სარეზერვო ან ანალოგიური დანიშნულების ფონ-დებში ანარიცხების თანხით, რომელთათვისაც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ასეთი ფონდების შექმნა, მაგრამ არა უმეტეს ფაქტოურად შევსებული საწესდებო ფონდის 25 პროცენტისა და საბალანსო მოგების 50 პროცენტისა.

ასეთი საწარმოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მათი სარეზერვო ფონდის გამოუყენებელი თანხა დაიბეგრება დადგენილი განაკვეთით.

3. საბიუჭებო დაწესებულებები, სამეურნეო გაერთიანებები და არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ შემოსავალი საქმიანობიდან, გადასახადს იხდიან ამ საქმიანობრდან მიღებული შემოსავლისა და მასზე გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობიდან.

4. მოგების გადასახადით დაბეგვრის შემდეგ საწარმოთა განკარგულებაში ასებული სახსრები, რომლებიც საწარმოების მიერ ვერთიანდება ერთობლივი საქმიანობისათვის, აგრეთვე მოქალაქეების ნებაყოფლობითი შეწირულობანი და შენატანები გადასახადით არ იძევრება.

ამასთან დაბეგვრის ობიექტად ჩაითვლება ამ სახსრების გამოყენების შედეგად მიღებული მოგება.

მოგება, რომელიც მიღებულია სრული ან შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობების მიერ გადასახადით დაბეგვრამდე, ნაწილდება ამხანაგობის წევრებზე მათ მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, განაწილების შედეგად იურიდიული პირის სტატუსის მქონე ამხანაგობის წევრის მიერ მიღებული მოგება ჩაირთვება რეალიზაციის გარეშე შემოსავალში და დაიბეგრება საბალანსო მოგების შემადგენლობაში მოგების გადასახადის დადგენილი განაკვეთით.

მუხლი 4. უცხოელი იურიდიული პირის მოგების განსაზღვრისას თავისებურებანი

უცხოელი იურიდიული პირის დასაბეგრი მოგების განსაზღვრისას გაითვალისწინება მისი ფორმირების შემდეგი თავისებურებანი:

ა) დაბეგვრას ექვემდებარება უცხოელი იურიდიული განკარგებულების მოვების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მიიღება საქართველოს რესპუბლიკაში საქმიანობიდან. გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება უცხოელი იურიდიული პირის მოვების ნაწილი, რომელიც მიღებულია საგარეო სავაჭრო ობრაციებიდან, რომლებიც აღნიშნული იურიდიული პირის სახელით განხორციელებულია საქართველოს რესპუბლიკაში პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) შესყიდვასთან დაკავშირებით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკაში საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) საქონელგაცვლით და საექსპერტო ოპერაციები, რომელთა დროს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით აღიარებული პირი ხდება პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) მესაფუთრე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთამდე, გარდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაყიდული პროდუქციის მიღებული მოვებისა, რომელიც კუთვნის უცხოელ იურიდიულ პირს ან მის მეერ იარით აღებულ საწყობებს;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოელი იურიდიული პირი თავის საქმიანობას ეწევა არა მატრი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არამედ მისი საზღვრების ფარგლებს გარეთაც და ამასთან არ აწარმოებს ცალკე მოვების აღრიცხვას, რომელიც საშუალებას არ იძლევა განისაზღვროს მუდმივი წარმომაღენლობის მიერ გაწეული საქმიანობის შედეგად მიღებული მოვება, მოვების თანხა შეიძლება განისაზღვროს გადასახადის გადამხდელთან და იმ საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებული გაანგარიშების საფუძველზე. რომელიც აკონტროლებს მის ბიუჯეტში გადახდას.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივი წარმომადგენლობის საქმიანობის შედეგად მიღებული მოვება შეიძლება კენისაზღვროს იურიდიული პირის მეერ მთვლი საქმიანობიდან მიღებულ ამონავებში საქართველოს რესპუბლიკაში პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციის შერჩო ამონავების ჩვედრითი წალის, აგრეთვე უცხოელი იურიდიული პირის მიერ გაწეულ საერთო ხარჯებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებულ საქმიანობისთან დაკავშირებული ხარჯების



ხცელრითი წილის ან უცხოელი იურიდიული პირის საერთო კულტურული სონალის აოოდენბაში საქართველოს რესპუბლიკაში დამსჭვალებული პერსონალის ხვედრითი წილის მიხედვით;

გ) იმ შემთხვევაში, თუ არ ხერხდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელი იურიდიული პირის მიერ მიღებული მოგების განსაზღვრა, საგადასახადო ორგანო გაიანგარიშებს მოგებას საერთო შემოსავლის საფუძველზე ან გაწეული ხარჯების მიხედვით ჩენტაბელობის 25%-ის ნორმიდან გამომდინარე.

მუხლი 5. დანახარჯები, რომლებიც შედის პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებაში

პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებაში შესატანი დანახარჯები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) თვითღირებულებაში შესატანი დანახარჯების შემადგენლობის და მოგების დაბეგვრის დროს ფინანსური შედეგების ფორმირების დებულებით.

მუხლი 6. გადასახადის განაკვეთები

მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება 20 პროცენტის ოდენობით.

სამრეწველო და სამშენებლო საწარმოებისათვის გადასახადის განაკვეთი მცირდება 10 პუნქტით, ხოლო ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, საღაზღვევო ორგანიზაციებისათვის იზრდება 15 პუნქტით.

მუხლი 7. საგადასახადო შეღავათები

1. გადასახადის გადახდისათვის თავისუფლდებიან:

ა) საპროთეზო-ორთოპედიული საწარმოები;

ბ) ინვალიდთა სახოვადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-სამრეწველო საწარმოები და გაერთიანებები;

გ) ინვალიდებისათვის და ინვალიდთა რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების წარმოებიდან მიღებული მოგება;



დ) საქართველოს საპატირიარქო (მათ შორის სასულიერებელი მუნიციპალიტეტები), აგრეთვე საპატირიარქოს მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი საეკლესიო დანიშნულების პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები;

ე) თავდაცვის ფონდი.

2. ამლად შექმნილი ყველა საწარმო (გარდა სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის პროცესში გამოყოფის ან დაყოფის გზით შექმნილი საწარმოებისა) სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში თავისუფლდება მოვების გადასახადის გადახდისაგან, ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში გადასახადის განაკვეთი უმცირდებათ 50 პროცენტით.

იგ შემთხვევაში, როცა საწარმო საქმიანობას წყვეტის ოთხი წლის ვადის გასვლამდე, მაშინ გადასახადის თანხა გაიანგარიშება გადასახადის სრული განაკვეთით მისი საქმიანობის მოელ პერიოდში.

აღნიშნული შეღავათი არ ვრცელდება ბანკებზე, საკრედიტო დაწესებულებებზე, სადაზღვეო და საშუამავლო ორგანიზაციებზე, აგრეთვე მოქმედი სახელმწიფო საწარმოების, მათი ფილიალებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილ სახელმწიფო საწარმოებზე.

3. მოვების გადასახადის გამოანგარიშებისას დასაბეგრი მოვება მცირდება იმ ფაქტიური დანახარჯების თანხებით, რომელიც გაწეულია საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოვებიდან, კერძოდ:

ა) საწარმო დანიშნულების ობიექტების კაპიტალური დაბანდების დაფინანსებაზე (ახალი მშენებლობა, გაფართოება, რეკონსტრუქცია, ტექნოლოგიური გადაიარაღება), მათ შორის საკუთარი სარგებლობისათვის გამომთვლელი ტექნიკისა და კავშირგებმულობის საშუალებების შეძენაზე.

ეს შეღავათი ენიჭებათ იმ საწარმოებს, რომლებიც ავითარებენ საკუთარ საწარმოო ბაზას საანგარიშო პერიოდში დარიცხული ცვეთის (ამორტიზაციის) თანხების სრულად გამოყენების შემდეგ;

ბ) სტატუსი უბედურებათა სალიკვალიფიროდ, ფუნდაციების მიზანის სამუშაოების განვითარებაზე, ისტორიული სამეცნიერო-კულტურული ძეგლთა დაცვასა და რესტავრაციაზე, საქველმოქმედი კულტურის ძეგლთა დაცვასა და რესტავრაციაზე, საქველმოქმედი ფონდებში, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების, ხანძღაშმულთა და ინვალიდთა სახლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, საბავშვო ბანკების, კულტურის, სპორტისა და განათლების ობიექტების შენახვაზე, მაგრამ არა უმეტეს დასაბეგრი მოგების 10 პროცენტისა.

— აღნიშნული ფონდები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწევ-
სებულებები, რომლებმაც მიიღეს ეს თანხები, საანგარიშო წლის
დამთავრების შემდეგ თავიანთი ადგილმდებარეობის მიხედვით
საგადასახადო ორგანოებს. წარუდგენენ თანხების მიღებისა და
მათი ხარჯვის ანგარიშს. ამ თანხების არადანიშნულებისამებრ გა-
მოყენების შემთხვევაში, იგი ამოიღება საქართველოს რესპუბლი-
კურ ბიუჯეტში არსებული წესების შესაბამისად.

4. საშარმოებში, რომლებმაც წლიური საბუღალტრო ანგარი-
შის მიხედვით წინა წელს ზარალი ნახეს, გადასახადისაგან თავი-
სუფლება მოგების ს ნაშილი, რომელიც მიმართულია მის დასა-
ფარავად შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში (იმ პირობით, თუ
ამ მიზნებისათვის სრულად არის გამოყენებული სარეზერვო და-
სხვა ანალოგიური დანიშნულების ფონდები, რომელთა შექმნა გა-
თვალისწინებულია კანონმდებლობით).

აღნიშნული შეღავთები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს
გადახდის უუნარო საწარმოს მიმართ.

5. მ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-4 პუნქტით გათვალისწინებულმა შეღავათებმა გადასახლის ფაქტიური თანხა, რომელიც გამოანგარიშებულია შეღავათების გაუთვალისწინებლად, არ უნდა შეამციროს 70 პროცენტზე მეტად.

გუნდი 8. გადასახადის განაკვეთების და შეღავათების შემაღ-
ლენობის შეცვლის წესი

მოგების გადასახადის განაკვეთების ოდენობა და საგადასახადო შეღავათების შემაღებულობა, რაც გათვალისწინებულია ამ კანონით, შეიძლება შეიცვალოს საქართველოს რესპუბლიკის მომავალი საფინანსო წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

მუხლი 9. გადასახადის გაანგარიშების წესი და გადასახადი

1. გადასახადის თანხა გადამხდელების მიერ დამოუკიდებლად განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისად საბულალტრო აღრიცხვის და ანგარიშების საფუძველზე.

2. საწარმოები ყოველი კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვის დამდე საგადასახადო ორგანოებს სპეციალური ფორმით წარუდგენენ ფაქტობრივი მოგების ცნობას, მოგების გადასახადში დაწესებული შეღავათებისა და დადგენილი განაკვეთების გათვალისწინებით. ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადის თანხა განისაზღვრება აღრე დარიცხული გადასახადების გათვალისწინებით.

3. სახელმწიფო საწარმოებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილი საიგარო საწარმოებისათვის დადგენილი განაკვეთებით გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა მცირდება საიგარო გადასახადის თანხით (მის შემადგენლობაში შემავალი სამორტიზაციო ანარიცხების გამოქლებით), რომელიც ეჭვიმდებარება ბიუჯეტში შეტანას არსებული წესების შესაბამისად.

4. გადასახადის გაანგარიშება განვლილი წლის მანძილზე ფაქტობრივად მიღებული მოგებიდან ხდება საბულალტრო ანგარიშის (ბალანსის) საფუძველზე.

5. კვარტალური ცნობების მიხედვით გადასახადის გადახდა ხდება ხუთი დღის ვადაში ცნობების წარდგენის დადგენილი დღიდან, ხოლო წლიური გაანგარიშების მიხედვით — ათი დღის ვადაში წლიური საბულალტრო ანგარიშების წარდგენის დადგენილი დღიდან.

6. მოგების გადასახადის გადამხდელები თავიანთი აღვილმდებარეობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს წარუდგენენ საბულალტრო ანარიშებსა და ბალანსებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში და მოგების გადასახადის თანხის გაანგარიშებებს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმით.

7. ბიუჯეტში ზედმეტად ჩარიცხული გადასახადის თანხა ჩაითვლება მორიგი გადასახდელების ანგარიშში ან უბრუნდება გა-

დამზღველს ხუთი დღის ვადაში მისი წერილობითი განცხადება
მიღების დღიდან.

8. უცხოელი იურიდიული პირის მოვების გადასახადი გაიან-
გარიშება დაწესებული შეღავათების გათვალისწინებით, დასაბეჭ-
რი მოვების ოდენობიდან და გადასახადის განაკვეთიდან გამომდი-
ნარე.

უცხოელი იურიდიული პირის მოვების გადასახადის გაანგა-
რიშება ხდება ყოველწლიურად საგადასახადო ორგანოს მიერ მუდ-
მივი წარმომაზებულობის აღვილმდებარეობის მიხედვით.

გაანგარიშებული გადასახადის თანხახე გადამზღველს ეძლევა
საგადასახადო შეტყობინება საქართველოს რესპუბლიკის სახელ-
მწიფო საგადასახადო სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმის
მიხედვით.

უცხოელი იურიდიული პირი ექვემდებარება აღრიცხვის საგა-
დასახადო ორგანოში მუდმივი წარმომადგენლობის აღვილმდება-
რეობის მიხედვით.

9. უცხოელი იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში
ეწევა საქმიანობას, საანგარიშოს მომდევნო წლის ორაუგვიანეს 15
ათრილისა, საგადასახადო ორგანოს წარუდგენს საქართველოში
საქმიანობის ანგარიშს და დეკლარაციას შემოსავლის შესახებ სა-
ქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის
მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით. კალენდარული წლის
ღამთავრებამდე საქმიანობის შეწყვეტისას აღნიშნული დოკუმენ-
ტი წარდგენილ უნდა იქნეს თვის განმავლობაში მისი შეწყვეტის
დღიდან.

10. უცხოური ინვესტიციებიანი საწარმოები და უცხოელი
იურიდიული პირები ვალდებული არიან დადგენილ ვადებში სა-
ბუღალტრო ანგარიშებთან და დეკლარაციასთან ერთად საგადასა-
ხადო ორგანოებში წარადგინონ აუდიტორის დასკვნა ანგარიშების
სტანდარტები. საგადასახადო ორგანოებში აუდიტორული დასკვნის
წარუდგენლობა (აუდიტორული მომსახურების შესახებ ხელშეკრუ-
ლება) გადამზღველის მიმართ დადგენილი წესით განსაზღვრული
პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველია.



დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება ავრეთვე საგადა-
სახადო ორგანოს მიერ. რისთვისაც უცხოელი იტრიდიული განკუთხების
სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას წარუდგენს სათანადო ფი-
ნანსურ ღა საბუღალტრო დოკუმენტებს. დეკლარაციის შედგენაში
უზუსტობებს დადგენის შემთხვევაში უცხოელი იურიდიული პი-
რის პირობით გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებ-
ლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ფორმები.

11. უცხოური ინვესტიციებიანი საწარმოები და უცხოელი
იურიდიული პირები მოგების გადასახადს იხდიან საგადასახადო
შეტყობინებაში აღნიშნულ ვადებში, უნაღდო წესით, საქართვე-
ლოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ვალუტით ან უცხო-
ური ვალუტით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის
მიერ დადგენილი კურსით.

12. მოგების გადასახადის ბიუჯეტში გადარიცხვის საგადასა-
ხადო დავალებებს გადამხდელები ბანკს აბარებენ გადახდის ვადის
დადგომამდე, რომლის გადარიცხვაც ხორციელდება პირველრიგი-
თობის წესით.

მუხლი 10. საწარმოთა ცალკეული სახეობის შემოსავლის (მო- გების) დაბეგვრა

1. საწარმოები, მოგების გადასახადის გარდა, იხდიან შემდე-
ვი სახეობის შემოსავლიდან და მოგებიდან გადასახდებს:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე გამოშვებული საწარმოთა
კუთვნილი აქციებიდან, ობლიგაციებიდან და სხვა ფასიანი ქა-
ლალდებიდან მიღებული დავიდენდებიდან, პროცენტებიდან;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ სხვა
საწარმოთა საქმიანობაში წილობრივი მონაწილეობით მიღებული
შემოსავლიდან;

გ) კაზინოდან, სამორინოებიდან და სხვა სახის სათამაშო ბიზ-
ნესიდან, ვიდეოსალონებიდან (ვიდეოჩვენებიდან), ვიდეო და რუ-
სკო-კასეტების გაქირავებიდან და მათზე ჩანაწერებიდან მიღებუ-
ლი შემოსავლიდან (იჯარიდან და ქონების გამოყენების სხვა სა-
ხეობიდან შემოსავლის ჩათვლით), რომელიც განისაზღვრება სხვა-
ობის სახით მონაგებსა და მატერიალურ დანახარჯებს შორის, რაც
დაკავშირებულია ამ შემოსავლების მიღებასთან. სხვა სახეობის სა-



თამაშო ბიზნესში იგულისხმება საგნობრივი ან ფულისამოქმედოა — სათამაშო ავტომატებით (სხვა საშუალებებით და დაზადგარებით) საქმიანობის სახე;

ღ) ლია მოედნებზე, სტაჟიონებზე, სპორტის სასახლეებში და სხვა შენობებში (რომელთა ადგილების რაოდენობა აღემატება ლირი ათასს) გამართული მასობრივი საკონცერტო-სანახაობრივი ღონისძიებებიდან მიღებული მოგებიდან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 10-პროცენტიანი განაკვეთით;

პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული საქმიანობდან მიღებული შემოსავალი — 70-პროცენტიანი განაკვეთით;

პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული თოთოეული ღონისძიებიდან მიღებული მოგება იბეგრება 50-პროცენტიანი განაკვეთით.

3. საწარმოს კუთვნილი აქციებიდან, ობლიგაციებიდან და სხვა ფასიანი ქაღალდებიდან, აგრეთვე სხვა საწარმოებში წილობრივი მონაწილეობით მიღებული შემოსავლიდან გადასახადის გადახდა ხდება შემოსავლის წყაროდან. პასუხისმგებლობა გადასახადის დაკავებასა და ბიუგეტში გადარიცხვისათვის ეკისრება შემოსავლის გადამხდელ საწარმოს.

4. ამ მუხლში ჩამოთვლილი შემოსავლების (მოგებათა) გადასახდები გადამხდელების მიერ განისაზღვრება დამოუკიდებლად, გადასახადით დასაბეგრი შემოსავლისა და გადასახადის განაკვეთილან გამომდინარე.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გადასახადი გამოიახვარიშება ნაზარდი ჯამით, ხოლო „დ“ პუნქტით გათვალისწინებული შემოსავლისა — ყოველი ცალკეული ღონისძიებიდან, მათ შორის იმ ღონისძიებიდან, რომებიც განსაზღვრული პერიოდის მანძილზე გრძელდება.

მუხლი 11. უცხოელი რურიდიული პირის შემოსავლის დაბეგვრა, რაც დაკავშირებული არ არის საქართველოს რესპუბლიკაში საქმიანობასთან



1. უცხოელი იურიდიული პირები შემოსავლის გადასახადსაცხადების დინამიკის დივიდენდებიდან, პროცენტებიდან, უცხოური ინვესტიციებისა და შემნიღ საწარმოებში წარმომადგენ მონაწილეობით მიღებული შემოსავლიდან, სავტორო უფლებების, ლიცენზიების გამოყენებისა და იჯარიდან და სხვა სახის შემოსავლიდან (ფრასტიდან შემოსავლის გარდა), რომელთა მიღების წყარო საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე — 10-პროცენტიანი განაკვეთით.

ფრასტიდან მიღებული შემოსავალი იძეგრება ნ-პროცენტიანი განაკვეთით.

2. დაბეგვრისაგან თავისუფლდება სესხის პროცენტები, რაც მიღებულია სახელმწიფოს ან რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და ეროვნულ ბანკებთან დადებული ხელშეკრულებებით.

3. უცხოელი იურიდიული პირი, რომლის მიერ საქართველოს რესპუბლიკაში მიღებული შემოსავალი, საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, ექვემდებარება შეღავათიან დაბეგვრას, შემოსავლის მიღების დღიდან წლის განმავლობაში წარადგენს განცხადებას გადასახადის შემცირებაზე ან გაუქმებაზე, იმ წესით, რაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიერ. იღნიშნული ვალის გასვლის შემდეგ წარდგნილი განცხადებები განსახილველად არ მიღება.

4. უცხოელი იურიდიული პირის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიღებული შემოსავლის გადასახადის დაკავება ხდება იმ საწარმოს მიერ, რომელიც უხდის შემოსავალს უცხოელ პირს. გადასახადი დაკავდება სავალუტო შემოსავლის მთლიანი თანხიდან, თითოეული გადარიცხვის დროს.

მუხლი 12. სპეციალური დებულებები

1. თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ეხება საგადასახადო პრივილეგიებს, რომელიც დადგენილია საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს რესპუბლიკის სპეციალური შეთანხმებებით.

2. უცხოელი იურიდიულ პირთა შემოსავლის გადასახლებულების გადახდევინება შეიძლება „შეწყდეს ან შეიზღუდოს ნაცვალგეტის პრინციპის საფუძველზე იმ შემთხვევაში, როცა უცხოეთის შესაბამის სახელმწიფოში ასეთივე ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს იურიდიული პირების მიმართ ასეთივე ან ანალოგიურ გადასახადებთან დაკავშირებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს ამ სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოების მიერ.

3. უცხოეთის ფირმებთან კომერციული გარიგებების დადების უროს ნებადართული არ არის კონტრაქტში საგადასახადო პირობების შეტანა. რომელთა შესაბამისად შემოსავლის გადამხდელი საჭარბო კისრულობს ვალდებულებას გაიღოს ხარჯები უცხოელი იურიდიული პირების მოვების (შემოსავლის) გადასახადის გადასახადლად.

მუხლი 13. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება

საქართველოს რესპუბლიკის ფარვლებს გარეთ მიღებული მოვების (შემოსავლის) თანხა შეიტანება მოვების ან შემოსავლის საერთო თანხაში, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და გათვალისწინება გადასახადის თანხის განსაზღვრის დროს.

საჭარბოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის ფარვლებს გარეთ მიღებული მოვების (შემოსავლის) გადასახადის თანხები, რომელიც გადაიხდიან საჭარბოები საზღვარგარეთ სხვა ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად, ჩაეთვლებათ მათ მიერ საქართველოს რესპუბლიკაში მოვების გადასახადის გადახდის დროს, ამასთან ჩასათვლელი თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოვების (შემოსავლის) გადასახადის თანხას, რაც ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკაში გადახდას საზღვარგარეთ. მიღებული მოვების (შემოსავლის) მიხედვით.

მუხლი 14. ბიუჯეტში გადასახადის ჩარიცხვა

ბიუჯეტში მოვების და შემოსავლის გადასახადი ჩაირიცხება „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ და „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 15. გადამხდელთა პასუხისმგებლობა და კანონის უზრუნველყოფა



ამ კანონის შესრულების საერთო კონტროლი და ცალკეულ დებულებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის წორმების გამოყენება ხორციელდება „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

ელევარდ შევარდენიშვილი

სახელმწიფოს მეთაური

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი

თბილისი, 1993 წლის 21 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადა-
234 სახადო სამსახურის უზრუნველყოფა

თავ 1

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახური უზრუნველყოფს ერთან ცენტრალიზებულ სისტემის, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და მისი შესრულების კონტროლს.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახური საგადასახადო კანონმდებლობის დაცვასა და მის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ცენტრალური აპარატის, ავტონომიურ რესპუბლიკებში სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებისა და ქალაქებსა და რაიონებში სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების მეშვეობით.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კულტურული მემკვიდრეობის ცენტრალური სამსახურის შედის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოების სისტემაში და ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახური და მისი ორგანოები აღვილებზე თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციით, საქართველოს რესპუბლიკა და ეგტონომიური რესპუბლიკების კანონებით, საქართველოს პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებით, აგრეთვე თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში — ეგტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოებისა და აღვილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების დადგენილებებით და ამ კანონით.

მუხლი 5. საგადასახადო სამსახური საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისას სათანადო შესთ თანამშრომლობს აღმასრულებელ ხელისუფლებას და სამართალდამცავ ორგანოებთან.

თ ა ვ ი II

**სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების ამოცანები და
მოვალეობანი**

მუხლი 6. სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ამოცანაა საგადასახადო პოლიტიკის გატარებისა და საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის უსრუნველყოფა, საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით დაწესებული, აგრეთვე აღვილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ დადგენილი გადასახადების და სხვა სავალდებულო გადასახდელების სწორი გაანვირიშებაზე და მათ შესაბამის ბიუჯეტებსა და არასაბიუჯეტო ფონდებში სრულად და დროულად ჩარიცხვაზე კონტროლი.

მუხლი 7. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებს ევალურზორი

1. დააშესონ კონტროლი, მათი საკუთრების ფორმებისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, საჭარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საჭარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების, უცხოელი მრეკლამეებისა და მოქალაქეების არმქონე პირების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვაზე.

2. უზრუნველყონ გადამხდელებისა და ბიუჯეტში ჩარიცხული გადასახადებისა და სხვა გადასახდელების აღრიცხვა, კონფისკებული, უპატრონო, მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოს განკარგულებაში გადასული ქონებისა და ვანდეულობათა აღრიცხვა, შეფასება და მათი რეალიზაციაზე მიღებული შემოსავლის აღრიცხვა.

3. მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის შემოსავლის პროგნოზირებაში და უზრუნველყონ შესაბამის ორგანოებში სათანადო მონაცემების წარდგენა ბიუჯეტში ფაქტობრივი შემოსავლის შესახებ.

4. უზრუნველყონ გადასახადებსა და სხვა სავალჯებულო გადასახდელებზე მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ბიუჯეტთან ანვარიშმარიტობის წესის შესახებ გადამხდელებისა და მოსახლეობის ინფორმირება.

თავი III

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებისა / და მათი თანამდებობის / პირთა უფლებები

მუხლი 8. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირებს მათზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფისათვის უფლება აქვთ:

1. საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის შემოწმების მიზნით პირადობის მოწმობის წარდგენით შესაბამისი დავალების (პრანების) საფუძველზე შევიდნენ და დაათვალიერონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული და მის იურისდიქციაში მყოფი ურიდიული და ფიზიკური პირების საჭარმო,

სასაწყობო, ხავაჭრო ობიექტები და სხვა ნებისმიერი შენობები, რომლებიც გამოიყენება შემოსავლის ან მოგების მისაღწეულობა

2. მიიღონ და შეამოწმონ სამინისტროების, დაწესებულებების, საწარმოების, ფიზიკური პირების, ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების საბუღალტო ბალანსები, შემოსავლის დეკლარაციები, ფულადი დოკუმენტები, საბუღალტო დავთრები, ანგარიშები, ხარჯთაღრიცხვები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლის, გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გამოანგარიშებასთან და ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში გადახდასთან, აგრეთვე მიიღონ ახსნა-განმარტებანი, ცნობები და მონაცემები შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე.

3. საკიროების მიხედვით შემოწმების დროს, მოგების (შემოსავლის) და დაბეგვრის სხვა ობიექტების სრულად განსაზღვრის მიზნით, დადგენილი წესის შესაბამისად აღშერონ და გამოიკვლიონ გადამხდელთა (მათ შორის ფიზიკური პირების) საწარმოო, სასაწყობო, ხავაჭრო, სამსახურებრივი შენობები და გადამხდელთა ქონების შენისახისა და გამოყენების სხვა ადგილები, რომლებიც განკუთვნილია სამეწარმეო საქმიანობისათვის და შემოსავლის მისაღებად ან დაკავშირებულია გადასახიდით დასაბეგრ ინიციატივით, ავტორულების მომსახურების, სამუშაოს) რეალიზაციიდან ამონაგები თანხების სრულად აღრიცხვისა და მოგების (შემოსავლის) სწორად განსაზღვრის დადგენის მიზნით ჩაატარონ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების ინვენტარიზაცია და შემოწმონ იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფასებისა და ტარიფების გამოყენების საკითხი.

4. მოსთხოვონ შესამოწმებელი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და სხვა თანამდებობის პირებს. ავტორულების მოქალაქეებს საგადასახიდო კანონმდებლობის დარღვევათა აღმოფხვრა და გააკონტროლონ შესრულება.

5. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემოხვევებში შეაჩერონ ბანკებსა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში იურიდიული და ფიზიკური პირების საანგარიშსწორებო და სხვა ან-



გარეშების (მათ შორის სავალუტო ანგარიშის) მიხედვით ჰავაზები სახსრების გაცემის, გადარიცხვის და ჩამოწერის ოპერაციული მომენტები სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებსა და მათ თანამდებობის პირებს არ წარუდგენენ ან უარს ეტყვიან საბუღალტრო ანგარიშების, ბალანსების, გაანგარიშებების, დეკლარაციების და სხვა დოკუმენტების წარდგენაზე. რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გამოანგარიშებისა და გადახდისთან, აგრეთვე ფასებისა და ტარიფების დადგენისა და გამოყენებასთან, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც არ წარმოებს ან არასწორად წარმოებს საბუღალტრო აღრიცხვა.

6. ამოილონ იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან მოგების (შემოსავლის) და დაბეგვრის სხვა ობიექტების დამალვის ან შემკირების დამადასტურებელი დოკუმენტები.

7. ფულადი სახსრების არასებობის შემთხვევაში მენარჩენე საწარმოს ქონებას დაადონ ყადაღა. აღწერაში არსებული ქონების განკარგვის აკრძალვის გამოცხადებით.

8. ყველა საწარმოსაგან უსაზღვროდ მიიღონ გადასახადების გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემები.

9. გადამხდელების მიმართ გამოიყენონ მოქმედი კანონმდებლობა-თ გათვალისწინებული ფინანსური სანქციები და სავალდებულო გადახდის წესით გადასახდევენონ:

ა) დამალული ან შემცირებული მოგების (შემოსავლის) მოქმედებით ხოლო სხვა დამალული ან ალურიცხავი დასაბეგრი ობიექტებისან კანონით განსაზღვრული გადასახადის თანხა და გარიმა იმავე ოდენობით, ხოლო სანქციის გამოყენების შემდეგ, მიმდინარე ან მომდევნონ საანგარიშო წლის განმავლობაში ანალოგიური ჯარლვევის შემთხვევაში — გამოვლენილი მოელი თანხა და გარიმა ორმავე ოდენობით.

ამ პუნქტით გათვალისწინებული სანქციები მოქმედებს აგრეთვე საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო შეღავათების უსწოროდ გამოყენების შემთხვევაში.

უცხოური ვალუტით მიღებული მოგების (შემოსავლის) და მიღვის ან შემცირების შემთხვევაში, მოგების (შემოსავლის) თანხა



გადაიანგარიშება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მუზეუმი
მრერ დადგენილი კურსის მიხედვით.

დამალულად ან შემცირებულად ითვლება გადასახადით და-
საბეგრი ის ობიექტი, რომელიც ასახული არ არის სახელმწიფო
საგადასახადო ორგანოებში წარდგენილ საბუღალტრო მუზებ-
ში, ბალანსებში, გაანგარიშებებსა და დეკლარაციებში, აგრეთვე
საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვის უქონლობა და მიღებული
ამონაგების (შემოსავლის) ხარჯებისა და დასაბეგრი ობიექტების
ლირებულების მოცულობის საბუღალტრო დოკუმენტებში უსწო-
როდ აღრიცხვა, რის შედეგადაც გადასახადები და გადასახდელე-
ბი ბიუგეტში სრული ოდენობით არ ჩაირიცხება;

ბ) საგადასახადო ორგანოებში საბუღალტრო მუზებისა
და ბალანსების, გაანგარიშებების, დეკლარაციების და გადასახა-
დების გამოსაანგარიშებლად საჭირო სხვა დოკუმენტების დაგვია-
ნებით წარდგენისათვის ფინანსური სანქციის სახით გადასახდელი
თანხის 10 პროცენტი, ხოლო მიზოკუმენტების საგადასახადო ორ-
განოებში 30 დღეზე მეტი ხნით დაგვიანებისათვის გადამხდელს
დაარიცხონ საურავი ყოველი დაგვიანებული დღისათვის გადასახ-
დელი თანხის 3 პროცენტის ოდენობით;

გ) ბანკებში და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში საგადა-
სახადო დავალების წარუდგენლობის ან მათი დაგვიანებით წარდ-
გენისათვის — შესაბამისი გადისათვის გადასახდელი თანხის 10
პროცენტი:

დ) ყველა ცალკეულ შემთხვევაში, რეალზაციის ეტაპზე სა-
თანადო წესით გაუფორმებელი საქონლის, აგრეთვე შემოწმების
დროს გამოვლენილ და დადგენილ ვადებში საბუღალტრო დოკუ-
მენტებში აღურიცხავი მატერიალური ფასეულობებისა და შეძენის
დამაღასტურებელი დოკუმენტების გარეშე არსებული მატერიალური
ფასეულობების მთლიანი ღირებულება;

ე) გადასახადების, მოსაკრებლების ან ბაჟის დაგვიანებით გა-
დახდის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადამხ-
დელს გადასახდევინონ საურავი დროულად გადაუხდელი თანხის
0.3 პროცენტის ოდენობით, თუ გადასახადის და ბაჟის შესახებ

შესაბამისი კანონით გათვალისწინებული არ არის საუფლეხო ან ლეგალური მისამართი და მათ გადასახლებული არ არის საურავის ღრუიცხვა ხდება იმ დროიდან, როდესაც უნდა გადაეხდათ ეს გადასახლები;

ვ) გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების (მათ შორის სავალუტო ანგარიშის) მიხედვით გასავლის ოპერაციების შეჩერების შესახებ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების შოთოვებების შეუსრულებლობის, აგრეთვე საგადასახადო სამსახურების (ასევე გადამხდელების) დავალებებით თანხების უდავო წესით ჩამოწერის დარღვევების შემთხვევაში, ბანკებსა და სხვა საფინანსო-საქრედიტო დაწესებულებებს ფინანსური სანქციის სახით გადაახდევინონ გადამხდელთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე (მათ შორის სავალუტო ანგარიშზე) შესრულებული გასავლის ოპერაციების საერთო თანხის 10 პროცენტი და საურავი ჩაურიცხავი (დაგვიანებით ჩარიცხული) თანხის 0,3 პროცენტის გადახდით თოთოვეულ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ზ) საქანონშედებლო ქტებით გათვალისწინებული სხვა სანქციები.

10. სასამართლოში ან საარბიტრაჟო სასამართლოში წარადგინონ სარჩევლი:

საწარმოთა ლიკვიდაციის ან მათი გაყოტრებულად ცნობის შესახებ:

საქონლისა და პროდუქციის კონფისკაციის შესახებ, რომელთა დამზადება აკრძალულია საქართველოს რესპუბლიკის კიბინგებლობით ან დამზადებულია სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციის გარეშე;

გრაუგების გათილად ცნობისა და ასეთი გარიგებებით მიღებული მოელი შემოსავლის სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდევინების შესახებ;

გაურიგებლად არაკიბინიერი ქმედებით მოელი შენაძენის ღირებულების ბიუგეტის სასარგებლოდ გადახდევინების შესახებ;

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევებისას, რის შედეგადაც აღვილი აქვს

გადასახადებისა და სხვა გადასახდელების დიდი ოდენობის დამტკიცებულებისა და გადაუხდელობის ფაქტებს, აგრეთვე საგადასახადო როგორც ნოების მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის გადასა ღების ჟადაცლისაგან თვის არიდების დროს.

11. აღმინისტრაციული ჯარიმები და დონი:

ა) საწარმოთა ხელმძღვანელებსა და მეწარმეებს, რომლებმაც დაარღვეოს სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში გადასახადების გადამხდელად აღრიცხვაზე აყვანის დადგენილი წესი — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით;

ბ) საწარმოთა ხელმძღვანელებსა და მოქალაქეებს, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო რევისტრაციის გარეშე ან ეწევიან კანონით აკრძალულ საქმიანობას, აგრეთვე უნებართვოდ ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიის) საჭიროებს — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ოცმაგი ოდენობით, ასეთი საქმიანობიდან მიღებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული მთელი ამონაგების დადგენილი წესით ბიუჯეტში ჩარიცხვით;

გ) ინფირმუალურ მეწარმეებს და მოქალაქეებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით შემოსავლისა და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის უქონლობაში. ან დადგენილი წესის დარღვევით მის წარმოებაში, აგრეთვე შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოებში. წარუდგენლობასა ან დაგვიანებით წარდგენაში და მასში შეტანილი მონაცემების დამახინჯებაში — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ხუთმაგი ოდენობით, ხოლო აღმინისტრაციული ჯარიმის დადგებიდან 12. თვის განმავლობაში ანალოგიური დარღვევების განმეორებით ჩადენისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით:

დ) საწარმოთა თანამდებობის პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მოგების (შემოსავლის) და დაბეგვრის სხვა ობიექტების დამალვაში ან შემცირებაში, გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გაანგარიშებაში, მოქალაქეთა

შემოსავლიდან გადასახადების არასწორად დაკავებაში ან დაკავებული თანხების ბიუჯეტში არასრულად და დაგვიანებით გადარიცხვაში, საბუღალტრო ორგაცხვის უქონლობაში ან დადგენილი წესის დარღვევით მის წარმოებაში; საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, საგადასახადო გაანგარიშებების, დეკლარაციების, გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გაანგარიშებებთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტების წარუდგენლობაში, დაგვიანებით ან დაუდგენელი ფორმით წარდგენაში; გადასახადის გადასახდელად საბანკო და საკრედიტო დაწესებულებებში აუცილებელი დოკუმენტების წარუდგენლობისათვის ან დაგვიანებით წარგენისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით, ხოლო ადმინისტრაციული ჯარიმის დადებიდან 12 თვის განმავლობაში ანალოგიური დარღვევების განმეორებით ჩადენისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ოცმაგი ოდენობით;

ე) საწარმოთა თანამდებობის პირებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს და მოქალაქეებს, რომელებიც არ ასრულებენ კანონმდებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებისა და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნებს — კანონმდებლობით დაგენილი მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით;

ვ) ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების ხელმძღვანელებსა და თანამდებობის პირებს;

საგადასახადო ორგანოებში ორგაცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტების წარუდგენლად გადამხდელების საანგარიშეწორებო და სხვა ანგარიშების გახსნისათვის და ანგარიშების გახსნის შესახებ საგადასახადო ორგანოებში ინფორმაციის წარუდგენლობისათვის, ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) მიუღებლობისათვის და მიღებული საგადასახადო დავალებების (განკარგულებების) უწინარესად შეუსრულებლობისათვის, ამ ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების შესამოწმებლად სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაქთა დაუშვებლობისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ხუთმაგი ოდენობით;

გადამხდელთა ანგარიშების მიხედვით გასავლის ოპერაციების შეჩერების შესახებ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიხედვების შეუსრულებლობისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ამავე ღამის მიზანით, ხოლო 12 თვის განმვლობაში ანალოგიური დარღვევის განმეორებისას — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის ოცმავი ღამის მიზანით;

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების მოთხოვნის შესაბამისად საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული მონაცემების წარუდგენლობისათვის — კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმავი ღამის მიზანით.

მუხლი 9. ამ კანონის მე-8 მუხლის 1-4, მე-7, მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებები ენიჭებათ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირებს, ხოლო მე-8 მუხლის 1-5, მე-6, მე-8, მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული კლებები ენიჭებათ მხოლოდ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების უფროსებსა და მათ მოადგილებს, და მათი რეალიზება დღება სათანადო დადგენილების მიღებით.

მუხლი 10. ზემდგომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გააუქმოს ქვემდგომი სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების გადაწყვეტილებანი კანონმდებლობასთან მათი შეუსაბაძობის შემთხვევაში.

მუხლი 11. დაუშეებელია სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაქთათვის იმ ფუნქციების შესრულების დაკისრება, რომელიც ამ კანონითა და საგადასახადო სისტემის შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტებით არ არის განსაზღვრული.

მუხლი 12. სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ფუნქციებში ჩარევა აკრძალულია.

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ხელმძღვანელობენ მხოლოდ კანონებით.

სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების თანამდებობის
პირთა პასუხისმგებლობა

მუხლი 13. სახელმწიფო საგადასახადო სამსახურსა და მის ორგანოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების გაზამხდელთა სრული აღრიცხვისათვის, გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების სწორად გამოანგარიშების, ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდში მათი სრული და დროული ჩატრიცხვისათვის და გადამხდელთა მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის კონტროლის მიზნით საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური შემოწმების მოწყობისათვის.

მუხლი 14. სახელმწიფო საგადასახდო ინსპექციების თანამდებობის პირებს თავიანთი მოვალეობის შესრულებისას კანონმდებლობით დადგენილი კომერციული საიდუმლოების, აგრეთვე ფიზიკურ პირთა ანაბრების მონაცემთა საიდუმლოების გამხელისათვის, რამაც გადამხდელებს მატერიალური ზარალი მიაყენა, ეკისრებათ მატერიალური, დისკიპლინური, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების თანამდებობის პირთა მიერ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ან არასათანდო შესრულებისას, რის შედეგადაც არაა უზრუნველყოფილი იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მოგების (შემოსავლს) და დაბეგვრის სხვა ობიექტების დამალვის ან შემცირების ფაქტების დადგენა, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი ფინანსური სანქციების გამოყენებლობის შემთხვევაში, მათ ეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მუშავთა მერი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისას, რაც შეიძლება გა-



მოიხატოს გადამხდელთა მიერ მოგების (შემოსავლის) ფრჩხილების კრისტენის სხვა ობიექტების დამალვის ან შემცირების ფაქტების შემოწმების აქტში შეუტანლობით, მასთან დაკავშირებული შედეგებით, ინსპექციის თანამდებობის პირებს ეკისრებათ სისხლის სამართლის პისუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 17. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების მიერ არასწორად გადახდევინებული გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების თანხები ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების და მათი თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი ქმედებით გადამხდელებისათვის მიყენებული ზარალი (მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი) ანაზღაურდება დადგენილი წესით, ხოლო საგადასახადო ინსპექციის თანამდებობის პირს დაეკისრება აღმინისტრაციული სასჯელი კანონმდებლობით დადგენილი შრომის ანაზღაურების მინიმალური თანხის ხუთმაგი ოდენობით.

მუხლი 18. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირთა მოქმედების გასაჩივრება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V

სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის სტრუქტურა და
მართვის ორგანოები

მუხლი 19. საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ერთიანი სისტემა შედგება სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ცენტრალური აპარატისაგან, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებისაგან ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახური და მისი ორგანოები არაა იურიდიული პირები, აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით და თავიანთი დასახელებით.

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციები ექვემდებარებიან ზემდგომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებს.

მუხლი 20. საგადასახადო კანონმდებლობის სფეროში უწყვეტის შაულისა და აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის, მათი თავიდან აცილებისა და აღვეთის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციაში იქმნება ოპერატორი სამსახური.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსის და მისი მოადგილეების თანამდებობაზე ჯანშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, აგრეთვე კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 22. ავტონომიურ რესპუბლიკებში სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 23. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსებს ქალაქებში, რაიონებსა და ქალაქის რაიონებში ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 24. სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შენახვის ხარჯები იფარება საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

თ ა ვ ი VI

**სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის საქმიანობის სხვა
საკითხები**

მუხლი 25. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურისა და მისი ორგანოების სამსახურებრივი შენობებით, ტრანსპორტით, გამოთვლითი ტექნიკითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის წესს აღენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 26. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაյთა დაინტერესების მიზნით იქმნება სახელმწიფო საგადასახადო ორ-



ვანოების მუშაკთა სტიმულირების ფონდი შემოწმების შედეგადაც ვა ნანსური სანქციებისა და ჯარიმების სახით ბიუჯეტში და ამავარი გეტო ფონდებში ჩარიცხული თანხების 30 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 27. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოთა ყველა თა-
ნამშრომელი ექვემდებარება სახელმწიფო პირად დაზღვევას სა-
ქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების
ხარჯზე.

მუხლი 28. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მუშაკებს
უფლება აქვთ უფასოდ იმგზავრონ სახელმწიფო საქალაქო და ში-
დარაიონული ტრანსპორტით (ტაქსის გარდა).

მუხლი 29. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის თანამშ-
რომლებს, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულები-
სთვის იყენებენ საკუთარ სატრანსპორტო საშუალებებს, ეძლევათ
კომპენსაცია მოქმედი წესის შესაბამისად.

მუხლი 30. სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მუშაკებს
კუალიფიკაციის, დაკავებული თანამდებობისა და სამუშაო სტაჟის
შესაბამისად ენიჭებათ სპეციალური წოდება.

მუხლი 31. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადა-
სახადო სამსახურს უფლება აქვს კავშირები დაამყაროს სხვა ქვეყ-
ნების შესაბამის სამსახურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებ-
თან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფო მეთაური

ედუარდ გივარდიაშვილი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი.

თბილისი, 1993 წლის 23 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

**235 „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზადა-
სახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუ-
ბლიკის პარლიმენტის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო
სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქ-
მედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

2. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ პარ-
ლამენტის უზრუნველ და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებთან ერ-
თან ერთი თვის ვადაში მოამზადოს და პარლამენტის განსახილვე-
ლად შეიტანოს წინადადებები საქართველოს რესპუბლიკის სა-
კონონმდებლო აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის შე-
სახებ.

3. დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვ-
ნული უშიშროების კომისიას მოამზადოს „სამხედრო და სპეცია-
ლური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქარ-
თველოს რესპუბლიკის კანონში შესატანი დამატებების პროექტი
სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის მუშავთათვის სპეციალური
წოდებების დაწესების შესახებ და წარუდგინოს პარლამენტს ვან-
სახილველად.

4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი
თვის ვადაში:

ა) უზრუნველყოს თავისი დადგენილებების „საქართველოს
რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“
კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება სახელმწიფო საგა-
დასახადო ინსპექციის ოპერატიული სამსახურის შესახებ“;

გ) უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
საგადასახადო სამსახური მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით,
პოლიგრაფიული სიმძლავრეების, ტრანსპორტის, გამოთვლითი
ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებების ჩათვლით;



5. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგანმანათლებლო
სამსახურის შესახებ“ კანონი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში

საქართველოს პარლამენტის სპეციალური ვახტანგ გოგუაში.

თბილისი, 1993 წლის 23 დეკემბერი.

საჩართველოს პარლამენტის დადგენილება

236 საჩართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის ზოგადგენერალური დოკუმენტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნენ საქართველოს პარლამენტის იურიდიული კო-
მისიის წევრებად ვლადიმერ ბალაშვილი და ქართლის ლარიბაშვი-
ლი.

საქართველოს პარლამენტის სპეციალური ვახტანგ გოგუაში.

თბილისი, 1993 წლის 23 დეკემბერი.

საჩართველოს რესპუბლიკის ტანონი

237 საჩართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდო- ვის — ორდენებისა და მედლების დაგულებაში და- მატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 24 დეკემბრის კა-
ნონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
ჯილდოების — ორდენებისა და მედლების დებულების მე-4 პუნქტს



სიტყვების „ხელოვნების დარგებში შეტანილი განსაკუთრებულ
პირადი წვლილისათვის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სპორტული
მიღწევებისათვის“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 23 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

238 საქართველოს პარლამენტის მუშაობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები გაგრძელდეს 1993 წლის 23 და 24 დეკემბერს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 23 დეკემბერი.



საქართველოს პარლამენტის დადგინდუმა სამინისტრო
გვ. 2000 წლის 1 მარტი

239 საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო ცისი

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის მუშაობა
ნაცვლად რეკლამენტით გათვალისწინებული 1994 წლის პირველი
თებერვლისა და ივნისის 1994 წლის 18 იანვარს.

საქართველოს პარლამენტის პიკერის მოადგილე რუსულან გერიმი.

იბილისი, 1993 წლის 23 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

240 დამატებული ღირებულების გადასახადის ზესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული კანონი შემუშავებულია „საგადასახადო სისტე-
მის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის
შესაბამისად და განსაზღვრავს დამატებული ღირებულების გადა-
სახადით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების წესს.

2. დამატებული ღირებულების გადასახადი არის საქონლის
(სამუშაოების, მომსახურების) წარმოებისა და განაწილების ყვე-
ლა სტადიაზე დამატებული (ახლად შექმნილი) ღირებულების ნა-
წილის ბიუჯეტში ამოღების ფორმა. დამატებული ღირებულება გა-
ნისაზღვრება, როგორც სხვაობა რეალიზებული საქონლის (სამუ-
შაოების, მომსახურების) ღირებულებისა და იმ მატერიალური და-
ნახარჯების ღირებულების შორის, რომლებიც მიეკუთვნება წარ-
მოებისა და მიმოქცევის ხარჯებს.

მუხლი 2. გადასახადის გადამხდელები

1. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელები არიან:

ა) საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ იურიდიული პირის სტატუსი და დამოუკიდებლად ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას;

ბ) სრული სამეურნეო და შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობები, რომლებიც დამოუკიდებლად ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას;

გ) საწარმოებისა და ორგანიზაციების ფილიალები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, განსაზღვრული აქვთ საანგარიშ-სწორებო ანგარიშები ბანკის დაწესებულებებში და დამოუკიდებლად ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას;

დ) საერთაშორისო გაერთიანებები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები (გაერთიანებები), უცხოელი იურიდიული პირები, მათი ფილიალებისა და ქვედანაყოფების ჩათვლით, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამოუკიდებლად ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას;

ე) ინდივიდუალური მეწარმეები და ინდივიდუალური საწარმოები, თუ მათი დასაბეგრი შემოსავალი სამეწარმეო საქმიანობიდან აღმატება შრომის ანაზღაურების თვიური მინიმალური დონის ორმოცდაათმეგ ოდენობას წელიწადში.

2. ყველა იურიდიული, ფიზიკური და სხვა პირი, რომლებიც ახორციელებენ საქონლის იმპორტს საქართველოს რესპუბლიკაში, თვეუბიან დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელებად.

3. ამ მუხლის I პუნქტი ჩამოთვლილი გადამხდელები, გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა, შემდგომში იწოდებიან „საწარმოებად“.

მუხლი 3. დაბეგვრის ობიექტი

1. დაბეგვრის ობიექტია ითვლება როგორც საკუთარი წარმოების, ისე ყველა შეძენილი საქონლის, მათ შორის საწარმოო-

ტექნიკური დანიშნულების საქონლის, სამუშაოებისა და  ჩრდილოეთი სამსახურის
რეგისტრის რეალიზაცია, აგრეთვე:

ა) საწარმოს შიგნით საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაცია საკუთარი მოხმარებისათვის, რომელზეც გაწეული ხარჯები არ მიეკუთვნება წარმოების (მიმოქცევის) ხარჯებს, აგრეთვე თავის მუშაკებზე რეალიზაცია;

ბ) საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაცია ღირებულების გადაუხდელად, სხვა საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) სანაცვლოდ;

გ) იმპორტული საქონლის ღირებულება;

დ) საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაცია უსასყიდლოდ ან ნაწილობრივი გადახდით სხვა საწარმოებზე; ფიზიკურ პირებზე, მათ შორის საწარმოს მუშაკებზე;

ე) დაგირავებული ნივთების რეალიზაცია გირაოს მიმღებისათვის მათი გადაცემის შემთხვევაში, გრავნობის ვალდებულებების შეუსრულებლობისას.

2. დამატებული ღირებულების გადსახადის გამოყენების თავისებურებანი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გასატან ან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოსატან საქონლზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) შეიძლება დადგინდეს დამტებული ღირებულების გადასახადის ამოღების პრინციპების შესახებ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებით.

მუხლი 4. დასაბეგრი თანხა

1. დასაბეგრი თანხის განსაზღვრისათვის გამოყენება რეალიზებული საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ღირებულება ფასებიდან და ტარიფებიდან გამომდინარე მათში დამატებული ღირებულების გადასახადის ჩაურთველად.

2. აქციზური საქონლის დასაბეგრ თანხაში ჩაითვლება აქციზის თანხაც.

3. საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) გაცვლისას, მათი უსასყიდლოდ ან ნაწილობრივი გადახდით რეალიზაციისას დასაბეგრი თანხა განისაზღვრება რეალიზაციის მომენტში არსებული თავისუფალი გასაცემი (საბაზრო) ფასების დონიდან გამომდინარე, ხოლო მათზე სახელმწიფო რეგულირებადი ფასების არსებობისას — ამ ფასებიდან გამომდინარე.

საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის სპეციალული თავისუფალი გასაცემი ან საბაზრო ფასების დონეზე დაბალი ფასებით დასაბეგრი თანხა გამოიანგარიშება რეალიზაციის მომენტში არსებული თავისუფალი გასაცემი (საბაზრო) ფასების ღონის მიხედვით.

4. საკუთარი წარმოების საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) გამოყენებისას ამავე საწარმოს საჭიროებისათვის, რომლის დანახარჯები არ მიეკუთვნება წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებს, დასაბეგრი თანხის განსაზღვრის საფუძვლად აიღება ასეთი ან ანალოგიური საქონლის (სამუშაოების, მომსახურების). ღირებულება, რომელიც გამოიანგარიშება მათზე მოქმედი ფასებიდან (ტარიფებიდან), ხოლო მათი არარსებობისას — ფაქტიური თვითლირებულების მიხედვით.

5. საწარმოებში საკუთარი წარმოების საქონლით შრომის ნატურალური წესით ანაზღაურებისას დასაბეგრ თანხად ითვლება საქონლის ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია თავისუფალი საცალო ფასებიდან გამომდინარე სავაჭრო ფასნამატის ჩათვლით, ხოლო საქონელზე, რომელზეც გამოყენება სახელმწიფო რეგულირებაზი ფასები — ამ ფასების მიხედვით.

6. საწარმოს მიერ მოსახლეობაზე, მათ შორის თავის მუშაკებზე, საკუთარი წარმოების საქონლის რეალიზაციის დროს სალაროს მცშვეობით ანგარიშსწორებისას დასაბეგრი თანხა გამოიანგარიშება თავისუფალი საცალო ფასების მიხედვით სავაჭრო ფასნამატის გათვალისწინებით.

7. დამკვეთის ნედლეულისგან და მასალებისგან საქონლის ღამშაღებისას დასაბეგრ თანხად ითვლება მათი დამუშავების ღირებულება.

8. დასაბრუნებელი ტარის ღირებულება, გარდა საწარმოდამზადებლის მიერ ასეთი ტარის რეალიზაციისა, დასაბეგრ თანხაში არ ჩაითვლება.

9. დასაბეგრ თანხად ითვლება მყიდველებისათვის გაღატევირთული ან მყიდველებისათვის (შემკვეთებისათვის) ჩაბარებული საქონლის (შესრულებული სამუშაოების, მომსახურების) ღირებულება.



ბულება, რომელზეც გაფორმებულია სათანადო ღოკუმუნიკაციულია
(ზედდებული, ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი, სატრან-
სპორტო ზედდებული და სხვა) და რომლებიც ადასტურებენ მყიდ-
ველებისათვის (შემქვეთებისათვის) ქონების განკარგვის უფლების
გადაცემას.

10. დასაბეგრ თანხაში ჩაითვლება აგრეთვე ფულადი თანხე-
ბი, რომლებსაც მიღებენ საწარმოები მყიდველებისაგან (შემქვე-
თებისაგან) მათზე რეალიზებული საქონლისათვის (სამუშაოსათვის,
მომსახურებისათვის) ფინანსური დახმარების, სპეციალური დანიშ-
ნულების ფონდების შევსების სახით, ან მოვების გაზრდისათვის
გამოყენებული თანხები.

11. საქონლის იმპორტისას დასაბეგრ თანხად ითვლება სა-
ქონლის საბაჟო ღირებულება, საბაჟო გადასახდელის თანხა, ხოლო
აქციზურ საქონელზე — აქციზის თანხაც.

12. საწარმოების მიერ საშუამაცვლო და სავაჭრო ოპერაციების
განხორციელებისას დასაბეგრ თანხად ითვლება ფასნამატების,
დათმობების, გასამრჩელოებისა და სხვა მოსაკრებლების სახით
მიღებული შემოსავლის თანხა ან სხვაობა მათი რეალიზაციის
ფასს და მომწოდებლისათვის გადახდილ ფასს შორის, დამატებული
ღირებულების გადასახადის თანხის ჩათვლით.

13. დასაბეგრ თანხაში ჩაითვლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან
გამოყოფილი და ათვისებული ასიგნებები, რომლებშიც გათვალის-
წინებულია დამატებული ღირებულების გადასახადი.

14. გადასახადით არ დაიბეგრება:

ა) პროდუქციის, ნახევარფაბრიკატების (სამუშაოების, მომსა-
ხურების) გადაცემა საწარმოს ერთი სტრუქტურული ერთეულის
მიერ ამავე საწარმოს სხვა სტრუქტურულ ერთეულზე სამრეწვე-
ლო-საწარმოო საკიროებისათვის (შიდასაქარხნო მიწოდება);

ბ) არასაწარმოო მიზნებისათვის დამატებული ღირებულების
გადასახადით შეძენილი საქონლის გაყიდვა, გაცვლა, უსასყიდლოდ
გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი რეალიზაცია ხდება
შეძენის ფასზე მაღალი ფასით.

შუბლი პ. გადასახადისგან განთავისუფლება

1. დამატებული ღირებულების გადასახადისგან თავისუფლდება:

ა) საქონლის ექსპორტი, უმუალოდ საწარმო-დამიშნადებლების შეირ, მომსახურებისა და სამუშაოების ექსპორტი, აგრეთვე ამ საქონლის ტრანსპორტირებასთან, ჩატვირთვა-გადმოტვირვასთან, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით უცხოეთის ტვირთის ტრანსიტულ გადაზიდვებთან დაკავშირებული მომსახურება;

სხვა საწარმოების შეირ დამატებული ღირებულების გადასახადით შეიძლება საქონლის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან ექსპორტისას გადასახადის თანხა მათ ჩატვლებათ მომავალი გადასახდელების გადახდაში ან დაუბრუნდებათ ბიუჯეტიდან.

ბ) საქონელი და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის ღიპლომატიური და მათთან კათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობების ღიპლომატიური და აღმინისტრაციული ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

გ) ბინის ქირა;

დ) სახელმწიფო საწარმოთა ბაზაზე შექმნილი საიგარო საწარმოთა საიგარო გადასახადი;

ე) ძვირფასი ლითონების შემცველი მაღნების, კონცენტრაციებისა და სხვა სამრეწველო პროდუქტების, ჯართისა და ნარჩენების რეალიზაცია შემდგომი გადამუშავებისა და აფინაჟისათვის, აგრეთვე ძვირფასი ლითონებისა და ქვების რეალიზაცია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდში;

ვ) კონფისკებული, უპატრიონო ფასეულობათა, სახელმწიფო სათვის შემკვიდრეობის უფლებით გადასულ ფასეულობათა, განდეულობისა და შესყიდული ფასეულობების რეალიზაცია;

ზ) საავტომობილო სამგზავრო ტრანსპორტისა და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (გარდა ტაქსის) შეირ გაწეული მომსახურება;

თ) სასოფლო-სამეურნეო ნედლებლი და პროდუქტების მომზადების და კვაგის ფენილი, ხორბლისა და კვაგის პური, ბავშვთა კვების პროდუქტები, სასკოლო სახელმძღვანელოები, სკოლამდელი ასაკის საბავშვო ლიტერატურა;

ე) დაზღვევისა და გადაზღვევის ოპერაციები;

ქ) შემდეგი სახის ფინანსური მომსახურება:

სესხების გაცემა-გადაცემა;

ოპერაციები, რომლებიც ეხება ფულად ანაბრებს, ანგარიშ-სწორებას, მიმდინარე და სხვა ანგარიშებს;

გადასახადის კანონიერი საშუალებების — ვალუტის, ფულის, ბანკნოტის (გარდა ნუმიზმატური მიზნებით გამოყენებულისა), აგრეთვე ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების, სერთიფიკატების, თამასუქების და სხვა) მიმოქცევისთვის დაკავშირებული ოპერაციები, გარდა საბრძოლო და სხვა საშუამავლო მომსახურებისა. გამონაკლის შეაღგენს აღნიშნული საგადასახდელო საშუალებებისა და ქაღალდების დამზადებისა და შენახვის ოპერაციები, რომლებშეც გადაიხდება განახადი;

ლ) საფოსტო მარკების (გარდა საკოლექციო), მარკირებული ლია ბარათების, კონვერტების, ლატარის ბილეთების რეალიზაცია;

მ) მომსახურება, რომლის გაწევისთვისაც ამოიღება სახელმწიფო ბავი;

ნ) კაზინოებისა და სათამაშო ავტომატების შემოსავალი, მოგებანი იპოზომებზე თანხის ჩასვლის მიხედვით;

ო) წრეებში, სექციებში, სტუდიებში ბავშვებისა და მოზარდების სწავლებისათვის, სპორტული ნაგებობების გამოყენებისათვის გადასახდელი, აგრეთვე სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისა და ავადმყოფების, ინვალიდთა და ლრმად მოხუცებულთა მოვლასთან დაკავშირებული მომსახურება;

პ) პატენტების, საავტორო უფლებების, ლიცენზიების გაცემა და მიღება;

ჟ) დაქრძალვასა და სასაფლაოების მოწყობასთან დაკავშირებული მომსახურება ძეგლებისა და საფლავის ქვების დამზადების ჩათვლით;



რ) სამკურნალშამლო საშუალებები;

ს) სამკურნალო საშუალებები, სამედიცინო დანიშნულების ნიშარმი, საპროთეზო-ორთოპედიული ნაწარმი, სამედიცინო ტექნიკა, ტექნიკური საშუალებები ავტომოტორანსპორტის ჩათვლით, რომლებიც გამოიყენება ინვალიდობის პროფილაქტიკისათვის და ინვალიდების რეაბილიტაციისათვის;

ტ) საქონლის რეექსპორტი, თუ საქონლის შემოტანისას არ იყო იგი განცხადებული რეექსპორტისათვის ან იყო განცხადებული, მაგრამ ფაქტიურად არ მომხდარა მისი რეექსპორტი 6 თვის განმავლობაში, მაშინ ეს საქონელი დაიბეგრება გადასახადით;

უ) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტრანზიტო გამოვალი საქონელი;

ფ) საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული და სხვა პირების კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური მომარავების საგნების, მოწყობილობის, სათბობის, სურსათის და სხვა ქონების რეიმპორტი, რომლებიც განკუთვნილი იყო უცხოეთში საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და სხვა დაწესებულებების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის;

ქ) იმპორტული საქონელი საბაჟოს საწყობებში მოთავსებისას. მათი დაბეგვრა ხდება დაღგენილი წესით ამ საქონლის საწყობებიდან მიმოქცევაში გაშევების მომენტში, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში — ამ რეჟიმის შესაბამისად;

ღ) ეროვნული და უცხოური ვალუტის, ბანკოტების, რომლებიც გადახდის კანონიერი საშუალებებია, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების (ძეგლიერის, ობლიგაციების, სერთიფიკატების, ვექსილების და სხვა) იმპორტი;

ყ) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი;

შ) საქონელი, რომელიც გადაეცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს სტიქიური უბედურების, ავარიების, კატასტროფების ლიკვიდაციისათვის, პუმანიტარული დახმარების და საქველმოქმედო მიზნებისათვის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით განსაზღვრული წესით.

2. კანონის მე-5 მუხლში აღნიშნული შეღავთები ვრცელდება
მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში

3. დამატებული ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფ-
ლებული საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ნუსხა ერთია-
ნია საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 6. გადასახადის განაკვეთები და ბიუჯეტში მისი ჩა-
რიცხვის წესი

1. თავისუფალი ფასებით საქონლის (სამუშაოების, მომსახუ-
რების) რეალიზაციისას გამოიყენება განაკვეთი 14 პროცენტის
ოდენბით.

2. სახელმწიფო რეგულირებადი ფასებით (ტარიფებით) სა-
ქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციისას გამოიყე-
ნება განაკვეთი 12,28 პროცენტის ოდენბით.

3. იმპორტულ საქონელზე გადასახადის გადახდა ხდება სხვა
საბაჟო გადასახდელების გადახდასთან ერთად საქონლის მფლობე-
ლის (განმეორებულებლის), ან მისი დავალებით სხვა ორგანიზაციის
(დეკლარანტის) მიერ.

გადასახადის გადახდის ნაფუძველია სატვირთო საბაჟო დეპ-
ლარაცია.

გადასახადის თანხის გრაზღვრისას უცხოური ვალუტა გადა-
იანგარიშება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ ვალუტაზე სა-
ქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კურსით.

იმპორტულ საქონელზე გადასახადის ამოღებას ახორციელე-
ბენ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოები.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქონლის
(სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციისას, სადაც დადგენი-
ლია საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი დამატებული ღირებუ-
ლების გადასახადის განაკვეთზე უფრო მაღალი განაკვეთი, გამოი-
ყენება ეს გადადებული განაკვეთი.

5. დამატებული ღირებულების გადასახადი ჩაირიცხება სა-
ქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მისი იმ ნა-
წილის გამოკლებით, რომელიც დამტკიცებული ნორმატივების მი-
ხედვით გადაირიცხება. ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა
და აღგილობრივ ბიუჯეტებში.

მუხლი 7. გადასახადის გამოანგარიშების წესი

1. საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაცია ხდება ფასებით (ტარიფებით), რომლებიც შეიცავენ დამატებული ღირებულების გადასახადის თანხას დადგენილი განკვეთით.

საანგარიშსწორებო საბუთებში სარეალიზაციო საქონლის (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) გადასახადის თანხა აღნიშნება ცალკე სტრიქონით.

2. გადასახადი მიღებულ ნედლეულზე, მასალებზე, სათბობზე, მაკომპლექტებელ და სხვა ნაწარმზე, ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე, რომლებიც გამოიყენება საწარმოო მიზნებისათვის, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებს არ მიეკუთვნება.

3. ბიუჯეტში შესატანი დამატებული ღირებულების გადასახადი განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზებულ საქონელზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) კუთვნილ გადასახადის თანხასა და მიღებულ იმ მატერიალურ რესურსებზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე გამოანგარიშებულ გადასახადის თანხას შორის, რომელთა ღირებულება მიეკუთვნება წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებს.

4. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენისას გადახდილი გადასახადის თანხა გამოირიცხება ბიუჯეტში შესატანი გადასახადის თანხიდან თანაბარ ნაწილებად ორი წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებების საეჭვსპლუატაციოდ გადაცემის დღიდან და არამატერიალური აქტივების აღრიცხვის დღიდან, გარდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა, რომლებსაც გადახდილი გადასახადი უმცირდებათ მათი აღრიცხვის მომენტში.

5. ბიუჯეტში შესატანი დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო თანხები არ შემცირდება გადასახადის თანხებით, რაც გადახდილია:

ა) არასაწარმოო ხასიათის საჭიროებისათვის გამოიყენებული საქონლისათვის (სამუშაოებისათვის, მომსახურებისათვის), რომელზეც გადასახადს ახდევინებენ დაფინანსების შესაბამისი წყაროებიდან, აგრეთვე სამომსახურეო მსუბუქ ავტომობილებსა და მიკროავტობუსებზე;



ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება სოფლო-სამეურნეო საწარმოების მიმართ, რომლებსაც უძირდებათ არასაწარმოო საჭიროებისათვის გამოყენებული საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) დამატებული ღირებულების გადასახადი;

ბ) ამ კანონის მე-5 მუხლის 1 პუნქტის „ე“ — „შ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გადასახადისგან განთავისუფლებული პროდუქციის ღამისადებისას და ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებულ საქონელზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) მომწოდებლებისათვის გადახდილი გადასახადის თანხები მიეკუთვნება წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებს.

6. თუ მიღებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) გადასახადის თანხები აღემატება რეალიზებულ საქონელზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე). გამოანგრიშებულ გადასახადის თანხებს, წარმოქმნილი სხვაობა ჩაითვლება მომავალ გადასახდელთა გადახდაში ან ანაზღაურდება ბიუჯეტიდან ამ გადასახადის საერთო შემოსულობათა ხარჯზე.

ჩათვლის ან ანაზღაურების ანალოგიური წესი გამოიყენება ამ კანონის მე-5 მუხლის 1 პუნქტის „ა“ — „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გადასახადისაგან განთავისუფლებული საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის დროსაც.

7. იმპირტულ საქონელზე გადასახადი გამოიანგარიშება სამაშულო წარმოების საქონლისათვის დადგენილი განაკვეთით დასაბეგრი თანხიდან, რომელიც განისაზღვრება ამ კანონის მე-4 მუხლის შე-11 პუნქტის შესაბამისად.

8. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოური ვალუტით საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციისას გადასახადის გადახდა ხდება დადგენილი განაკვეთის შესაბამისად ეროვნული ვალუტით.

საწარმოები, რომლებმაც მყიდველებისგან (დამკვეთებისგან) მიიღეს გადასახადი უცხოური ვალუტით, ვალდებული არიან მიყდონ ვალუტა, გადასახადის თანხის ოდენობით, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს ანგარიშსწორების მომენტში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ეროვნული ვალუტის კურსით.

მუხლი 8. გადასახადის გადახდისა და გაანგარიშების უწყვეტობა
გენის ვადები

1. გადასახადი გადაიხდება:

ა) ყოველთვიურად, საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) გასული თვის ფაქტიური რეალიზაციის მიხედვით, არაუგვიანეს მომდევნო თვის 20 რიცხვისა — საწარმოების მიერ 1,0 მილიონი კუპონიდან 2,0 მილიონ კუპონამდე საშუალო თვიური გადასახადელებით, გარდა სარკინიგზო ტრანსპორტის საწარმოებისა, რომლებიც გადასახადს იხდიან მომდევნო თვის 25 რიცხვამდე;

საწარმოები 2,0 მილიონ კუპონზე მეტი საშუალო თვიური გადასახადელებით ყოველი თვის 13,23 და მისი მომდევნო თვის პრიცესებში იხდიან საავანსო გადასახდელებს წინა თვის გადასახადის თანხის ერთი მესამედის ოდენობით;

ბ) ყოველკვარტალურად, საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) გასული კვარტალის ფაქტიური რეალიზაციის მიხედვით არაუგვიანეს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის 20 რიცხვისა — საწარმოების მიერ 1,0 მილიონ კუპონამდე საშუალო თვიური გადასახდელებით;

გ) ინდივიდუალური მეწარმეების მიერ (საავანსო გადასახდელების სახით) — ღეკლარაციაში ნაჩენები წლის განმავლობაში მოსალოდნელი შემოსავლიდან გამომდინარე ყოველკვარტალურად წლიური გადასახადის თანხის ერთი ძეოთხედის ოდენობით 15 მარტს, 15 მაისს, 15 აგვისტოს და 15 ნოემბერს.

2. გადამხდელები ყოველთვიურად, შესაბამის შემთხვევებში ყოველკვარტალურად, საანგარიშოს მომდევნო თვის 20 რიცხვში, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტის საწარმოები — 25 რიცხვში უდგენენ გაანგარიშებებს შესაბამისი ფარმებით საგადასახადო ორგანოებს თავიანთი ადგილმდებარეობის მიხედვით.

3. იმპორტულ საქონელზე გადასახადი გადაიხდება ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

4. რეალიზაციის მომენტად ითვლება საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) გადატვირთვა, გადაცემა (შესრულება) ან მყიდველებისათვის (შემკვეთებისათვის) ადგილზე ჩაბარება, რო-



მცლებელი გაფორმებულია ქონების გასხვისების დამადასტურებული დოკუმენტები.

მუხლი 9. გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობა და
საგადასახადო ორგანოების კონტროლი

1. პასუხისმგებლობა დამატებული ღირებულების გადასახა-
დის გამოანგარიშების სისწორისათვის, ზიუგეტში ღროულად გა-
დახდისა და საგადასახადო ორგანოებში გაანგარიშებების დადგე-
ნილ ვადებში წარდგენისათვის ეკისრებათ გადამხდელებსა და მათ
თანამდებობის პირებს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო
კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა და-
მატებული ღირებულების გადასახადის გადახდევინება შედის სა-
ქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში —
საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს, მათი კომპეტენციის
ფარგლებში, ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადამხდელთა მიერ გა-
დასახადის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის სათანადოდ დაცვის
უზრუნველყოფისათვის და მისი გამოყენების კონტროლისათვის
„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ და „საქართვე-
ლოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესა-
ხებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და საქართველოს
რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. დასკვნითი დებულება

აღნიშნული კანონით გათვალისწინებული დამატებული ღირე-
ბულების გადასახადის განაკვეთების ოდენობა, აგრეთვე საგადასა-
ხადო შეღავათების ნუსხა შეიძლება შეცვალოს საქართველოს პარ-
ლამენტმა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

მდგრად უკარისტობა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგიაშვილი.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

„დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“

241 საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს თავისი დადგენილებების „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

3. საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილ საქონელზე დამატებული ღირებულების გადასახადი ამოქმედდეს 1994 წლის 1 თებერვლიდან.

4. დამატებული ღირებულების გადასახადი არ გადაიხდევინება ამ კანონის მიღებამდე დადებული კონტრაქტებით საქართველოს რესპუბლიკაში 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 1 ივნისამდე შემოტანილ საქონელზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტმა 1994 წლის 20 იანვრამდე გაატაროს რეგისტრაციაში ამ კანონის მიღებამდე დადებული კონტრაქტები, რომელთა მიხედვით საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილი საქონელი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ამ კანონის მიღებიდან ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია „დამატებული ღირებულების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექ-



ციასთან შეთანხმებით ამ კანონის მიღებიდან ერთი თვეში მიმდინარე უნივერსიტეტების უნივერსიტეტების და გამოსცეს ინსტრუქტია „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანილ და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გატანილ საქონელზე დამატებული ღირებულების გადასახადის გამოყენების წესის შესახებ“.

8. „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ კანონი გემოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსულან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საჯარო განცხადების რესპუბლიკის კანონი

242 აჯაოზების უსახევა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს კანონი შემუშავებულია „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს აქციზებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების წესს.

2. აქციზი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც შედის საქონლის ფასში.

3. ამ კანონით დგინდება ღვინო-არყის, საკვები ნედლეულისა-გან დამზადებული ეთილის სპირტის (იმ სპირტის გარდა, რომელიც გაიცემა ლიქიორ-არყის ნაწარმისა და ღვინის პროდუქციის გამოსაშვებად), ლუდის, ჩიის, თართისა და ორაგულის ხიზილალის, ძვირფასი სახეობის თევზებისა და ზღვის პროდუქტების დელიკატესური პროდუქციის, შოკოლადის, თამბაქოს ნაწარმის, საღეჭი რეზინის, ძვირფასი ლითონებისგან და მელქიორისგან დამზადებუ-



ლი საიუველირო ნაწარმის, მსუბუქი ავტომობილების, მათი და სამუშავებელი რაცების, მანქანური ქსოვის ხალიჩებისა და ხალიჩის ნაწარმის, ნატურალური ტყვევის ტანსაცმლის, ფაიფურისა და ბროლის ნაწარმის, საავტომობილო ბენზინის აქციზებით დაბეგვრის წესი.

მუხლი 2. აქციზების გადამხდელები

აქციზების გადამხდელებად ითვლებიან:

ა) საწარმოები და ორგანიზაციები, მათი ფილიალები და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და დამოუკიდებლიდ ახდენენ საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის რეალიზაციას, გარდა შემკვეთის მასალისაგან დამზადებული საქონლისა.

შემკვეთის ნედლეულისგან დამზადებულ საქონელზე აქციზის გადამხდელებად ითვლებიან საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც იხდიან ამ საქონლის დამზადების სამუშაოს ღირებულებას და ახდენენ მის რეალიზაციას;

ბ) ყველა იურიდიული, ფიზიკური და სხვა პირი, რომლებსაც შემოაქვთ აქციზური საქონელი საქართველოში.

მუხლი 3. დაბეგვრის ობიექტი

1. დაბეგვრის ობიექტად ითვლება საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის ღირებულება, რომლის რეალიზაცია ხდება გასაცემი ფასებით აქციზის ჩათვლით, აგრეთვე იმ საქონლის ღირებულება, რომელიც იცვლება სხვა საქონელზე ღირებულების გადაუბდელად (ბარტერული ოპერაციები).

2. მმპორტული აქციზური საქონლის საბაზო ღირებულება.

3. აქციზის გამოყენების თავისებურებანი იმ საქონელზე (სამუშაოზე, მომსახურებაზე), რომელსაც შემოიტანენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან გაიტანენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან, შეიძლება დადგინდეს აქციზის ამოღების პრინციპის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებით.

მუხლი 4. დასაბეგვრი თანხა

1. დასაბეგვრი თანხის განსაზღვრისათვის რეალიზებული აქციზური საქონლის ღირებულება გამოიანგარიშება:



ა) თავისუფალი გასაცემი ფასებიდან გამომდინარე მართვისა და განვითარების მინისტრი;

ბ) სახელმწიფო რეგულირებადი ფასებიდან (სავაჭრო და მომზადების გამოკლებით) გამომდინარე, რომლებიც შემცირებულია და მატებული ღირებულების გადასახადის თანხით.

2. საქონლის მპორტისას დასაბეგრი თანხა განისაზღვრება ამ საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით.

მუხლი 5. აქციზებისგან გათავისუფლება

აქციზებისგან თავისუფლდება:

ა) აქციზური საქონლის ექსპორტი;

ბ) აქციზური საქონლის რეექსპორტი. თუ საქონლის შემოტანისას არ იყო იგი განცხადებული რეექსპორტისათვის ან იყო განცხადებული, მაგრამ ფაქტიურად არ მოხდა მისი რეექსპორტი 6 თვეს განმავლობაში, მაშინ ეს საქონელი დაიბეგრება აქციზით;

გ) აქციზური საქონლის ტრანზიტი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით;

დ) საბაჟოს საწყობებში მოთავსებული მპორტული აქციზური საქონელი. ამ საქონლის დაბეგვრა ხდება დაღვენილი წესით საწყობებიდან მიმოქცევაში გაშეების მომენტში, ხოლო სხვა საბაჟო რეკიდის პირობებში — ამ რეკიდის შესაბამისად;

ე) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ღროებით შემოტანილი მპორტული აქციზური საქონელი;

ვ) მპორტული აქციზური საქონელი, რომელიც გაღაეცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს სტიქიური უბეღლების, ავარიების, კატასტროფების ლიკვიდაციისათვის;

ზ) მპორტული აქციზური საქონელი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილია პუმანიტარული დამზარებისა და საქანილმოქმედო მიზნებისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 6. გადასახადის განაკვეთები

პირველ მუხლში აღნიშნულ საქართველოს რესპუბლიკაში წარმოებულ საქონელზე აქციზების განაკვეთები დაწესებულია პროცენტობით საქონლის ღირებულებასთან დამატებულ ღირებუ-

ლებაზე გადასახადის გარეშე გასაცემი ფასებისადმი, ხოლო იმპორტულ საქონელზე — საბაჟო ღირებულებისადმი.

მუხლი 7. აქციზების გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. აქციზების თანხა განისაზღვრება:

- გადამხდელების მიერ დამოუკიდებლად რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და დაღვენილი განაკვეთების მიხედვით;
- იმპორტული საქონლის საბაჟო ღირებულების და დაღვენილი განაკვეთების მიხედვით.

2. რეალიზაციის თარიღად ითვლება აქციზური საქონლის გადატვირთვა, გადაცემა ან იმ მყიდველებისათვის ადგილზე ჩაბარება, რომლებშეც გაფორმებულია ქონების გასხვისების დამადასტურებელი დოკუმენტები.

3. იმპორტული აქციზური საქონლის გადასახადს იხდიან სხვა საბაჟო გადასახდელების გადახდასთან ერთად საქონლის მფლობელი (ვანმკარგულებელი) ან მისი დავალებით სხვა ორგანიზაცია (დეკლარანტი).

გადასახადის გადახდის საფუძველია სატეირო საბაჟო დექლარაცია. გადასახადს ახდევინებენ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოები.

4. აქციზური საქონლის უცხოური ვალუტით რეალიზაციისას აქციზის გადახდა ხდება უცხოური ვალუტით ან ეროვნული ვალუტით ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული შესაბამისი კურსით.

5. საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ და სარეალიზაციოდ გააქვთ საქვები ნედლეულისგან დამზადებული ეთილის სპირტი, ღვინო-არყის ნაწარმი, აქციზებს ბიუგეტში იხდიან ყოველდღიურად, რეალიზაციის მესამე დღეს. ყველა დანარჩენ გადამხდელებს აქციზები ბიუგეტში შეაქვთ ყოველ დეკადაში შემდეგ ვადებში:

ყოველი თვის 13 რიცხვში — პირველი დეკადისათვის;

ყოველი თვის 23 რიცხვში — მეორე დეკადისათვის;

ყოველი მომდევნო თვის 3 რიცხვში — საანგარიშო თვის დანარჩენი დღეებისათვის.

6. აქციზების გადამხდელები საგადასახადო ორგანოებს თავისი აღგილდებარეობის მიხედვით წარუდგენენ აქციზების თანხების



გაანგარიშებებს ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშოსა-მსოფლიურო
დევნო თვის 20 რიცხვისა.

7. აქციზები ჩარიცხებია საქართველოს რესპუბლიკის რეს-
პუბლიკურ ბიუჯეტში მისი იმ ნაწილის გამოქლებით, რომელიც
დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით გადაირიცხება ავტონო-
მიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

მუხლი 8. გამოანგარიშების სისწორისათვის გადამხდელთა პა-
სუხისმგებლობა და მისი კონტროლი

1. პასუხისმგებლობა აქციზების გამოანგარიშების სისწორისა-
თვის, ბიუჯეტში დროულად ჩარიცხების და საგადასახადო ორგა-
ნოებში გაანგარიშების დადგენილ ვალებში წარდგენისათვის ეკის-
რებათ გადამხდელებსა და მათ თანამდებობის პირებს საქართვე-
ლოს რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად,
ხოლო იმ შემთხვევაში, როცა აქციზების ამოღება შედის საქართ-
ველოს რესპუბლიკის საბაჟო ორგანოების კომპეტენციაში — სა-
ქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს პასუხისმგებლობა
ეკისრებათ გადამხდელთა მიერ აქციზების თაობაზე მოქმედი კა-
ნონმდებლობის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფის და მისი გა-
მოყენებისადმი კონტროლისათვის „საგადასახადო სისტემის საფუ-
ძლების შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის
კანონებისა და საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კანონმდებლო-
ბის შესაბამისად.

მუხლი 9. დასკვნითი დებულება

ამ კანონით გათვალისწინებული აქციზების განაკვეთების ოდე-
ნობის, აგრეთვე საგადასახადო შეღავათების შეცვლა შეუძლია
საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ელუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.



మానవస్మారక
శాస్త్రాలిగ్యమాన

ఎంపికాలో శ్రేష్ఠత్వం సాక్షారత్వములో
అధికారిపురుషులు 1993 ఫిబ్రవరి 24
ఉపాధికారిపురుషులు కుమార్తలు, లాంగారిటా

ఎంపికాలో శ్రేష్ఠత్వం సాక్షారత్వములో పాణ్పులు సాక్షణ్యాల్చి

సాక్షణ్యాలో భాషాశ్రేణు

	సాక్షణ్యాలో భాషాశ్రేణు	సాక్షణ్యాలో భాషాశ్రేణు	
1.	సాక్షణ్యాలో న్యెట్లైప్‌స్కెచ్ లూమిండ్-బ్రెల్లింగ్ తాపిలో సింగర్లో (ఒప్ప సింగర్లోని గార్డా, అంధ్రాల్ప గాంప్రెంటా ల్యిజింగ్-అర్పిసి బొఫ్టార్మిసింగ్ లూమిండ్ వెర్టాండ్యుప్పిసి గాంప్రెంటామ్పులు)	90	90
2.	అంధా, ల్యిజింగ్-అర్పిసి బొఫ్టార్మి	60	60
3.	శామించ్రుసి, క్రొనొప్పి, శామించ్రుసి అంధా క్రొనొప్పిసి మసాల్పెసి*	75	75
4.	పురుణిసి ల్వొంగ్పో అం ల్వొంగ్పిమింసా-స్ట్రేపీసి, శేమాగ్రెష్ట్యూల్సి ల్వొంగ్పాసి అం శేమాగ్రెథ్రెల్లిం ల్వొంగ్పిమింసా-స్ట్రేపీసి*	55	55
5.	ల్యూడి	10	30
6.	కొండి	30	30
7.	శింగ్యాల్మాడి	40	40
8.	తాహితిసి అం అంగ్యూలిసి బెంగిలాలిసి, ద్వింద్రుషాసి సాంగ్రోషిసి ట్రైప్పీసిసాం అం శ్రేణిసి పెర్మిషన్సీట్రేపీసి మీం అంల్యా-రీస్చుర్సి అంధాండ్యాప్రో	40	40
9.	సంఘాక్షణి బొఫ్టార్మి	40	40

సాఫ్ట్‌వర్క్‌లో డాసాథ్రేల్చెపా

10. సాల్చెపి ర్యథింస	10		20
11. క్వింట్రాపిసి లొటంక్రెడిస్‌గాన్ డా మ్యూట్‌మోరిస్‌గాన్ డాష్‌చాల్చెపుల్లి సాంచ్యోలింగ్‌రోస్‌అంధి	20	20	
12. భాయిఫ్యూరిసి నాస్తాంధి	30		30
13. బెర్టోల్సి నాస్తాంధి	40		40
14. థాంక్యూర్లి క్సింగ్‌సి బోల్సింగ్ డా బోల్సింగ్‌సి నాస్తాంధి	40		40
15. నాట్యురాల్సుర్లి ర్యాంగ్‌సి త్రాంసాప్‌మ్యూల్సి	35		35
16. మిస్ట్రుబ్యూపి అప్‌టోమిండిల్చెపి	—		10
17. మిస్ట్రుబ్యూపి అప్‌టోమిండిల్చెపి. సాంచ్యోలింగ్‌రోస్‌అంధి	5		5
18. శెట్‌చెపుల్సి నాస్తాంధి	25		25
19. సాంచ్యోలింగ్‌రోస్ డ్యూషోస్	10		10

* సాఫ్ట్‌వర్క్‌లో ర్యాపెట్‌బ్లోకాషి గాన్‌లాగ్‌బ్యూల్సి ప్యూప్లా సాంచ్యోలింగ్ మిస్ట్రుబ్యూపుల్లి ల్విన్‌మిసాల్చెపిసి; క్రణింగ్‌సి మిసాల్చెపిసి డా లాఫాసింగ్‌బ్యూల్సి నొంగ్ ర్యాలించాప్రాం ఠిప్‌గ్రేప్‌దా ఏప్రిశింత.

ఏప్రిశింత డాఠిప్‌గ్రేప్‌లో న్యెఫల్యెపుల్సింగ్‌గాన్ డామ్చింగ్‌బ్యూల్సి ప్రాండ్‌శ్యూప్‌గ్రేప్‌దా (షామింగ్‌న్యూర్లి, క్రణింగ్‌సి, నొంగ్, ప్యూప్లింగ్‌గాన్ డా శెమింగ్‌బ్యూల్సి ల్విన్‌మిసి) ఏప్రిశింత ఠిప్‌గ్రేప్‌దా.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებას

„აქციზების შესახებ“ საქართველოს რეპუბლიკის **243 კანონის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „აქციზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი აღნიშვნილი და განვითარებული 1994 წლის 1 იანვრიდან.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს თავისი დადგენილებების „აქციზების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

3. საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილ საქონელზე აქციზი ამოქმადება 1994 წლის 1 თებერვლიდან.

4. აქციზი არ გადაიხდევინება ამ კანონის მიღებამდე დადებული კონტრაქტებით საქართველოს რესპუბლიკაში 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 1 ივნისმდე შემოტანილ საქონელზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტმა 1994 წლის 20 იანვრამდე გაატაროს რეგისტრაციაში ამ კანონის მიღებამდე დადებული კონტრაქტები, რომელთა მიხედვით საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილი საქონელი გათავისუფლებულია აქციზის საგან.

6. დაევალოს მაქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ამ კანონის მიღებიდან ერთი თვის ვალაში შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია „აქციზების გამოანგარიშებისა და გადანერის წესის შესახებ“.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციისთან შეთანხმებით ერთი თვის ვალაში შეიმუშაოს და გამოსცეს ინსტრუქცია „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოტანილ და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გატანილ საქონელზე აქციზების გამოყენების წესის შესახებ“.

9. „აქციზების შესახებ“ კანონი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ
პრესაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რესენან გმრიძი.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

244 საუარმოთა კოკების გადასახადის უსახებ

მუხლი 1. ქონების გადასახადის გადამხდელები ან კინონის მიხედვით გადასახადის გადამხდელები არიან:

1. საწარმოები, დაწესებულებები (ბანკების და საკრედიტო დაწესებულებების ჩათვლით) და ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ითვლებიან იურიდიულ პირებად;

2. ზემოაღნიშნული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვესაწარმოები, რომლებისაც აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიშმწორების ანგარიში;

3. კომპანიები, ფილიალები, ნებისმიერი სხვა ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად და სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი წარმომადგენლობების მეშვეობით.

4. ამ მუხლებში მითათებული გადასახადის გადამხდელები შემდგომში იწოდებიან „საწარმოებად“.

მუხლი 2. დაბეგვრის ობიექტი

1. გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საწარმოს ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები, ძირითადი საშუალებები, დასაღმელი მოწყობილობა, დაუმთავრებელი კაპიტალური მშენებლობა.

მუხლი 3. გადასახადით დასაბეგრი ქონების ღირებულებულების
განსაზღვრა

1. გადასახადით დასაბეგრად გამოანგარიშებულ საწარმოთა
ქონების ღირებულებას აკლდება შემდეგი სახის ქონების საბალან-
სო (ნორმატიული) ღირებულება:

ა) გადასახადის გადამხდელის ბალანსზე რიცხული საბინაო-კო-
მუნალური და სოციალურ-კულტურული სფეროს ობიექტების;

ბ) ბუნების დაცვის და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამო-
ყენებული ობიექტების;

გ) მამოსვლის გზების (საავტომობილო გზების ჩათვლით), კავ-
შირგაბმულობის და ელექტროგადაცემის ზაზების;

დ) მიწების;

ე) საქართველოს რესპუბლიკის სტანდარტიზაციის, მეტრო-
ლოგიისა და სერთიფიკაციის დეპარტამენტის ტერიტორიული ორ-
განოების ეტალონური და სტენდური მოწყობილობების.

მუხლი 4. საგადასახადო შეღავათები

1. ამ გადასახადით იმეგრება შემდეგი საწარმოების ქონება:

ა) საბიუზეტო დაწესებულებების და ორგანიზაციების, სა-
ხელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების;

ბ) გამოყენებული უშუალოდ განათლებისა და კულტურის
საჭიროებისათვის:

2. ახლად შექმნილი საწარმოები მათი რეგისტრაციიდან ერთი
წლის განმავლობაში თავისუფლდებიან გადასახადისაგან, ხოლო
მომდევნო ორი წლის განმავლობაში გადასახადის განაკვეთი უმ-
ცირდებათ 50 პროცენტით.

ოთხ წელზე ადრე ამ საწარმოთა ლიკვიდაციისას (რეორგანი-
ზაციისას) გადასახადის გადახდა ხდება მთელი პერიოდისათვის გა-
თვალისწინებული განაკვეთის მიხედვით.

აღნიშნული შეღავათი არ ენიჭებათ ლიკვიდირებული (რეორ-
განიზებული) საწარმოების ბაზაზე შექმნილ საწარმოებს.

მუხლი 5. გადასახადის განაკვეთები და ბიუჯეტში ჩარიცხვის
წესი

1. ამ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად გამოანგარიშებული საწარმოთა ქონება იბევრება ერთი პროცენტით.

გამოანგარიშებული გადასახადი ბიუჯეტებს შორის განაწილდება „საბიუჯეტო სისტემებისა და უფლებების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

2. გადასახადის თანხა გამოითვლება და ბიუჯეტში ჩაიტანება ყოველკვარტალურად ნაზარდი ჭამით, ხოლო წლის ბოლოს ხდება გადაანგარიშება.

3. გადასახადის გამოანგარიშებული თანხა ბიუჯეტში ირიცხება აუცილებელი გადასახადების სახით პირველრიგითობის წესით მისი საწარმოს საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე მიუკუთვნებათ.

4. კვარტალური გაანგარიშების მიხედვით გადასახადის გადახდა ხდება ხუთი დღის ვადაში საბუღალტრო ანგარიშების წარდგენის დადგენილი დღიდან, ხოლო წლიური გაანგარიშების მიხედვით — ათი დღის ვადაში წლიური საბუღალტრო ანგარიშების წარდგენის დადგენილი დღიდან.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ეძუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის ხპირი

ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

245 „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

- „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.
- საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს თავისი დადგენილებების „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.
- „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ“ კანონი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

საქართველოს პარლამენტის სპეციალური მოაღვიშე რუსულად გამოისახოვთ.

ობილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

246 ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ

მუხლი 1. გადასახადის გადამხდელები

ქონების გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური პირები (შემდგომში — მფლობელები), რომელთა კერძო საქუთრებაშია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ამ გადასახადით დასაბეგრი ობიექტები.

მუხლი 2. გადასახადით დაბეგვრის ობიექტები

გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული შემდეგი სახის ქონება:

საცხოვრებელი სახლები, ბინები, აგარაკები, გარაჟები, სხვა შენობები, სადგომები და ნაგებობები (შემდგომში — შენობანაებობები);



ავტომობილები, მოტორიანი ნავები, იასტუბი, კატარლფშტადები, ტომარხილები, შვეულმფრენები, თვითმფრინავები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები (შემდგომში — სატრანსპორტო საშუალებანი).

მუხლი 3. გადასახადის განაკვეთები

1. შენობა-ნაგებობების გადასახადს იხდიან ყოველწლიურად მათი საინვენტარიზაციო ღირებულების $0,1$ პროცენტის ოდენობით.

2. კატრანსპორტო საშუალებების გადასახადს იხდიან ძრავის სიმძლავრის მიხედვით, თითოეულ ცხენის ძალაზე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის ანაზღაურების მინიმალური ღირის $0,2$ პროცენტის ოდენობით.

მუხლი 4. საგადასახადო შეღავათები

1. შენობა-ნაგებობების გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) პენსიონერები — შენობა-ნაგებობების მესაკუთრენი;

ბ) ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვეული ჯარისკაცები, მეზღვაურები და მათი ოჯახის წევრები;

გ) მეორე მსოფლიო ომისა და სხვა საბრძოლო ოპერაციების მონაწილენი და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებული პირები და მათი ოჯახის წევრები;

დ) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი სოფელ აღგილას არსებული შენობა-ნაგებობებისათვის.

2. სატრანსპორტო საშუალებების გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტორეტლების მფლობელი ინვალიდები;

ბ) გოტორიანი ნავების მფლობელები, რომელთა მოტორის სიმძლავრე არ აღემატება 10 ცხენის ძალას.

3. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ დააწესონ შეღავათები ცალკეული კატეგორიის გადამხდელებისათვის.

4 .მესაკუთრები, ომლებსაც ამ კანონის შესაბამისად უკუთხოებები ნით საგადასახადო შეღავათი, საგადასახადო ორგანოებში წარადგენენ შეღავათის უფლების დამადასტურებელ საბუთს.

შუბლი 5. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი
1. მფლობელებისათვის ქონების გადასახადს გამოიანგარიშებენ საგადასახადო ორგანოები.

შენობა-ნაგებობების გადასახადი გამოიანგარიშება ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით საინვენტარიზაციო ღირებულების შესახებ კომუნალური მეურნეობის ორგანოთა მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, ინდექსის გათვალისწინებით.

რამდენიმე მფლობელის საერთო წილობრივ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისათვის გადასახადს გადაიხდიან კომუნალური მეურნეობის ორგანოების მონაცემებით, შენობა-ნაგებობებში თითოეულის წილის მიხედვით.

2. სატრანსპორტო საშუალებების გადასახადი გამოიანგარიშება იმ წლის 1 იანვრის მონაცემების საფუძველზე, რომლისთვისაც ხდება გადასახადის დარიცხვა და რომელსაც საგადასახადო ორგანოებს ყოველწლიურად წარუდგენენ სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანიზაციები.

3. გადასახადების გამოსაანგარიშებლიდ იუცილებელი მონაცემები საგადასახადო ორგანოებს მიეცემათ უფასოდ.

4. ახლად ავებული შენობა-ნაგებობების, აგრეთვე შეძენილი სატრანსპორტო საშუალებების გადასახადს იხდიან მათი აშენების ამ შეძენის მომდევნო თვიდან.

რამდენიმე მფლობელის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გადასახადს გადაიხდის ის მფლობელი, ვის სახელზეც არის რეგისტრირებული ეს სატრანსპორტო საშუალება.

მემკვიდრეობით გადასული შენობა-ნაგებობებისათვის მემკვიდრეები გადასახადს იხდიან მემკვიდრეობის მიღების დღიდან.

შენობა-ნაგებობათა განადგურების, აღების ან მთლიანად დანგრევის შემთხვევაში გადასახადის გადახდა შეწყდება იმ თვიდან, როდესაც ისინი გაანადგურეს, აიღეს ან მთლიანად დაანგრიეს.

5. კალენდარული წლის განმავლობაში ერთი მფლობელი მცხოვრილი მცნობების შენობა-ნაგებობების და სატრანსპორტო საშუალებების გასხვისებისას, პირვანდელ მფლობელს გადასახადი წარედგინება წლის 1 იანვრიდან იმ თვემდე, როდესაც მან დაქარგა აღნიშნულ ქონებაზე საკუთრების უფლება, ხოლო ახალ მფლობელს გადასახადი წარედგინება იმ თვიდან, როდესაც ამ უკანასკნელს მიენიჭა საკუთრების უფლება.

6. კალენდარული წლის განმავლობაში ქონების გადასახადში შეღავათის უფლების წარმოქმნისას გადასახადი გადაიანგარიშება იმ თვიდან, როდესაც წარმოიქმნა ეს უფლება.

7. გადასახადის გადახდის შესახებ საგადასახადო ორგანოები გადამხდელებს აბარებენ საგადასახადო უწყებებს ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 მარტისა.

8. შენობა-ნაგებობების გადასახადის გადახდა ხდება ორ ვადაში — 15 ივნისამდე და 15 ოქტომბრამდე.

სატრანსპორტო საშუალებების გადასახადის გადახდა ხდება მათ რეგისტრაციამდე, ხელმეორე რეგისტრაციამდე ან ყოველწლიურ ტექნიკურ დათვალიერებამდე, მაგრამ არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

9. სატრანსპორტო საშუალებების გადასახადის დროულად და სრულად გადახდის კონტროლს ახორციელებენ ის ორგანოები, რომლებიც ახდენენ მათ რეგისტრაციას, ხელმეორე რეგისტრაციას ან ყოველწლიურ ტექნიკურ დათვალიერებას. ამ ორგანოებს ევალებათ მასთხოვონ მფლობელებს გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საბუთი და ამ საბუთის წარმოუდგენლად არ მოახდინონ სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაცია, ხელმეორე რეგისტრაცია ან ტექნიკური დათვალიერება.

10. პირები, რომლებიც დროულად არ იყვნენ დაბეგრილნი გადასახადით, დაიბეგრებიან არაუმეტეს შინა სამი წლისათვის. ამავე ჰერიონისათვის გადაისინჯება არასწორად წარმოებული დაბეგრა.

მუხლი 6. გადასახადის ბიუჯეტში ჩარიცხვა

ფიზიკური პირების ქონების გადასახადი ჩაირიცხება აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის შემოსავალში დასაბერი ობიექტის აღვილმდებარეობის (რეგისტრაციის) მიხედვით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ გვარდეაშვილი

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგინილება

247 „ფიზიკურ პირთა ძონების გადასახადის შესახებ“ სა- ძართველოს რესაუბლივის კანონი

საქართველოს პარლამენტი ადგინს:

1. „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1995 წლის 1 იანვრიდან.

2. 1994 წელს ფიზიკური პირები სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების გადასახადს გადაიხდიან „სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 7 მარტის № 286 დადგნილებით დამტკიცებული დროებითი დებულების შესაბამისად.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთითვის ვადაში უზრუნველყოს თავისი დადგნილებების „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“ კანონთან და ამ დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

4. „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ“ კანონი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსედან გირიში.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

248 ფიზიკურ პირთა საჭვალისადლო გადასახადის შესახებ

თ ა ვ ი ।

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გადასახადის გადამხდელები

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის როგორც მქონე, ისე არმქონე ფიზიკური პირები.

დაბეგვრის მიზნით საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონეთ მიეკუთვნებიან ის პირები, რომებიც საქართველოს რესპუბლიკაში იმყოფებიან წელიწადში სულ ცოტა 183 დღეს.

მუხლი 2. დაბეგვრის ობიექტი

ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის ობიექტია კალენდარული წლის განმავლობაში როგორც ფულადი (ეროვნული ან საზღვაო-გარეთული ვალუტით), ისე ნატურალური ფორმით მიღებული ერთობლივი შემოსავალი.

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის ობიექტია შემოსავალი, რომელიც მიღებულია როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან.

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე ფიზიკური პირებისათვის დაბეგვრის ობიექტია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკაში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლები.

ნატურალური ფორმით მიღებული შემოსავალი წლიური ერთობლივი შემოსავლის შემადგენლობაში იღირიცხება სახელმწიფოს რეგულირებადი ფასებით, ხოლო მათი არარსებობისას — თავისუფალი (საბაზრო) ფასებით.



ფიზიკურ პირთა მიერ სამოქალაქო-სამართლებრივი უშუალობრივი რულებით შესრულებული სამუშაოდან, მათ შორის სამეწარმეო სექტიანობის განხორციელებიდან მიღებული შემოსავლის მთლიანი თანხა დაბეგვრის მიზნით მცირდება ამ შემოსავლის მიღებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯების თანხით.

შეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის, გამოცემის, შესრულების ან სხვაგვარი გამოყენებისათვის საავტორო ხელშეკრულების არსებობისას ამ ხელშეკრულების მიხედვით საბოლოო ანგარიშსწორებისას გაცემული გასამრჩელო დაბეგვრის მიზნით იყოფა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წელთა რიცხვზე. თუ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს, საავტორო გასამრჩელოს თანხა, რომელიც მიღებულია რამდენიმე წლის მუშაობისათვის და აღემატება 10000000 კუპონს, ნაშილდება სამწელზე და იბეგრება წლიური ერთობლივი შემოსავლის შემადგენლობაში გადასახადის აღრე გადახდილი თანხების გათვალისწინებით. ანალოგიური წესი გამოიყენება იმ გასამრჩელო თანხების მიმართ, რასაც აღმოჩენების, გამოგონებების და სამრეწველო ნიმუშების ავტორები იღებენ მათი გამოყენების პირველი წლის ვანმავლობაში.

უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი გადაიანგარიშება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ ფულად ერთეულში, შემოსავლის მიღების თარიღისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით. ასეთ შემოხვევაში გადასახადის გადახდა გადამზღველის სურვილისამებრ ხდება საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი ფულის ერთეულით ან უცხოური ვალუტით.

მუხლი 3. დაუბეგრავი შემოსავალი

1. ფიზიკური პირების მიერ მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის შემადგენლობაში არ შეიტანება:

ა) სახელმწიფო სოციალური დაზღვევის და სოციალური უზრუნველყოფის ხაზით დახმარება, გარდა დროებითი შრომისუუნარობის (მათ შორის ავაღმყოფი ბავშვის მოვლის) დახმარებისა, აგრეთვე დახმარება და ფულადი ზა ნატურალური ფორმით შემწე-



ობის სხვა სახეობანი, რომლებსაც ფიზიკურ პირებს უწევს უწევს სა-
თველოს რესპუბლიკაში დადგენილი წესით რეეისტრირებული სა-
ქველმოქმედო და ეკოლოგიური ფონდების სახსრებიდან;

სახელმწიფო დახმარებებს, რომლებიც არ შეიტანება ერთობ-
ლივ. შემოსავალში, მიეკუთვნება შემდეგი ლიმარებანი:

ორსულობისა და მშობიარობის გამო;

ბავშვის დაბადებისას გაცემული;

ბავშვის მოსავლელად (მოქმედი კანონმდებლობით დადგენი-
ლი ასაკის მიღწევამდე);

დაკრძალვისათვის და დაკრძალვისთან დაკავშირებული სარი-
ტუალო მომსახურების ხარჯებისათვის;

ხელმოყლე ოჯახების ბავშვებისათვის;

ბავშვობიდან ინვალიდებისათვის;

ვაღიან სამხედრო მოსამსახურეთა ბავშვებისათვის;

მრავალშეილიანი და მარტოხელა დედებისათვის;

ქვრივებისათვის, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები, მაგრამ არ ღე-
ბულობენ პენსიის მარჩენალის დაკარგვის გამო;

მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, რომელთა შშობლები იძებ-
ნებიან ალიმენტის გადაუხდელობის გამო — ძებნის პერიოდში;

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სხვა და-
მარებები.

ბ) ყველა სახის პენსიები, რომლებიც დანიშნულია საქართვე-
ლოს რესპუბლიკის საპენსიო კანონმდებლობის შესაბამისიად, აგ-
რეთვე პენსიის ნებაყოფლობითი დაზღვევის პირობებით გაცემუ-
ლი დამატებითი პენსიები;

გ) ოთხები, მიღებული ღასახისჩების ან ჯანმრთელობის სხვა-
გვარ დაზიანებასთან დაკავშირებით შრომისუნარიანობის დაკარგ-
ვისას ზიანის ასანზღურებლად, აგრეთვე მარჩენლის დაკარგ-
ვისთან დაკავშირებით;

დ) ფულადი და ნატურალური ფორმით ყველა სახის სიკომ-
პენსიაციო გაცემები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლო-
ბისთ დადგენილი ოდენობით, გარდა სამუშაოდან დათხოვნისას გა-
მოუყენებელი შეებულების გამო კომპენსაციისა.

ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ მუშაქთა მოკლევადიანი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისას გადასახადით დასაბეგრ შემოსავალში არ შეიტანება კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში. სადლელამისო, აგრეთვე დანიშნულების ადგილამდე და უკან მგზავრობისას ფაქტიურად გაწეული მიზნობრივი ხარჯები, აეროპორტის მომსახურების მოსაქრებლები, სადაზღვევო და საკომისიო მოსაქრებლები, აეროდრომზე ან ვაგზალზე მისცვლის (ტაქსით მგზავრობის გარდა), ბარგის გადატანის, ხაცხოვრებელი ფართის დაქირავების, საზღვარგარეთული პასპორტისა და ვიზების, საზღვარგარეთულ პასპორტში ჩაწერის, ასევე ბანქი ჩეკების საზღვარგარეთის ნალდ ვალუტაზე გადაცვლის ხარჯები;

ე) მუშაქის სამუშაოდან დათხოვნასთან დაკავშირებით გაცემული გამოსახვლელი დახმარება, აგრეთვე საჭარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მუშაქთა დათხოვნისას შრომის კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ყველა სახის კომპენსაცია;

ვ) დახმარება უმუშევრობისათვის დახმარების მიღების თითოეულ თვეში კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით:

ზ) დახმარების თანხა მისი ოდენობის მიუხედავად, მიღებული სტიქიური უბედურების, სხვა საგანგებო ვითარების გამო, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი დახმარება გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, პროფესიული კავშირების, სოცალური დაზღვევის ფონდის, ასევე უცხოეთის სახელმწიფოების მიერ; სხვა შემთხვევებში გაწეული მატერიალური დახმარების თანხები წელიწადში არაუმეტეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ათმაგი ოდენობისა, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული მატერიალური დახმარების გარდა.

მთავრობების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, ორგანიზაციებისა და უცხოეთის სახელმწიფოების მიერ გაწეულ მატერიალურ დახმარებად ითვლება ისეთი დახმარება, რომელიც



ებლევათ კონკრეტული კატეგორიის ფიზიკურ პირთ ან ჰიუმანისტურ საზღვრულ პირობებში და განსაზღვრული ღდენობით;

(თ) ყოფილ სსრე და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მოგების და ასეთი ობლიგაციების განაღების თანხები;

(ი) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ განსაზღვრული წესით მოწყობილი ლატარიის გათამაშებით მიღებული მოგებანი;

(კ) საქართველოს რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებში ანაბრებისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების მიხედვით პროცენტი და მოგება;

(ლ) თანხა, რომელსაც წოქალაქეები იღებენ სისხლის ჩაბარების, სხვადასხვა დონორობის, აგრეთვე თანხა, რომელსაც სამედიცინო დაწესებულებათა მუნიციპალიტეტი იღებენ სისხლის შეგროვებისათვის;

მ) ფიზიკურ პირთა მეტ მიღებული ალიმენტები;

ნ) უმაღლესი, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დღის სწავლების მოსწავლეების, სასულიერო სასწავლებლების მსახურეების, ასპირანტების, ორდინატორების, ინტერნატების სასწავლო-საჭარმოო პროცესებთან დაკავშირებით მიღებული შემოსავლის თანხები;

ო) მოქალაქეთაოვის საცუთრების ფულებით კუთვნილი ქონების გაყიდვით მიღებული თანხები, კომერციული საქმიანობით პროდუქციისა და სხვა ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გარდა;

პ) მოქალაქეთა შემოსავალი, მიღებული პირად მეურნეობაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით. ფიზიკურ პირის პირადი მეურნეობის არსებობა დასტურდება მმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

ჟ) ფულადი და ნატურალური ფორმის შემოსავალი, მიღებული ფიზიკური პირების მიერ მემკვიდრეობისა და ნაჩუქრობის შეღევად, გარდა მეცნიერებისა, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთა, აგრეთვე გამოგონებათა, აღმოჩენათა და სამრეწველო ნიმუშების ავტორების მემკვიდრეების (უფლებამონაცვლეთა) მიერ მიღებული საავტორო გასამრჯელოს თანხებისა;

რ) საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შემთხვევაში საპირო მიღებული საჩუქრების ლირებულება წელი-წადში არაუმეტეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ათმაგი ოდენობისა;

ს) კონკურსებსა და შეჯიბრებებში მიღებული პრიზების ლირებულება წელიწადში არაუმეტეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ათმაგი ოდენობისა;

ტ) გლეხური (ფერმერული) მეურნეობის წევრების მიერ ამ მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი;

უ) უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო-სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სტიპენდიები, რომლებსაც მათ უნიშნავენ სასწავლებლები, აგრეთვე ამ ჰუნძტის „ა“ კვეპუნქტში აღნიშნული ფონდების სახსრებიდან დანიშნული სტიპენდიები;

ფ) ფიზიკური პირების მიერ დაზღვევიდან მიღებული თანხები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვევისათვის საღაზღვევო შენატანები შეაქვთ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს თავიანთ ხარჯზე.

2. ფიზიკურ პირთა მიერ მიღებული ერთობლივი შემოსავალი გადასახადით დაბეგვრის პერიოდში მცირდება:

ა) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით შემოსავლის მიღებით თათოეულ სრულ თვეზე;

ბ) გადასახადით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის თანხით, რომელიც მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, გადარიცხება საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი წესით რეგისტრირებულ საქველმოქმედო ფონდებში;

გ) ბავშვების და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების თანხით შემოსავლის მიღების თითოეულ სრულ თვეზე ყოველი ბავშვისა და კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების

ოდენობით, მაგრამ თვეში არაუმეტეს შრომის მინიმალური უფლებულობების ანაზღაურების სამთავი ოდენობისა.

შემოსავალი მცირდება:

ბავშვებზე 18 წლის ასაკამდე;

დღის სწავლების სტუდენტებზე და მოსწავლეებზე 24 წლის ასაკამდე;

კმაყოფაზე მყოფ სხვა პირებზე, რომელთაც არ აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები.

ეს წესი ვრცელდება იმ წლის ბოლომდე, რომელშიც ბავშვებს უსრულდებათ 18 წელი, სტუდენტებს და მოსწავლეებს — 24 წელი.

შემოსავლის შემცირების ეს წესი ვრცელდება ორივე მეუღლეზე, რომელთა კმაყოფაზე არიან ბავშვები და კმაყოფაზე მყოფი პირები, მათი წერილობითი განცხადებისა და ბავშვების და კმაყოფაზე მყოფი პირების არსებობის დამადასტურებელი საბუთების საფუძველზე.

ფიზიკურ პირთა შემოსავალი მცირდება იმ თვითან დაწყებული, როდესაც დაიბადა ბავშვი ან წარმოიშვა კმაყოფაზე მყოფი პირი.

კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობის შემცირებისას ან წლის განმავლობაში შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროების წარმოქმნისას მათი შენახვის ხარჯების გამორიცხვა წყდება იმ თვის მომდევნო თვითან დაწყებული, როცა კმაყოფაზე მყოფთა რიცხვი შემცირდა ანდა მათ წარმოექმნათ შემოსავლის დამოუკიდებელი წყაროები.

გადასახადით დაბეგვრისას კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვში ჩათვლება პირი, რომელიც ცხოვრობს ფიზიკური პირის სახსრების ხარჯზე და არა აქვს შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო, იმის მიუხედავად, ეს პირი არის თუ არა ნათესაურ კავშირში.

ფიზიკური პირები, რომელთა შენახვისათვის პენსიის ოდენობის განსაზღვრისას დარიცხულია დანამატი, კმაყოფაზე მყოფად ჩაეთვლება მხოლოდ იმ ფიზიკურ პირს, რომელსაც დაერიცხა ეს დანამატი.

კმაყოფაზე მყოფ პირებად არ ჩათვლებიან:

პირები (ბავშვების გარდა), რომლებიც ლებულობენ სტიარნა-ლიას, პენსიას და უმუშევრობის გამო დახმარებას; პირები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო კმაყოფაზე (პროფესიული სისტავლებლების, საბავშვო სახლების და ბავშვთა სახლების ოსაზრდელები);

სპეციალური სკოლების მოსწავლეები და ინტერნატებში მყოფი ბავშვები, რომელთა შენახვაზე თანხებს არ იხდის მეურვე, ასევე სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფ სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მყოფნი.

ბავშვების შენახვის და კმაყოფაზე მყოფთა ხარჯების თანხებრით ფიზიკურ პირთა დასაბეგრი შემოსავლის შემცირება ხდება საბინათ-საექსპლუატაციო ქანტორებიდან ან მმართველობის აღგლობრივი ორგანოებიდან წარმოლგენილი ცნობების საფუძველზე.

ბავშვების და კმაყოფაზე მყოფთა არსებობის შესახებ ცნობებს ფიზიკური პირი წარადგენს ძირითად სამუშაო (სამსახური, სწავლა) აღიიღებს იანვრის თვის პირველი ნახევრის ხელფასის გაცემამდე, ხოლო ოჯახის წევრთა რიცხვის და კმაყოფაზე მყოფთა რიცხვის ცვლილების შემთხვევაში არაუგვიანეს 20 რიცხვისა იმ ოვის მომდევნო თვისა, როცა მოხდა ეს ცვლილება. ფიზიკური პირები, რომლებიც გადასახადით იბეგრებიან საგადასახადო ორგანოების მიერ, ზემოაღნიშნულ ცნობებს წარადგენენ შემოსავლების შესახებ დეკლარაციასთან ერთად.

ბავშვებისა და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების თანხებრით ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლის შემცირებისათვის წარმოდებული მონაცემების სისტორიისთვის განმცხადებელი პასუხს აგებს. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ფიზიკურ პირებს, რომლებიც შემოსავალს იღებენ საწარმოებიდან, ფაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან შრომითი მოქალაქეობის შესრულებისათვის, ბავშვებისა და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების თანხებით შემოსავალი უმცირდებათ ამ საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ ყოველთვიურად.

დანარჩენ ფიზიკურ პირებს ბავშვების და კმაყოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების თანხებით დასაბეგრი შემოსავალი უმცირდებათ

საგადასახადო ორგანოების მიერ წლის დამთავრების შემდეგ გაღა-
სახავის წლიური თანხის გამოანგარიშებისას იმ თვეების გათვა-
ლისწინებით, რომლებშიც იღებდა შემოსავალს.

მუხლი 4. საგადასახადო შეღავათები

1. გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და
სახელმწიფო საზაზლვევო საინფორმაციო სამსახურის ორგანოების
ჩიგითი, აგრეთვე უცტროს, უფროს და უმაღლეს მეთაურთა შე-
მადგენლობა — სამსახურის აღგილას ან სასწავლო და შესამოწ-
მებელ შეკრებაზე ყოფნისას მიღებული ფულადი კმაყოფის,
დღიურის და სხვა თანხების მიხედვით;

ბ) ბავშვობიდან ინვალიდები, აგრეთვე მხედველობის მიხედ-
ვით პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები;

გ) მეორე მსოფლიო ომისა და სხვა საბრძოლო ოპერაციების
მონაწილე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები;

დ) გმირი დედები.

2. გამოანგარიშებული გადასახადის 50 პროცენტის გადახდის-
გან თავისუფლდებიან პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები,
ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინვალიდების გარდა.

მუხლი 5. გადასახადის განაკვეთები

კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი
დასაბეგრი შემოსავლიდან საშემოსავლო გადასახადს იხდიან შემ-
დეგი ოდენობით:

კალენდარული წლის განმავლობაში
მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა

გადასახადის ოდენობა

10.000.000 კუპონაშტე

დასაბეგრი შემოსავლის მთლიანი
ოდენობის 12%.

10.000.001-დან 20.000.000 კუპონაშტე

1.200.000 კუპონს+10.000.000 კუპონს
შემოთ შემოსავლის 15%.

20.000.001-დან 30.000.000 კუპონაშტე

2.700.000 კუპონს+20.000.000 კუპონს
შემოთ შემოსავლის 17%.

30.000.001 და მეტი კუპონი

4.400.000 კუპონს+30.000.000 კუპონს
შემოთ შემოსავლის 20%.

ფიზიკურ პირთა მიერ ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) აღგილზე შრომითი და სხვა მასთან გათანაბრებული მოვალეობის შესრულებისათვის მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

მუხლი 5. დაბეგვრის ობიექტები

კანონის ამ თავის შესაბამისად იღებრებიან ფიზიკური პირები ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) აღგილზე საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან შრომითი და სხვა მასთან გათანაბრებული მოვალეობის შესრულებისათვის კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ყოველგვარი შემოსავლის მიხედვით. ამასთან, ერთობლივ შემოსავალში შეიტანება ძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) აღგილზე იმ პირების მიერ შრომითი კალენდარულების შესრულებისათვის, მათ შორის შეთავსებით შემოსავლის მიღებული შემოსავალი, აგრეთვე სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოსათვის მიღებული შემოსავალი.

მუხლი 7. გადასახადის გამოანგარიშების წესი

გადასახადი გამოიანგარიშება კალენდარული წლის დამდეგიდან თითოეული თვის გასვლის შემდეგ ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც უნდა შემცირდეს კანონით დადგენილი შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობით და ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული თანხებით. ამასთან, უნდა ჩაითვალოს ადრე დაკავებული გადასახადის თანხები, სამუშაოების სეზონური ხასიათიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში დასაქმებულ ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემცირება ამ კანონის მე-3 მუხლში გათვალისწინებული თანხებით წარმოებს 12 თვეზე გაანგარიშებით.

წლის განმავლობაში სამუშაო (სამსახურის, სწავლის) აღგილის შეცვლის შემთხვევაში ახალ სამუშაო (სამსახურის, სწავლის) აღგილზე გადასახადი გამოიანგარიშება ძველ და ახალ სამუშაო აფგილზე მიღებული წლიური ერთობლივი შემოსავლიდან, ძველ სამუშაო ადგილზე მიღებული შემოსავალი უნდა დადასტურდეს ცნობით, რომელიც ფიზიკურ პირს ჯეროვანი წესით უნდა მიეცეს ძველ სამუშაო (სამსახურის, სწავლის) აღგილზე.



ფიზიკური პირის განთავისუფლების შემდეგ, ძველი მართვების აღგიღზე მიღებული შემოსავლის თანხიდან გადასახადის დაკავება ხდება კალენდარული წლის განმავლობაში აღრე მიღებულ შემოსავალთან ერთად.

ამასთან, შემოსავლის თანხიდან კანონით დადგენილი შრომის თვიური ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და ბავშვებისა და კრაიოფაზე მყოფთა შენახვის ხარჯების გამოსარიცხი ოდენობა გამოიანგარიშება ძველ სამუშაო აღგიღზე ფაქტიურად ნამუშევარ თვეთა რიცხვის მიხედვით.

გაცემული თანხებისა და ამ თანხებიდან დაკავებული გადასახდის თანხების შესახებ ერთი თვის განმავლობაში ეცნობება საგდასახადო ორგანოს საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

თუ თანხები გაცემა მუშაյის სამუშაოდან დათხოვნის მომდევნო წელს, ასეთ შემთხვევაში გადასახადი გამოიანგარიშება ძველ სამუშაო აღგიღზე ერთობლივი შემოსავლის თანხიდან. გაცემული შემოსავლის და შემოსავლის გაცემის ადგილას გადახდევინებული კადასახადის თანხების შესახებ ერთი თვის განმავლობაში ეცნობება საგადასახადო ორგანოს თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

ასეთ შემთხვევებში ფიზიკური პირები ვალდებული არიან კალენდარული წლის განმავლობაში ძველ და ახალ სამუშაო ადგილას მიღებული შემოსავლის შესახებ დეკლარაცია წარუდგინონ საგადასახადო ორგანოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 8. გადასახადის ბიუჯეტში გადარიცხვის წესი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ყოველი თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ბანკის დაწესებულებებიდან შრომის ანაზღაურებაზე სახსრების მიღებისა, ვალდებული არიან ვადარიცხონ ბიუჯეტში ფიზიკურ პირებზე გასული თვის შემოსავლის მიხედვით გამოანგარიშებული და დაკავებული გადასახადის თანხები.

საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთაც არ აქვთ ანგარიშები ბანკის დაწესებულებებში, ასევე იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელფასს გასცემენ პროდუქციის რეალიზაციას და მომსახურების გაშევის შედეგად მიღებული ამონაგებიდან, გა-



დასახადის გამოანგარიშებული თანხები ბანკის დაწესებულებების შექვეთ ხელფასის გაცემის მეორე დღეს.

ფიზიკური პირების შემოსავალზე დარიცული გადასახადი ვადაირიცხება ბრუჯეტში უშუალოდ ფიზიკურ პირთა შემოსავლიდან. ფიზიკურ პირთა შემოსავლიდან ვადასახადის გადახდა საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე დაუშევებელია.

დაუკავებელ ან არასრულად დაკავებულ გადასახადის თანხებს ფიზიკურ პირებს საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ახდევინებენ დავალიანების თანხის სრულ დაფარვამდე. ამასთან, ფიზიკურ პირთა დავალიანების გადახდა ხდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიების დაცვით.

შემოსავლის მიღების ადგილას ფიზიკური პირებისაგან კუთვნილი გადასახადის გადახდევინების შეუძლებლობის შემთხვევაში საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან თავიანთი ადგილსამყოფელის მიხედვით საგადასახადო ორგანოს ერთი თვის განმავლობაში აცნობონ დავალიანების თანხის შესახებ. ამ გადასახადის გადახდა ხდება საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო უწყების ჩაბარებით.

ზედმეტად დაკავებული გადასახადის თანხები გადამხდელს ჩაითვლება მომდევნო გადასახდელებში, ანდა უბრუნდება ფიზიკურ პირს მისი განცხადების საფუძველზე.

თ ა ვ ი III.

არაძირითად სამუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილზე

მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

მუხლი 9. დაბეგვრის ობიექტები

კანონის ამ თავის მიხედვით გათვალისწინებული წესით იბეგრება ფიზიკური პირების ყოველგვარი შემოსავალი, მათ შორის სამეცარმეო საქმიანობით ფიზიკური პირების შემოსავალი, რომლებიც იმავდროულად შემოსავალს იღებენ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან, როგორც ძირითად სა-



მუშაო (სამსახურის, სწავლის) ადგილიდან, აგრეთვე მეწარმეებული გისტრირებული ფიზიკური პირები.

მუხლი 10. ვადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი ამ კანონის მე-9 მუხლში ჩამოთვლილი შემოსავლიდან გადასახადი გამოიანგარიშება და გადაიხდევინება ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლებში აღნიშნული წესით, ამ მუხლში გათვალისწინებული თავისებურებებით, ხოლო სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი იბეგრება ამ კანონის მე-4 თავში გათვალისწინებული წესით. ამასთან, ფიზიკურ პირთა შემოსავლიდან არ გამოირიცხება შრომის ანაზღაურების თვიური მინიმალური ოდენობა და ბავშვების შენახვას და კმცყოფაზე მყოფთა ხარჯები.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები და სამეწარმეო საქმიანობაში რეგისტრირებული ფიზიკური პირები, რომლებიც გასცემენ შემოსავალს, ვალდებული არიან ყოველწლიურად არაუგიანეს 1 თებერვლისა საანგარიშო წლის გასვლის შემდეგ, თავიანთი ადგილსამყოფელის შიხედვით, საგადასახადო ორგანოს აცნობონ გასულ წელს ფიზიკურ პირებზე გაცემული შემოსავლისა და დაკავებული გადასახადის თანხების ოდენობის შესახებ ამ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილების აღნიშვნით.

აღნიშნული მონაცემები გადაიგზავნება შემოსავლის მიმღებ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციაში.

თავი IV

სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლის და სხვა შემოსავლის დაბევრება.

მუხლი 11. დაბევრის ობიექტები

კანონის ამ თავში გათვალისწინებული წესით იბეგრება მეწარმედ რეგისტრირებულ პირთა შემოსავალი, მიღებული კალენდარული წლის განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებიდან, აგრეთვე სხვა შემოსავალი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონის II და III თავებში.



დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას ხარჯების შემადგრებულობაში ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ხარჯებთან ერთად შეიტანება ხელშეკრულებით მომუშავე პირებზე გაცემული თანხები.

იმ ფიზიკურ პირთა დაბეგვრისას, რომლებსაც მიმდინარე წელს არა ქვეთ ძირითადი სამუშაო ადგილი (სამსახური, სწავლა), მიღებული შემოსავალი მცირდება ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხებით შემოსავლის მიღების თითოეულ თვეზე.

თუ შემოსავალი მიღებულია რამდენიმე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის და სამეწარმეო საქმიანობაში. რეგისტრირებული ფიზიკური პირისაგან, ასეთ შემთხვევებაში ვამორიცხვა ხდება ფიზიკური პირის არჩევით შემოსავლის მიღების ერთ-ერთ ადგილას, ძირითადი სამუშაო ადგილის არსებობისას ფიზიკური პირის შემოსავლდან ასეთი ვამორიცხვები არ წარმოება.

მიმდინარე წელს მიღებული ზარალი მომდევნო წელს გადასახდით დაბეგვრისას მხედველობაში არ მიიღება.

მუხლი 12. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. ამ კანონის მე-11 მუხლში ჩამოთვლილი შემოსავლის გადასახდი გამოიანგარიშება:

ა) საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირების მიერ ფიზიკურ პირებზე წლის განმავლობაში თანხების გაცემისას;

ბ) საგადასახადო ორგანოების მიერ ფიზიკური პირების მოსალოდნელი შემოსავლის შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე;

გ) საგადასახადო ორგანოების მიერ ფიზიკური პირის მიმდინარე კალენდარული წლის ფაქტიური შემოსავლის შესახებ წარდგნილი დეკლარაციის და სხვა მონაცემების საფუძველზე.

გადასახადით დაბეგვრა ხდება ფიზიკური პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ იგი საქმიანობს სხვა ადგილზე—საქმიანობის ადგილის მიხედვით, მაგრამ ფიზიკური პირის შუღმივ საცხოვრებელ ადგილზე საგადასახადო ორგანოს უნდა ეცნობოს შემოსავლისა და გადასახადის ოდენობის შესახებ.



ფიზიკურ პირთა შემოსავალს საგადასახადო ორგანიზაციაში განვითარებული რაცენ:

ფიზიკურ პირთა მიერ წლის განმავლობაში მიღებული ფაქტი-ცური შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საფუძველზე;

საგადასახადო ორგანოების მიერ ფიზიკურ პირთა საქმიანობის შემოშენების მასალების საფუძველზე;

გადამზღველებზე გაცემული შემოსავლის შესახებ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან მიღებული მასალების საფუძველზე.

საგადასახადო ორგანოების მიერ გამოანგარიშებული გადასახადი გადაიხდევინება შემდეგი წესით:

გადამზღველები წლის განმავლობაში ყოველკვარტალურად შეიტანენ გასული წლის შემოსავლიდან გამოანგარიშებული წლიური გადასახადის თანხის 25-25 პროცენტს, ხოლო გადამზღველები, რომლებიც პირველად იბეგრებიან, — მიმდინარე წლის მოსალოდნელი შემოსავლიდან გამოანგარიშებული გადასახადის 25-25 პროცენტს, საავანსო გადასახდელების გადახდის ვადებია 15 მარტი, 15 მაისი, 15 ავგისტო და 15 ნოემბერი. თუ გადამზღველის განცხადების საფუძველზე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება ან მცირდება შემოსავალი, საგადასახადო ორგანო გადასახადს გადაიანგარიშებს არდამდგარი ვადების მიხედვით;

1. წლის დამთავრების შემდეგ გადასახადი გამოიანგარიშება ერთობლივი წლიური შემოსავლიდან შემოსავლის ყველა წყაროს მიხედვით საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, ასევე შეწარმედ რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებთან შესრულებული ნებისმიერი სამუშაოსათვის გაცემული შემოსავლის ჩათვლით.

2. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმედ რეგისტრირებული პირები ფიზიკურ პირებს გადასახადს უკავებენ თანხის გაცემისას. თუ წლის განმავლობაში ერთი და იგივე ფიზიკურ პირზე რამდენჯერმე გაიცა თანხა, გადასახადის გამოანგარიშება ხდება წლის დასაწყისიდან მიღებული საერთო თანხიდან.

ანალოგიურად იბეგრება უმუშევართა დახმარების თანხები, თუ ისინი აღემატება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შრომის მინიმალური თვიური ანაზღაურების ოდენობას.

დაკავებული გადასახადის თანხა ბიუჯეტში გადაირიცხვის აღმონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით.

ასეთი შემოსავლის და გადასახადის დაკავებული თანხების შესახებ საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირები და დასაქმების სამსახურის ორგანოები ვალიურებულნი არიან საანგარიშო წლის მომდევნო წლის ! თებერვლის დეკემბრი საგადასახადო ორგანოებს მათი ადგილ-გვერდებარეობის მიხედვით. ამ მონაცემებს საგადასახადო ორგანოები გადაუგზავნიან საგადასახადო ორგანოებს ფიზიკურ პირთა მუდმივი საცხოვრებელი აღგიანის მიხედვით.

თავ ვ 8

ინდივიდუალური საწარმოებიდან შემოსავლის მიმღებ ფიზიკურ პირთა დაბეგვრის თავისებურებანი

მუხლი 13. დაბეგვრის ობიექტი

კანონის ამ თავში აღნიშნული წესით იბეგვრება მოქალაქის ან მცირების წევრების საერთო (წილობრივი ან ერთობლივი) საკუთრების უფლებით კუთვნილი ინდივიდუალური საწარმოს წლიური შემოსავალი, რომელიც მიიღება ამ საწარმოს ნებისმიერი ნებადართული საქმიანობიდან.

დასაბეგვრი შემოსავლის განსაზღვრისას ხარჯების შემადგენლობაში შეიტანება როგორც ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, ასევე ხელშეკრულებით მომუშავე მოქალაქეებზე გაცემული ხარჯები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური საწარმო ექუთვნით ოჯახის წევრებს საერთო საკუთრების უფლებით, გადასახადით დაბეგვრის მიზნით ინდივიდუალური საწარმოს დასაბეგვრი შემოსავალი იყოფა საწარმოს წევრებზე შრომითი მონაწილეობის მიხედვით.

მუხლი 14. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. ინდივიდუალური საწარმოს შემოსავლიდან გადასახადი განიიანგარიშება საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოთა დექანიაციების საფუძველზე.

ინდივიდუალური საწარმოები საგადასახადო ორგანოს მისამართ
ლარაციას წარუდგენენ ყოველკვარტალურად შემოსავლის ნაზარ-
და გამით კვარტალის დამთავრებიდან მომდევნო თვის 15 რიცხ-
ვამდე. დეკლარაციაში ნაჩვენები უნდა იყოს როგორც ინდივიდუა-
ლური საწარმოს მოლიანი შემოსავალი, ასევე მის წევრებზე განა-
წილებული შემოსავალი. გადასახადი გამოიანვარიშება თითოეულ
წევრზე ცალ-ცალკე.

საგადასახადო ორგანოების მიერ ზემოაღნიშნული წესით გა-
მოანგარიშებული გადასახადის გადახდა ხდება მათი დარიცხვიდან
10 დღის ვადაში.

2. ინდივიდუალურ საწარმოში შრომითი ხელშეკრულებით მო-
ცუშავე მოქალაქეებს საშემოსავლო გადასახადს უკავებს ინდივი-
დუალური საწარმო. მოქალაქის მცენ საქმიანობის შეწყვეტის ან
წლის დამთავრების შემდეგ ინდივიდუალური საწარმო მოქალაქეზე
ვაცემული თანხებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ აცნო-
ბებს საგადასახადო ინსპექციის თავისი ადგილმდებარეობის მიხედ-
ვთ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2930 VI

საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი აღგაილის მქონე უცხოელი
მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების დაბეგვრის
თავისებურებანი

მუხლი 15. დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრა

1. საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონებრივების (შემდგომში — უცხოელი ფიზიკური პირი) მიერ კალენდარულ წელს მიღებული ერთობლივი დასაბეგრი შემოსავალი ვანისაზღვრება ამ კანონის II-IV თავებში დადგენილი წესით. ამასთან ერთობლივი დასაბეგრი შემოსავლის შემადგენლობაში შეიტანება აგრეთვე:

ა) დანამატის თანხები, საქართველოს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან დაკავშირებით;

ბ) გადამხდელის შვილების სკოლაში სწავლების, კვებაში და სასახლეში თანხები.

2. უცხოელი ფიზიკური პირის გადასახადით დასაბეჭრ ერთობლივ შემოსავალში არ შეიტანება:

ა) უცხოელი ფიზიკური პირის დამჯირავებლის მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის და საპენსიო უზრუნველყოფის ფონდში გადარიცხული თანხები;

ბ) საცხოვრებელი ბინის დაქირავებისა და სამსახურებრივი მიზნებისათვის ავტომობილის შენახვის ხარჯების საქომპენსაციო თანხები;

გ) სამიულინებო ხარჯების თანხები.

მუხლი 16. დაბეჭვრის ოდენობა

1. უცხოელი ფიზიკური პირის შემოსავალი იბეგრება ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული განაკვეთით.

2. პირაული კომპანიების მფლობელთა შემოსავალი იბეგრება ამ კანონის IV თავში გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ამასთან, გადასახადით დაბეჭვრის მიზნით პირადი კომპანიების მფლობელად არ ჩაითვლება უცხოელი ფიზიკური პირი, რომლის საქუთრებაში არსებული ნებისმიერი სამეურნეო ერთეულიდან მიღებული შემოსავალი მუდმივი სამყოფელის (რეგისტრაციის) ქვეყანაში იბეგრება კორპორაციდან მოგების გადასახადით ან ანალოგური სახის გადასახადით.

მუხლი 17. გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

უცხოელი ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავალს ღებულობენ როგორც საქართველოს რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, წარადგენენ დეკლარაციას მიღებულ შემოსავალზე ამ კანონით გათვალისწინებული წესის დაცვით.

ამასთან უცხოელმა ფიზიკურმა პირმა დეკლარაცია მიმღინარებული მოსალოდნელი შემოსავლის შესახებ უნდა წარადგინოს მისი საქართველოში ჩამოსვლიდან ერთი თვის განმავლობაში.

უცხოელი ფიზიკური პირის მიერ წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკაში საქმიანობის შეწყვეტისას და მის ფარგ-



ლებს გარეთ გასვლისას მიმღინარე წელს საქართველოს რესპუბლიკური კაში ყოფნის პერიოდში ფაქტიურად მიღებული შემოსავლის შესახებ დეკლარაცია წარდგენილ უნდა იქნეს გამგზავრებიძე არა უგვიანეს ერთი თვისა.

2. უცხოელი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი გამოიანგარიშება გადამხდელის საქმიანობის ან საქართველოს რესპუბლიკაში საცხოვრებელი აღვილის მიხედვით საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საფუძველზე.

გადასახადის გადახდა ხდება საგადასახადო ორგანოს საგადასახდელო უწყების საფუძველზე.

მოსალოდნელი შემოსავლის შესახებ დეკლარაციის საფუძველზე გადამხდელს წარედგინება საავანსო გადასახადის თანხა საგადასახადო ვალდებულებების 75 პროცენტის ოდენობით. გადასახადი გადაიანგარიშება ფაქტიურად მიღებული შემოსავლის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

წლიური გადასახადის გადახდა ხდება სამ თანაბრ ნაწილად: 15 მაისს, 15 ივნისტოს და 15 ნოემბერს. საანგარიშო წლისათვის ვაღანგარიშების შედეგად დამატებით დარიცხული გადასახადის გადახდა ხდება საგადასახდელო უწყების გამოწერილიდან ერთი თვის ვადაში. ზედმეტად გადახდილი გადასახადის თანხა ვადამხდელის სურვილისამებრ უბრუნდება მას ან ჩაეთვლება მომავალი გადასახდის ანგარიშში.

3. გადასახადით დაბეგვრის მიზნით უცხოელი ფიზიკური პირის შემოსავალი მცირდება ამ კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

ამასთან, უცხოელმა ფიზიკურმა პირმა, რომელიც დეკლარაციას პირველად წარადგენს საქართველოს რესპუბლიკაში და იქვს უფლება ბავშვების შენახვისა და კმაყოფაზე მყოფთა ხარჯების გამოთიშვისა, შელავათის მისაღებად შემოსავლის შესახებ დეკლარაციას უნდა დაურთოს ბავშვების და კმაყოფაზე მყოფთა დამაღასტურებელი საბუთი. საბუთები დადასტურებული უნდა იქნეს იმ ძველნის კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელშიც ცხოვროდა იგი უშუალოდ საქართველოში ჩამოსვლამდე. თუ მისი ბავშვები და კმაყოფაზე მყოფნი ცხოვრობენ საქართველოში, საბუთები უნდა წარ-

მოდგინდეს ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შემდეგი კატეგორიის უცხოელი ფიზიკური პირები:

ა) უცხოეთის სახელმწიფო წარმომადგენლობის ხელმძღვანელები, აგრეთვე პერსონალის წევრები, რომლებსაც აქვთ დიპლომატიური და საკონსულო რანჟები, მათთან ერთად მცხოვრები მათი ოჯახის წევრები, თუ ისინი არ არიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები — ყველა შემოსავლის მიხედვით, გარდა საქართველოს რესპუბლიკაში არსებული წყაროებიდან მიღებული იმ შემოსავლისა, რომელიც არ არის დაკავშირებული დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურთან;

ბ) უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები და მათთან ერთად მცხოვრები მათი ოჯახის წევრები, თუ ისინი არ ითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად ანდა მულმივალ არ ცხოვრობენ საქართველოში — ყველა შემოსავლის მიხედვით, გარდა საქართველოში არსებული იმ წყაროებიდან მიღებული შემოსავლისა, რომელიც არ არის დაკავშირებული დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურებან;

გ) წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის წევრები, რომელიც არ არიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი ანდა მულმივალ არ ცხოვრობენ საქართველოში — მათი სამსახურიდან მიღებული ყველა შემოსავლის მიხედვით;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები — ამ ორგანიზაციების წესდების შესაბამისად.

5. უცხოელი ფიზიკური პირებისთვის გადასახადის გადახდევინება შეიძლება შეწყვეტის ან შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით, ასევე შეთანხმების პრინციპით, თუ შესაბამისი უცხოეთის სახელმწიფოს მიერ ასეთივე ზომები ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მიმართ, რაც ოფიციალურად უნდა დაადასტუროს უცხოეთის ამ სახელმწიფოს ცენტრალურმა საგადასახადო სამსახურმა.

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი აღგილის არმქონე პირთა შემოსავლის დაბეგვრის თავისებურებანი

მუხლი 18. დაბეგვრის წესი

საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი საცხოვრებელი აღგილის არმქონე ფიზიკურ პირთა მიერ საქართველოს რესპუბლიკაში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლიდან (ამ კანონის II-III თავებში აღნიშნული შემოსავლის გარდა) გადასახადის ოაკვება ხდება შემოსავლის გაცემის აღგილის 15 პროცენტის ოდენობით, თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ურთიერთშეთანხმების პრინციპებით მიღებული გადაწყვეტილებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ასეთი შემოსავლის და დაკავებული გადასახადის თანხის შესახებ შემოსავლის გამცემი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმეებ რეგისტრირებული ფიზიკური პირები აცნობებენ საგადასახადო ინსპექციებს თავითი აღგილსამყოფელის მიხედვით.

კანონის II-III თავებში აღნიშნული შემოსავლიდან გადასახადის დაკავება ხდება ამ კანონის II-IV თავებით გათვალისწინებული წესით.

თ ა ვ ი VIII

ფიზიკური პირების მიერ ერთობლივი წლიური შემოსავლის დეკლარირება და ერთობლივი წლიური შემოსავლიდან გადასახადის გამოანგარიშების წესი

მუხლი 19. შემოსავლის შესახებ დეკლარაციის წარდგენის წესი

1. ფიზიკური პირები ფაქტიურად მიღებული შემოსავლისა და ვაწეული ხარჯის შესახებ დეკლარაციას წარუდენენ საგადასახადო ორგანოს მუდმივი საცხოვრებელი აღგილის მიხედვით, არაუგვიანეს საანგარიშოს მომდევნო წლის 15 თებერვლისა.

დეკლარაციის წარდგენისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც გადასახადს იხდიან ამ კანონის II და VII თავების საფუძველზე, აგრეთვე ის ფიზიკური პირები, რომელთა ერთობლივი დასაბეგრი შემოსავალი საანგარიშო წლისათვის არ აღემატება 10 მილიონ კუბონს.

წლის განმავლობაში ამ კანონის მე-4 თავში აღნიშნული შემოსავლის წყაროს წარმოქმნისას ფიზიკური პირები დეკლარაციის წარადგენენ შემოსავლის წყაროს წარმოქმნიდან ერთი თვის შემდეგ 5 დღის ვადაში. დეკლარაციაში მითითებული უნდა იყოს მათ მიერ საქმიანობის პირველ თვეს მიღებული შემოსავლის ოდენობა და წლის ბოლომდე მოსალოდნელი შემოსავლის ოდენობა.

წლის ბოლომდე შემოსავლის წყაროს შეწყვეტის შემთხვევაში, დეკლარაცია წარედგინება შემოსავლის წყაროს შეწყვეტიდან 5 დღის განმავლობაში.

2. ფიზიკური პირები დეკლარაციაში უთითებენ წლის განმავლობაში მათ მიერ მიღებულ ყველა შემოსავალს მათი მიღების წყაროს აღნიშვნით და გადასახადის დარიცხულ და გადახდილ თანხებს.

ამ კანონის II-VI თავების მიხედვით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის შესახებ მონაცემები დეკლარაციაში ცალკე აისახება.

მუხლი 20. გადასახადის გადაანგარიშების წესი ერთობლივი წლიური დასაბეგრი შემოსავლიდან გადასახადი გამოიიანგარიშება ამ კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული განაკვეთით.

გამოანგარიშებულ გადასახადის თანხასა და წლის განმავლობაში გადახდილი გადასახადის თანხას შორის სხვაობას ფიზიკურ პირს გადაახდევინებენ ან დაუბრუნდება საგადასახადო ორგანოს მიერ არა უგვიანეს საანგარიშოს მომდევნო წლის 1 აპრილს, ხოლო წლის განმავლობაში გადაანგარიშების შემთხვევაში — საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის ჩაბარებიდან არა უგვიანეს ორი თვის ვადაში.

ამ კანონის დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 21. გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირთა მოვალეობანი

1. გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები ვალდებული არიან:

ა) აღრიცხონ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი და ამ შემოსავლის მიღებისათვის გაწეული ხარჯები;

ბ) ამ კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საგადასახადო ორგანოებს წარუდგინონ მიღებული შემოსავლისა და გაწეული ხარჯების შესახებ დეკლარაცია, დეკლარაციაში ნაჩვენები მონაცემების სისწორის დამადასტურებელი სხვა აუცილებელი საბუთები, და მონაცემები.

გ) საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საგადასახადო ორგანოებს წარუდგინონ შემოსავლიდან თანხის გამორიცხვის დამადასტურებელი საბუთები;

დ) დროულად და სრულად შეიტანონ ბიუჯეტში გამოანგარიშებული გადასახადის თანხა;

ე) დაუშვან საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირები შენობაში, რომელიც გამოიყენება შემოსავლის მიღებისათვის;

ვ) შეისრულონ სხვა მოვალეობანდ, რომლებიც გათვალისწინებულია საკანონმდებლო ქტებით.

შემოსავლის გამცემი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირები ვალდებული არიან:

ფიზიკური პირების შემოსავლიდან გამოიანგარიშონ და ბიუჯეტში შეიტანონ გადასახადის თანხა:

დადგენილ ვადებში წარუდგინონ საგადასახადო ორგანოებს მონაცემები მათ მიერ ფიზიკური პირებისათვის მიცემული თანხებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ;

შეისრულონ საკანონმდებლო ქტებით გათვალისწინებული სხვა მოვალეობანი.

2. ხელშეკრულების და სხვა შეთანხმებების დადების შემთხვევაში ლულია მათში ისეთი საგადასახადო პირობების შეტანა, რომლის მიხედვით შემოსავლის გამცემი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირები კისრულობენ ვალდებულებას გაიღონ ხარჯები ფიზიკური პირების მაგივრ გადასახადის გაღასახდელად.

მუხლი 22. არასწორად დაკავებული გადასახადის დაკავებისა და დაბრუნების წესი

ფიზიკური პირების გადასახადით დროულად დაუბეჭრაობის ან მათი შემოსავლიდან გადასახადის არასწორად გამოანგარიშების შემთხვევაში მათი შემოსავლიდან გადასახადის თანხის გადახდევინება ან დაბრუნება ხდება არასწორად დაკავების იღმოჩენიდან არაუმეტეს ბოლო სამი წლისა.

გადასახადის თანხები, რომლებიც გადაუხდელია გადამხდელის მაჟრ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების შედეგად, გადაიხდევინება გადახდისაგან თავის არიდების მოელი პერიოდისათვის.

შემოსავლის გაცემის აღვილას დაბეგრას დაქვემდებარებული შემოსავლიდან დროულად დაუკავებელი, არასწორად დაკავებული ან ბიუჭეტში გადაურიცხავი გადასახადის თანხები და ჯარიმა ამ თანხების 10 პროცენტის ოდენობით, საგადასახადო ორგანიზაციის მიერ უცილობელი წესით გადაიხდევინება ფიზიკურ პირთავის შემოსავლის გამცემი საწარმოების. დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ თავიანთი მუშაქების ნაცვლად გადასახადის თანხების გადახდის ფაქტების დადგენის შემთხვევაში, აღნიშნული თანხები ჩაირთვება ამ პირთა წლიურ დახმარევულ შემოსვალში.

მუხლი 23. ამ კანონის დარღვევისათვის იურიდიული და ფიზიკური პირების პასუხისმგებლობის ზომები

ამ კანონის უარღვევისათვის იურიდიული და ფიზიკური პირები პასუხს ავებენ იმ წესით და პირობებით, რაც გათვალისწინებულია სიქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 24. საგადასახადო ორგანოების და მათი პასუხისმგებელი ბეჭი პირების მოქმედების გასაჩივრება

საგადასახადო ორგანოების და მათი პასუხისმგებელი პირების მოქმედების გასაჩივრება ხუება საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

საქართველოს მეთაური

ელუარდ ზევარდებავ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დაზგენილება

249 „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პარლამენტი აღგენს:

1. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს 1994 წლის 1 იანვრიდან.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს თავისი დადგენილებების „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

3. კანონით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთები უკამოანგარიშების წესი გავრცელდეს ფიზიკურ პირთა მიერ 1994 წლის 1 იანვრის შემდეგ ვაწეული ნებისმიერი სახის საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე.



4. ფიზიკურ პირთა მიერ 1994 წლის 1 იანვრამდე შესახებ გადაწყვეტილი სამუშაოების, მომსახურების და სხვა საქმიანობისათვის მიღებული გასამრჩელო, აგრეთვე 1993 წლის წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით პრემიები და სხვა განაცემები, რომლებიც გაიცემა 1994 წლის 1 იანვრის შემდეგ, საშემოსავლო გადასახადით დაიბეგროს 1994 წლის 1 იანვრამდე მოქმედი წესითა და ოდენობით, 1994 წლის შემოსავლიდან განცალკევებით.

5. „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ კანონი კამოქვეყნდეს რესპუბლიკურ პრესაში.

საქართველოს პარლამენტის საკურის მოადგილურ რესულანტ ჩვენიშვ.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

250 საქართველოს რესპუბლიკასა და გვრჩევიდას ფედერალურ რაციოლ რესპუბლიკას უორის პაპიტალიაზანდებულთა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის საკურის მოადგილურ რესულანტ ჩვენიშვ.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

251 ხელშეკრულება საჭართველოს რესპუბლიკაზე და
გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას უორის კავკ-
ზელიანანებათა ხელშეყობისა და ურთიერთდაცვის უ-
სახელ

საქართველოს რესპუბლიკა და გერმანის ფედერაციული რესპუბლიკა — სურთ რა გააღრმაონ ეკონომიკური თანამშრომლობა ღარ სახელმწიფოს შორის,

ესჭრაფვიან რა ერთი ქვეყნის მოქალაქეთა ან საზოგადოებათა კვაპიტალდაბანდებებისათვის მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ხდესაყრელი პირობების შექმნას,

შეგნებული აქვთ ოა, ოომ ამ კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობა და ხელშეკრულებით დაცვა კერძო სამეურნეო ინიციატივის გამოცოცლებისა და ორივე ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისა-კუნაა მიმართული —

შეთანხმდნენ შემდეგზე:

Digitized by srujanika@gmail.com

ამ სელშეკრულების მიზნებისათვის

1. ცნება „კაპიტალიზაციური“ მთავარს ყველა სახის ქონებას, განსაკუთრებით:

ა) მოძრავ და უძრავ ქონებას, აგრეთვე ისეთ ნივთობრივ ქონებას, როგორიცაა იპოთეკა და საკირავნო უფლება;

ბ) საზოგადოებრივი წილობრივი და სხვა სახით მონაწილეობის უფლებებს;

გ) უფლებას იმ თანხაზე, რომელიც ეკონომიკური ფასეულობის შესაქმნელად იქნა გაღებული, ანდა უფლებას იმ მომსახურებაზე, რომელსაც ეკონომიკური ლირებულება გააჩნია;

დ) უფლებებს ინტელექტუალურ საკუთრებაზე, კერძოდ, საავტორო უფლებებს, პატენტებს, რეგისტრირებულ პროექტებს, ხელოსნობის ნიმუშებსა და მოდელებს, მარკებს, სავაჭრო სახელწოდებებს, საწარმოო და კომერციულ საიდუმლოებებს, ტექნიკურ ხერხებს, ნოუ-ჰაუსა და გუდვილს;



ე) საზოგადოებრივ-სამართლებრივ კონცესიებს, საძიებულოების
მომვიყებელი კონცესიების ჩათვლით.

ქონებრივ ფასეულობათა დაბანდების ფორმის შეცვლა არ იწვევს კაპიტალდაბანდების ორსის შეცვლას.

2. ტერმინი „შემოსავალი“ გულისხმობს იმ თანხებს, რომლებიც ეძატება კაპიტალდაბანდებას ღროის გარკვეულ მონაკვეთში მოვების წილის, დივიდენდების, პროცენტების, სალიცენზიო ან სხვა ტიპის ანაზღაურებათა სახით.

3. ცნება „მოქალაქე“ გულისხმობს:

ა) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის:

გერმანელს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყონს-ტრუციაში დაფიქსირებული გაებით,

ბ) საქართველოს რესპუბლიკისათვის:

პირებს, რომელთაც ეს სტატუსი საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედმა კანონმდებლობამ მიანიჭეა.

4. ცნება „საზოგადოებანი“ გულისხმობს

ა) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის:

ყოველ იურიდიულ პირს, ისევე როგორც ყოველ კომერციულ ან სხვა სახის საზოგადოებასა ან გაერთიანებას იურიდიული პირის უფლებით ან მის გარეშე, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მათი საქმიანობა მიმართული მოვების მიღებისაკენ,

ბ) საქართველოს რესპუბლიკისათვის:

ყოველ ეკონომიკურ სუბიექტს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მისი საქმიანობა მიმართული მოვების მიღებისაკენ.

მუხლი 2

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ხელს შეუწყობს თავის ტერიტორიაზე მეორე მონაწილე მხარის მოქალაქეებისა და საზოგადოებების კაპიტალდაბანდებებს ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით. ამ კაპიტალდაბანდებებს ივი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანობისა და სიიაფის პრინციპების გამოყენებით მოვპყრობა.

2. არც ერთმა ხელშემკვრელმა მხარემ არავითარ შემოხადავაში
არ უნდა მიაყენოს ზიანი თვითნებური ან დისკრიმინაციული ლო
ნისტიციებით თავის ტერიტორიაზე მეორე მხარის მოქალაქეთა ან
საზოგადოებათა კაპიტალდაბანდებების მართვისა და გამოყენების
პროცესს.

მუხლი 3

1. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ისევე უწყობს ხელს თავის
ტერიტორიაზე მეურე მხარის მოქალაქეებისა ან საზოგადოებების,
საკუთრებასა ან გავლენის სფეროში მყოფ კაპიტალდაბანდებებს,
როგორც საკუთარი მოქალაქეებისა და საზოგადოებების ან მესამე
ქვეყნის მოქალაქეებისა და საზოგადოებების კაპიტალდაბანდებებს.

2. ყოველი ხელშემკვრელი მხარე ისევე უწყობს ხელს მეორე
მხარის მოქალაქეებისა ან საზოგადოებების საინვესტიციო საქმია-
ნობას თავის ტერიტორიაზე, როგორც საკუთარი მოქალაქეებისა და
საზოგადოებების, ან მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა და საზოგა-
დოებებისას.

3. ამგვარი დამკიიდებულება არ ეხება იმ პრივილეგიებს, რო-
მელთაც ერთი მხარე ანიჭებს მესამე ქვეყნის მოქალაქეებსა და საზო-
გადოებებს საბაჟო ან ეკონომიკურ გაერთიანებაში, საერთო ბაზარ-
სა ან თავისუფალი ვაკრობის ზონაში, ანდა ასოციაციაში მათი გა-
წევრიანების გამო.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული რეზიმი არ ვრცელდება იმ
შეღავათებზე, რომელთაც ერთი მხარე მესამე ქვეყნის მოქალაქეებსა
და საზოგადოებებს ანიჭებს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების
მიზნით დადებული ხელშეკრულების ან დაბეგვრის შესახებ სხვა
ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 4

1. ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეთა ან საზოგადოება-
თა კაპიტალდაბანდებებისათვის გარანტირებულია სრული დაცვა და
უსაფრთხოება მეორე მხარის ტერიტორიაზე.

2. ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეთა ან საზოგადოება-
თა კაპიტალდაბანდებანი მეორე მხარის ტერიტორიაზე შეიძლება



ექსპროპრიებული, ნაციონალიზებული ან ექსპროპრიებული მაციონალიზების მსგავსი სხვა ღონისძიებებით ჩამორთმეულ იქნეს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის და კომპენსაციით. კომპენსაცია უნდა შეესაბამებოდეს ექსპროპრიებული კაპიტალდა-ბანდების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება მიმდინარე ან მოსალოდნელი ექსპროპრიების, ნაციონალიზების ან რაიმე მსგავსი ღონისძიების საჯაროდ გამოცხადების წინა პერიოდის მიხედვით. კომპენსაცია დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს და გადახდის წინ მას უნდა დაერიცხოს მიღებული საბანკო პროცენტი; იგი რეალურად გამოყენებადი და თავისუფლად ტრანსფერირებადი უნდა იყოს. არაუგიანეს ექსპროპრიების, ნაციონალიზების ან რაიმე მსგავსი ღონისძიებების გატარებისა მიღებული უნდა იქნეს პროფილაქტიკური ზომები კომპენსაციის ოდენობის დადგენისა და გადახდის წესის განსაზღვრის მიზნით. ექსპროპრიების, ნაციონალიზების ან რაიმე მსგავსი ღონისძიების მიღებისას ისევე როგორც კომპენსაციის ოდენობის კანონიერების შემოწმება დადგენილი იურიდიული წესით უნდა მოხდეს.

3. ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქენი ან საზოგადოებანი, რომელთა კაპიტალდაბანდებანი შეორე მხარის ტერიტორიაზე ომას ან შეიარაღებული კონფლიქტის, რევოლუციის, ამბოხების ან სტიქიური უბედურების შედეგად დაარაღდა, დანაკარგის ანაზღაურების, კომპენსაციის ან გასამრჩევლოს მიღებისას სარგებლებენ არანაკლები ხელშეწყობით; ვიდრე ამ უკანასკნელის მოქალაქენი ან საზოგადოებანი. ამგვარი თანხები თავისუფლად ტრანსფერირებადი უნდა იყოს.

4. ამ მუხლში ჩამოყალიბებულ პრობლემათა გადაწყვეტისას ერთი მონაწილე მხარის მოქალაქენი ან საზოგადოებანი უპირატესი ხელშეწყობით სარგებლობენ მეორე მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 5

ყოველი ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს მეორე მხარის მოქალაქეებისა ან საზოგადოებებისათვის კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებული თანხების თავისუფალ ტრანსფერირებას. იგულისნება:

- ა) კაპიტალი და კაპიტალდაბანდების შენარჩუნებისათვის. საჭირო დამატებითი თანხები;
- ბ) შემოსავალი;
- გ) სესხების გასასტუმრებელი თანხები;
- დ) ამონაგები კაპიტალდაბანდების სრული ან ნაწილობრივი ღირებისათვის. ან გაყიდვის შემთხვევაში;
- ე) კომპენსაციები, რომელიც მე-4 მუხლითაა გათვალისწინებული.

მუხლი 6

თუ ერთი ხელშემყვრელი მხარე გადაუწდის თავის მოქალაქეებსა ან საზოგადოებებს თანხას მეორე მხარის ტერიტორიაზე განლაგებული კაპიტალდაბანდების საგარანტიოდ, მაშინ ეს უკანასკნელი, მეათე მუხლისან გამომდინარე, პირველად ნახსენები მხარის უფლებამოსილების შებლალვის გარეშე, კანონის ან იურიდიული ვარიგების საფუძველზე ცნობს. პირველად ნახსენები მხარისათვის ამ მოქალაქეებისა ან საზოგადოებების მთელი უფლებების ან პრეტენზიების გადაცემას. მეორე მხარე ცნობს აგრეთვე პირველად ნახსენები მხარის უფლებამოსილების გავრცელებას ცველა იმ უფლებებზე ან პრეტენზიებზე (გადაცემული პრეტენზიები), რომელთა გამოყენებაც შეუძლია პირველად ნახსენებ მხარეს იმავე მოცულობით, რაც მის უფლებრივ წინამორბედს. გადაცემული პრეტენზიების საფუძველზე გადარიცხვის ტრანსფერტისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მეოთხე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები და მეხუთე მუხლი.

მუხლი 7

1. მეოთხე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში, მეხუთე და მეექვსე მუხლებში ოლნიშნული თანხების გადაგზავნა უნდა მოხდეს დაყოვნებლივ, მოცემულ მომენტში არსებული სავალუტო-გაცვლითი კურსის საფუძველზე.

2. ეს სავალუტო-გაცვლითი კურსი უნდა შესაბამებოდეს კრასკურსს, რომელიც იმ გადასაანგარიშებელი კურსების ბაზაზე იქმნება.

ბა, რომლებსაც ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდებისათვეს, თუ მოხდება ვალუტის გაღაანგარიშება სესხის აღების განსაკუთრებულ უფლებებზე.

მუხლი 8

1. თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა ან რეპტერი შეთანხმების პარალელურად არსებული ან მოსალოდნელი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებანი მხარეებისა შეცავენ ზოგად ან სპეციაფიკურ დებულებას, რომელიც მეორე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეთა ან საზოგადოებათა კაპიტალდაბანდებებს უფლებას აძლევს ისარგებლონ უფრო ხელსაყრელი პირობებით, ვიდრე ეს ამ ხელშეკრულებითა გათვალისწინებული, მაშინ ეს დებულება პრევალირებს ამ ხელშეკრულებაზე, რადგანაც იგი უფრო ხელსაყრელია.

2. ყოველმა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა შეასრულოს ყველა სხვა ვალდებულება, რომლებიც მან თავის ტერიტორიაზე მეორე მხარის მოქალაქეებისა ან საზოგადოებების კაპიტალდაბანდებათა მიმართ იყისრა.

მუხლი 9

წინამდებარე ხელშეკრულება ვრცელდება ავრეთვე იმ კაპიტალდაბანდებზე, რომლებიც ერთი მხარის მოქალაქეებმა ან საზოგადოებებმა მეორე მხარის ტერიტორიაზე მისი კანონმდებლობის გათვალისწინებით ჯერ კი უკვე ამ ხელშეკრულების ძალაში შესელამდე შექმნეს.

მუხლი 10

1. უთანმოებანი ხელშემკვრელ მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების განმარტების ან გამოყენების თაობაზე შესაძლებლობის ფარგლებში ორივე ხელშემკვრელი მხარის მთავრობებმა უნდა მოავგარონ.

2. თუ დავა ამ საშუალებით არ მოგვარდა, მაშინ ერთი რომელიმე მხარის მიერ იგი სამედიატორო სასამართლოს გადაეცემა.

3. სამედიატორო სასამართლო ორმელიმე კონკრეტული შემთხვევის გამო იქმნება. ორივე მხარე ნიშნავს თითო წესრიგში და ლებიც თავმჯდომარედ მესამე სახელმწიფოს წარმომადგენელს ირჩევენ. მის კანდიდატურას აღასტურებენ ორივე ხელშემკვრელი მხარის მთავრობები. წევრები ინიშნებიან ორ თვეში, თავმჯდომარე კა სამ თვეში იმ მომენტიდან, როცა ერთმა მონაწილე მხარემ მეორეს აცნობა, რომ სურს უთანხმოების თაობაზე სასამართლოს მიმართოს.

4. თუ მესამე პუნქტში აღნიშნული ვადა არ იქნა დაცული, მაშინ რომელიმე სხვა ხელშემკვრელების არარსებობისას, ყოველ მხარეს შეუძლია მიმართოს საერთაშორისო უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტს, რათა მან განახორციელოს საჭირო დანიშვნები. თუ პრეზიდენტი ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, ან თუ მას ააიმე სხვა გარემოება უშლის ხელს, მაშინ დანიშვნებს ვიცე-პრეზიდენტი ახორციელებს. თუ ვიცე-პრეზიდენტიც ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა, ან მასაც რაიმე გარემოება უშლის ხელს, მაშინ დანიშვნები უმაღლეს სასამართლოში მომდევნო რანგის შემთხვევაში წევრმა უნდა განახორციელოს, რომელიც არაა რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქე.

5. სამედიატორო სასამართლო ვადაწყვეტილებას ხმების უმრავლესობის საფუძველზე იღებს. მისი ვადაწყვეტილებანი აუცილებელია ორივე მხარისათვის. ორივე ხელშემკვრელი მხარე კისრულობს სამედიატორო სასამართლოში თავისი წარმომადგენლის ან თავისი ინტერესების დამცველის ხარჯებს; თავმჯდომარისა და სხვა ხარჯებს თანაბრად ინაწილებს ორივე ხელშემკვრელი მხარე. სამედიატორო სასამართლოს შეუძლია სხვაგვარად ვადაანაწილოს ხერჯები. ჩვეულებრივ სამედიატორო სასამართლო თვითონ ვანსაზღვრავს თავის პროცედურას.

6. თუ ორივე ხელშემკვრელი მხარე 1965 წლის 18 მარტის ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავის მოგვარების კონვენციის წევრია, მაშინ მათ ამ კონვენციის 27-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად იმიტომ არ უნდა მომართონ სამედიატორო სასამართლოს, რომ როგორც ერთი, ისე

შეორე ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებსა ან საზოგადოებულმა შორის ამ კონვენციის 25-ე მუხლის თანახმად შეთანხმება არსებობს. ეს არ გამოიტანავს სამედიატორო სასამართლოსადმი მიმართვას იმ შემთხვევაში, თუ მე-2 მუხლის შესაბამისად შექმნილი სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება არ სრულდება, ან ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის მიხედვით უფლებამოსილების გადაცემისას.

მუხლი 11

1. დავა კაპიტალდაბანდებათა შესახებ ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარესა და მეორე მხარის მოქალაქეებსა ან საზოგადოებებს შორის შეძლებისდაგვარად მხარეთა მეგობრული მოლაპარაკების გზით უნდა მოგვარდეს.

2. თუ ერთ-ერთი მხარის მიერ განცხადების მომენტიდან ეჭვი თვის ვადაში არ მოხერხდა დავის გადაწყვეტა, მაშინ საკითხი მეორე მხარის მოქალაქის ან საზოგადოების მოთხოვნით გასარჩევად გადაეცემა სამედიატორო სასამართლოს. თუ მოდავენი დამობაზე არ წავლენ, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს მე-12 მუხლის მე-3-დან მე-5 პუნქტები იმის მითოთებით. რომ სამედიატორო სასამართლოს წევრები მოდავე მხარეთა მიერ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ინიშნებიან. თუ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ვადა არ იქნა დაცული, სხვა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში ყოველ მოდავე მხარეს შეუძლია სთხოვოს საერთაშორისო სავაჭრო ჰალატის სამედიატორო სასამართლოს პრეზიდენტს პარიზში, რათა მან მოახდინოს საჭირო დანიშნები. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა იქნეს განხორციელებული.

3. სამედიატორო განხილვის ან სასამართლოს გადაწყვეტილების სისტემულები მოყვანის პროცესში დავის მონაწილე ერთი მხარე არ იქნება წინააღმდევი იმისა, თუ მეორე მხარის მოქალაქე ან საზოგადოება დაზღვევისაგან ზარალის ნაწილობრივ ან სრულ კომპუნძაციას მიიღებს.

4. თუ ორივე ხელშემქვრელი მხარე გახდა 1965 წლის მარტის 1-ის ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების მოგვარების კონვენციის წევრი, მაშინ დავა მხარებს შორის ამ კონვენციის საფუძველზე სამედიატორო სასამართლოში გაიჩინევა. თუ მხარეები არ მიაღწევენ რაიმე სხვა შეთანხმებას; ამით ყოველი ხელშემქვრელი მხარე თანხმობას აცხადებს ამ პროცედურაზე.

მუხლი 12

ეს ხელშეკრულება ძალაში იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ორ ხელმომწერ მხარეს შორის დიპლომატიური ან საკონსულო ურთიერთობა.

მუხლი 13

1. ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნეს; სარატიფიკაციო სიგნელები უნდა გაიცვალოს რაც შეიძლება მალე.

2. ეს ხელშეკრულება ძალაში შეიდის სარატიფიკაციო სიგნელების გაცვლიდან ერთი თვის შემდეგ. იგი ათი წლის განვითარების იქნება ძალაში; ამის შემდეგ იგი შეიძლება განუსაზღვრელი დროით იქნეს გაგრძელებული. იქამდე, სანამ ერთ-ერთი ხელშემქვრელი მხარე თორმეტი თვით აურე არ განაცხადებს წერილობით, რომ სურს ხელშეკრულების დენონსაცია. ათი წლის შემდეგ ხელშეკრულება თორმეტი თვის ვადაში შეიძლება იქნეს დენონსირებული.

3. იმ კაპიტალდაბანდებათვის, რომლებიც ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტამდე იქნა განნორციელებული, შეწყვეტის დღიდან ოცი წლის მანძილზე ძალაში რჩება 1-დან მე-12 მუხლები.

ხელმოწერილია ქართულ და გერმანულ ენებზე, ამასთან თრივერებს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

252 საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერა-
 ციულ რესპუბლიკას უორის საერთაშორისო საპარო
 მიმოსვლის შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს შეთანხმება საქართველოს რესპუბ-
 ლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საერთა-
 შორისო საპარო მიმოსვლის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსედან გერიძე.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

253 შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და გერმა-
 ნიის ფედერაციულ რესპუბლიკას უორის საერთაშო-
 რისო საპარო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული
 რესპუბლიკა

საერთაშორისო სამოქალაქო საპარო მიმოსვლის თაობაზე
 1944 წლის 7 დეკემბერს ჩიკაგოში ხელმოსაწერად წარდგენილი
 შეთანხმების ხელმომწერი მხარეები,

რომელთაც სურთ დაღონ ხელშეკრულება საქუთარ ტერიტო-
 რიებსა და მათ ფარგლებს გარეთ საპარო სამარშრუტო მიმოსვ-
 ლის მოწყობისა და წარმოების შესახებ,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ცნებათა განსაზღვრება

1. წინამდებარე შეთანხმების მიხედვით, სანამ მის ტექსტში აიმე შეიცვლება, ნიშნავს:

ა) „შეთანხმება სამოქალაქო საპატიო მიმოსვლის შესახებ“ — 1944 წლის 7 დეკემბერს ჩიკაგოში წელმოსაწერად წარდგენილ შეთანხმებას ჟურნალის საპატიო მიმოსვლის შესახებ, მისი 90-ე მუხლის მიღებული დანართებისა და სამოქალაქო საპატიო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების 90-ე და 94-ე მუხლების მიხედვით მიღებულ დანართთა ყველა ცვლილებების ჩათვლით, თუ ეს დანართები და ცვლილებანი ძალაში შევიდა ორივე მხარისათვის, ანდა რატიფიცირებულ იქნა მათ მიერ;

ბ) „საპატიო-სატრანსპორტო უწყება“ — საქართველოს რესპუბლიკისათვის საქართველოს რესპუბლიკის საპატიო ტრანსპორტის დეპარტამენტს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის ტრანსპორტის ფედერალურ მინისტრს, ან ორივე შემთხვევაში ყოველ სხვა პირს ან ორგანიზაციის, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს უწყებათა კომპეტენციაში შემავალი ეს მოვალეობა;

გ) „დასახელებული საპატიო-სატრანსპორტო საწარმო“ — ყოველ საპატიო-სატრანსპორტო საწარმოს, რომელიც ერთმა ხელშემწერმა მხარემ წერილობით დაუსახელა მეორე ხელმომწერ მხარეს მე-3 მუხლის მიხედვით, როგორც საპატიო-სატრანსპორტო საწარმო, რომელმაც საერთაშორისო ავიასამარშრუტო მიმოსვლა უნდა აქტირონოს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დადგენილ ხაზებზე.

2. ამ შეთანხმების გამოყენებისას ცნებებს „ტერიტორია“, „საპატიო სამარშრუტო მიმოსვლა“, „საერთაშორისო ავიასამარშრუტო მიმოსვლა“ და „არასარეწაო მიზნით დაჯდომა“, სამოქალაქო მიმოსვლის შესახებ არსებული შეთანხმების მე-2 და 96-ე მუხლებით დადგენილი მნიშვნელობა აქვთ.

3. ცნება „ტარიფი“ ნიშნავს იმ ფასს, რომელიც მგზავრების გადაყვანის ან ტეირთის (ფოსტის გარდა) საერთაშორისო გადაზიდვასათვის (იგულისხმება გადაზიდვა ორი ან სამი სახელმწიფოს პუნქტებს შორის) იქმნება და მოიცავს:

ა) ყოველ სატრანზიტო ტარიფს ან თანხას, რომელიც კუთხით საერთაშორისო გადაზიდვისათვის გამოიანგარიშება, თუ იგი ასეთად იქნა გამოცხადებული და გაყიდული, იმ სატრანსპორტო ტარიფების ჩათვლით, რომელიც სხვა ტარიფების ან საერთაშორისო მარშრუტების შემადგენელ, ქვეყნის შიდა მარშრუტების მონაკვეთებზე გადაზიდვისას მოქმედი შემაერთებელი ტარიფების ბაზაზე იქმნება;

ბ) საკომისიო თანხას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს მგზავრების გადასაყვანი და მათი ბარგის გადასაზიდი ბილეთების გაყიდვისათვის, ან ტვირთის გადაზიდვისათვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებებისათვის;

გ) პირობებს, რომელთა მიხედვითაც ხდება ტარიფის გადაზიდვას ფასის ან საკომისიო თანხის გადახდა.

ივი მოიცავს აგრეთვე

დ) ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც გადაზიდვასთან კავშირში ხორციელდება;

ე) ყოველ ტარიფს, საერთაშორისო გადაზიდვაზე დამატებით გაყიდული გადაზიდვისათვის ქვეყნის შიდა მარშრუტების იმ მონაკვეთზე, რომელიც არ გამოიყენება შიდა ფრენისათვის და რომელიც არ შეიძლება თანაბარი პირობებით მიეცეს საერთაშორისო გადაზიდვის ყოველ მწარმოებელსა და მისი მომსახურებით მოსარგებლებს.

მ უ ს ლ ი ვ

მიმოსვლის უფლებათა მინიჭება

1. დასახელებულ საწარმოთა მიერ მე-2 პუნქტის მიხედვით დადგენილ ხაზებზე საერთაშორისო სამარშრუტო ავიამიმოსვლის საწარმოებლად ერთი ხელმომწერი მხარე უფლებას ანიჭებს მეორე ხელმომწერ მხარეს:

- დაუჯდომლად გადაუფრინოს მის ტერიტორიას;
- დაგდეს მის ტერიტორიაზე არასარეწაო მიზნით;
- დაგდეს მის ტერიტორიაზე მდებარე მე-2 პუნქტის მიხედვით დადგენილი ხაზების მითითებულ ადგილებზე, რათა სარეწაო



მიზნით მიიღოს ან გადმოსხეს მგზავრები და ჩამოიტანა მუნიციპალიტეტების ტვირთი და ფოსტა.

2. ის ხაზები, რომელთაც ხელმომწერ მხარეთა დასახელებულ
საწარმოებს საერთაშორისო საპატიო მიმოსვლის წარმოება შეუძ-
ლიათ, ნოტების გაცვლის გზით შეაქვთ საპატიო მარშრუტების
გეგმაში.

3. I პუნქტის მიხედვით ერთი ხელმომწერი მხარის და-
სახელებულ საწარმოს არ ეძღვევა უფლება აიყვანოს მეორე ხელ-
მომწერი მხარის ტერიტორიაზე მგზავრები ან მიიღოს ბარგი, ტვირ-
თი და ფოსტა და გადაიყვანოს ან გადაიტანოს ისინი მეორე ხელ-
მომწერი მხარის ტერიტორიაზე (კაბოტაჟი).

256/30

დასახელება და წარმოების ნებართვა

1. საერთაშორისო სამარშრუტო ავიამიმოსევლის დაწყება მე-2
მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ხაზებზე ყოველ დროს შეიძლება,
თუ:

ა) ხელმომწერმა მხარემ, რომელსაც მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებული უფლებები უნიკება, ერთი ან რამდენიმე საწარმო წერილობით დასახელა და

ბ) ხელმომწერმა მხარემ, ორმელიც ამ უფლებას იღევა, და-
სახელებულ საწარმოს ან საწარმოებს სამარშრუტო საპარკო მიმოსვ-
ლის გაწყების ნებართვა მისცა.

2. ხელმომწერი მხარე, რომელიც ამ ნებართვას იძლევა, ამ მუხლის მე-3 პუნქტის პირობით დაუყოვნებლივ იძლევა საერთაშორისო სამართლურთ ავიამიმოსვლის ნებართვას.

3. ერთ ხელმომწერ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მეორე ხელ-
მომწერი მხარის ყაველ დასახელებულ საწარმოს დადასტურება
იმისა, რომ ივი იქმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც პირ-
ველი ხელმომწერი მხარის კანონები და სხვა მითითებები შეიცავენ
სიერთაშორისო საპარო მიმოსვლის წარმოების თაობაზე.

4. პირველიდან მესამედე პუნქტების შესაბამისად ერთ ხელ
მომწერ მხარეს შეუძლია მის მიერ დასახელებული ერთი საწარმო



რომელიმე სხვა საწარმოთი შეცვალოს. ახლად დასახელებული გამოცვალის წარმოს იგივე უფლებები და მოვალეობანი გააჩნია, რაც შინა მორბედ საწარმოს ჰქონდა.

მუხლი 4

წარმოების ნებართვის შეწყვეტა ან შეზღუდვა

ერთ ხელმომწერ მხარეს შეუძლია მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გაცემული ნებართვის შეწყვეტა ან პირობით შეზღუდვა, თუ რომელიმე დასახელებული საწარმო არ იცავს მისთვის უფლების მიმნიჭებელი ხელმომწერი მხარის კანონებსა და სხვა მითითებებს, ან ამ შეთანხმების განმარტებებს, ანდა არ ასრულებს მათგან გამომდინარე ვალდებულებებს. გაუქმების ან შეზღუდვის წინ, მე-15 მუხლის თანახმად კონსულტაციები იმართება, თუკი კანონისა და სხვა მითითებების შემდგომი დარღვევის თავიდან ასაცალებლად საწარმოს სასწრაფოდ გაჩერება ან მისთვის სასწრაფოდ პირობების დადგენა არაა საჭირო.

მუხლი 5

თანაბარი დამოკიდებულება გადასახადების ხაკითხში

გადასახადი, რომელიც ერთი ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე მეორე ხელმომწერი მხარის ყოველი დასახელებული საწარმოს თვითმფრინავების მიერ აეროპორტებისა და საპარტო მიმოსვლის სხვა ნაგებობათა გამოყენებისთვისა დაწესებული, არ შეიძლება იყოს იმ გადასახადზე მაღალი, რომელიც მაჟავს საერთაშორისო საპარტო მარშრუტებზე დაწესებული ქვეყნის შიდა რომელიმე საწარმოს თვითმფრინავებისათვის.

მუხლი 6

1. ერთი ხელმომწერი მხარის ყოველი დასახელებული საწარმოს მიერ გამოყენებული თვითმფრინავები, რომლებიც მეორე ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე შეღიან და იქიდან უკან ვამოდიან, ან მას გადაუფრენენ, მათზე არსებული საწვავ-საპოხი მასალით, სათადარიგო ნაწილებით, აუცილებელი მოწყობილობის საგნებითა

და სურსათის მარაგით, თავისუფალნი არიან ბაეისა და შეტანის, გატანის ან ვადატანისათვის დაწესებული გადასახადები-საგან. ეს ვრცელდება აგრეთვე თვითმფრინავებზე არსებულ იმ სა-ქონელზე, რომელიც მეორე ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე ფრენისას იხმარება.

2. საწვავ-საპოხი მასალა, სათადარიგო ნაწილები, აუცილებე-ლი მოწყობილობის საგნები და სურსათის მარაგი, რომლებიც დროე-ბით შეაქვთ ერთი ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე, რათა იქ გადაეცეს მეორე ხელმომწერი მხარის რომელიმე დასახელებულ საწარმოს თვითმფრინავებს ან დაიღვას მათში, ან სხვა სახით იქნეს კელავ გატანილი პირველად დასახელებული ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე, თავისუფალია I პუნქტში აღნიშნული ბაეისა და სხვა გადასახადებისაგან. მეორე ხელმომწერი მხარის ტერიტო-რიაზე შეტანისას I პუნქტში აღნიშნული ბაეისა და სხვა გადა-სახადებისაგან თავისუფალია აგრეთვე ერთი ხელმომწერი მხარის ყოველი დასახელებული საწარმოს სარეკლამო მასალა და გადა-ზიდვებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

3. საწვავ-საპოხი მასალა, რასაც ერთი ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე მეორე ხელმომწერი მხარის ყოველი დასახელებუ-ლი საწარმოს თვითმფრინავები იღებენ და საერთაშორისო აეიახა-ზებზე ხარჯავენ, თავისუფალია I პუნქტში აღნიშნული ბაეისა და სხვა გადასახადებისაგან, აგრეთვე რაიმე შესაძლო მოხმარების გადასახადებისაგან.

4. ერთ ხელმომწერ მხარეს შეუძლია I და მე-3 პუნქტებში აღნიშნულ საქონელზე საბაჟო მეთვალყურეობრი დაწესება.

5. ვინაიდან პირველიდან მესამე პუნქტებამდე დასახელებული საქონელი თავისუფალია ბაეისა და სხვა გადასახადებისაგან, ამ სა-ქონელზე არ ვრცელდება ჩვეულებრივ შემთხვევაში მათი შეტანის, გატანისა და გადატანისათვის გათვალისწინებული სამეურნეო შეზ-ლუდვები.

6. ყოველი ხელმომწერი მხარე მეორე ხელმომწერი მხარის ყოველი დასახელებული საწარმოსათვის მიწოდებულ საგნებს ან გაწეულ მომსახურებას, რაც ამ უკანასკნელის მუშაობისათვისაა



საჭირო, ორმხრივ საფუძველზე განტვირთავს ბრუნვის განტვირთავსა ხადის ან რაიმე მსგავსი არაპირდაპირი გადასახადებისაგან. გადასახადისაგან განტვირთვა შეიძლება განთავისუფლების ან ანაზღაურების მეშვეობით განხორციელდეს.

მ უ ხ ლ ი 7

შემოსავლის გადარიცხვა

ყოველი ხელმომწერი მხარე უფლებას ანიჭებს მეორე ხელმომწერი მხარის ყოველ დასახელებულ საწარმოს, მეორე ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე საპატიო მიმოსვლის მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი ყოველ დროს, ყველანაირი ფორმით, თავისუფლად და რაიმე შეზღუდვის გარეშე, ყოველი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით, ოფიციალური კურსის მიხედვით გადაურიცხოს თავის მთავარ უწყებას.

მ უ ხ ლ ი 8

ურთიერთშეთანხმებული სამარშრუტო მიმოსვლის წარმოების პრინციპები

1. ყოველი ხელმომწერი მხარის ყოველ აღნიშნულ საწარმოს იაფი და თანიბარი შესაძლებლობა. ეძლევა მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მარშრუტების გამოსაყენებლად.

2. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მარშრუტებზე საერთაშორისო საპატიო მიმოსვლის წარმოებისას ერთი ხელმომწერი მხარის ყოველი დასახელებული საწარმო ითვალისწინებს მეორე ხელმომწერი მხარის ყოველი დასახელებული საწარმოს ინტერესებს, რათა უნებლივ ზიანი არ მიაჟენოს ამ საწარმოს მიერ იმავე საზებზე ან მათ მონაკვეთებზე საპატიო მიმოსვლის წარმოებას.

3. საერთაშორისო საპატიო მიმოსვლა მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მარშრუტებზე უწინარეს ყოვლისა გადაზიდვის ისეთი წინადადების კამომუშავებას ემსახურება, რომელიც საწარმოს დამსახელებელი ხელმომწერი მხარის მიერ წარმოდგენილ

მისი ტერიტორიის მიმართულებით და იქიდან მიმოსვლაშე განვითარება რაული მოთხოვნილებას შეესაბამება. საერთაშორისო საპარტო შირვლის გეგმაზომიერი განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ეს საწარმოები ისე უნდა სარგებლობდნენ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ხაზებზე, მეორე ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე განლაგებულ პუნქტებსა და მესამე სახელმწიფოთა პუნქტებს შორის გადაზიდვის თავიანთი უფლებით, რომ წინადადება გადაზიდვის შესახებ შეესაბამებოდეს:

ა) მოთხოვნილებას საწარმოს დამსახელებელი ხელმომწერი მხარის ტერიტორიის მიმართულებით და იქიდან მიმოსვლაზე;

ბ) ფრენის ხაზზე განლაგებულ პუნქტებში არსებულ მოთხოვნილებას მიმოსვლაზე, აღვილობრივი და რეკონული საპარტო სამარშრუტო მიმოსვლის გათვალისწინებით;

გ) სატრანზიტო მიმოსვლის ავიახაზების ეკონომიური გამოყენების მოთხოვნებს.

4. ყოველი დასახელებული საწარმოს იაფი და თანასწორი მომსახურების უზრუნველსაყოფად, ფრენის სამსახურების სიხშირები და თვითმფრინავების გათვალისწინებული მოდელები, მათი სიძლავერის მითოვებით, აგრეთვე ფრენის განრიგები ნებადართული უნდა იქნენ ხელმომწერ მხარეთა საპარტო მიმოსვლის უწყების მიერ.

5. საკიროების შემთხვევაში ხელმომწერ მხარეთა საპარტო მიმოსვლის უწყებებმა დამაქმაყოფილებლად უნდა მოაგვარონ გადაზიდვისა და სიხშირეთა საკითხი.

მუხლი 9

საწარმოო მაჩვენებლებისა და სტატისტიკური
მონაცემების გადაცემა

1. ყოველი აღნიშნული საწარმო მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ხაზებზე საპარტო სამარშრუტო მიმოსვლის დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი თვისა აცნობებს ხელმომწერ მხარეთა საპარტო მიმოსვლის უწყებებს მომსახურების სახეობებს, თვითმფრინავების გათვალისწინებულ მოდელებსა და ფრენის განრიგებს, იგივე ეხება აკრეთვე შემდგომ ცვლილებებს.



2. ერთი ხელმომწერი მხარის საპარო, მიმოსვლის უწყებელი დანადღ ფორმულირებული მოთხოვნის შემთხვევაში გადასცემს მეორე ხელმომწერი მხარის საპარო მიმოსვლის უწყებას დასახელებულ საწარმოთა ყველა რეგულარულ ან სხვა სტატისტიკურ დოკუმენტაციას გადაზიდვის შესახებ, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით ასადგენილი ხაზებისათვის მომზადებული წინადადებების შესამოწმებლად. ეს დოკუმენტები უნდა შეიცავდნენ ყველა მონაცემებს, რომლებიც მიმოსვლის მოცულობის, წარმომავლობისა და დანიშნულების დასადგენად არის საჭირო.

მ უ ხ ლ ი 10

ტარიფები

1. ტარიფები, რომლებსაც ერთი დასახელებული საწარმო მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ხაზებზე იყენებს მგზავრებისათვის, საჭიროებენ იმ ხელმომწერი მხარის საპარო უწყების ნებართვას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს მგზავრობის საწყისი პუნქტი (გადაზიდვის დოკუმენტებში აღნიშვნის შესაბამისად).

2. დასახელებული საწარმოები ოვანთ ტარიფებში ითვალისწინებენ საწარმოო ხარჯებს, სათანადო მოგებას, არსებულ კონკრენციასა და ბაზრის პირობებს, აგრეთვე მომსახურებით მოსარგებლეთა ინტერესებს. საპარო მიმოსვლის შესაბამის უწყებას მხოლოდ მაშინ შეუძლია უარი განაცხადოს ნებართვის გაცემაზე, თუ ტარიფი ამ კრიტერიუმებს არ შეესაბამება.

3. დასახელებული საწარმოები ნებართვის მისაღებად ტარიფებს წარადგენენ არა უგვიანეს ერთი თვისა მათი ძალაში შესვლის გათვალისწინებულ დღემდე.

4. თუ ერთი ხელმომწერი მხარის საპარო მიმოსვლის უწყებას მისაღებად არ მიაჩნია მისთვის ნებართვის მისაცემად წარდგენილი რომელიმე ტარიფი, მაშინ იგი ტარიფის წარდგენილან ოცდაოთხი დღის მანძილზე აცნობებს ამის შესახებ შესაბამის საწარმოს. ამ შემთხვევაში შემდგომ უნდა იქნეს გამოყენებული მანამდე მოქმედი ტარიფი, რომელიც ახლით უნდა შეცვლილიყო.

სამეწარმეო საქმიანობა

1. ყოველი ხელმომწერი მხარე ორმხრივ საფუძველზე ანიჭებს მცორე ხელმომწერი მხარის ყოველ საწარმოს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში იქნიოს მის ტერიტორიაზე ფილიალები და იუკონიოს მმართველი, კომერციული და ტექნიკური პერსონალი.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ფილიალების მოწყვაბისას და პერსონალის დასაქმებისას დაცული უნდა იქნეს შესაბამისი ხელმომწერი მხარის კანონები და სხვა განკარგულებანი, აგრეთვე კანონები და სხვა განკარგულებანი შესაბამისი ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლისა და ყოფნის შესახებ.

3. ყოველი ხელმომწერი მხარე ორმხრივ საფუძველზე ანიჭებს
მკორე ხელმომწერი მხარის ყოველ დასახელებულ საწარმოს
უფლებას, მეორე ხელმომწერი მხარის დასახელებული საწარმოს
ან საპატიო მიმოსვლის სხვა საწარმოსათვის თვითონ აწარმოოს
შეზარების, ბარგის, ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვის მომზადე-
ბა. ეს უფლება არ ვრცელდება აეროპორტების კომპეტენციაში შე-
მავალ მიწისზედა ავიასამსახურებზე (თვითმფრინავების მომზადება
ფრენის წინ).

4. ყოველი ხელმომწერი მხარე უფლებას ანიჭებს მეორე ხელ-
მომწერი მხარის ყოველ დასახელებულ საწარმოს საკუთარი დო-
კუმენტებით, უშუალოდ საკუთარ სავაჭრო სათავსებში, საკუთარი
აგენტების მეშვეობით მიჰყიდოს თავისი მომსახურება მეორე ხელ-
მომწერი მხარის ტერიტორიაზე ყოველ მყიდველს, ყოველგვარი ვა-
ლუტით.

e 12

უსაფრთხოება ჰაერში

1. საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, თავიანთი უსაფრთხოებისა და ვალდებულებების შესაბამისად, ხელმომწერი მჩანები დასტურებენ თავიანთ ურთიერთვალდებულებას, უკანო-



ნო ხელყოფისაგან დაიცვან სამოქალაქო საპარტო მიმოსვლის უფლებელი ფრთხოება. საერთაშორისო სამართლის თავიანთი უფლებებისა და ფრთხოებულებების საყოველთაო შასიათის შეუზღუდავად ხელმომ-ვალდებულებებით, თვითმფრინავშე ჩა- წერი მხარეები მოქმედებენ, განსაკუთრებით, თვითმფრინავშე ჩა- დენილი დანაშაულებრივი და განსაზღვრული სხვა ქმედებისათვის 1983 წლის 14 სექტემბერს ტყვიოში ხელმოწერილი ხელშეკრუ- ლების თვითმფრინავების უკანონოდ მითვისების წინააღმდეგ სამო- ქალაქო საპარტო მიმოსვლის უსაფრთხოების მიმართ კანონსაწი- ნააღმდეგო ქმედებასთან ბრძოლის შესახებ 1971 წლის 23 სექტემ- ბერს მონრეალში ხელმოწერილი შეთანხმების და სამოქალაქო სა- პარტო მიმოსვლის უსაფრთხოების მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან ბრძოლის შესახებ 1971 წლის 23 სექტემბერს მონ- რეალში ხელმოწერილი შეთანხმების დატების, საერთაშორისო სა- მოქალაქო მიმოსვლის მომსახურე აეროპორტებში კანონსაწინააღმ- დეგო ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას შესახებ 1988 წლის 24 თებერვალს მონრეალში ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად.

2. ხელმოწერი მხარეები თხოვნის საფუძველზე ყოველგვარ საჭირო დახმარებას უწევენ ერთმანეთს, რათა თავიდან იქნეს აც- ლებული სამოქალაქო თვითმფრინავების უკანონოდ დაუფლება და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება ამ თვითმფრინავების, მათი მგზავრებისა და ეკიპაჟის აეროპორტებისა და საპარტო ნავიგაციის დაწესებულებების უსაფრთხოების წინააღმდეგ, აგრეთვე ყოველი სხვა საშიშროება საპარტო მიმოსვლის უსაფრთხოების წინააღმდეგ.

3. სამოქალაქო თვითმფრინავის უკანონოდ ხელში ჩაგდების, ან თვითმფრინავის, მისი მგზავრებისა და ეკიპაჟის, აგრეთვე აერო- პორტების და საპარტო ნავიგაციის დაწესებულებების უსაფრთხოების კანონსაწინააღმდეგო ხელყოფის შემთხვევაში, ანდა ამგვარი მუ- ქარის არსებობისას, ხელმოწერი მხარეები დახმარებას უწევენ ერთმანეთს კავშირგაბმულობის გაადვილებითა და სხვა შესაბამი- სი ღონისძიებებით, რათა ამგვარი ინციდენტები ან მათი განხორ- ციელების მუქარა ადამიანის სიცოცხლისათვის შეძლებისდაცვარიდ ნაკლები რისკით იქნეს მოგვარებული.



4. ყოველი ხელმომწერი მხარე ახორციელებს ყველა მონაცემს და მისი განხორციელებაც მას მიაჩინა საჭირო და უკანონოდ დადგინოს, არის თუ არა თვითმფრინავი, რომელიც უკანონოდ იქნა მითვისებული, ან რომლის მიმართაც სხვა კანონსაჭირინააღმდეგო ხელყოფა განხორციელდა და რომელიც მის ტერიტორიაზე, ცეწაზე იმყოფება, ძალით დაკავებული, თუ საჭირო არ გახდა მისი აფრენა, როგორც სასწრაფო ღონისძიება ეკიპაჟისა და მგზავრების სიცოცხლის გადასარჩენად. ამგვარი ღონისძიებანი, შესაძლებლობის ფარგლებში, ორმხრივი კონსულტაციების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

5. თავითი ურთიერთობის ფარგლებში ხელმომწერი მხარე ები საპატიო მიმოსვლის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი და სამოქალაქო საპატიო მიმოსვლის ხელშეკრულების დანართებით აღიარებული ჰაერში უსაფრთხოების მითითებების შესძამისად მოქმედებენ, თუკი უსაფრთხოების ეს მითითებები მისაღებია მხარეთათვის; ისინი მოითხოვენ, რომ მათ რეგისტრში შეტანილი თვითმფრინავების მფლობელები და იმ თვითმფრინავების მფლობელები, რომელთა ძირითადი სამუშაო ადვილიან მუდმივი ადგილსამყოფელიც მათ ტერიტორიაზე განლავებული, ისევე როგორც მათ ტერიტორიაზე მდებარე აეროპორტებით მოსარგებლები, ჰაერში უსაფრთხოების მათ მითითებათა შესაბამისად იმოქმედებენ.

6. ყოველი ხელმომწერი მხარე თანახმაა იმისა, რომ თვითმფრინავის ყოველ ამ მფლობელს მოეთხოვოს მე-5 პუნქტში აღნიშნული, ჰაერში უსაფრთხოების იმ მითითებების დაცვა, რომლებიც მეორე ხელმომწერმა მხარემ შეიმუშავა მის ტერიტორიაზე შესვლის, მისი ტერიტორიიდან გამოსვლის ან მის ტერიტორიაზე ყოფნის თაობაზე. ყოველი ხელმომწერი მხარე უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე თვითმფრინავების დაცვის და მგზავრების, ეკიპაჟისა და ხელბარვის სხივებით შემოწმების, აგრეთვე უსაფრთხოების მიზნით ბარგის, ტვირთისა და თვითმფრინავზე არსებული მარაგის სათანადო კონტროლის ეფექტურ განხორციელებას ჩასხდომამდე ან დატვირთვამდე. ყოველი ხელმომწერი მხარე სათანადო ყურადღებით მოეკიდება მეორე მხარის ყოველ თხოვნას რაიმე საფრთხის

თავიდან ასაცილებლად გონივრული, განსაკუთრებული ღოზნებშემუშავა
გების თაობაზე.

7. თუ ერთმა ხელმომწერმა მხარემ გადაუხვია ამ მუხლის
ვითითებებს პაერში უსაფრთხოების შესახებ, მაშინ მეორე ხელ-
მომწერი მხარის საპატიო მიმოსვლის უწყებასთან სასწრაფო კონ-
სულტაციებს მოითხოვს. თუ ამ მოთხოვნის წაყენების დღიდან
ერთი თვის მანძილზე არ მოხერხდა საკითხის დამაკმაყოფილებლად
გადაწყვეტა, მაშინ არსებობს საფუძველი იმისა, რომ პირველად და-
სახელებული ხელმომწერი მხარის საპატიო მიმოსვლის ერთ ან
რამდენიმე საწარმოს ჩამოერთვას, გაუუქმდეს, შეეხლუდოს ან პი-
რობით განესაზღვროს წარმოების უფლება, თუ ვითარება განსა-
კუთრებით სერიოზულია, მაშინ ერთ ხელმომწერ მხარეს ამ ივის
გასვლამდეც შეუძლია წინასწარ ღონისძიებათა მიღება.

მ უ ს ლ ო 13

ჩამოხვდლა და სამგზავრო დოკუმენტების შემოწმება

1. ერთი ხელმომწერი მხარის თხოვნით მეორე ხელმომწერი
მხარე უფლებას აძლევს ორივე სახელმწიფოში საპატიო მიმოსვლის
ნებართვის მქონე საწარმოებს, განახორციელონ ღონისძიებანი მის-
თვის, რათა მხოლოდ მთხოვნელ სახელმწიფოში შესვლისას ან
ტრანზიტით გავლისათვის საჭირო დოკუმენტების მქონე მგზავრები
იქნენ გადაყვანილი.

2. ყოველი ხელმომწერი მხარე შესამოწმებლად აქავებს იმ
პირს, რომელიც არ იქნა მიღებული დანიშნულების ადგილის მიერ,
როცა იქ დადგენილ იქნა, რომ მას არა აქვს შესვლის უფლება, თუკი
ეს პიროვნება გამგზავრების წინ არა მხოლოდ უშუალო ტრანზი-
ტით იმყოფებოდა ამ ხელმომწერი მხარის ტერიტორიაზე. ხელ-
მომწერი მხარეები არ გზავნიან ასეთ პირს უკან იმ ქვეყანაში, სა-
დაც დადგენილ იქნა, რომ ამ პირს არა აქვს შესვლის უფლება.

3. ამგვარი განსაზღვრა ხელს არ უშლის ხელისუფალთ იმაში,
რომ ქვეყანაში შესვლის უფლების არმქონე ეს პირი კვლავ შებ-
მოწმონ, რათა დაასკვნან, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს მისი



მიღება, ან საჭიროა თუ არა ზომების მიღება მისი შემდგრძნელებად—
ყვანის, გაშვების ან იმ ქვეყანაში წასვლის იძულებისათვის, რომლის
მოქალაქეცაა იგი, ან რომელმაც შეიძლება მიიღოს იგი რიმე მო-
საზრებით. თუ პიროვნებამ, რომელსაც უარი ეთქვა სახელმწიფოში
შესვლაზე, დაკარგა სამგზავრო დოკუმენტები, ანდა მას გაუფუჭდა
ისინი, მაშინ ერთი ხელმომწერი მხარე მის ნაცვლად ცნობს დო-
კუმენტს, რომელშიც გაფრენისას ჩასვლის გარემოებებია მითითე-
ბული და რომელიც იმ ხელმომწერი მხარის მიერაა გაცემული,
რომელმაც დაადგინა, რომ ამ პიროვნებას არა აქვს ქვეყანაში შე-
სვლის უფლება.

მ უ/ს ლ ი 14

აზრთა ურთიერთგაცვლა

საჭიროების შემთხვევაში ხელმომწერ მხარეთა საპარტო მი-
მოსვლის უწყებებს შორის აზრთა ურთიერთგაცვლა ხდება, რათა
მიღწეულ იქნეს მუიდრო თანამშრომლობა და ურთიერთგაგება ამ
შეთანხმების გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში.

მ უ/ს ლ ი 15

კონსულტაციები

ამ შეთანხმებაში ცვლილებების ან სამარშრუტო გეგმის, ანდა
განმარტებითი საკითხების განსახილებად ყოველ ხელმომწერ
მხარეს ყოველ დროს შეუძლია მოითხოვოს კონსულტაციები. იგივე
ეხება აგრეთვე შეთანხმების გამოყენების განხილვის, თუ ერთი
ხელმომწერი მხარის აზრით, მე-14 მუხლის მიხედვით გამართულმა
აზრთა ურთიერთგაცვლამ დამაქმაყოფილებელი შედეგი ვერ გა-
მოიღო, კონსულტაციები იწყება მეორე ხელმომწერი მხარის
მცერ განცხადების მიღებიდან ორი თვის ვადაში.

დავის მოგვარება

1. იმ შემთხვევაში, თუ არ ხორციელდება ამ შეთანხმების განმარტების ან გამოყენების თაობაზე წარმოშობილი დავის მე-15 მუხლით მოგვარება, მაშინ იგი ერთი ხელმომწერი მხარის სურვილით საარბიტრაჟო სასამართლოს გადაეცემა.

2. საარბიტრაჟო სასამართლო ცალკე იქმნება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის. ყოველი ხელმომწერი მხარე ნიშნავს თითო წევრს, ეს ორივე წევრი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე თავმჯდომარეობას სთხოვს მესამე სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც ორივე ხელმომწერ მხარეთა მთავრობები ნიშნავენ. წევრები ინიშნებიან ორი თვის ვადაში, თავმჯდომარე კი — სამი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა ერთმა ხელმომწერმა მხარემ მეორე ხელმომწერ მხარეს შეატყობინა, რომ სურს დავის თაობაზე საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართოს.

3. თუ დაცული არ იქნა მე-2 პუნქტში მითითებული ვადა, რაიმე სხვა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ყოველი ხელმომწერი მხარე სთხოვს საერთაშორისო სამოქალაქო ავიამიმოსვლის ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდენტს, რათა მან განახორციელოს საკირო დანიშვნები, თუ პრეზიდენტი ერთ-ერთი ხელმომწერი მხარის მოქალაქეა, ან თუ მას რაიმე სხვა გარემოება უშლის ხელს, მაშინ დანიშვნებს მისი მოადგილე, ვიცე-პრეზიდენტი ახორციელებს.

4. საარბიტრაჟო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით იღებს. მისი გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ორივე მხარისათვის. ყოველი ხელმომწერი მხარე თვითონ იხდის თავისი წევრისა და საარბიტრაჟო სასამართლოში თავისი ინტერესების დამცველის ხარჯებს. თავმჯდომარის გასამრჩევლოსა და სხვა ხარჯებს თანაბრად ინაწილებენ ხელმომწერი მხარეები, ჩვეულებრივ საარბიტრაჟო სასამართლო თვითონ განსაზღვრავს თავის პროცედურას.

მუხლი 17

მრავალმხრივი შეთანხმებანი

ერთ-ერთი მხარის მიერ საჭარო მიმოსვლის შესახებ საყოველთაო მრავალმხრივი შეთანხმების მიღებისთანავე პრიორიტეტი მის დებულებებს ენიჭება. განხილვები იმის თაობაზე, თუ რამდენად ასრულებს, რამე სანაცვლოს გვთავაზობს. ცვლის თუ ავსებს მრავალმხრივი შეთანხმება წინამდებარე შეთანხმებას, ეწყობა მე-15 მუხლის მიხედვით.

მუხლი 18

რეგისტრირება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში

ეს შეთანხმება, ყოველი ცვლილება მასში და ნოტების ყოველი გაცვლა მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე რეგისტრირებისათვის უნდა გადაეცეს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას.

მუხლი 19

რატიფიცირება, ძალაში შესვლა, მოქმედების ხანგრძლივობა

- ეს შეთანხმება რატიფიცირებას საჭიროებს; სარატიფიკაციო სიგელები უნდა გაიცავალოს რაც შეიძლება მალე.
- ეს შეთანხმება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან ერთი თვის შემდეგ.
- ეს შეთანხმება იღება განუსაზღვრელი დროით.

მუხლი 20

დენონსირება

ერთ ხელმომწერ მხარეს ყოველ დროს შეუძლია შეატყობინოს მეორე ხელმომწერ მხარეს ამ შეთანხმების მოქმედების დასრულების შესახებ, იმავე დროს ცნობა დენონსირების შესახებ ეგ-

ზავნება სამოქალაქო საპატიო მიმოსვლის საერთაშორისო მუნიციპალური ზაფირის, ასეთ შემთხვევაში შეთანხმება ძალას კარგავს მეორე ზელ-მომწერი მხარის მიერ ცნობის მიღებიდან თორმეტი თვის შემდეგ, თუ ამ ვადის გასვლამდე მორიგების საფუძველზე არ განხორციელდა დენონსირების გაუქმება. თუ მეორე მხარემ არ დაადასტურა შეტყობინების მიღება, მაშინ საწყის დღედ ითვლება მეთოთხმეტე დღე დღე სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შეტყობინების მიღებიდან.

შესრულებულია ქ. ბონში 1993 წლის 25 ივნისს, ორ ეგზემპლარად, თითოეული გერმანულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ყოველ ტექსტს თანაბარი ძალა აქვს. გერმანული და ქართული ტექსტების განსხვავებული განმარტებისას სახელმძღვანელო ტექსტი ინგლისურია.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

254 საქართველოს რესპუბლიკასა და შაზახეთის რეს-კუბლიკას უორის ურთიერთობის ძირითადი საფუძლების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს ხელშეკრულება საქართველოს რეს-კუბლიკასა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ძირითადი საფუძლების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოაღვილე რუსულან პერი.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.



ხელუარი გადას საქართველოს რესპუბლიკური ფედერაციული მინისტრის
255 ზანეთის რესპუბლიკას უორის ურთიერთობის ძირი-
 თაღი საფუძვლების უსახებ

საქართველოს რესპუბლიკა და ყაზახეთის რესპუბლიკა, შემდ-
 გომში მაღალ ხელშემყვრელ მხარეებად წოდებული,

ეყრდნობიან ისტორიულად ჩამოყალიბებულ კავშირებს, მათ
 ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციებს,

თვლიან, რომ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვი-
 თარება და განმტკიცება პასუხობს ორივე სახელმწიფოს ინტერე-
 სებს და ემსახურება მშეიღობისა და უშიშროების საქმეს,

მტკიცედ აქვთ განზრისული თავიანთ ტერიტორიებზე ააშენონ
 ღემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოები,

ადასტურებენ, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ
 აღიარებული ნორმების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანი-
 ზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების ერთგულნი არიან,

ცნობენ თავიანთი ურთიერთობის თვისობრივი დონის ამაღ-
 ლებისა და ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის განმტკიცების სა-
 ჭროებას.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მ უ ხ ლ ი 1

მაღალი ხელშემყვრელი მხარეები თავიანთ ურთიერთობებს გა-
 ნსცითარებენ, როგორც მეგობრული სახელმწიფოები. ისინი ვალდე-
 ბულებას კისრულობენ თანამდევრულად იხელმძღვანელონ ერთ-
 მანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის, ურთიერთპატივისცემის, ტე-
 რიტორიული მთლიანობისა და არსებული საზღვრების ურღვეობის,
 თანამშრომუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაუ-
 რცვლობის, ძალის ან ძალის მუქარის გამოუყენებლობის — ეკონო-
 მიკური და სხვა ხასიათის ზედაწოლის ჩათვლით, — დავის მშეიღო-
 ბანი მოწესრიგების, ვალდებულებების კეთილსინდისიერი შეს-
 რულების პრინციპებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა
 საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

მუხლი 2

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანამშრომლობენ მშვიდობის განსამტკიცებლად, სტაბილურობისა და უშიშროების გასაძლიერებლად როგორც გლობალური, ისე რეგიონული მასშტაბით.

იმინი ხელს უწყობენ განიარაღების პროცესის გაგრძელებას, ოლექტიური უშიშროების სისტემებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობირის სამშვიდობო როლის გაძლიერებას, რეგიონული უშიშროების ინსტიტუტების და შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგების მექანიზმის ეფექტიან ფუნქციონირებას.

მუხლი 3

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ მათ შორის წამოჭრილი დავა გადაწყვეტონ მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, არ შეუქმნან საფრთხე საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

მუხლი 4

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები არასოდეს და არანაირ ვითარებაში არ გამოიყენებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს ერთმანეთის წინააღმდეგ. არც ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე არ დაუშვებს თავისი ტერიტორიის გამოყენებას მეორე მხარის წინაოღმდეგ აგრესიის მოსამზადებლად და განსახორციელებლად და გამოვა მისი ძალისმიერი დანაწევრების ყველა მცდელობის წინააღმდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე ავრესიის ობიექტი გახდა, მეორე მხარე არ გაუწევს აგრესორს არავათარ სამხედრო ან სხვა სახის დახმარებას.

მუხლი 5

მაღალი ხელშემქვრელი მხარეები გააფართოებენ და გააღრმავებენ თანამშრომლობას გაერთიანებული ერების და სხვა საერთაშორისო თუ რეგიონული ორგანიზაციების ფარგლებში, რომელთა წევრებსაც წარმოადგენენ, ასევე მრავალმხრივ კონფერენციებსა და ფორუმებში.

მუხლი 6

მაღალმა ხელშემქვრელმა მხარეებმა დათქვეს, რომ მათი საცემშიც იყოთა და მთავრობათა მეთაურები, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები რეგულარულად შეხვდებიან საკონსულტაციოდ. უმაღლესი დონის პოლიცეური კონსულტაციები გაიმართება საკიროების შემთხვევაში.

მხარეები სათანადო პირობებს შექმნიან გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარებისთვის მთავრობების, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის.

მუხლი 7

თითოეული მაღალი ხელშემქვრელი მხარე, საკუთარი კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საყოველი: აღიარებული ნორმების მიხედვით, იცავს მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავისი მოქალაქეების უფლებებს, მფარველობს და ეხმარება მათ.

მუხლი 8

მაღალი ხელშემქვრელი მხარეები ჯეროვან პირობებს შეუქმნიან ურთიერთხელსაყრელი საფაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. ამ მიზნით ისინი ერთმანეთს ანიჭებენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს.

მხარეები ხელს შეუწყობენ ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას შეი და კასპიის ზღვის აუზის სახელმწიფოებს შორის. ითანამშრომლებენ საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ ირგანიზაციებში.

მხარეები ყოველმხრივ წაახალისებენ კოოპერაციის სხვადასხვა ფორმებსა და კავშირებს ორივე სახელმწიფოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის.

მხარეთა ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული სფეროები მოწესრიგდება ცალკეული შეთანხმებებით.

თითოეული მაღალი ხელშემქვრელი მხარე თავს შეიკავებს ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ეკონომიკურ ზარალს მიაყენებს მეორე მხარეს.

მუხლი 9

მაღალი ხელშემქვრელი მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ერთობლივი პროგრამების შექმნას სატრანსპორტო, მათ შორის სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო სისტემების მართვის დარგში, ასევე ენერგეტიკის, ინფორმატიკის და კავშირგაბმულობის, სატელიკონიკური კავშირისა და ტელეკომუნიკაციების დარგში.

მხარეები თანამშრომლობენ ტრანსპორტირების საერთო სისტემების განვითარების, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის გადამუშავებისა და გამოყენების, სოფლის მეურნეობის განვითარების, სურსათისა და სახალხო მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის დარგში.

მუხლი 10

ერთი მაღალი ხელშემქვრელი მხარის ტერიტორიაზე არსებული მეორე მხარის იურიდიული პირების და მოქალაქეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება საკუთრების ადგილმდებარეობის მხარის კანონმდებლობით, თუ სხვა პირობები არ არის გათვალისწინებული მხარეებს შორის დადებული შეთანხმებით.

მ უ ხ ლ ო 11

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. მოქმედებენ რა ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების შესაბამისად, მხარეები საჭირო ზომებს განახორციელებენ ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ყოვლისმომცველი საერთაშორისო სისტემის შესაქმნელად.

მხარეები ცალკე შეთანხმებას დადებენ ამ საკითხებზე.

მ უ ხ ლ ო 12

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროებში, წაასალისებენ პირდაპირ კავშირებს სასწავლებლებს, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებსა და საწარმოებს, შესაბამის სამინისტროებსა და განათლების მართვის ორგანოებს, ცალკეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს შორის. განახორციელებენ საერთო პროგრამებს, განსაკუთრებით პრიორიტეტული პიმართულებებისა და მოწინავე ტექნოლოგიათა სფეროში.

მხარეები თანამშრომლობენ და ხელშემწყობ პირობებს უქმნიან კადრების მამზადებას, მეცნიერების, სპეციალისტების, ასპირანტებისა და სტუდენტების გაცვლას. მხარეები ცალკე დადებენ შეთანხმებას ერთმანეთის პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური, უმაღლესი განათლების დიპლომების, სამეცნიერო ხარისხის და წოდებების ცნობის საკითხებზე, აგრეთვე ხელს შეუწყობენ გრძელვადიან საფუძველზე კონტაქტების გაღრმავებას მათ ეროვნულ აკადემიებსა და სამეცნიერო ცენტრებს შორის.

მხარეები ითანამშრომლებენ ინტელექტუალური და მეცნიერული საკუთრების უფლებების დაცვის საკითხებში.

მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ მეცნიერებისა და განათლების საკითხებზე.

მუხლი 13

შალალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ სურთ განავითარონ და გააღრმაონ კონტაქტები და კავშირები კულტუ-რისა და ხელოვნების სფეროში. მხარეები ყოველნაირად შეუწყო-ბენ ხელს კულტურული გაცვლის გაფართოებას, ორი ქვეყნის ხალ-ხთა კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე კულტურის მიღწევების საფუძვლიან გაცნობას, თანამშრომლობას მხატვრულ-ისტორიული და კულტურული ძეგლების შენარჩუნების საქმეში, ნაცვალგების საფუძველზე წაახალისებენ კულტურულ-სა-ინფორმაციო ცენტრების გახსნასა და საქმიანობას.

მუხლი 14

შალალი ხელშემკვრელი მხარეები ითანამშრომლებენ დამნა-შევებასთან, მათ შორის მის ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის სფეროში, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო ხასიათი. მხარეები ითანამშრომლებენ ისეთი დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიცაა ტერორიზმი, საპატიო და საზღვაო მექანიზმები, არა-ლეგარული მიგრაცია, კორუფცია, უკანონო ფინანსური ოპერაციე-ბი, ყალბი ფულის მოჭრა, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივ-თიერებების უკანონო ბრუნვა, უკანონო ოპერაციები, რომლებიც დაფავშირებულია იარაღთან, ტყვია-წამალთან, ასაფეთქებელ, მომ-წამვლელ და რადიაქტიულ ნივთიერებებთან, კონტრაბანდასთან, მათ შორის კულტურული, ისტორიული, არქეოლოგიური ღირებუ-ლებების უკანონო გატანასთან.

მხარეები დადებენ ცალკე ხელშეკრულებას სამიზთლებრივი დახმარების საქითხებზე სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო სა-მართლის დარგში.

მუხლი 15

შალალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ და განა-ვთარებენ ფართო კავშირებს მათი ქვეყნების ხალხებს შორის ურ-თიერთგაგებისა და მეგობრობის, წეს-ჩვეულებებისადმი, რელიგიუ-რი და სხვა თავისებურებებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

მხარეები ხელს შეუწყობენ კონტაქტების გაფართოებას მათი ქვეყნების მოქალაქეთა შორის, თანამშრომლობის განვითარებას რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ინ-ფორმაციის მასობრივი საშუალებების ხაზით.

გუბლი 16

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ კავშირების განვითარებას ორი სახელმწიფოს პარლამენტებს შორის.

გუბლი 17

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ნორმალურ სამუშაო პირობებს შეუქმნიან და ნაცვალგების საფუძველზე ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს მათ ტერიტორიაზე აკრედიტებული მეორე მხარის დიპლომატიური, საკონსულო, სავაჭრო და სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების მუშაობას.

გუბლი 18

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ცალკე ხელშეკრულებებსა და შეთანაბეჭებს დადებენ თანამშრომლობის შესახებ სხვა სახელმწიფო ინიციატივათაშორისო ან უწყებათაშორისო ურთიერთობების სფეროში, რომლებითაც დაანტერესებული იქნება ორივე მხარე.

გუბლი 19

ეს ხელშეკრულება არ არის მიმართული მესამე მხარის წინამდებარებულ და არ ეხება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ იმ სერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომელთა მონაწილეებიც მიინი არიან.

გუბლი 20

ეს ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

ეს ხელშეკრულება იდება ათი წლის ვადით. მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო ათწლიანი პერიოდით, თუ რომელიმე მაღალი ხელშემკვრელი მხარე ხელშეკრულების მორიგი ვადის გასვლამდე სულ ცოტა ექვსი თვით ადრე წერილობით არ შეტყობინებს მეორე მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომ სურს მისი მოქმედების შეწყვეტა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, ეს ხელშეკრულება რეგისტრირებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

შესრულებულია ქ. ალმატიში 1993 წლის 1 ივნისს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ /და ყაზახურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის
სახელით

ე. ზევარდნაძე.

ყაზახეთის რესპუბლიკის
სახელით

ნ. ნაზარბაევი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

256 სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულ-
ლებებისა და ორგანიზაციები (მიუხედავად მათი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) განცხადების,
საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის ზესახებ

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) მოვალენი არიან თავიანთი უფლებამოსილების შესაბამისად განიხილონ და გადაწყვეტონ საქართველოს მოქალაქეების, საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირებისა და უცხოელი მოქალაქეების განცხადებები, საჩივრები და მიმართვები ამ კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

მუხლი 2. საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებსა და უცხოელ მოქალაქეებს უფლება აქვთ წერილობითი და სიტყვიერი განცხადებით, საჩივრით და წინადადებით მიმართონ ნებისმიერ სახელმწიფო



ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, განცხადებულების
მათი მუშაობის ნაკლოვანი მხარეები, გაასაჩივრონ თანამდებნების
პირთა მოქმედება ან ითხოვონ თავიათოვის გაურკვეველი საყით-
ხების განმარტება.

მუხლი 3. განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების სწო-
რად და კანონით დადგენილ ვადაში განხილვისათვის მოქალაქე
ვალდებულია ხელი მოაწეროს მას გვარის, სახელის, საცხოვრებელი
ადგილის ან მუშაობის, ან სწავლის ადგილის ზუსტი მითითებით.
თუ მიმართვა ასეთ ცნობებს არ შეიცავს, იგი ანონიმურად ითვლე-
ბა და არ განიხილება.

მუხლი 4. მოქალაქეებს განცხადება, საჩივარი და მიმართვა
შეაქვთ იმ სახელმწიფო ორგანოში, საწარმოში, დაწესებულებასა
და ორგანიზაციაში ან თანამდებობის პირთან, რომელთა უშუალო
გამგებლობაშია მოცემული საყითხის გადაჭრა.

თუ განცხადება, საჩივარი და მიმართვა შეტანილია იმ უწყე-
ბაში, რომლის გამგებლობაში არ შედის მათი განხილვა, განცხადება,
საჩივარი და მიმართვა შემოსვლიდან 5 დღის ვადაში გადაიგზავნება
დანიშნულებისამებრ და ეს ცნობებათ მოქალაქეებს, ხოლო მიღე-
ბის დროს მათ ეძლევათ სათანადო განმარტება.

მუხლი 5. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით
მოქალაქეებს უფლება აქვთ განცხადებებითა და საჩივრებით მი-
მორთონ შესაბამის სასამართლო ორგანოებს.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოე-
ბი განიხილავენ და წყვეტენ განცხადებებს, საჩივრებსა და მიმართ-
ვებს იმ საყითხების გამო, რომლებიც რესპუბლიკის გამგებლობას
განცემულება.

საქართველოს რესპუბლიკის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონო-
მიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის მერიის ერთობლივ გამგებ-
ლობაში შემავალ საყითხებზე საქართველოს რესპუბლიკის სახელ-
მწიფო ორგანოები მოქალაქეთა განცხადებებს, საჩივრებსა და მი-
მორთვებს განიხილავენ და წყვეტენ მაშინ, როცა ეს საყითხები შე-
დის რესპუბლიკური ორგანოების კომპეტენციაში, აგრეთვე იმ ვადა-
წყვეტილებებზე საჩივრების განხილვის წესით, რომლებიც განცხა-



დებების, საჩივრებისა და მიმართვების გამო მიიღეს აეტონოშინულებულის სახელმწიფო ორგანოების, ქ. თბილისის მერიას, თუ რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების, ქ. თბილისის მერიას, თუ ეს გადაწყვეტილებანი არ შეესაბამება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას.

სხვა საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების გამო გადაწყვეტილება ვამოაქვთ აეტონოშიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოებს, ქ. თბილისის მერიას, ხელისუფლებისა და მიმართველობის აღგილობრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

მუხლი 7. საჩივრები, განცხადებები და მიმართვები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრთა საერთო (რწმუნებულთა) კრებების გადაწყვეტილებათა გამო, შეაქვთ იმ ორგანოებში, რომლებ საც კანონით მინიჭებული აქვთ მათი გაუქმებისა და შეცვლის უფლება.

მუხლი 8. სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ან სხვა, კანონით საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირი, მოვალენი არიან მიღლონ მოქალაქენი და წერილობით მისცენ პასუხი პირადი ხელშეწერით.

მუხლი 9. რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული მოქალაქეების მიღება წარმოებს კვირის ნებისმიერ სამუშაო დღეს, წინასწარ დადგენილ სათებში.

მუხლი 10. აკრძალულია მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების იმ თანამდებობის პირთათვის განსახილველად კადაგზავნა, რომელთა მოქმედებასაც უჩივიან.

თანამდებობის პირებს უფლება აქვთ განხილონ მოქალაქეთა განცხადებები, საჩივრები და მიმართვები, სადაც მათი მოქმედებაა გასაჩივრებული ან რომელთა გამო მათ ადრე მიიღეს გადაწყვეტილება.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის, მათი განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის კანონით დადგენილი წესის დარღვევისათვის უკისრება პირად სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელს.



მუხლი 12. განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვებულის ხილვისას თანამდებობის პირები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მოვალენი ორიან მიღებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შესწავლა, თუ საქმის ინტერესები მოითხოვს, იმ მოქალაქეთა მონაწილეობითაც, რომლებმაც შემოიტანეს განცხადებები, საჩივრები და მიმართვები; მიიღონ ზომები კანონიერების დარღვევების რეალურად აღმოფხვრისათვის და ამის შესახებ წერილობით აცნობონ მათ. ამასთან, თანამდებობის პირი მოვალენი ორიან განცხადებებში, საჩივრებსა და მიმართვებში დაყენებული საკითხების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მოქალაქეების მოთხოვნით, პირადად შეხვდნენ მათ, გააცნონ შემოწმების მასალები, დაარწმუნონ მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობაში, დაყენებული საკითხების და პრეტენზიების დაუსაბუთებლობაში, სხვა ინსტანციებში მიმართვის უსაფუძვლობაში და ამასთან ერთად განუმარტონ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.

მუხლი 13. მოქალაქეს, რომელიც ორ ეთანხმება თავისი განცხადების, საჩივრისა და მიმართვის გამო მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება იმ ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება სახელმწიფო ორგანო, საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია.

მუხლი 14. მოქალაქეთა ყველა განცხადება, საჩივარი და მიმართვა განხილულ უნდა იქნეს მიღებიდნ ათი დღის ვადაში, ხოლო თუ დამატებით შესწავლას ან შემოწმებას მოითხოვს — ერთი თვის ვადაში.

თუ განცხადების, საჩივრისა და მიმართვის გამო გადაწყვეტილების გამოსატანად საჭიროა სხვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება (სპეციალური შემოწმება, დამატებითი მასალების გამოთხოვა და სხვა), სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს უფლება აქვთ გააგრძელონ განხილვის ვადა ერთი თვით და ეს წერილობით აცნობონ მოქალაქეს, რომელმაც აღძრა საჩივარი.

მუხლი 15. განცხადებები, საჩივრები და მიმართვები არასრული წლოვანების, მარტოხელა მოხუცების, თმისა და შრომის ინფორმაციას, სამხედრო მოსამსახურების, საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრების და მათთან გათანაბრებული პირების უფლებების დარღვევებზე განხილულ უნდა იქნეს 10 დღის ვადაში.

სამხედრო მოსამსახურეთა ის განცხადებები, საჩივრები და მიმართვები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო სამსახურის გაყლასთან, განიხილება სამსახურებრივი წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 16. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა ორგანოებიდან, პოლიტიკური პარტიებიდან და საზოგადოებებიდან შემოსული განცხადებები, საჩივრები და მიმართვები განიხილება ამ კანონით დადგენილი წესით და ვადებში.

მუხლი 17. განცხადებები, საჩივრები და მიმართვები, რომლებიც შეეხება დეპუტატის ხელშეუხებლობისა და დეპუტატის სტატუსის სხვა დარღვევებს, განიხილება დაუყოვნებლივ; არა უგვიანეს ათი დღის ვადისა მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება და ეს წერილობით ეცნობება დეპუტატს.

მუხლი 18. ყველა სახელმწიფო ორგანო, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, თანამდებობის პირი ვალდებულია პარლამენტის წევრის მიერ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები განიხილოს დაუყოვნებლივ; არა უგვიანეს ორი კვირისა მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება და ეს წერილობით აცნობოს მას.

მუხლი 19. მოქალაქეთა სიტყვიერი განცხადებები, საჩივრები და მიმართვები განიხილება ამ კანონის მე-14 და მე-15 მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 20. მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის ამ კანონით დადგენილი წესის დარღვევისათვის ან განხილვის გაჭიანურებისა და მასში აღძრული საკითხებისა და პრობლემებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული, ზერელე და გულგრილი დამოკიდებულებისათვის, მოქალაქეებთან ურთიერთობის ეთიკის ნორმების დარღვევისათვის, განცხადებების, საჩივრებისა

და მიმართვების უსაფუძვლოდ უარყოფისა და განხილვის წესის
სხვა დარღვევისათვის, განცხადებებში, საჩივრებსა და შემოწმებების
შე გამოთქმული კრიტიკის გამო მოქალაქეთა დევნისათვის თანამ-
დებობის პირები პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის კა-
ნონშიდებლობით დადგენილი წესით.

მოქალაქეებს, რომლებმაც განცხადებები, საჩივრები და მი-
შერთვები შეიტანეს ცილისწამების, თანამდებობის პირებისა და ხე-
ლისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, პასუხისმგებლობა ეკის-
რებათ საქართველოს რესპუბლიკის კანონშიდებლობის შესაბამისად.

მუხლი 21. წარმოება-დაწესებულებებში და ორგანიზაციებში მო-
ქალაქეთა განცხადებების, საჩივრების და მიმართვების განხილ-
ვაშე კონტროლს ახორციელებენ დარგობრივი სამინისტროები და
უწყებები.

მუხლი 22. ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესე-
ბულებისა და ორგანიზაციის მიერ ამ კანონის ზუსტად და ერთგვა-
როვნად შესრულებას ზედამხედველობას უწევენ საქართველოს რეს-
პუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებუ-
ლი პროკურორები.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და
მსდამი დაქვემდებარებული პროკურორები, თავიანთი კომპეტენ-
ციის ფარგლებში, მოვალენი არიან ზუსტად დაიცვან კანონი მო-
ქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის
წესის შესახებ, მიღონ ვადამჭრელი ზომები მოქალაქეთა კონსტი-
ტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, პა-
სუხისგებაში მისცენ ამ კანონის დარღვევაში დამაშავე თანამდე-
ბობის პირები, სისტემატურად, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც,
განაზოგადონ კანონის შესრულების პრაქტიკა ამ სფეროში და, მო-
ქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის
გუმჯობესების დასაბუთებული წინადადებები შეიტანონ რესპუ-
ბლიკის პარლამენტსა და მთავრობაში, ხელისუფლებისა და მმართვე-
ლობის ადგილობრივ ორგანოებში.

მუხლი 23. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება იმ განცხადე-
ბების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესშე, რომელიც

დაღგენილია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლებრივი უძრავი პროცესი და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით, აგრეთვე შრომის დავის განხილვის შესახებ დებულებით და სპეციალური წესდებებით.

მუხლი 24. მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების, მათ შორის სიტყვიერი მიმართვების რეგისტრაცია -და საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ გვარალენაშვილი

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვახტანგ გოგუაშვილი

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგინდებულება

257 „სახელმწიფო ორგანოები, საჭაროებები, დაწევებულებებისა და ორგანიზაციების (მიუხსეად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებითანავე.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მიუხსეად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებითანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსედან გვირიშვი.

თბილისი, 1993 წლის 24 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის

მ ი მ ა რ თ ვ ა

მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებს

მოგმართავი ჩვენს კოლეგებს, მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტარებს მაქსიმალური საშუალებებით იღმოვვინოთ დახმარება საქართველოს წინააღმდეგ სეპარატიზმისა და ინტერვენციის შედეგად აფხაზეთიდან ასტანამბით ლტოლვილისა და იძულებით აყრილი მშვიდობიანი მოქალაქის — ქართველის, რუსის, სომების და სხვა ეროვნების ადამიანების — სიცოცხლის გადარჩენის საქმეში.

სახელმწიფოს არ გააჩნია შესაძლებლობა უზრუნველყოს აფხაზეთიდან ეთნიკური წმენდის შედეგად ვანდევნილი არააფხაზი მოსახლეობის — ქალების, ბავშვების, მოხუცების, დაჭრილების გადმოყვანა უსაფრთხო ზონაში, უზრუნველყოს ისინი სათანადო კვებით, ტანსაცმლით, სატრანსპორტო და სამედიცინო საშუალებებით.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ იმედს, რომ ცივილიზებული მსოფლიო გულგრილი არ დარჩება საბედისწერო განსაცდელში ჩავარდნილი ასი ათასობით ლტოლვილის მიმართ.

თბილისი, 1993 წლის 2 ოქტომბერი.